თენგიზ ფიფოლაძე



დოკუმენტური მოთხრობა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი „ფიდელიანი"

84 Гр 7—44
ბ 612

თენგიზ გოგოლაძის დოკუმენტური მოთხრობა ეხება ცნობილი პედაგოგის ნიკო ნუცუბიძის ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ნ. ნუცუბიძემ განათლება რუსეთში მიიღო; პედაგოგიური მოღვაწეობა ჯერ ბაქოში, შემდეგ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში წარმართა. აქ გამობრწყინდა ის შესანიშნავი თვისება, რაც ამ კაცს ახასიათებდა, როგორც გულისხმიერ და მრავალმხრივ განათლებულ პედაგოგს.

მოთხრობაში კონკრეტულ ფაქტებზე გაშლილია ის სასარგებლო და საშვილიშვილო საქმეები, რასაც ქუთაისელი ქართველი პედაგოგები ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში.

მოთხრობაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პედაგოგთა ლიტერატურულ საქმიანობას, მათ მონაწილეობას ქუთაისის თეატრის აღორძინებისა და ხელოვნების განმტკიცების საქმეში.

პირველი გამოცემა

70202—009
М 601 (08) 88 — 279—88

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"

ორიოდე სიტყვა ნიკო ნუცუბიძეზე

პირველად ნიკო ნუცუბიძე 1927 წელს ვნახე ქუთაისის თეატრთან. იდგა საშუალოზე ცოტა მაღალი სიმპატიური გარეგნობის კაცი და ვიღაცას თუ რაღაცას ელოდებოდა. მე და ჩემი ყრმობის განუყრელი მეგობარი დავით ქუხალაშვილი ის იყო თეატრში შესელას ვაპირებდით, რომ შეგვაჩერეს: რომელი სკოლიდან ხართო. მაშინ პირველ ათწლედში ვსწავლობდი (ახლა იქ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტია), ჩემი მეგობარი კი მეორე სკოლაში, სადაც დირექტორად ნიკო ნუცუბიძე მუშაობდა. დავითმა ჩუმად მითხრა: ის კაცი, პარტერის შესასვლელთან რომ დგას, ჩემი სკოლის დირექტორი ნიკო ნუცუბიძეა. ყველას უყვარს და მეც გაგიყვებით მიყვარსო!

შეეხედე თუ არა, ძალიან მომეწონა ეს ოდნავ ჩასკვნილი. მშვიდი კაცი, დინჯად რომ იდგა და თითქოს ოცნებას შეეპყრო. იმ საღამოს თეატრში გასამართლება ეწყობოდა, სკოლებიდან, მასწავლებლების ნებართვითა და ხელმძღვანელობით, რამდენიმე წარჩინებული მოწაფეც ესწრებოდა, როგორც მე და ჩემი მეგობარი დავითი. მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, თუ შვიდი წლის შემდეგ ნიკო ნუცუბიძეს ახლოს გავიცნობდი, მის არაერთ წერილს გაზეთში დავებეჭდავდი, ერთად მოგვიხდებოდა კულტურის ფრონტზე მოღვაწეობა მთელი ათეული წლის მანძილზე, ხოლო 1942 წლიდან მჭიდრო ურთიერთობა მექნებოდა მის უმცროს ძმასთან — შალვა ნუცუბიძესთან, რომელიც დიდხანს იყო ხელმძღვანელ სამუშაოზე.

ვინც იცნობდა, მისთვის სრული კეშმარიტებაა, რომ ნიკო ნუცუბიძე პედაგოგად იყო დაბადებული. მასში არაფერი იყო არაპედაგოგიური, არც ერთი ნერვი, გული კი ამ იშვიათ კაცს მასწავლებლის არტერიებით უფეთქავდა. შეუძლებელია მასწავლებელი კაცთმოყვარე არ იყოს და ჰუმანიზმით არ გამოირჩეოდეს, თუ ის ნამდვილი პედაგოგია. ნიკო ნუცუბიძეს, ღრმა განათლებასთან ერთად, ჰქონდა ის მაღალი ადამიანური თვისებები, რაც ასე კარგად დაგვისურათა ცნობილმა რომანისტმა თენგიზ გოგოლაძემ თავის მშვენიერ დოკუმენტურ მოთხრობაში — „მასწავლებელი". წაიკითხე ეს ნაწარმოები, რომელმაც არამარტო პასეისტური გრძნობა აღმძრა, გამახარა კიდეც და გუშინდელი დღე თვალწინ ნათლად დამიყენა. თენგიზ გოგოლაძის „მასწავლებელი" შთამაგონებელი მოთხრობაა, მაგრამ ეს ნაწარმოები სცილდება ჩვეულებრივი მოთხრობის ფარგლებს, იგი უფრო მეტად პედაგოგიური რომანია.

რომანის ფურცლებიდან მკითხველი ხედავს განათლების მდგომარეობას საქართველოს მეორე დედაქალაქში, სადაც ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული პედაგოგები. იოსებ ოცხელისა და სილოვან ხუნდაძის მდიდარ სამასწავლებლო პრაქტიკას, სხვებთან ერთად, ყველაზე კოლორიტულად, ფანატიკური გატაცებით აგრძელებდა, 1914 წლიდან მოყოლებული, ისეთი მრავალმხრივი ფიგურა, როგორიც ნიკო ნუცუბიძე იყო. მისი სახელი „სავარდო და სამაისო ქალაქში" ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პოპულარობით იყო გარემოსილი. ნიკოს უსაზღვროდ უყვარდა ბავშვი, ძოწაფე, ახალგაზრდობა და ისინიც ამაყი გრძნობით ეკიდებოდნენ თავიანთ სათაყვანო აღმზრდელ-მასწავლებელს.

იოსებ ოცხელისა და სილოვან ხუნდაძის შემდეგ იმ დროს ქუთაისში ჩემთვის ძალიან ცნობილი იყვნენ მასწავლებლები: ნიკო მაღრაძე, ლაზარე ხმალაძე, ეესეი მიქელაძე, ფილიპე შაგულიძე, ნიკო მეფისაშვილი, თეიმურაზ და იასონ კუმბურიძეები, ანტონ სულამანიძე, დომენტი თომაშვილი, პარმენ მელია, შალვა გაბადაძე, ლონგინოზ კიკვიძე, ნადია მისაბიშვილი, კოლა მესხი, პლატონ წულუკიძე. თეიმურაზ კუმბურიძე, რომელიც 1925 წელს ქალაქის განათლების განყოფილებას ჩაუდგა სათავეში, ნამდვილად გამოკვეთილი ფიგურა იყო. მისი წიგნებით ვსწავლობდით ახალ საგანს — საზოგადოებათმცოდნეობას. ეგონებ მაშინდელ სახელგანთქმულ პედაგოგებს და სვედასთან ერთად გული სიამაყით მევსება. რა ქარგები იყვნენ ისინი! რა კაცი იყო ყველას მიერ აღიარებული ნიკო ნუცუბიძე! თვითეულმა მათგანმა ჩემს ცხოვრებაში იმდენად დიდი როლი შეასრულა თავისი უზადო, ადამიანობით, პროფესიული ავტორიტეტითა და უშუალო დახმარებით, რომ არამარტო დავიწყება არ შემიძლია, თავს მოვალედ ვთვლი „მოგონებებში" მათი სახელები ცალკე მოვიხსენიო. ისინი ჩემთვის მანათობელ ვარსკვლავს, ამეტყველებულ ცოცხალ წიგნს, გონების ლამპარს წარმოადგენდნენ და ეფერმაძოდ დარჩენილს რაღაც უჩვეულო მშობლიური გრძნობით მათბობდნენ.

დაუვიწყარია ჩემთვის მათი გაუბზარავი სახელი და ნათელი ხსოვნა!

გიორგი ჯიბლაძე

ნაწილი პირველი

ახალი მასწავლებლის მოლოდინში გასუსულიყო მთელი კლასი.

გიმნაზიის მეორე სართულის ფართო დერეფანში, სადაც ორიოდე წუთის წინ მიწყდა მოწაფეთა ხმაური, მაღალი, გამხდარი კაცი, რომელსაც ფრაკის მაგვარი შავი, გაცრეცილი პიჯაკი ეცვა და მეორე სართულის ზედამხედველობა ევალებოდა, ახლაც, ისევე როგორც შესვენებისას, მოზომილი, ზანტი ნაბიჯებით განაგრძობდა სიარულს. ეს გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე სამასწავლებლოდან არ ამოვიდა რაღაც საქმის გამო ორიოდე წუთით შეყოვნებული მასწავლებელი, რომელსაც მეოთხეკლასელები ელოდნენ.

კლასში მასწავლებელი იყო თუ არ იყო, ზარის დარეკვის შემდეგ ყველა თავის ადგილზე უნდა მჯდარიყო გასუსული ზედამხედველი ამიტომაც დააბიჯებდა დერეფანში.

მასწავლებლის გამოჩენამდე ზოგიერთები ჩუმად მაინც ახერხებდნენ ოინბაზობას. თავშეკავებული სიცილი წამით ჩაურბენდა გიმნაზიელებს და მერე ისევ გაისუსებოდნენ.

დერეფანში გამოჩნდა შავ კოსტიუმში გამოწყობილი, საშუალოზე ოდნავ მაღალი, შავგვრემანი კაცი. იგი ენერგიული, სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა მეოთხე კლასის ოდნავ ღიად დარჩენილ კარს და ოთახში ისე შევიდა, თითქოს ამავე კლასში წინა გაკვეთილიც მასვე ჩაეტარებინა.

კლასში კი იგი პირველად შევიდა. კარი სწრაფად მიხურა, წამით იქვე შეჩერდა, ფეხზე წამომდგარ გიმნაზიელებს შეხედა და მიესალმა:

— გამარჯობათ!

პასუხიც ასეთივე მოკლე, მაგრამ მოკრძალებული იყო.

— დაბრძანდით! — მიმართა მასწავლებელმა ყმაწვილებს და კათედრისაკენ გაემართა, შავყდიანი ჟურნალი დადო და ისევ შეხედა გიმნაზიელებს.

ყმაწვილები შორჩილად მისჩერებოდნენ ოცდაშვიდ-ოცდარვა წლის კაცს, მის ყოველ მოძრაობას ინტერესით ადევნებდნენ თვალს.

კოხტა კაცი იყო, ლამაზად შესწორებული შავი თმა ჰქონდა, კუთხოვანი ძლიერი სახე, სიცოცხლით სავსე გამომეტყველება — მზერით დამპყრობი თვალები. წარბთა შორის ერთი მრისხანების გამომხატველი ნაოჭიც ამშვენებდა.

სია არ ამოუკითხავს. მოწაფეებს ათვალიერებდა, სათითაოდ უყურებდა და ხმას არ იღებდა.

„მეტად საინტერესო ცოცხალი „სფინქსი", — რატომღაც ასე გაიფიქრა მასწავლებელზე წიგნების კარადის მახლობლად მაღალ მერხზე მჯდარმა კაპიტონ ნემსაძემ. იგი თვალს ერთი წუთითაც არ აშორებდა კაცს. რომლის სახელიც უკვე საკმაოდ ცნობილი იყო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, თუმცა იგი სულ რაღაც ორიოდე წლის წინ გადმოიყვანეს ბაქოს სასწავლებლიდან თავის მშობლიურ ქალაქში.

— ბატონ დავით უზნაძის ნაცვლად ამიერიდან ზოგად ისტორიას მე გასწავლით, — მიმართა მასწავლებელმა გიმნაზიელებს, — ჩემი გვარი ნუკუბიძე გახლავთ, სახელი ნიკო... .თქვენ კი თანდათან გაგიცნობთ და იმედია, ერთ მთავარ რამეს გაითვალისწინებთ: სიზარმაცე არის სათავე ყოველგვარი მანკიერებისა, ამიტომ ყველაზე დიდი სარდალი ის არის, ვინც საკუთარ თავს დაიპყრობს, დაიმორჩილებს და მის საქმიანობას ხალხის საკეთილდღეო შრომაში მისცემს მიმართულებას. მხოლოდ ფიზიკურად და გონებრივად ძლიერები გაუძლებენ ადამიანთა მოდგმის განვითარებას...

გაჩუმდა. დაფის წინ, სადაც ისტორიის რუკა ეკიდა, გაიარ-გამოიარა, შეჩერდა. უცებ შეარხია ხელები და მომნუსხველი თვალები ყმაწვილებს მიაპყრო.

— ახლა კი შევეხოთ უშუალოდ საგანს.

მეტყველებდა ლაღად, თამამად, გაბედულად და ზომიერი ხმით. ხმის მომხიბვლელი ყლერადობით ამთავრებდა ყოველ წინადადე-

ბას. ზედმეტს არაფერს ამბობდა და იმით, რასაც იგი გამოხატავდა, ყოველ მოწაფეს ავალებდა — მისი თითოეული სიტყვის დამახსოვრება სავალდებულო იყო.

ნიკო ნუცუბიძე არ იყო ორატორი და არც ცდილობდა ყოფილიყო. მაგრამ მოწაფეები მის პირველსავე გაკვეთილზე მოიხიბლნენ ამ კაცის რაინდული უფაქიზესი არისტოკრატიული დახვეწილობით... იგრძნობოდა, რომ ეს კაცი არც ახლო მიგიშვებდა თავისთან, არც გაგწირავდა. მომთხოვნელობის დიდი გავლენით გავალებდა იმას, რასაც ამბობდა და გამოხატავდა.

იმ დღეს საუბარი ჰქონდა ძველი რომის იმპერიის აღმოცენების საწყისებზე. აღწერა აპენინის ნახევარკუნძულის გეო-ფიზიკური ვითარება.

კლასი სულგანაბული უსმენდა და ყოველთვის, როცა კი მასწავლებელი წამით შეისვენებდა, სანამ ახალ წინადადებას წამოიწყებდა, კაკო ნემსაძის გონებაში ისევ და ისევ გაისმოდა სულ ცოტა ხნის წინ ნიკოს მიერ შთამაგონებლად ნათქვამი სიტყვები: „მხოლოდ გონებრივად და ფიზიკურად ძლიერები გაუძლებენ ადამიანთა მოდგმის განვითარებას...“

სწორედ ასეთი ფიზიკურად და გონებრივად განვითარებული კაცი ჩანდა ნიკო ნუცუბიძე. ეს სიტყვები სწორედ მისი ბუნების, მისი კაცობის, მისი ადამიანობის შესატყვისი იყო და ეს მაშინვე, იმ პირველსავე გაკვეთილზე იგრძნო ნემსაძემ.

მასწავლებელმა რომის ისტორიის ძალზე შორეული ზღაპარი გააცოცხლა, ყამთა ჯუნ-ღმულებიდან გამოიტანა და თვალსაჩინო გახადა იმდროინდელი ამბები, ფერფლწაყრილ ცხოვრებას ხორცი შეასხა, ისტორიის ფერკადასულ ფურცლებს სიცოცხლე მისმა მომხიბველელმა მეტყველებამ ჩაუდგა.

დრო ისე სწრაფად გავიდა, ისე ერთბაშად გაისმა ზარის ხმა, ბიჭებს წამოდგომა არ უნდოდათ. მაგრამ მასწავლებელმა, რომელსაც ზარმა კი არ შეაწყვეტინა თხრობა, არაჩვეულებრივ ზუსტად განსაზღვრულ ბოლო სიტყვაზე მოუსწრო გაკვეთილის დამთავრების ნიშანმა. კათედრას მიაშურა, ჟურნალი აიღო და როგორც შემოსვლისას, ახლაც მდუმარედ შეხედა ბიჭებს და გულში კმაყოფილება იგრძნო, რომ ისინი ასეთი მორჩილნი და ყურადღებიანი იყვნენ.

ზარის ხმა მიწყდა, მაგრამ ისინი მაინც არ განძრეულან. ნიკომ მათ თვალებში მადლიერების გრძნობა ამოიკითხა და ასე არასოდეს მოსდომია, კლასში ერთხანს კიდევ დარჩენილიყო.

დერეფანში სხვა კლასებიდან უკვე ხმაურით გამოიშალნენ ბიჭები. ნიკოს უმაწვილები შეეცოდა, რომელთაკ ბავშვური განავარდების მცირე დრო წაართვა, სწრაფად შეტრიალდა და კარს მიაშურა.

კაკო ნემსაძე უკვე მღელვარებით ელოდა ისტორიის მომდევნო გაკვეთილს და ამ დღისათვის განსაკუთრებით ემზადებოდა.

თავისთავად საგანი მომხიბვლელი იყო, საინტერესო ამბები ძველი რომის ისტორიიდან, მაგრამ მთავარი მაინც მასწავლებელი ჩანდა, რომლის საამებლადაც საგანგებოდ ჩაუჯდა უმაწვილი.

სამი დღე აშორებდა გაკვეთილიდან გაკვეთილამდე. მაგრამ ამ შუალედში, ყოველ საღამოს ისე იმეორებდა რომის იმპერიის ჩასახვისა და მისი განვითარების ამბებს, როგორც სადებიუტო სპექტაკლზე გამომსველელი ახალბედა მსახიობი. ისეთივე მღელვარებითა და განცდებით. მსახიობს მაყურებლები უდგას თვალწინ, კაკოს კი თვალწინ ნიკო ნუცუბიძე ედგა, ეს ერთადერთი კაცი, რომლის წინაშეც უმაწვილი გიმნაზიელი თავის გამოჩენას ლამობდა. ეს იყო ბავშვური მღელვარება, თავისებური ანარეკლი ქცევისა, რითაც მასწავლებლისგან მოიხიბლა.

ქართულ გიმნაზიაში იმ დროს ბევრი კარგი მასწავლებელი იყო. კაკო ნემსაძე აღტაცებული იყო თავისი აღმზრდელების დიდბუნებოვნებით. მათი განათლების სიღრმით, ადამიანური სითბოთი და გულისხმიერებით.

განა მარტო მას, გიმნაზიის უმაწვილებს, თითქმის ყველას ჰქონდა ეს შესისხლხორცებული. გიმნაზიის დირექტორის იოსებ ოცხელის მეცადინეობითა და მონდომებით, წლობით ყალიბდებოდა. აღმზრდელთა მართლაც სამაგალითო კოლექტივი.

ქართული გიმნაზიისათვის იოსებ ოცხელი და ამავე გიმნაზიის ინსპექტორი (ახლა რომ სასწავლო ნაწილის გამგეს ვეძახით), სიმონ ბუნდაძე, დიდი გემოვნებით არჩევდნენ პედაგოგებს. გიმნაზიაში იწვევდნენ ისეთ პირებს, რომელთაც საზოგადო მოღვაწის მადლი ეკრათ. მასწავლებლისათვის მარტოოდენ კარგი ნიშნებით ჩაწიკ-

წოებული დიპლომი არ ამარიდა, თუნდაც კარგი პედაგოგიური მომზადება ჰქონოდა. ის უნდა ყოფილიყო უფრო ფართო გაქანების ადამიანი...

ეს ის პერიოდი იყო, როცა ქუთაისს, ამ ძველისძველსა, მაგრამ პატარა, კოხტა ქალაქს, გარეგნულად უდარდელობისა და პროვინციალიზმის დაღი რომ ესვა, თითქოს ქეიფისა და დროსტარებელ დარდიმანდთა ბუდედ ქცეულიყო, სკოლებისა და მოწაფეების ქალაქს ეძახდნენ.

საქართველოში ძნელად მოიძებნებოდა სასწავლებელი, სადაც ამდენი ნიჭიერი ადამიანი შეკრებილიყო, როგორც იმჟამად ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიურ კოლექტივში.

გიმნაზიას საკუთარი გამომცემლობა ჰქონდა სახელმძღვანელოების დასასტამბად. ჰყავდა საკუთარი მწერლები და პოეტები მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის, რომელთაგან ბევრმა დიდი ქართული ლიტერატურა დაამშვენა თავისი ქმნილებებით და სახელით.

გიმნაზიას შეეძლო საკუთარი ძალებით ნებისმიერ თეატრალურ კოლექტივს გასჯიბრებოდა. თავისი რევოლუციური ტრადიციებიც ჰქონდა, მომავალს საღი თვალით უყურებდა, სწორ გზას ადგა და თავგამოდებით იღვწოდა საქართველოს ბედ-იღბლისათვის — რაც შეიძლება მეტი განათლებული. კულტურული და თავისი ქვეყნის მოყვარული შვილი აღეზარდა.

ქართული გიმნაზია ქუთაისის მფეთქავი გული იყო.

ამ ცოდნის ტაძარში მოხვედრილი მოწაფე უთუოდ განიცდიდა, გრძნობდა იმ მაცოცხლებელ ძალას, რაც დღითი დღე მეტ ძალას იძენდა და იკრებდა.

კაპიტონ ნემსაძისათვის, ისევე, როგორც მისი თანაკლასელებისათვის, ნიკო ნუცუბიძე საგრძნობლად გამორჩეული ადამიანი არ იყო სხვა პედაგოგებისაგან, მაგრამ მაინც იგრძნობოდა რაღაც განმასხვავებელი ნიშნები, მტკიცე ნებისყოფა, განათლება და მეტყველება.

ცდა იმისა, რომ ამ კაცისათვის მომდევნო გაკვეთილზე ეჩვენებინა თავისი უნარი, კაკოს მიღლვარებაში გადაეზარდა.

და აი, დადგა ეს გაკვეთილიც. ნიკო ნუკუბიძე ზარის დარეკვისთანავე გამოჩნდა კლასში. წამით შეყოვნდა. ასე იქცევა ადა-

მიანი, რომელსაც ოთახში შესვლა ვერ გადაეწყვეტია, ან რაღაც დაავიწყდა და გაბრუნებას აპირებს.

ბიჭები კი მოუთმენლად ელოდნენ, ისევე, როგორც კაკო ელოდა ამ წუთებს. შეიძლება გიმნაზიელთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ახალი მასწავლებელი ერთი გაკვეთილით ვერ შეიცნეს, ვერ გაუგეს, მისდამი გულგრილობა გამოიჩინეს. მაგრამ ისინიც კი გარეგნულად არ განსხვავდებოდნენ იმათგან, ვინც კი ახლა გულის ფანცქალით ელოდა ნიკო სუკუბიძის გაკვეთილს.

ნიკომ კარი დახურა და ფეხზე წამომდგარ გიმნაზიელებს მიესალმა. პასუხი რომ მიიღო, კათედრას მიაშურა, ჟურნალი დადო და დაფას შეხედა, სადაც კლასის მორიგეს ისტორიის რუკა ჩამოეკიდა.

კლასი გასუსულიყო.

ნიკო კათედრასთან დაჯდა და ჟურნალი გადაშალა. წინა გაკვეთილზე თუ არ ჩაუხედავს, ახლა სიის ამოკითხვა დაიწყო. გვარებს ჩამარცვლით, გაწმოკვეთილად ამბობდა, წაიკითხავდა. ჟურნალს მაშინვე მოაცილებდა თვალს და ფეხზე წამომდგარ ყმაწვილს შეხედავდა.

„ახლა იწყება გაცნობა“, — გაიფიქრა კაკომ.

მასწავლებლის თვალი მართლაც გამომცდელის მზერით აცქერდებოდა ყმაწვილს. რომლის გვარსაც თავისებური სიმახვილით, ლამაზად კითხულობდა მასწავლებელი.

ზოგი გაბედული ყმაწვილი წამოდგებოდა. ზოგი ზედმეტად გაბედულიც. თავხედური იერი რომ დაჰკრავთ ხოლმე. ზოგი შემკრთალ, მორჩილ თვალებს მიაპყრობდა მასწავლებელს. ზოგი კი ოდნავ თავდახრილი, ვერ ბედავდა კაცისთვის თვალებში შეეხედა.

მასწავლებელს არავისთვის არ მიუცია შენიშვნა. შენ რატომ ასე თამამად იქცევი. შენ კი სულაც არ შემომხედე. მას ამჯერად მხოლოდ ის აინტერესებდა, ვინ რა გვარისა იყო, ვის რა სახელი ერქვა.

— კაპიტონ ხემსაძე.

სანამ მასწავლებელი წამოიხედავდა, კაკო ჩუმად, უხმაუროდ წამოდგა. გული გამალებით უცემდა. თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, ასე რატომ ემართებოდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ღელავდა.

თითქოს იმდღეანდელი გაკვეთილის მთელი სიმძიმე მასზე იყო დანდობილი, ის უნდა ყოფილიყო ყურადღების საგანი. გაკვეთილი კარგად იცოდა. აი, სწორედ ამისი განცდა აღელვებდა, გული გამალებით უცემდა.

მასწავლებელმა შეხედა და უთხრა, დაბრძანდითო. სულ ეს იყო.

მასწავლებელმა სიის ამოკითხვა რომ დაამთავრა, ჟურნალი აღ დაუხურავს. უთუოდ ვინმეს გამოჰკითხავდა. ეს ჩვეულებრივ ასე ხდებოდა, ასე იქცეოდნენ სხვა მასწავლებლებიც.

ნიკო კათედრას მოშორდა, მერხების შუა მწკრივის თავში გაჩერდა და გიმნაზიელებს თვალი გადაავლო.

— აბა, ვინ მიპასუხებს გაკვეთილს?

დადგა ის ნანატრი წუთი, რომელსაც კაკო ასე მოუთმენლად ელოდა.

როცა სპორტსმენები ერთმანეთს ეჯიბრებიან, აქ ძალთა გამოცდაა და არა შური, გრძნობა დაჯაბნისა, დაჩაგვრისა და დამცირებისა. სწორედ ასეთი „სპორტსმენი“ იყო ახლა კაკო, რომელსაც სურდა ყველასთვის დაესწრო და ფინიშთან პირველი მისულიყო.

სწრაფად ასწია ხელი, თითქოს ეშურებოდა. სხვამ არ დამასწროსო. არც არავის დაუსწრია. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გაბედეს და ხელი ასწია ზოგიერთმა. „გულადებს“ „მხდალნიც“ აჰყვნენ და მალე ყველას ჰქონდა ხელი აწეული. მაგრამ ეს იყო მოჩვენებითი ერთსულოვნება.

მასწავლებელი უცხოდ არის ამ კლასში, მეორე გაკვეთილს ატარებს, ბიჭებს სულაც არ იცნობს, ვინ რისი გამკეთებელია, ვის რა უნარი შესწევს. თუ იმისდა მიხედვით დაჰყოფს „გამბედავთა“ და „მხდალთა“ ჯგუფებს, ვინ ვის მერე ასწია ხელი, ესეც ხომ არ იქნება სწორი. ზოგჯერ წყნარი, მორიდებული ყმაწვილი ბეჯითად სწავლობს, მაგრამ თავის გამოჩენა კი არა. ხელს აწევაც კი ერიდება...

კაკოს გაბედულებას და დაუოკებელ სურვილს, რომ გაკვეთილი მოეთხრო, სწორედ ის შთაბეჭდილება ამძაფრებდა, რაც მან პირველ გაკვეთილზე მიიღო. მასწავლებლის მომხიბვლელობამ, გამოკვეთილმა, ლაკონიურმა ფრაზებმა, საგნის ღრმა ცოდნამ,

რაღაც ჯერ კიდევ გამოუცნობმა, შინაგანი ცეცხლით გაღვივებულმა არტისტიზმმა.

აი, სწორედ ეს ცეცხლი გადავიდა ყმაწვილის გულში უნებლიეთ. ახლა ნამდვილად დიდი ცოდვა იქნებოდა არ გამოეძახა იგი მასწავლებელს და არ გათავისუფლებულიყო ყმაწვილი განცდათა მოძალებისაგან.

ბედი არ გინდა! როგორც კი მასწავლებელმა კლასში პირველად იგი ამოარჩია და ხელით ანიშნა, დაფასთან გამოდიო, კაკომ უმალვე იგრძნო შვება. მაგრამ სილაღე მხოლოდ დაფამდე მიჰყვა. აქ, როგორც კი მასწავლებლისა და ამხანაგების ყურადღების ცენტრში მოექცა, წამით დაიბნა, თავი ისე იგრძნო, თითქოს არაფერი იცოდა. ყველაფერი დაავიწყდა. გონება ჯურღმულად ექცა, ყველაფერი ამ ჯურღმულის ბნელ კუნჭულებში მიიკარგა.

ყმაწვილის გონებას ისევ მალე მოეფინა ნათელი. ჯერ მკრთალად, მერე თანდათან იმატა, გული გამალებით უცემდა, აშკარად ღელავდა. უცებ მხარზე მასწავლებლის ხელი იგრძნო და მისი დინჯი, ძალზე დინჯი და ჩუმი ხმაც გაიგონა:

— დამშვიდდი... ჩვენ არსად გვეჩქარება...

მერე გაშორდა, კარისკენ გასწია, თითქოს დერეფანში უნდა გავიდესო. კაკომ თვალი მიადევნა, ეგონა მართლა გავიდოდა იგი, რომ მოწაფე დაფასთან ცოტა ხნით მარტო დაეტოვებინა. ნიკოს სწორედ ამიტომაც დასჭირდა იმ რამდენიმე ნაბიჯის გავლა, რომ იგი დაწყნარებულიყო. როცა კართან მასწავლებელი შემობრუნდა და შემოხედა, მან უკვე სრულიად მშვიდად დაიწყო თხრობა. ხან დაფაზე დაკიდებულ რუკას შეხედავდა, ხან მასწავლებლისაკენ გააპარებდა მზერას. მასწავლებელმა კი კარიდან რამდენიმე ნაბიჯი ისე ჩუმად, ისე ფრთხილად გადმოდგა, თითქოს მძინარე ბავშვს უახლოვდებაო. მერე შეჩერდა და აღარ განძრეულა.

კლასში მხოლოდ კაკოს ხმა ისმოდა, ოდნავ მღელვარე, მაგრამ დახვეწილი.

როცა კი ამხანაგს სათანადოდ არა აქეს მომზადებული გაკვეთილი და თხრობისას ისე ტორტმანებს, როგორც აქაფებულ ტალღებზე ნავი, მაშინ მღელვარება ყველას ედება, ისმის ჩურჩული, ღრმა და შფოთიანი სუნთქვა, ვიღაც წრიალებს, თითქოს ჰაერიც

არ ჰყოფნის... და ეს ყველაფერი გრძელდება მანამდე, სანამ მასწავლებელი არ იტყვის: „კმარა!“ მაგრამ როცა ამხანაგი ნებიერად მიცურავს ცოდნის ოკეანეში, როცა თავისუფლად, ლაღად დანავარდობს უკიდეგანო სივრცეში, როცა შვებით გაისმის მისი ხმა, კლასში სამარისებური სიჩუმე ისადგურებს, ისევე, როგორც საკონცერტო დარბაზში, სადაც ტკბილხმოვანი მომღერალი გალობს.

კლასში იყვნენ ასეთნი, რჩეულნი, რომელთა მოსმენა გიმნაზიელებს ყოველთვის სიამოვნებას ანიჭებდა.

ნემსაძეს სწორედ ასეთი გრძნობით უსმენდნენ.

ნიკო დროდადრო თვალს ავლებდა ყმაწვილებს. სწორედ ასე უსმენდნენ ისინი მასწავლებელსაც წინა გაკვეთილზე.

კაკომ თხრობა მოათავა და მასწავლებელს შეხედა.

— გვარი? — ჰკითხა მასწავლებელმა.

კაკოს რატომღაც ეგონა, რომ სიის ამოკითხვისა და მოწაფეთა შეთვალიერების შემდეგ ნუცუბიძეს ორმოცივე გიმნაზიელის სახელი და გვარი ეცოდინებოდა, ამიტომ, ცოტა არ იყოს, ამ მოულოდნელი შეკითხვის გამო, შეცბუნდა.

— ნემსაძე გახლავართ, პატივცემულო მასწავლებელო, - მიუგო კაკომ.

— დაბრძანდით!

მასწავლებელი კათედრისაკენ გაეშურა, კაკომ თავის მერხისაკენ გასწია. ამ დროს შეიხმაურა ჯგუფმა, შეწრიალდნენ ბიჭები, კაკოს თვალი გააყოლეს, ჩურჩული მიადევნეს:

— ყოჩაღ, კაკო!

მხოლოდ ახლა იგრძნო ლოყების სიმხურვალე. თავის ადგილზე რომ ჯდებოდა, შენიშნა, წინა მერხზე მსხდომ ორავრებს უკვე მოესწროთ ეურნალში თვალის ჩაცეცება და ხუთ გაპარჭყულ თითს მასწავლებლის უჩუმრად უჩვენებდნენ კაკოს.

ნიკოს თვალს არაფერი გამოჰპარვია. ესიამოვნა. ამხანაგებს კარგი ნიშნის მიხარებას რომ ცდილობდნენ, გაიღიმა და მთელ კლასის გასაგონად თქვა:

— სასიამოვნოა, როცა ამაწვილი საფუძვლიანად ... ბადებული. დასამალი არაფერი გვაქვს, ნემსაძეს დაჭსახურებული

ხუთიანს ვუწერ და იმედია, მომავალშიც ასე განაგრძობს. აბა, ახლა შემდეგი ვნახოთ!

ნიკო ნუცუბიძე მოხიბლული იყო იოსებ ოცხელის ძლიერი პიროვნებით. იგი მართლაც ძლიერი იყო, როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივადაც. ის დიდი ადამიანი იყო. მის ფართო და დიდრონ თვალებში გამოსჭვიოდა ცეცხლი და ტემპერამენტი მგზნებარე კაცისა, რომელიც მთელი არსებით საზოგადოებას ეკუთვნოდა. იგი ხალხის კუთვნილება გამხდარიყო. მას ბევრი თაყვანისმცემელი და საქმის თავდადებული მოზიარე ჰყავდა.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორი ნაცადი კაცი იყო, მოამაგე და აღმზრდელი მამა — მასწავლებელთა და მოწაფეთა. შავ-ბნელი დროის მოძულე, ნათელი მომავლის იმედიანი თვალით შემყურე, ნათელი მომავლისა, რომელიც თანდათან გაღვივებულ რეალობას უნდა დაემკვიდრებინა.

ეს ღვივილი, ამ ცეცხლის გაჩაღება იგრძნობოდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაშიც. სხვანაირად შეუძლებელი იყო განათლების ამ ტაძრის ცხოვრება ისეთი ცეცხლოვანი ადამიანის ხელში, როგორიც ოცხელი გახლდათ. ამ კაცს პედაგოგებად შერჩეული ჰყავდა იმ დროისათვის საკმაოდ სახელმოხვეჭილი საზოგადო მოღვაწეები, მრავალმხრივ განვითარებული ადამიანები, ეს. მართლაც, პედაგოგთა ოქროს პლეადა იყო.

ქუთაისის ქართული გიმნაზია ამ ადამიანთა. მეცადინეობით კულტურის ერთ-ერთ თვალსაჩინო კერად გადაიქცა დასავლეთ საქართველოში. მომრავლდნენ განათლებული ადამიანები. წამოვიდნენ გონებაგახსნილი ახალგაზრდები, მომძლავრდა ქართული ინტელიგენცია.

როცა ნიკო ქუთაისის რეალურ გიმნაზიაში სწავლობდა, ქართული კეოძო გიმხაზიის ამბები სულ დაწვრილებით იცოდა. შემდეგ სასწავლებლად ოდესაში გაემგზავრა. იქაც მოსდიოდა თავისი მშობლიური ქალაქისა და მისი სასწავლებლების ამბები. ოდესიდან ბაქოში მოხვდა. ამ ქალაქის მესამე სასწავლებელში მოღვაწეობდა. და იქაც, ამ შორეულ მხარეში, მას კარგად სწვდებოდა ქუთაისელი მოწინავე ადამიანების გულის ძგერა. ერთი სული ჰქონდა. მშობლიურ ქალაქს დაბრუნებოდა.

პრაპორშჩიკ დიმიტრი ნუცუბიძის ეაი ნიკო ყველაზე უფროსი იყო თავის უამრავ და-ძმებს შორის. ის უკვე მოსამსახურე კაცი იყო და შეეძლო ორიოდე კაპიკით შეშველებოდა თავის მრავალრიცხოვან ოჯახს.

ოცდაათი წლის პრაპორშჩიკმა ნუცუბიძემ თავისი თანაპოლკელის, იაკობ კულაკოვის ქალიშვილი, თოთხმეტი წლის იულია მოიყვანა ცოლად და სულ რაღაც ათიოდე წელიწადში ცხრა შვილი ეყოლა: ნიკო, მარო, ვალოდია, ილია, ოლია, შალვა, მიხეილი, თამარი და ნინო. ქუთაისის „ზასტავაში" ვიწროდ ცხოვრობდნენ, მაგრამ დიმიტრი და იულია ბედს არ ემდუროდნენ. ბედმა მათ ერთად ყოფნა არგუნა და ცხრა შვილი უბოძა. ეს კი სიმდიდრე იყო. თუმცა მათი ჩაცმა-დახურვა და გამოკვება უჭირდათ. და აი, ამ გაჭირვებისა და შიშშილის ჯურღმულიდან სინათლის გზაზე გავიდა პირველი შვილი ნიკო.

მალე ოცხელის ყურამდე მიაღწია ნიკოს მაღალზნეობის ამბავმა და ბაქოდან გამოიწვია ახალგაზრდა მასწავლებელი.

ნიკო ღამით ჩამოვიდა ქუთაისში, სადგურიდან თითქმის სირბილით გაიარა მანძილი თეთრ ხიდამდე. ბნელოდა. რიონი ხიდთან გაშმაგებული ღმუოდა და ღამის მყუდროებას არღვევდა. თეთრი ხიდიდან „ზასტავამდე" არც ისე შორი მანძილი იყო.

თეთრ ხიდს რომ მიუახლოვდა, ცხენების ფლოქვების თქარათქური მოესმა. სანამ მოიხედავდა, ჟანდარმთა რაზმმა გრიგალივით ჩაუქროლა. მხედრები ხიდზე გაცვივდნენ და გეზი „ზასტავისკენ" აიღეს. ნიკოს გულმა უგრძნო, რომ ჟანდარმები სასიკეთო საქმეზე არ მიდიოდნენ ასეთ დროს და ასე გამალებით.

ნიკომ ხიდი გადაიარა და როგორც კი თავის სახლს მიუახლოვდა, მოავიწყდა კიდეც ჟანდარმები.

პრაპორშჩიკი დიმიტრი ნუცუბიძე „ზასტავის" მახლობლად საკუთარ სახლში ცხოვრობდა. სახლს დიდი ხილიანი ბაღი ჰქონდა.

სამხედრო ქალაქში, „ზასტავას" რომ ეძახდნენ, სამხედროებს არ ეძინათ. ყაზარმის ფანჯრებში ნავთის ლამპების სინათლე ბჟუტავდა. ასეთივე სინათლე კრთოდა „ზასტავის" შემოგარენში მიმოფანტულ დაბალ სახლებიდან, სადაც სამხედრო მოსამსახურეები, უმეტესად უმცროსი ჩინის ოფიცრები, ცხოვრობდნენ.

აი ნაცნობი სახლი, მშობლიური კარ-მიდამო. სინათლე ანთია. შინაურთაგან ალბათ პატარებს თუ სძინავთ.

მართალია, არც ისე დიდი ხანი იყო, რაც თავისიანები არ ენახა ნიკოს, მაგრამ მაინც ისე ღელავდა, თითქოს მას აქეთ ათეული წელი გავიდა. ოდესაში რომ სწავლობდა, არდადეგებზე ჩამოდიოდა. ბაქოში გადაიყვანეს და იქიდანაც, დროს იხელთებდა თუ არა, ქუთაისს მოაშურებდა. თავისი კერა და ქუთაისი სიცოცხლის ტოლფასად მიაჩნდა. კიდეე ერთი გარემოება, ერთი დიდი და სწორუპოვარი ძალა ეწეოდა ყოველთვის აქეთ, რასაც ჯერჯერობით გულში საიდუმლოდ ინახავდა. ისევე, როგორც მის ასაკში ბევრ ჰაბუკს, მასაც აღელვებდა სიყვარული.

ერთხელ, დღესასწაულზე, გელათში უცაბედად შეხვდა წმინდა ნინოს სასწავლებლის მოწაფეს, ნინო გვარამაძეს. იმ დაუვიწყარმა დღემ მოსვენება დაუკარგა. თუკი ქუთაისში ძვირფასი რამ ეგულებოდა, ამ ძვირფასეულში ყველაზე მეტად ნინო გამოირჩეოდა. რამდენჯერმე შეხვდა, სიყვარულში კი არ გამოტყდომია.

ნინომ სასწავლებელი დაამთავრა და იქვე დატოვეს რუსული ენის მასწავლებლად. ბაქოში გადახვეწილი ნიკო კი თავს დაჩაგრულად გრძნობდა და მადლობა ოცხელს. მადლობა ამ დიდებულ კაცს, ოომ ნიკო შორეულ კუთხიდან გამოიწვია.

აი, რატომ მოუხაროდა ნიკოს, რატომ ასე ხალისიანად შეირბინა ბაღში და კარის სახელურს მისწვდა გასაღებად. ნუცუბიძეები ღამით კარს კეტავდნენ — ათასი ოხერი და ურჯულო დაეხეტება ქვეყანაზე.

სახელურის გახმაურებისთანავე გაისმა დედის ნაცნობი წმინდა რუსული ხმა:

— ვინ არის?

— მე ვარ, ნიკო.

— ჩემი ძვირფასი ნიკოლაი! შვილს იქვე, კარებშივე მოეხვია ახალგაზრდა რუსი ქალი. მოეხვია, მაგრამ გული არ ასჩუყებია. ამ შემთხვევაში მაგარი, უტეხი ქალი იყო იგი შვილებს ყოველთვის სიმამაცისაკენ მოუწოდებდა, ვერ იტანდა გულჩვილთა ზედმეტი ტკბილლას ღვრაცა და წუწუნს.

შვილს მოეფერა, შეხვდა როგორც საჭირო იყო და შინაურებსაც გასძახა:

— დაბრუნდა ჩვენი ნიკოლაი!

მამა პერანგის ამარა გამოვიდა. ის იულიაზე თექვსმეტი წლით უფროსი იყო, მაგრამ ორმოცდათექვსმეტი წლის კაცი მაინც ჭარმაგად გამოიყურებოდა. თითქმის მთელი სიცოცხლე სამხედრო სამსახურში გაატარა და პრაპორშჩიკობას ვერ გასცდა, არც უცდია, მსახურობდა ერთგულად და ასევე ერთგულად ეალერსებოდა თავის ოჯახს.

შვილი გულში ჩაიკრა და გადაკოცნა.

მერე ნიკოს ერთბაშად, როგორც ბელურების გუნდი, შემოეხვივნენ მარო, ვალოდია, ილია, ოლია, შალვა, მიშა, თამარი და სულ პატარა ნინოც კი, ბაჯბაჯით რომ მიუახლოვდა თავის ძმას.

მამამ შვილის დაბრუნების აღსანიშნავად საპარადო ჭუნდირი ჩაიცვა, რომელზედაც გიორგის ორი ჯვარი ეკეთა. დედამ საშოვარი გააჩაღა. ხოლო და-ძმები ნიკოს არ შორდებოდნენ, ისეთი ხმაური ატეხეს, ქვეყანა რომ დანგრეულიყო, ვერაფერს გაიგებდნენ

ქვეყანა არ ინგრეოდა, მაგრამ ნუცუბიძეების მეზობლებს კი დაერივნენ ჟანდარმები. მალე ისინი ნუცუბიძეებთანაც მივიდნენ. რამდენიმე ჟანდარმმა ცხენები ჭიშკართან დატოვა და სახლის კარს მიადგა. დაუპატიჟებელ და გვიან სტუმრებს კარი დიმიტრი ნუცუბიძემ გაუღო.

უფროსი ჟანდარმი პრაპორშჩიკს გამოეჭიმა. ხელი მხედრულად აუღო. შეიძლება მისი ჩინისთვის იმდენი პატივი არ ეცა, რამდენიც გიორგის ჯვრებისათვის. ეს ჯილდოები ყველას მოკრძალებას იწვევდა, მით უმეტეს ჟანდარმი მოვალე იყო მხედრული პატივი დაედო მეფისა და სამშობლოს ჯილდოებისათვის.

— აქ ჩვენ ერთ რევოლუციონერს ვეძებთ... თქვენს მეზობელს. ოკუჯავას. — ხმის თრთოლით მოახსენა უფროსმა ჟანდარმმა, რადგან აუცილებელი იყო მოსელის შიზეზი ეცნობებინა პრაპორშჩიკისათვის.

დიმიტრი ნუცუბიძეს ჯარში ხანგრძლივმა სამსახურმა საკმაო სიფიცხე შემატა. ხმაც რიხიანი ჰქონდა. არც აკივა, არც აცხელა, ჟანდარმს ისე შეუტია:

— ჰოდა, ეძებეთ! როგორ ბედავთ ამ საკითხზე მიხვიდეთ ნეფისა და სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცთან?! და ისიც ასეთ დროს!..

როცა ქანდარმები გაისტუმრა, ცოტა არ იყოს, გაბრაზებით მიაჯახუნა კარი, ულვაშზე ხელი გადაისვა და ჩაიბურტყუნა:

— არამზადები!.. მაგათ ჰგონიათ... ჰო, რაც ჰგონიათ, ჰგონიათ!.. ჩვენ ახლა ნიკოს მოსვლა აღვნიშნოთ... ჩაი დავლიოთ... ნამგზავრ კაცს მოსვენება უნდა.

იულია შემკრთალი მიაჩერდა ქმარს. კაცმა ხელით რაღაც ანიშნა. ნიკო მიხვდა რომ მათ რაღაც საიდუმლო უსიტყვოდ გაანდეს ერთმანეთს. წელან კარგად გაიგონა ქანდარმის სიტყვები, რევოლუციონერ ოკუჯავას ვეძებთო, თქვენს მეზობელსო. ნიკო კარგად იცნობდა ოკუჯავებს. მეზობლებს ერთმანეთში კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. მიშა ოკუჯავა მეფის რეჟიმის დაუძინებელი მტერი იყო და არაერთხელ დაურაზმავს ხალხი. ეძებენ. მამა კი ქანდარმებზეა გულმოსული, როგორ მომადგნენ ასე უდროოდ, როგორ მკადრეს ის ამბავი, თითქოს მე ვიცოდე. სად იმალება რევოლუციონერი ოკუჯავაო. ჩაიზე დასხდნენ. დიმიტრი საკმაოდ მშვიდად ხვრეპდა ცხელ ჩაის.

ბავშვები მალე დაძინეს. იულია და დიმიტრი უფროს შვილს კარგა ხანს კიდევ ელაპარაკებოდნენ. ნიკომ მამას გაახსენა ქანდარმები. მიშა ოკუჯავა... ნუთუ იპოვნიან და დაიჭერენ?

დიმიტრი ნუცუბიძემ შვილს შეხედა, ტუჩზე თითი მიიდო და მერე იგივე თითი ჭერისკენ აიშვირა.

— იქ არის, მას ვერავინ დაიჭერს. — უთხრა ხმადაბლა.

— საში დღეა ასე ვიხახავთ... ალბათ, კიდევ დიდხანს დავმალავთ. — ასევე ჩურჩულით გაანდო საიდუმლო დედამაც. ბავშვებმა არაფერი იციან.

ნიკომ ალერსიანი თვალები მიაპყრო მშობლებს. შვილებითა და სულით მდიდარ ადამიანებს. მათი გულკეთილობა ყოველთვის ეამაყებოდა, მაგრამ ეს საღამო განსაკუთრებით ძვირფასი იყო მისთვის.

მეორე დღეს იოსებ ოცხელს ეახლა გიმნაზიაში. კარგა ხანს ისაუბრეს. საუბარი მრავალმხრივი იყო. იგი ვხებოდა სწავლა-

განათლებას, ბავშვებთან დამოკიდებულებას, აღზრდის მეთოდებს, ქვეყნის მდგომარეობას, შინაურ ამბებსაც კი. ოცხელი კმაყოფილი იყო თავისი პედაგოგების არჩევანით, რომელთაც ბაქოდან ნიკოს გადმოყვანა შესთავაზეს გიმნაზიის დირექტორს.

— დიდი ბრძოლა გვიწევს, ჩემო კარგო, — უთხრა ბოლოს იოსებ ოცხელმა ნიკოს, — ეს სასწავლებელი თითქმის ძალით შეექმენით, ვაკოწიწეთ, ვაკოწიწეთ და აი, როგორც ხედავ, ბოლოს და ბოლოს დიდსა და ნათელ შენობაში მოვთავსდით კეთილი ხალხის შემწეობით. აბა, თქვენ იცით, ამოგვიდექით მხარში ისე, როგორც ეს შეშვენის ნამდვილ საზოგადო მოღვაწეს... მე ამას დიდ ყურადღებას ვაქცევ, რადგან ჩვენი საქმიანობა მარტო საგნების სწავლებით არ განისაზღვრება. ჩვენ, ადამიანები, ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით გულგამთბარი პიროვნებები უნდა აღვზარდოთ...

— მესმის ჩემი დანიშნულება, ბატონო იოსებ... თქვენი რჩევა ჩემთვის კიდევ ერთი კეთილი გაკვეთილი იქნება.

შემდეგ ნიკომ არა ოცხელისაგან, სხვათაგან სულ დაწვრილებით გაიგო ამ ორიოდე თვის წინ გიმნაზიაში მომხდარი ისეთი ამბავი, რამაც ახალგაზრდა კაცს გულში ცეცხლი დაუნთო და ინანა, რომ ოცხელთან საუბრისას მან ეს ამბავი არ იცოდა, თორემ უფრო მტკიცე ფიცს მისცემდა ქართული გიმნაზიის სასიკეთოდ.

გიმნაზიაში კი აი რა მოხდა:

1914 წლის სწავლების ბოლო დღეები იწურებოდა.

სასწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი საგონებელში იყო ჩავარდნილი, დეპუტატად გამოცდაზე რომელი ინსპექტორი გაეგზავნა ქუთაისის კერძო გიმნაზიაში. რომელიც ზემდგომი ორგანოების საიდუმლო დირექტივების საფუძველზე ჩაატარებდა გამოცდებს და შარშანდელივით საყვედურს აღარ მიიღებდა ოლქის მზრუნველი.

წინა წელს კი ქართულ გიმნაზიაში სამოცდათვრამეტი აბიტურიენტიდან საძოცდაათამდე ახალგაზრდამ მიიღო სიმწიფის მოწმობა. გახელდნენ ჩინოვნიკები ზემო-ზემო ინსტანციებსა და საფეხურებზე. ალბათ, იმპერიის განათლების მინისტრიც განრისხდა. რუდოლფს უსაყვედურეს, რა ამბავია ამდენი სტუდენტის გამოშვება, განა ეს ჩვენს ინტერესებს შეესაბამებაო?

წელს, სულ თუ არ ჩაშლიდნენ გამოცდებს, საგრძნობლად მაინც უნდა შეემცირებინათ განსწავლულთა გამოშვება სიმწიფის ატესტატით. აი, რა აწუხებდა რუდოლფს. ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, ბოლოს გაახსენდა თავისი ძველი მეგობარი, ახალციხის პროგიმნაზიის ინსპექტორი კორიცკი. სწრაფად დაიბარა. კორიცკი დანიშნულ დღეს ეახლა რუდოლფს. მეგობრებმა ერთმანეთი მოიკითხეს, თითო ფინჯანი თურქული ყავაც მიირთვეს და რუდოლფმა პირდაპირ უთხრა:

— მაქვს პატივი მოგახსენოთ, რისთვის გაგსარჯეთ, ჩემო კეთილო მეგობარო.

სახეჩამომხმარ კორიცკის თრითინას პაწია თვალები ეშმაკურად უციმციმებდა, მეგობარს მისჩერებოდა და ფინჯანს პირიდან არ იშორებდა, გაცივებულ ყავას წრუპავდა.

— ადგილობრივ მცხოვრებთ ხომ არ მოსჭარბდათ განათლებული ხალხი? — განაგრძობდა რუდოლფი, — მეტისმეტად ხომ არა ვცდილობთ განვანათლოთ ისინი?

— მეტისმეტად! — სწრაფად დაუდასტურა კორიცკიმ და ფინჯანი მაგიდაზე დადო.

— ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში გამოცდებს თქვენ ჩაატარებთ, — თვალი თვალში გაუსწორა რუდოლფმა, — ასეთია სასწავლო ოლქის თხოვნა თქვენდამი. იმედი მაქვს თქვენი პრინციპული დამოკიდებულებისა საკითხისადმი, რომელიც ეს-ეს არის მოგახსენეთ და თქვენს ხელში დადებითად გადაიკრება.

კორიცკიმ მორჩილად დახარა თავი.

მეორე დღეს კორიცკი ეტლით მიადგა გიმნაზიის ახალ შენობას.

ეს იყო ერთ-ერთი დიდი ნაგებობა რიონის მარჯვენა ნაპირზე, „ზასტავის“ ყაზარმებისა და ციხის შენობის შემდეგ. ქალაქის ყველა დიდრონი შენობა უმეტესად რიონის მარცხენა ნაპირზე იყო, დაწესებულებებისა და უწყებებისთვის გათვალისწინებული.

ეკლარის ქვით მოპირკეთებული სასწავლებლის ახალი ორსართულიანი შენობა ფართო და შესახედავადაც მეტად მძიმე იყო. იდგა ქუჩიდან ძოწორებით, ეზოში. ქუჩის მხარეს კი ერთსართულიანი აგურის შენობა ეფარებოდა. გიმნაზიას ჰქონდა ნათელი,

დიდრონი საკლასო ოთახები, მაღალი ფანჯრებით, ფართო და ასევე ნათელი დერეფნები. მაგრამ შენობა იმ დროისათვის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყო. მშენებლებს თითქმის მიეტოვებინათ ცალი ფლიგელი, სადაც სააქტო დარბაზის მოწყობაც იყო გათვალისწინებული.

ეს შენობა ქუთაისის მშვენება გახლდათ თავისი მონუმენტურობით, არქიტექტურით, სიგრძე-სიგანითა და სიმაღლით. ქართულმა გიმნაზიამ მშვენიერი ბინა დაიდო, მაგრამ, ვინ იცის, რამდენი წლის ტანჯვის, რამდენი მოამაგე ადამიანის ოფლის, სისხლისა და ნერვების ფასად.

ახალციხის პროგიმნაზიის შენობა ამასთან რა მოსატანი იყო!

კორიცკის შურმა გაუღრღნა გული. ეტლიდან გადმოვიდა, ეზო გაიარა და შენობა გარედან დაკვირვებით შეათვალიერა. ადრეც ენახა, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი, როცა მშენებლები ურმებით ეზიდებოდნენ ქვასა და ღორღს, კირსა და ხე-ტყეს. მაგრამ თუ ასეთ გრანდიოზულ შენობას წამომართავდნენ ქუთაისელები, ამას ვერ წარმოიდგენდა.

ეს შენობა ხალხის ნაღვაწი, ხალხის ნაოფლარი იყო. ამ ხალხის ნიჭი და უნარი კი ყოველთვის ახელებდა კორიცკის.

სასწავლო ოლქის დეპუტატი ახალმა დავალებამ ზამბარასავით დაჭიმა და უკვე გარკვეული და ჩამოყალიბებული მიზნით ეახლა იოსებ ოცხელს.

გიმნაზიის დირექტორმა რა იცოდა, გულში რა ავი ზრახვები უტრიალებდა ოლქის დეპუტატს. პატივით მიიღო. მათ შეხვედრას გიმნაზიის ინსპექტორი, მასწავლებელი და პოეტი სილოვან ხუნდაძე ესწრებოდა.

კორიცკი გაეცნო გამოცდების ცხრილს, რის შემდეგ იგი სასტუმროში დაბინავდა. საღამოს კვლავ შეხვდა ოცხელსა და ხუნდაძეს.

— ბატონებო, მე დავალებული მაქვს გამოცდებზე ასისტენტებად მოვიწვიო სპეციალისტი მასწავლებლები მთავრობის სასწავლებლიდან, — განუცხადა კორიცკიმ, რომელიც სასტუმროში მოსვენებისა და დანაყრების შემდეგ ცოტა უფრო უხვში ჩანდა.

იოსებ ოცხელი შეიშმუშნა და სილოვან ხუნდაძეს გადახედა.

— ჩვენ საკმაოდ გვყავს ღირსეული სპეციალისტი მასწავლებლები, რომლებიც მაღალ დონეზე ჩაატარებენ გამოცდებს, — მკვახედ შენიშნა ოცხელმა, — შარშან, მაგალითად...

— ძალიან გთხოვთ, ნუ შემეკამათებით, — უფრო მკვახედ მოუჭრა კორიცკიმ, — და საერთოდ, ნურაფერს ნუ გავხდით საკამათოდ.

კორიცკის ისე მოეღრიცა სახე, თითქოს მკვახე ტყემალი შეჭამაო.

დეპუტატის უფლება-მოსილება განუსაზღვრელი იყო.

მთავრობის სასწავლებლებიდან მოიწვიეს ასისტენტები.

დაიწყო გამოცდები.

იოსებ ოცხელი და სილოვან ხუნდაძე ღელავდნენ, რადგან პირველსავე დღეს კორიცკიმ ისეთი უმსგავსოება ჩაიდინა, სულ თავდაყირა დააყენა გიმნაზიაში მთელი წლის განმავლობაში რუდუნებითა და გულმოდგინებით ნაკეთები საქმე.

კორიცკი საგამოცდო ოთახიდან ოთახში დარბოდა და პირადად ამოწმებდა ნიშნებს. გადაირია კაცი, როცა მთავრობის გიმნაზიიდან მოწვეულმა ქალმა ხრჟანოვსკაიამ გერმანულ ენაში მოსწავლე ფანცხავას წიგნაკში სამიანი ჩაუწერა.

გაფითრებულმა კორიცკიმ მასწავლებელი ცალკე გაიხმო და კბილებში გამოსცრა:

— თქვენ იცით, რას ჩადიხართ?!

და ამ წასისინებას ის მოჰყვა, რომ ფანცხავას „სამიანის“ ნაცვლად „ორიანი“ გამოუცხადეს.

სახეალეწილი ოცხელი, რომელიც ამ ამბავს ესწრებოდა, მიუბრუნდა კომისიის წევრებს:

— ბატონებო!.. ბატონებო! — უზომოდ აღელდა დირექტორი, — გთხოვთ, პირუთვნელად დაადასტუროთ ნამდვილი ნიშანი, რომელიც ქალბატონმა ხრჟანოვსკაიამ დაუწერა აბიტურიენტს.

ეს ნიშანი ფანცხავასათვის არც კი უჩვენებიათ, ნამდვილად კი „სამიანი“ ეწერა. კომისიის წევრებსაც გაუკვირდათ საქმის ასეთი შეტრიალება.

ქართული გიმნაზიის გერმანული ენის მასწავლებელი გიორგი სვანაძე, რომელიც შესანიშნავი პედაგოგი და მოქალაქე იყო, წამოვარდა და ისტერიულად იყვირა:

— ეს საძაგლობაა, უნამუსობა და არაადამიანურობა! რას ერჩით ყმაწვილს?! რას ერჩით მის მომავალს? რას ერჩით-მეთქი, ბატონო კორიაკი? თქვენ გეკითხებით!

ძასწავლებელს სკამის საზურგალისთვის ისე ჩაეჭიდა ხელი, წუთიც, ერთი მკირედი ბიძგი და ეს სკამი უთუოდ კორიაკის მელოტ თავზე დაიმსხვრეოდა.

ოცხელმა სვანაძეს ხელი წაავლო:

— გონს მოდით, გიორგი!

სვანაძემ სკამს ხელი უშვა და ათრთოლებულმა შეხედა ოცხელს, გააკვირვა მისმა თავშეკავებულობამ. გონს კი მოეგო, მაგრამ სიტყვის თქმა ველარ მოახერხა.

კორიაკი გაუნძრეველად იჯდა, შემაღთული თავი სკამის მაღალ საზურგალისთვის მიეყრდნო და საგამოცდო ოთახში დატრიალებულ ამბავს ისე უყურებდა, თითქოს მას არაფერი ეხებოდა და აქ მხოლოდ შემთხვევით მოხვდა.

გიორგი სვანაძეს სილოვანმა მოჰკიდა ხელი და დერეფანში გაიყვანა.

თითქოს მათ გასვლას ელოდაო, კორიაკიმ ყრუდ ჩაახველა და ხმადაბლა თქვა:

— ბატონებო, მე მგონი გასაგებად გაგაფრთხილეთ, საკამათოდ ნურაფერს გავხდით-მეთქი, თორემ ქუთაისის კერძო გიმნაზიის საკითხი ძაფზე დაეკიდება და მოგეხსენებათ, რომ ძაფი ასეთ სიმძიმეს ვერ გაუძლებს...

რაღაც, იმდაგვარად ჩაეღიმა, თვითონვე კმაყოფილი იყო ასეთი ხატოვანი გამოთქმისა.

ოცხელმა არ დააყოვნა:

— შეტისმეტს იღებთ თქვენს თავზე, ბატონო კორიაკი!

იოსებ ოცხელს უკიდურესობამდე შეეძლო მოთმენა. იგი ასეთ ბრძოლაში გამოცდილი კაცი იყო და ხშირად გამარჯვებულიც გამოსულა. მაგრამ არც დამარცხებას გაუტეხია მისთვის გული. მოთმინებითა და თავდაჭერილობით კი რამდენჯერმე გადაურჩენია გიმნაზიის სიცოცხლე. ამ სასწავლებელს კი ბევრჯერ უპირებდნენ დახურვას. მხოლოდ ოცხელისა და მისი თანამოაზრეების ნერვების ფასად სუნთქავდა ქუთათურთა ეს მანათობელი კერა. და ახლაც, ამ მძიმე წუთებში, როცა კორიაკი უკვე აღარც თავის

მოწვეულ ასისტენტ მასწავლებლებს ენდობოდა, როცა სვანაძის აღშფოთების შემდეგ არამცთუ უკან დაიხია, არამედ მოწაფეთა დაბნევის ახალი ფანდიც კი მოიგონა. ერთ საგანში დანიშნულ გამოცდას უცებ მეორე საგნით ცვლიდა ზედ გამოცდის დაწყების წინ, ან ერთი დღით ადრე.

მოთმინებიდან გამოსულმა იოსებ ოცხელმა ქუთაისის გუბერნიის მარშალ დავით ნიკარაძეს, რომელიც იმჟამად თბილისში იმყოფებოდა, დეპეშით აცნობა კორიცკის თავაშვებულობა, არავის ეპუება, არავის არაფრად აგდებს, არავის ენდობა, ყოველ შენიშვნაზე გვემუქრება, ახლავე შევწყვეტ გამოცდებსო. მოწაფეები ღელავენ, მშობლების აღშფოთებას საზღვარი არა აქვს, როგორმე გვიშველეთ და ეს კაცი თავიდან მოგვაშორეთ, ეგებ გამოცდებზე ოლქიდან სხვა დეპუტატი გამოგვიგზავნოთო.

მაგრამ რა გამოვიდა. ახალი დეპუტატი ოლქმა არ გამოგზავნა. კორიცკი კი უფრო გათამამდა.

"შეშუშაებული განრიგით ოცდაექვს აპრილს გამოცდა რუსულ ენაში უნდა ჩატარებულიყო. გიმნაზიელებმა ეს კარგად იცოდნენ. მაგრამ თითქოს ყველას გულის გასახეთქად, კორიცკი თავს უყრის საძასწავლებლოში ქართული გიმნაზიისა და მოწვეულ პედაგოგებს და უცხადებს:

— ოცდაექვს აპრილს გამოცდა არ ჩატარდება რუსულ ენაში, მოემზადებიან ალგებრის გამომცდელები.

ოცხელმა იგრძნო როგორ აუთრთოლდა ორივე ხელი.

— თქვენ ძალიან გადახვედით საზღვრებს! — კვლავ თავშეკავებით, მაგრამ მკაცრად განუცხადა კორიცკის.

გამოსავალი ისევ საჩივარში ჰპოვა, რომელიც ამჯერად სასწავლო ოლქის მზრუნველ რუდოლფს გაუგზავნა.

რუდოლფმა ძოსწერა: „წიხადადებას გაძლევ, დეპუტატის მოთხოვნას დაემორჩილო!"

საქმე იქამდე მივიდა, რომ გამოცდები შეწყდა.

კამათი დიდხანს გრძელდებოდა პედაგოგიურ საბჭოზე.

გიმნაზიის დერეფანში სინათლე არავის აუნთია, მაგრამ მაღალ და განიერ ფანჯრებიდან ჯერ კიდევ შემოდიოდა მილეული დღის მკრთალი ნათელი. უთავბოლოდ მოღლილი იოსები ოთახიდან გამოვიდა. ამ ენერგიით სავსე კაცმაც კი, რომელსაც ჯერ ორმოცი-

დაათი წელი არ შესრულებოდა, ვერ გაუძლო კორიაკის უსაგნო, გაუთავებელ კამათს, მის მუქარას, ავსიტყვაობას და ცოტა ხანს თავის კაბინეტში გავიდა დაღლილობის განსაქარვებლად, ახალი იერიშისათვის ძალების მოსაკრებად. დილიდან მშიერი იყო. ამის გამოც ეხვეოდა თავბრუ. ეს რა ჭირს გადავეკიდეო, გულზე ცეცხლი მოსდებოდა.

თავის ოთახში შევიდა და რაღაც ისეთი უპაერობა იგრძნო, უმალ ფანჯრისკენ გასწია და გამოაღო. ეამა აპრილის საღამოს საამო სიგრილე და უცებ ისეთი შვება იგრძნო, უკეთეს წამალს ვერც ინატრებდა. ფანჯარას არ მოშორებია.

უცებ თვალი მოჰკრა ორ გიმნაზიელს, საეჭვოდ რომ დაუხეტებოდნენ სასწავლებლის ეზოში. გულმა რაღაც უგრძნო, ავად ენიშნა ახალგაზრდების საქციელი.. ფანჯარას სწრაფად მოშორდა, დერეფანი გაიარა, ქვემო ვესტიბიულში ფრთხილად ჩავიდა, რომ გიმნაზიელების ყურადღება უცებ არ მიეპყრო.

სასწავლებლის კარი ღია იყო და ოცხელი ჭაბუკთათვის სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა ეზოში. იმ დროს ისინი მახლობლად ატუზულიყვნენ. დირექტორის დანახვაზე უცებ შეცბნენ და ხელები უკან დამალეს.

— აქ რას აკეთებთ, ყმაწვილებო? რატომ შინ არა ხართ?

ორივე ჭაბუკი დუმდა. გაფითრებულებს ეტყობოდათ რაღაც გადაწყვეტილებას მათთვის შიშით აემღვრიათ თვალები.

ცხადი იყო, ისინი სასიკეთოდ არ წრიალებდნენ გიმნაზიის კართან.

— მაჩვენეთ, ხელში რა გიჭირავთ, — ხელი გაიწვდინა ოცხელმა.

ახალგაზრდებმა უკან დაიხიეს, მაგრამ მალე თავი დახარეს და იოსებს დაემორჩილნენ. ორივეს დაჟანგული რკინის ნაჭერი ეჭირათ. ოცხელმა გამოართვა და ისე შეათვალიერა, როგორც უცხო რამ ნივთი.

— რად გინდათ ეს?.. რაში გჭირდებათ? — ხმა შეუთრთოლდა ოცხელს. უმალ თვალწინ დაუდგა კორიაკი.

„ეჭვი არ არის, მისი მოკვლა უნდოდათ!“ — გონებაში უცებ დაჰკრა ოცხელს და შიშის ერუანტელმა მუხლებში გაუარა, გულის ფეთქვა ყელში ამოუვიდა.

დაძაბული ყმაწვილები მონუსხული მისჩერებოდნენ დირექტორს, რომელმაც რკინის ნატეხები შორს მოისროლა და მოწაფეებს დაყვავებით მიმართა:

— გთხოვთ... მამაშვილურად გთხოვთ, წადით შინ!.. თავი არ დაიღუპოთ და ჩვენც არ გაგვამწაროთ.

ყმაწვილების თვალებში ახლა მრისხანების ცეცხლი გამოჩნდა. მათ უსიტყვოდ შეხედეს ოცხელს, შეტრიალდნენ და წავიდნენ. ოცხელს ცრემლი მოერია, სწრაფად შებრუნდა სასწავლებლის სადარბაზო კარისაკენ.

გამოცდები ჩაიშალა. მართალია, სასწავლო ოლქმა კორიცკი გაიწვია, მაგრამ იოსებ ოცხელსა და სილოვან ხუნდაძეს სიკეთე არ დაადგათ, ორივე დაითხოვეს გიმნაზიიდან.

დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს ხელმძღვანელის, დავით ნიჟარაძისა და ქუთაისის ქალაქის თავის, ილია ჩიქოვანის, თხოვნით მეფის ნაცვალმა იოსებ ოცხელი გიმნაზიის დირექტორად აღდგინა მას შემდეგ, რაც კორიცკისგან „გადარჩენილი" ორმოცდათხი აბიტურიენტი გამოსცადეს. აგვისტოში სასწავლო ოლქში გაგზავნეს კურსდამთავრებულთა ფოტოსურათები გიმნაზიის აღდგენილი დირექტორის ხელმოწერით.

სილოვან ხუნდაძეს კი ბედმა არ გაუღიმა. მხოლოდ იმიტომ, რომ კორიცკიზე საკმაოდ გულმოსულმა, ოლქის დეპუტატს ხელი არ ჩამოართვა, მისი სახელის გაგონება არ უნდოდათ სასწავლო ოლქში.

გიმნაზიის ინსპექტორად გერასიმე ცაგარეიშვილი დანიშნეს. მორიდებულსა და სილოვან ხუნდაძის დიდად პატივცემულ კაცს ეუხერხულებოდა კიდეც, რომ ამიერიდან გიმნაზიის დიდი მოამაგის ადგილი ეჭირა, რომ ღვაწლმოსილ კაცს იოსებ ოცხელის გვერდით ვეღარ ხედავდა.

აი, ასეთ ვითარებაში მოვიდა ნიკო ნუცუბიძე ქართულ გიმნაზიაში, ასეთი ამბები დახვდა. იგი მოხვდა ინტელიგენტთა ასეთ კოლექტივში, სადაც მისთვის გამოუცდელი და უნახავი ატმოსფერო სუფევდა. აქ, მართლაც, რჩეული ადამიანები იყვნენ. ნიკოს თავიდანვე ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ მათი მოღვაწეობა გიმნაზიის კედლებს სცილდებოდა და უფრო მეტ სივრცეს მოიცავდა. აქ არ ეგულებოდა უბრალო მასწავლებელი. აქ

იყვნენ მოღვაწენი, რომელთაც ჭაბუკების აღზრდის საქმე დიდ პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნდათ. ისინი სამშობლოს უზრდიდნენ ღირსეულ შვილებს. წლობით ნაბოლარა შვილივით მიგდებულ კერძო გიმნაზიას ღირსეული პატრიოტები გამოუჩნდნენ, გაზარდეს და დაავაქციეს . იგი.

როცა რიონის მარჯვენა ნაპირზე სასწავლებლის უზარმაზარი, მძიმე და მხრებგაშლილი შენობაც წამოიმართა, საუკუნოდ დაფუძნდა კერა ცოდნისა, კერა სიკეთისა, კერა განათლებისა, კერა კაცურ კაცთა სამჭედლოსი.

ასეთ სასწავლებელში მოღვაწეობა ნიკოს საამაყოდ მიაჩნდა. იოსებ ოცხელს ალღომ არ უღალატა და ნიკოს რამდენიმე საგნის მასწავლებლობა დააკისრა. რუსული ენის ცოდნაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო, ზედმიწევნით ღრმად ფლობდა; ახლა ისტორია, ლათინური... ქართულს არ ასწავლიდა, მაგრამ ამაშიც ღრმად იყო განსწავლული, მთელ ქართულ მწერლობას იცნობდა. ქართულს იმ დროს გიმნაზიაში ვუკოლ ბერიძე, იაკობ ნიკოლაიშვილი, სიმონ ყიფიანი, იასე ცინცაძე, დავით ლორთქიფანიძე, ია ეკალაძე ასწავლიდნენ. მათი სახელები კი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი გიმნაზიის და საერთოდ ქართველი ხალხის ისტორიაში.

რა ჯობია ქუთათურ საღამოებს! იმერელი კაცისთვის დროს ტარება, სტუმარ-მასპინძლობა და კარგი სიმღერა ისევე აუცილებელია და სისხლხორცეული, როგორც პატიოსან შრომაში ოფლის ღვრა.

უყვართ სტუმრიანობა. ხმელა მჭადზე და ჭყინტ ყველზე. ხელ იმერულ ღვინოს რომ დაგაყოლებინებს, ისეთ დროს გაგატარებინებს, სიცოცხლეში არ დაივიწყებ, რადგან იმერულ მასპინძლობას ისეთი ეშხი და ლაზათი აქვს, თითქოს საამისოდ ყველა ოჯახს რაღაც განსაკუთრებული სკოლა და რეპეტიცია გაეელოს.

განსაკუთრებით მოლხენისას, სიმღერა უყვართ გიტარაზე დაკვნესებული. არიან კენტ-კენტად მომღერლები, უბანში, ქალაქში, მთელ იმერეთში განთქმულნი... არიან პატარა, ოჯახური გუნდები, ასევე ამერ-იმერში ცნობილნი...

სუფრა არ გაიშლება — სიმღერა რომ არ მოკყვეს.
და ამიტომ იმერულ წვეულებას სულ.სხვა პეწი აქვს...

ერთ ასეთ წვეულებაზე დაპატიჟეს ბაქოდან ახლად დაბრუნებული ნიკო. სუფრა მისი გიმნაზიელი ამხანაგის, კირილე ლორთქიფანიძისას გაეშალათ. რის გამო, რა მიზნით, რის აღსანიშნავად, კაციშვილმა არ იცოდა.

შეიქნა ხმაური, მიწვევა და ურიამული.

— მობრძანდით, ბატონო!.. მობრძანდით!

— როგორ გიკითხოთ, როგორ ბრძანდებით?

— გმადლობთ... თქვენსკენ ხომ სიკეთეა?..

— გმადლობთ, ბატონო!

სამზადში გოგოები ტრიალებენ, აივანზე სუფრა იშლება. კაცები ეზოში ცალკე დგანან, მხიარულად მასლაათობენ, ქალები მასპინძლებს ეხმარებიან — გარჩევა არა აქვს, ვინ სტუმარია, ვინ მასპინძელი...

კაცები ქვეყნის ამბებზე ლაპარაკობენ. თუ გაჭირვებას გაიხსენებენ — ოხრავენ, თუ სახუმაროს იტყვიან — მათი სიცილი კარმიდამოს სცილდება...

კარგი პურ-მარილი ელოდათ. გოგოები მეზობლებისგან უკვე მოარბენინებდნენ ბაფთიან გიტარებს. აუ, რა სიმღერები დაგუგუნდება — ბგერ, სიკოია გობრონიძე, კოწო წერეთელი... რა ხმები აქვთ, რა ამოუწურავი რეპერტუარი. ქალებიც თუ აიყოლიეს, მაშინ ხომ მთელ საფიჩხიას გადარევენ და აქედან ქუთაისის დაბლა უბნებში ისე ჩარაკრაკდება სიმღერა, როგორც თავქვე დაშვებული ნაკადულები.

ნიკომ სტუმარ გოგონათა შორის უცებ მოჰკრა თვალი ნინო გვარამაძეს. ისეთი სიხარულის ელდა შემოენთო, ისეთი სიამით აუძგერდა გული, თითქოს ესაა ნინო მოჰკრავს თუ არა თვალს, ჩიტივით გამოფრინდება და აღელვებული მკერდზე შეაფრინდება.

იგრძნო, რომ ლოყები გაუხურდა.

ნინომ კიბე ჩამოირბინა და სამზადში ისე შევიდა, ნიკო არც კი შეუმჩნევია. ქალიშვილი მალე დაბრუნდა. ხელში საკვები ეჭირა და აივანზე უნდა ასულიყო. კიბეს რომ მიუახლოვდა, უნებლიეთ გამოიხედა და... არც ისე შორს იყვნენ, თვალი თვალს რომ არ შეხვედროდა.

მერე, სანამ სუფრას მიუსხდებოდნენ, ერთმანეთს ხელის ჩა-

მორთმევით მიესალმნენ. ნინო უფრო გაბედული ჩანდა, თუმცა კდემამოსილება და სიმორცხვე არ აკლდა.

სუფრაზე პირისპირ მოხვდნენ.

„ალბათ ბედია!" — გულში გაივლო ნიკომ. სხვა არც არაფერი ეყურებოდა და არც რამ აინტერესებდა, რა ხდებოდა სუფრაზე, ვინ ვის გვერდით ჯდებოდა, ვინ ვის პირისპირ მოხვდებოდა. მთავარია, რომ ნინო მის წინ ზის. ალბათ, საგანგებოდ რომ ენატრა, ასე ნატვრა არ აუსრულდებოდა. უნატრებლად მოვიდა ეს ბედნიერება. ზოგჯერ ცდილობდა თვალი მოერიდებინა, ზოგჯერ კი ქალის მომნუსხველი თვალები იპყრობდა და გული გადარევას ჰქონდა.

აწკრიალდა დანა-ჩანგალი. გაჩაღდა სმა-ჭამა. თამადაც გვარიანი ვამოდგა. ნიკო პირველად ხვდებოდა სუფრაზე, მაგრამ მისი ჩამოქნილი სადღეგრძელოები, მშვერმეტყველება და ზომიერი ხუმრობა ძლიერ მოეწონა.

მერე გოგონებმა კალთებში ჩაიგორეს გიტარები, ააკვნესეს სიმები. სიკოია გობრონიძეს და კოწო წერეთელს არავის თხოვნა არ დასჭირვებიათ, შეწყობილად ამოარაკრაკეს სიმღერა. ნიკომ ისეთი ბანი შეუწყო, ორივე მომღერალმა მისკენ გამოიხედა და მოწონების ნიშნად სახე გაებადრათ.

ქეიფი გვიანობამდე გაგრძელდა, სანამ მთლიანად არ იყუჩა და მიიძინა პატარა ქალაქმა.

სტუმრები დაიშალნენ.

საფიჩხიის დალმართს მარტონი ჩამოპყვნენ ნინო და ნიკო. შეუთანხმებლად, უსიტყვოდ მოხდა ისე, რომ ერთ გზას დაადგნენ. ნიკო თამამად იყო, მხიარულ გუნებაზე. არც ნინოს გამოპყოლია ნაკლები ხალისი სუფრიდან.

ნიკომ შენიშნა, რომ ქალიშვილმა ნაბიჯს აუჩქარა.

— გეჩქარებათ?

— გვიანია...

— მოდი, ავიდეთ ბაგრატის გორაზე... იქ ისტორიის ნანგრევებთან შევხვდეთ გათენებას. — აზარტით წამოიწყო ნიკომ და მართლაც მზად იყო ღამე ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან გაეთია და ნინოსთან ერთად ეხილა მზის ამოსვლა...

ნინოს გაეცინა და უმალ მიუგო:

— და იქიდანვე მამაჩემი თავის რეზიდენციაში ამოგვაყოფინებს თავს.

ნიკოს უცებ გაახსენდა, რომ რაჟდენ გვარამაძე, ნინოს მამა, სულით დაავადებულთა საავადმყოფოს მმართველი იყო. ნიკოსაც გაეცინა.

— წარმომიდგენია, წარმომიდგენია... მასწავლებლები სულით დაავადებულთა საავადმყოფოში, მხოლოდ იმიტომ, რომ ღამე ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან გაათენეს და დილით მზეს შეეგებნენ, რომ ერთმანეთისათვის სამუდამო ერთგულება შეეფიცათ...

ამის გაგონებაზე ქალი შეკრთა.

— ამას რას ამბობთ, ნიკო?

— თუ თქვენ თანახმა იქნებით, ნინო...

— იქნებ ღვინო გალაპარაკებთ?

— არც ენა მეკიდება და გონებაც ისეთი ნათელი და საღი მაქვს, როგორც არასდროს... ასეთი ბედნიერი საღამო მე ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს.

...მალე შეუღლდნენ.

ნინოს ორი და და ორიც ძმა ჰყავდა. მათი ოჯახიც ისეთივე მრავალრიცხოვანი იყო, როგორც ნუცუბიძეებისა.

ახლად შეუღლებულებმა ზდანოვიჩის ქუჩაზე ვინმე ზავადსკის სახლში იქირავეს ბინა. ზავადსკი გადამდგარი ოფიცერი იყო, უკვე საკმაოდ მოხუცებული. მუდამ თავის წარსულ საბრძოლო და სამხედრო ამბებზე ჰყვებოდა და ერთსა და იგივეს სიამოვნებით მრავალჯერ იხსენებდა, იგონებდა სიჭაბუკის წლებში გატარებულ დაუვიწყარ დღეებს.

და აი, ზავადსკის სახლში, ერთი წლის შემდეგ ნინო გვარამაძეს და ნიკო ნუცუბიძეს შეეძინათ ვაჟი, რომელსაც დავითი დაარქვეს. იქით გვარამაძეები, აქეთ ნუცუბიძეები, დიდები თუ პატარები ახლად შობილს დასტრიალებდნენ. ასე თანდათან იფურჩქნებოდა ნიკოს ოჯახური ყოფა.

მომდევნო წელს მეორე ვაჟიც ეყოლათ.

— ხედავთ, რა ბედნიერი სახლი მაქვს! — წაიტრაბახა ზავადსკიმ და ნიკოს კიდევ ერთხელ თავის აივნიდან დააცლევინა ძველებური ფილთა თოფი. წესი ასეთია, ვაჟი რომ დაიბადება, ქვეყანამ უნდა გაიგოსო.

მეორე ვაჟს კუკური დაარქვეს. ზავადსკიმ იქვე გააფართოვა ახალგაზრდა ოჯახი, ერთ ოთახს მეორეც მიუმატა და განუცხადა:

— ქირა იგივე დარჩება... და თუ კიდევ ერთი ვაჟი გეყოლათ, ქირას გაგინახევრებთ. სამშობლოს ვაჟები სჭირდება... ოჰ, სალდათებო, ჩემო მამაცო სალდათებო!

ქუთაისის კერძო გიმნაზიას ქართული ერქვა, მაგრამ საგნების უმეტესობა მაინც რუსულად ისწავლებოდა. არ იყო ქართული სახელმძღვანელოები, მეთოდური ლიტერატურა.

და ის გაკვეთილიც, როცა კაკო ნემსაძემ ისტორიაში ხუთიანი მიიღო, რუსულად ჩატარდა.

როცა ნიკო მოწაფეს უსმენდა, იგი უურადღებას აქცევდა მეტყველებას, სიტყვათა სწორად გამოთქმას, აზრის გამართულობას.

ქართულ გიმნაზიაში დიდი ყურადღება ექცეოდა რუსული და უცხო ენების სწავლებას. იოსებ ოცხელი ამბობდა: „ჩვენი სკოლა, სადაც მარტო ქართველი ყმაწვილები სწავლობენ, მოკლებულია რუსული ენის პრაქტიკას, და საჭიროა, რომ რამდენადაც შეიძლება, ეს ნაკლი შევამციროთ“.

სწორედ იოსებ ოცხელი შთაუნერგავდა მოწაფეებს, შეგვიძლია გავამდიდროთ ქართული ლიტერატურა რუსულიდან თარგმანებით, და თუ კარგად დავეუფლებით, უცხოური ენებიდანაც.

ბევრი მოწაფე ცდილობდა, ღრმად დაუფლებოდა ამ ენებს.

კაკო ნემსაძე ერთ-ერთი იმ მოწაფეთაგანი იყო, რომელიც ეფთავითვე პოეზიით იყო გატაცებული. ხარბად ეწაფებოდა რუსულ წიგნებს.

ამიტომ იყო მისი თხრობა სასიამოვნოდ მოსასმენი. გარდა საგნის ცოდნისა, ნიკოს ამ ყმაწვილის მეტყველებაც მოეწონა.

გახალისდა მასწავლებელი მოსწავლის კარგი პასუხით, მოსწავლე კი კარგი შეფასებით.

ის დღე იყო და ის დღე, კაკოს ხელის აწევას ვერაფერი ასწრებდა.

ნიკო მერხებშორის ჩაიარა, სანამ ვინმეს გაბეზრებდა, ნემსაძესთან მივიდოდა, აწეულ ხელს დააშვებინებდა, მერმე კლასს გახედავდა:

„ნუთუ ყველამ იცის?!“

და მალე სულ სხვა სურათი გამოირკვეოდა.

ჭეშმარიტებაა, რომ ყველა ერთნაირად ვერ დასძლევს საგანს. ბავშვები გონებრივი სიმწიფით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. არიან ბეჯითნი, ზარმაცნი, საშუალონი...

საკმარისია ყმაწვილს თვალებში შეხედოს ნიკომ... ო, ეს თვალები! მართლაც რომ, გონების სარკეა. როგორ ნათლად ჩანს ყველაფერი, როგორ ცხადდაა გამოკვეთილი მასში ყმაწვილის ხასიათი, გაბედულება და გაუბედაობა, ცოდნა და უცოდინარობა, ტყუილი და მართალი, სიცრუე და გულწრფელობა...

სამასწავლებლოსკენ მიმავალ ნიკოს ბუნებათმცოდნეობის მასწავლებელი სერგი რობაქიძე დაეწყვილა. სერგიმ ხელკავი გაუკეთა ახალგაზრდა მასწავლებელს. ისინი შუა დერეფანში მიდიოდნენ ნელი ნაბიჯით. შესვენებაზე გამოსული გიმნაზიელები თავაზიანად უთმობდნენ გზას.

სერგი რობაქიძე დაახლოებით ოცი წლით უფროსი იყო ნიკოზე. პროგიმნაზიულ კლასებში არითმეტიკასაც ასწავლიდა. თეატრის დიდი მოყვარულიც იყო და გარკვეული წვლილი დადო ქუთაისის თეატრის განვითარებას. ნიკომ იცოდა, რომ ქართულ გიმნაზიაში სერგიმ დიდი ხანია ჩამოაყალიბა მოსწავლეთა წრე, სადაც ფარულად კითხულობდნენ აკრძალულ წიგნებს. ნიჭიერმა კაცმა გიმნაზიაში შექმნა დრამატული წრე და მხატვრულ-ვოკალური განყოფილება.

ნიკოს კარგად ახსოვს 1902 წლის ამბავი.

მაშინ ქუთაისის სააზნაურო სკოლა ანტონ ლორთქიფანიძის სახლიდან კარგა ხნის გადატანილი იყო საფიჩხიაზე ივანე ჯაიანის სახლში. ეს ადგილი ქალაქში ყველაზე სუფთა და მყუდრო ადგილად ითვლებოდა. ჯაიანის სახლი საკმაოდ მოზრდილი იყო, სკოლისთვის გამოსადეგი. ორსართულიან სახლს ვეებერთელა ეზო და დიდი ზვარი ჰქონდა. აქედან, განსაკუთრებით კი სახლის მეორე სართულის აივნიდან, ფართო თვალსაწიერი იშლებოდა ქვემო იმერეთისკენ. ო, რა დიდებულად მოჩანდნენ აჭარა-ახალციხისა და რაჭა-ლეჩხუმის მთები!

ამ სახლში, სააქტო დარბაზის უქონლობის გამო, სასწავლებლის დერეფანში გაიმართა საღამო მოსწავლეთა მშობლებისა და

ნათესავებისათვის. სერგი რობაქიძის რეჟისორობით მოსწავლეებმა ვალერიან გუნიას „და-ძმის“ სამი მოქმედება მოამზადეს.

სასწავლებელში დიდი ფაციფუცი იყო ფარდის გახსნის წინ. ამ დროს პოლიცმეისტერ ლავროვსკის კაბინეტშიც ღელავდნენ. ვიღაცას წინა დღით ამბავი მიეტანა ლავროვსკისათვის, ხვალ საღამოს გიმნაზიელ მსახიობთა დასი სერგი რობაქიძის ხელმძღვანელობით რევოლუციურ სპექტაკლს მართავსო.

ლავროვსკი წარმოდგენის დაწყების წინ ჟანდარმებით შეიჭრა ჯაიანის სახლში. თოფმომარჯვებულმა რაზმელებმა გაყარეს დამსწრენი, ჩამოგლიჯეს და დაფხრიწეს ფარდა.

იოსებ ოცხელი გაბედულად გადაუდგა წინ გააფთრებულ ლავროვსკის.

— გონს მოდით, ბატონო პოლიცმეისტერო! — შესძახა მედგრად, გაბედულად, რომ ეს გადარეული კაცი როგორმე მართლა მოეყვანა გონზე, მისი აღვირახსნილი საქციელისათვის ლაგამი ამოედო... მაგრამ, ნურას უკაცრავად. ლავროვსკი ვეფხვივით მძვინვარებდა, ოცხელს სასტიკად დაემუქრა. წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო.

დანა პირს არ უხსნიდა უფროსი მამაკაცებს, რომელნიც ყმაწვილთა წარმოდგენის საცქერლად მოსულიყვნენ და საღამო კი ასე ჩაშწარდათ.

ოცხელი ძრწოდა და არ ეპუებოდა ლავროვსკის.

— პასუხს აგებთ! — ემუქრებოდა.

— ჩვენ მაგას ვნახავთ. ვინ ვის წინაშე აგებს პასუხს, რევოლუციონერო! ბევრი რამ შეგრჩათ, ბევრი რამ... დამაცადე!

ლავროვსკიმ ახლა ძუშტი დაუტრიალა ოცხელს, სკამს ფეხი წაჰკრა და დარბეულ დერეფნიდან ჟანდარმები წაიყოლა.

ქართულ გიმნაზიაში მომხდარი რბევის ამბავი იმავე საღამოს მთელ ქუთაისს მოედო.

ეს იყო ზუსტად თოთხმეტი წლის წინათ. მაგრამ მას აქვთ სერგი რობაქიძეს არა ერთი და ორი საღამო გაუმართავს გიმნაზიაში.

ახლაც, როცა ხიკოს ხელკავი გაუკეთა და სამასწავლებლოსკენ მიაბიჯებდნენ, გაანდო, რომ ხვალ საღამოსათვის მას ვეტად საინ-

ტერესო ლონისძიება ჰქონდა ჩასატარებელი. რეპეტიციებით აღ-
ფრთოვანებული იყო და ღელავდა.

— თქვენ დიდ სასარგებლო საქმეს აკეთებთ, ბატონო სერგი, — მიმართა ნიკომ, — გონების ასეთი ვარჯიში დიდ სარგებლობას მოუტანს ახალგაზრდობას.

— მარტოოდენ საგნების სწავლებით. მოგეხსენებათ, ფოსს ვერ გავალთ. მაგრამ ვშიშობ, მთავრობამ არ გაგვგოს და მაშინ-დელივით ეს საღამოც არ ჩაგვაშწაროს... ყველაფერში ცხვირს ყო-ფენ. მათი შიშით ყმაწვილებისათვის ჭეშმარიტება ვერ შთაგვი-ნერგავს... სიმართლეს მალულად ვამბობთ. მაგრამ ახლოვდება ბრძოლის გადამწყვეტი ჟამი.

— ჭეშმარიტებაა, ბატონო სერგი. ცხოვრების ჯერ ისედაც არეული რიტმი ისე დაირღვა, განახლებაც აღარ უშველის, თუ ძირფესვიანად არ შეიცვალა. მე წარმოდგენილი მაქვს ეს ახალი და დიდებული ცხოვრება, თანასწორუფლებიან ხალხთა ცხოვრე-ბა.

სერგიმ გრძნობით მოუჭირა ხელი მკლავში ახალგაზრდა მას-წავლებელს.

მეორე დღეს სკოლაში მისულ ნიკო ნუკუბიძეს ახალი ამბავი დახვდა. სერგი რობაქიძე და საღამოს მონწყობი რამდენიმე მას-წავლებელი საპოლიციო განყოფილებაში სხედანო.

ოცხელი ძრწოდა. მასწავლებლები საშიხლად ღელავდნენ

პირველი ორი გაკვეთილი ჩაიშალა. მღელვარება მოწაფეებსაც გადაედოთ. სკოლა ფუტკრის სკასავით ხუხუნებდა.

იოსებ ოცხელი სწრაფი, ენერგიული ნაბიჯით შეეცა სამას-წავლებლოში და ხმამაღლა განუცხადა პედაგოგებს:

— შეუწყნარებელი ამბებია, ბატონებო... დაე, დახუროონ ჩვენი სასწავლებელი, ოღონდ ბრძოლაში ნუ გამოვ ჩენთ აილაჩოს, მთელ ქალაქს ვანახოთ ჩვენი დარაბეულობა და ერთიანობა... ყველანი გავალთ საპროტესტო დემონსტრაციაზე, ჩვენი ამხანაგი-ბის დასახსნელად... ყველანი გავალთ. მთელი სასწავლებელი უკლებლივ ორგანიზებულად. ისე, როგორც შეფერი სიმართლე-სათვის შებრძოლ ადამიანებს.

იოსებ ოცხელი ისე იყო აღგზნებული, ისევ წეთა გაიყოლიებ

მთელ გიმნაზიას ქალაქში, მაგრამ დემონსტრაციას სათანადო მომზადება უნდოდა.

— ბატონებო, ჩვენი გიმნაზია ყოველთვის იდგა და კვლავაც მტკიცედ იდგება იმ პლატფორმაზე, რომელსაც ქვეყნისათვის, საშობლოსათვის სამსახური ჰქვია... ჩვენს სასწავლებელს აქვს თავისი საბრძოლო ტრადიციები, ნუ ვუღალატებთ მას და ბოლომდე ვიყოთ მართალი საქმის მოსარჩლენი... მიბრძანდით კლასებში და მოუწოდეთ უფროსკლასელ მოწაფეებს, გამოვიდნენ დემონსტრაციაზე, საჭიროა ჩვენი ძალების მობილიზება... გთხოვთ მიბრძანდეთ და განუმარტოთ ყმაწვილებს საქმის ვითარება.

ნიკო ნუცუბიძისათვის პირველი არ იყო ასეთი მღელვარე დღეები. დრო იყო, წლები იყო ისეთი, როცა ცარიზმის ისედაც მძიმე უღელი უფრო მეტად დამძიმდა. ეს იყო რევოლუციის „გარიჟრაჟი" და მეფის რეჟიმის გაბრძოლება თავისი თავის გადარჩენის მიზნით.

ჯერ კიდევ ოდესის უნივერსიტეტში სწავლისას ნიკო ეზიარა რევოლუციურად განწყობილ ადამიანთა აზრებს.

რუსეთის იმპერიაში სახელგანთქმული ოდესის უნივერსიტეტი მოწინავე ადამიანების, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ნამდვილ სამჭედლოდ ქცეულიყო.

ქართველი ახალგაზრდობა სწორედ ამ სახელგანთქმულ უნივერსიტეტს ეტანებოდა. ჯერ ერთი, ცოდნის სახელოვანი ტაძარი იყო, მეორეც, ოდესის კლიმატს ადვილად უძლებდნენ. ოდესის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ცხრაასხუთი წლის რევოლუციის პერიოდში დიდად ისახელეს თავი. მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებში ჯარებთან შეტაკებისას გმირულად დაიღუპა უნივერსიტეტის საპროფესოროდ დატოვებული ახალგაზრდა ბუნებისმეტყველი საბა კლდიაშვილი. ეს იყო უნიჭიერესი ჭაბუკი, რომელზეც მთელი უნივერსიტეტი დიდ იმედს ამყარებდა. მაგრამ ასე მუხანათურად განგმირა ჯალათების ტყვიამ. საბას ნეშტი ბათუმში ჩამოასვენეს. მისი დაკრძალვისას მოეწყო დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია. სწორედ ამ წლებში ოდესის უნივერსიტეტში ბევრი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ასწავლიდა, ხოლო რექტორად ეასილ პეტრიაშვილი გახლდათ.

რევოლუციის დიდი სუნთქვა უნივერსიტეტში უფრო მეტად იგრძნობოდა მაშინ, როცა ნიკომ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

პირველი ხარისხის დიპლომით იგი ბაქოში მიდის მასწავლებლად.

ისევე, როგორც რუსეთის იმპერიის ყველა ქალაქში, ბაქოშიც ღვიოდა რევოლუციის ცეცხლი. აქ თავი მოეყარათ ქართველ რევოლუციონერებს ფილიპე მახარაძეს, სანდრო ეულ-ქურიძეს, ძმებს ანდრია და თედორე დოლიძეებს, კოწია ხომერიკს, ვარლამ მენაბდეს, სხვებსა და სხვებს. მათ სამხედრო-სალიტერატურო წრე ჩამოაყალიბეს და დაიწყეს ჟურნალ „წყაროს" გამოცემა. აქვე ჩამოაყალიბეს დრამატიული წრე, რომელსაც სოსო მელაშვილი ხელმძღვანელობდა. ყოფილ მაილოვის თეატრში ქართველებმა ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით დადგეს „ქრისტინე". ამავე თეატრში ლადო მესხიშვილმაც განახორციელა შილერის „ყაჩაღები". ბაქოში ჩამოდიოდნენ მსახიობები ვასო აბაშიძე, მატარაძე, ტასო აბაშიძე.

და ამ კულტურულ ცხოვრებას, ამ ადამიანთა მოღვაწეობას, რომელსაც განსაკუთრებული მიზანსწრაფვა ჰქონდა, არ აკლდებოდა ნიკო ნუცუბიძე. ქართველ რევოლუციონერებთან და კულტურის მოღვაწეებთან ურთიერთობა მას გონებრივ ჰორიზონტს უფართოებდა. ცხოვრებაში უკვე საკმაოდ მოწიფული ახალგაზრდა პედაგოგი, თავისი პროგრესული, ნათელი შეხედულებებით უბრუნდება ქუთაისს.

და ახლა, როცა გაკვეთილზე მიეშურებოდა იგი, მიდიოდა გულანთებული. მეხუთეკლასელებთან რუსული ენის გაკვეთილი ჰქონდა ჩასატარებელი.

კლასში სამარისებური სიჩუმე დახვდა. გიმნაზიელები ფეხზე იდგნენ დაძაბულნი და პირგამეხებულნი, თითქოს ნიკოს ემდურიდნენ. რაღაც ისეთი მოულოდნელი, იმდენად მძიმე ეჩვენა მოწაფეთა ასეთი დახვედრა, წამით დაბნეულ მასწავლებელს დაავიწყდა მისალმებოდა კლასში მყოფთ.

ქართული გიმნაზიის მასწავლებლები და მოწაფეები ბევრ რამეს ითმენდნენ. მიზეზი გასაგები იყო ნიკოსთვის. მაშინ, როცა

სხვა სასწავლებლებში მსგავსი ამბავის შემთხვევაში ზღელვარება წრეს გადასცდებოდა, თუნდაც სათავადაზნაურო კლასიკურ გიმნაზიაში, ბრძოლის მთავარ იარაღად მოწაფეები პეტარდებსაც კი იყენებდნენ, შლიდნენ გაკვეთილებს, კვირაობითა და თვეობით წყვეტდნენ სწავლას, არღვევდნენ რეჟიმს, ძარს სცემდნენ დისციპლინას, მსგავსი რამ ქართულ გიმნაზიაში არ მომხდარა.

კერძო გიმნაზია კლასიკურ გიმნაზიას ვერ გაუტოლდებოდა ცხარე საპროტესტო გამოსვლებში.

კლასიკურ გიმნაზიას თავადაზნაურთა და გავლენიან პირთა სახით მრავალი დამცველი და მოსარჩლე ჰყავდა. ქართულ გიმნაზიას კი სულ დახურვით ემუქრებოდნენ.

ქართული გიმნაზიის მოწაფეები ცდილობდნენ მთავრობისათვის სასწავლებლის დახურვის საბაბი არ მიეცათ. თუმცა მასწავლებელთა ძუშვეობით ისინი ჩუმად მაინც ემზადებოდნენ მომავალი ბრძოლებისათვის. ძომავალი ნათელი ცხოვრების შექმნისათვის. როგორც შვილებს, ისე ეფერებოდნენ და ზრდიდნენ, რადგან შვილი ეს ხვალინდელი დღეა. ის. ვინც ხვალინდელ დღეს არ უყურებს, დღევანდელსაც ვერ ხედავს. მას. ვისაც არ ესმის ხვალინდელი დღის მნიშვნელობა, არც დღევანდელისა გაეგება.

როცა ნიკო კათედრასთან მივიდა. როცა მისი ნაბიჯების ხმა მიწყდა და კვლავ სამარისებური სიჩუმე გამეფდა, მისალმების ნაცვლად ყმაწვილებს უთხრა. დაბრძანდითო.

ისინი მაშინვე დასხდნენ. რაღაცას ელოდნენ. ყველაფრისათვის მზად იყვნენ, ოღონდაც თავშეკავებია დიდ უნარსა და მორჩილებას გაექვავებინა.

„ოა ვქნათ?“ — აი, რა ისმოდა მათ მძიმე დუმილში. მათ გამომეტყველებაში. მრისხანედ ანთებულ თვალებში.

საყვარელი მასწავლებლები საპოლიციო განყოფილებაში მძევლებად ჰყავთ. ერომ ამ საღამოს ჩაიშალოს მათ მიერ მომზადებული წარმოდგენა.

ნიკოს გული სიამაყით ჰქონდა სავსე. საშასწავლებლოდან გამოყოლილი ბრძოლის ქინი. ცეცხლი და სითბო. ოცხელის მგზნებარე სიტყვები. მოწოდება და ამ ყმაწვილების დაძაბული გამომეტყველება, გულს უფორიაქებდნენ და ცოტა არ იყოს, აბნევ-

დნენ კიდეც, რადგან ის სარდალი არასოდეს ყოფილა და არც რაიმე შეტაკებაში მიუღია მონაწილეობა.

მის სიტყვას კი ელოდნენ. რა მოხდება, რომ ახლა ჩვეულებრივი გაკვეთილი ჩაატაროს? ეს შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელი. საამისოდ არც ერთი გიმნაზიელი არ არის განწყობილი. ისინი მასწავლებლისაგან სულ სხვა რამეს მოელიან, მოწოდებას, წინ გაძღოლას, რაღაც ისეთი რაიმეს გაკეთებას, რაც მათ აღელვებულ გულს დაამშვიდებს.

— ყმაწვილებო, დაიწყო ნიკომ. გაკვეთილის ახსნას არ იწყებდა, არც რომელიმე მოსწავლის გამოკითხვას. ის სხვა ამოცანის წინაშე იდგა, როგორც მეთაური ბრძოლის წინ დაწყობილი ჯარისკაცების წინ.

ახლა, ამ წუთებში, სულ სხვა დამოკიდებულება სუფევდა მასწავლებელსა და მოწაფეებს შორის. ლეგენდნენ, მაგრამ თითოეული მათგანის გულის ფეთქეას კარგად გრძნობდა ნიკო.

ყმაწვილებო! — თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მცირე, მაგრამ მაინც გარკვეულ მანძილზე, ასე არასოდეს შეყოვნებულა.

— დიახ, — თქვა და კვლავ მთლიანად დაეკარგა სიტყვათა მარაგი. მის გონებას ისევ მალე მოეფინა ნათელი და განაგრძო. — ჩვენი მასწავლებლების იზოლირება და დღევანდელი საღამოს ჩაშლის ცდა აუღელვებლად არ შეიძლება განიცადოს კაცმა. თქვენს თვალებში ვკითხულობ კულმინაციას. ვხედავ აღშფოთებას... მაგრამ მაინც გვმართებს თავდაჭერილობა და ორგანიზებულობა... ხვალ გიმნაზიის მასწავლებლები და უფროსი კლასების მოწაფეები მოვაწყობთ საპროტესტო დემონსტრაციას: ქალაქის ხელმძღვანელობას და ჟანდარმერიას მოეთხოვთ ჩვენი მასწავლებლების დაუყოვნებლივ ეთავისუფლებას... ქალაქს ვაჩვენებთ ჩვენს დარაზმულობას მართალი საქმისათვის ბრძოლაში, ასეთია პედაგოგიური საბჭოს და დირექციის გადაწყვეტილება.

— ძირს ძალადობა! — დაიძახეს უკანა მერხიდან.

ძირს შეფი ხელისუფლება! — გაბედეს აქეთ-იქიდან.

— ყმაწვილებო! — ხმას აღწევა ნიკომ. — ხომ არ გავიწყდებათ, სადა ხართ?

კლასი ჩაცხრა. ბღენძაურება უკვე მინელდა და ნიკომ, ცოტა არ იყოს, მკაცრად შეხედა ბიჭებს:

მე არ მითქვამს, მიტინგი გავმართოთ-მეთქი, ლოზუნგები და მოწოდებანი ფუჭი პატრონებივით ვისროლოთ. ყველაფერს ორგანიზებულობა, თავდაჭერილობა და დისციპლინა სჭირდება... მით უმეტეს ასეთ სერიოზულ საქმეს. ახლა კი დავიცხროთ ჩვენი ენებანი და დარჩენილი დრო ცოდნას მოვახმაროთ.

დემონსტრაციამ ფართო სასიათი მიიღო. ქართული გიმნაზიის მოსწავლეებს კლასიკურ გიმნაზიასთან უნდა გაეელოთ და იქაური მოსწავლეებიც წაეყვანათ.

მანამ, სანამ ქართული გიმნაზიის მასწავლებლები და მოწაფეები ქალაქის შუაგულისკენ დაიძვრებოდნენ, სანამ შენობის წინ კლასების მიხედვით ეწყობოდნენ, იოსებ ოცხელს საიდუმლოდ აცნობეს. კლასიკური გიმნაზიის სარდაფში დამსჯელი რაზმები მიიმალნენ და შეიძლება სროლა აგიტეხონო.

ოცხელს წარბიც არ შეუხრია. რამდენიმე უფროსკლასელი აფრინა კლასიკური გიმნაზიის იმ ჯგუფისაკენ, რომელიც დემონსტრანტებს უნდა შეერთებოდა. რამდენიმე კაცი წმინდა ნინოს სასწავლებელში გაგზავნა. ქალთა ჯგუფებსაც ჰქონდათ გადაწყვეტილი, მხარში ამოსდგომოდნენ ქართული გიმნაზიის დემონსტრანტებს.

ოცხელმა შიკრიკებს დაავალა, რომ შეხვედრა ჯაჭვის ხიდთან მოხდებოდა. აქ მოიყრიდნენ თავს და ქალაქის ცენტრისკენ დაიძვრებოდნენ. კლასიკური გიმნაზიელებისა და წმინდა ნინოს მოწაფეთა ჩარევით ოცხელი თავს იზღვევდა მოსალოდნელი უბედურებისაგან.

კლასები რომ ეწყობოდნენ, ნიკოჭ დემონსტრაციაზე გამსვლელთა შორის თავისი ძმა შალვა შენიშნა. შალვა თოთხმეტი წლის იყო, მისი კლასელები არ დაუბარებიათ. ის კი მეოთხე-მეხუთე კლასელებში ტრიალებდა, ყველასგან გამორჩეული, დაბალი, მაგრამ მკვირცხლი და მოუსვენარი.

შენ აქ რა გინდა? უფროსმა ძმამ ქეჩოში წაავლო ხელი შალვას.

მართალია ნიკო ძმა იყო მისი, მაგრამ მასწავლებელი იყო და სკოლაში იმდენს ვერ უბედავდა, რასაც შინ ჰკადრებდა. უფროსი

ძმის რიდი და სიყვარული ჰქონდა, მაგრამ ზოგჯერ გაუჯიუტდებოდა.

ახლა შალვას თვალებში ბავშვური ცნობისმოყვარეობა და რაღაც გაურკვეველი ამბის ინტერესი როდი გამოსჭვიოდა, მის ჭკვიან და მორჩილ თვალებში რწმენა იხატებოდა, რითაც გამსჭვალულნი იყვნენ სხვა გიმნაზიელები და კარგად ესმოდათ, საით და რა საქმეზე მიდიოდნენ.

— მე აქ უნდა ვიყო, თქვენთან ერთად! — გაისმა ყმაწვილის ჯიუტი და მკაცრი პასუხი.

ნიკო ისე ცივად გაშორდა. ვეღარაფერი უთხრა, შორიდან კი თვალს ადევნებდა, რა ამაყად მიაბიჯებდა იგი გიმნაზიელებს შორის.

ჯაჭვის ხიდთან ორი დიდი ჯგუფი შეუერთდათ. კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებს რამდენიმე მასწავლებელი ახლდა, წმინდა ნინოს სასწავლებლიდან იყვნენ ალმზრდელებიც.

იოსებ ოცხელი გულში ზეიმობდა ასეთი ერთსულოვნებისა და დარაზმულობის გამო. სხვა სასწავლებელთა წარმომადგენლები თავისი გიმნაზიის კოლონაში ჩააყენა, კოლონის სათავეში მასწავლებლები მოაქცია, ყველას კი თვითონ გაუძღვა წინ. მართალია, დაიმედებული იყო, რომ კლასიკური და ქალთა სასწავლებლების წარმომადგენლებს ჟანდარმები ვერაფერს გაუბედავდნენ, მაგრამ მაინც შიშობდა, ვაითუ ამათაც არ შეეპუონ და ჟანდარმთა უფროსის ერთ უკულმართად, გაბრაზებულ გუნებაზე ნათქვამ სიტყვას ტყვიის ცეცხლი მოაყოლონო.

ზამთრის დღე იყო. მოქურუშებული, სათოფედ გამზადებული ცა დაეყურებდა ქუთაისს. რიონის ხეობაში ცივი ქარი უბერავდა.

რამდენადაც უახლოვდებოდნენ დემონსტრანტები კლასიკური გიმნაზიის შენობას, იმდენად მეტი შიში იპყრობდა იოსებ ოცხელს, მაგრამ არ იმჩნევდა. მისი თვალი არ შორდებოდა შენობის სარდაფის დაბალ, თითქმის მიწასთან გასწორებულ ფანჯარას. „ნუთუ გაბედავენ და გვესვრიან?" — ეს ფიქრი არ ასვენებდა იოსებს. მაგრამ ბრძოლა რომ გარდაუვალია, ამას სად წაუხვალ. როგორ უხდა გაეგრძელებინა ცხოვრების ახალ მდინარებას. მდინა-

რებას, რომელიც დაიძრა, აბობოქრდა და უნდა წალეკოს ძველი, დახავსებული ყოფა!

ქუჩაში გამოფენილი ხალხი შეძახილებით მიაცილებდა გიმნაზიელთა მხნე კოლონებს.

ქარიშხლისაგან გარიყული დრედნოუტივით გარინდებულიყო კლასიკური გიმნაზიის შენობა — ამჟამად ჟანდარმთა ციხე-სიმაგრე.

სარდაფის ფანჯრები დაგმანული იყო. სადარბაზო შესასვლელში ოცხელმა თვალი მოჰკრა რამდენიმე ჟანდარმს და ერთხელ კიდევ გასცრა ერუანტელმა: „ნუთუ ახლა დაიწყება? მოსახდენი უნდა მოხდეს!" — თავს ძალა დაატანა, დემონსტრანტებისაკენ შებრუნდა და შეუძახა:

— მხნედ, მეგობრებო, მხნედ!

და უკვე დარწმუნებულმა იმაში, რომ ჟანდარმებმა ცეცხლის გახსნა ვერ გაბედეს და შენობის სიღრმეში თავიანთ ადგილებზე დარჩნენ, ოცხელმა პირველი გამარჯვების სიხარული იგრძნო, ეთხელ კიდევ ძიუბრუნდა დემონსტრანტებს:

— გაბედულად, მეგობრებო!

ეს იყო ნიკოს უფროსი ძმის, შალვას, პირველი საბრძოლო ნათლობა. ყმაწვილი გახარებული იყო, რომ ერთობის ძალამ იმარჯვა და მასწავლებლები თვითმპყრობელობას გამოსტაცეს.

საღამოს იგი შინაურებს აღფრთოვანებით უამბობდა დემონსტრაციაზე. დიმიტრი ნუკუბიძე სიამაყით შეპყურებდა თავის ჩიკორივით ბზრიალა, მოუსვენარ შვილს.

— საშიში დროა, — ფრთხილობდა დედა, — როგორ გაბედე და წაპყეეი უფროსებს?!

— დედა, შენი ვალია დამარიგო ჭკუა, — ბრძენკაცივით მიმართა შალვამ, — მაგრამ ჩვენ საკმაო რამ ვისწავლეთ ცხოვრებიდან და შეგვიძლია საკუთარი ჭკუა-გონებითაც ვიმოქმედოთ.

— უყურე ერთი ამას! ჯერ მიწას არ ასცილებია და... — კვლავ გული შეუქანდა იულიას.

— ყმაწვილი სწორად მსჯელობს, რას ერჩი... თოთხმეტი წლისას ბავშვი აღარ ეთქმის, — ოთახში ამაყად გაიარ-გამოიარა დიმიტრი ნუცუბიძემ.

სწორედ ამ დროს გაღიღინა კარი და შემოვიდა ნიკო.

ზღვანოვიჩის ქუჩიდან იგი თითქმის ყოველ საღამოს მოდიოდა „ხასტავეში" თავისიანების სანახავად. იულია დღისით ოძალს ეხმარებოდა პატარების მოვლა-გაზრდაში. ნიკოს დებიც, მარო და ოლია, თითქმის მთელ დღეს ზაავადსკის სახლში ატარებდნენ სკოლიდან დაბრუნებულნი. მაგრამ ნიკო მაინც ვერ განუდგა მშობლიურ კერას. რა დროც არ უნდა ყოფილიყო, თავისიანებს დახვდავდა, მამასთან წაისაუბრებდა და შემდეგ შინისკენ გასწევდა.

ნიკო იმ დროს შემოვიდა, როცა დიმიტრიმ წამოიწყო:

— არამზადები!.. გაძვერები!..

შვილს შეხედა და გაუღიმა.

— მასწავლებლებს რაღას ერჩიან? ალბათ მწვავე პროპაგანდას ეწევით.

ნიკომ შალვას შეხედა, რომელიც თავის დაძმებში ჩამდგარიყო.

— შალვა, — მიმართა ნიკომ, — თუ არ დამიჯერე, როგორც შენს უფროს ძმას, შენს მასწავლებელს, ბოლოს და ბოლოს... წაეჩხუბებით.

— სწორია! — შესძახა იულიამ და გაბრწყინებული სახით შეხედა უფროს ვაჟს, — მადლობა ღმერთს, რომ მყავს შემწე და დამხმარე. ერთი ჭკვიანი შვილი!

— შენ სხვა შვილებს ნუ ემდური, დედიკო! — რბილად შეუწყარა დიმიტრი. მერე ნიკოს მიუბრუნდა. — დააშავა რამე?

— ყოველ შეხვედრაში ბავშვურ საქმეზე არ ვიყავით დღეს მთავრობასთან... და არც ექსკურსიაზე სადმე... — ამბობდა ნიკო და თან თვალს არ აშორებდა შალვას.

— მაგრამ ბოძილია წყურვილს ვერ მოუკლავ! შეაწყვეტინა მამამ. — მე, მაგალითად, თოთხმეტი წლისა უკვე პოლიის შვილობილი ვიყავი და ოცდაცხრაც კარგად ეხმარობდი... ყმაწვილი გახარებული მოვიდა. მასწავლებლები დავიხსენითო... თქვენ კი გინდათ გამარჯვების სიხარული ჩაუკლათ? ამაზე ლაპარაკი აღარ იყოს და სხვისი გულის ცეცხლს ასე ადვილად ნუ შეეხებით. გულის ცეცხლი კი სათუთია და ძლიერიც. შეიძლება სულ უკუნ ჩაქრეს, შეიძლება საბუდამოდ იგიზგიზოს!

ბაბის ბგზნებარე სიტყვები ნიკოს ისე მოეწონა, მორჩილი ბავ-

შეიკვეთ დახარა თავი, შალვას ქვეშ-ქვეშ გახედა. შალვა კი
ყურ იდგა.

იმდღეანდელმა დემონსტრაციამ დიდი კვალი დატოვა გიმნაზიელთა ცხოვრებაში. ერთობის ძალას ვერაფერი გასტეხდა. რწმენამ სიმაყე შესძინა ყმაწვილებსა და მაწყვალებლებს. მოხმირდა რევოლუციური სიმღერები და ლექსები.

სწავლა თავისი კალაპოტით მიედინებოდა — გაკვეთილი გაკვეთილად რჩებოდა, ამას თავისი წესი და რიგი ჰქონდა.

მეოთხედი იწურებოდა. სადაცაა შობის დღესასწაული უნდა დამდგარიყო — 1917 წელი დგებოდა.

მეოთხედი ისე დაილია, კაკო ნემსაძე აღარ გამოუძახებია ნიკო ნუცუბიძეს. მასწავლებელი მერხებს შორის რომ ჩაივლიდა, სათითაოდ ყველა მოწაფეს ჩაათვალიერებდა. ო, რა გულთმისანი ვით კითხულობდა მათ სახეზე — იცოდნენ გაკვეთილი თუ არ იცოდნენ!

კაკო არასოდეს მოუსწავებელი არ მისულა გაკვეთილზე. ყოველთვის გაბედულად სწევდა ხელს, თამამად ეწოდა მასწავლებლის გამოძახებას. მაგრამ გამოძახების ნაცვლად, მასწავლებელი რომ მიუახლოვდებოდა, მის ხელს ალერსით წაავლებდა ხელს და უსიტყვოდ დააშვებინებდა.

რამდენჯერმე იძახებდა და გაკვეთილს გამოჰკითხავდა ძათ, ვინც საშუალოდ ან ცუდად სწავლობდა. გონებასა და ენას უვარჯიშებდა, აიძულებდა, ბოლოს და ბოლოს რაღაც შეეგნოთ, რაღაც შეეთვისებინათ...

ორმოც ბავშვში ძნელი იყო მუშაობა. ყველა რომ ერთ-ერთჯერ გამოეკითხა, გაკვეთილის ასახსნელი დროც არ დაჩჩებოდა... კაკოს კი ალერსიანად შეავლებდა მზერას... ასევე ექცეოდა ასევე ბეჯით ბიჭებს... ზარმაცის მიმართ სულ სხვა ხნე სჭირდა — ჭკვიანი თუ შეატყობდა. წარბს არ გაუხსნიდა. ტკბილ სიტყვას არ აღირსებდა, მის მიმართ ჰკვახე იყო და შეუბრალებელი.

სწავლება — ხელოვნებაა — წვრთნა ყრმისა იმ საქმისა, — ვასასველად, — იმელსაც ცხოვრების ასპარეზი ჰქვია.

ნიკო ამ თვალსაზრისით უყურებდა თავის საქმეს.

ამიტომ არ უნდოდა ცხოვრების ასპარეზზე უსუსურნი გამო-

სულიყვნენ, აბუჩად ასაგდებნი და მიგდებულნი გამხდარიყვნენ ცხოვრებაში. მისი ნამოწაფარი უნდა ყოფილიყო სრულყოფილი ადამიანი, საზოგადოების ღირსეული წევრი, ადამიანებისა და სამშობლოს მოყვარული.

გაივლის წლები და ისევე, როგორც ერთ დროს გიმნაზიის მეოთხეკლასელები მღელვარებით ელოდნენ ახალ მასწავლებელს, აბ სტრიქონების დამწერი და მისი ამხანაგებიც ისეთივე მღელვარებით დაელოდებიან ახალ მასწავლებელს. კლასში შემოვა წარმოსადეგი, შავ კოსტიუმში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ეცმევა თეთრი ქათქათა პერანგი, ეკეთება პეპელა გალსტუხი, ექნება კოხტად შეკრეჭილი და ლამაზად გადავარცხნილი შავი თმა, სითბოთი სავსე თიფლისფერი თვალები. შემოვა კლასში ღიმილი ნაბიჯით. უცებ მოგვეხიბლავა თავისი შინაგანი სიძლიერით, გარეგნული სიფაქიზითა და მომხიბვლელი მეტყველებით.

ეს კაცი მე კარგა ხანს მასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, წლიდან წლობით ღვივდებოდა მისდამი განსაკუთრებული წმინდა და შეუდარებელი სიყვარული. იგი ჩვენი, მოწაფეების, დიდი მეგობარი იყო, უფროსი და საიმედო მეგობარი.

ეს კაცი კაპიტონ ნემსაძე გახლდათ! ნიკო ნუცუბიძის ნამოწაფარი. აი, რა შორს გაიხედა კაცმა, რა შორს განჭვრიტა მისმა პედაგოგიურმა ალღომ. აი, საიდან მოდიოდა მასწავლებლის სითბო და სიფაქიზე... მოდიოდა, რადგან სწავლება დიდი ხელოვნებაა — წვრთნა ყრმისა იმ სცენაზე გასასვლელად, რომელსაც ცხოვრების სასპარეზი ჰქვია.

1917 წელმა ბევრი სიახლე და მღელვარება მოიტანა.

ჯერ მეფე ჩამოაგდეს.

გაუმარჯოს რევოლუციას!

აზვირთდა მოწაფეებისა და მასწავლებლების პატარა, პროვინციული ქალაქი. ახალგაზრდობა ხალხთან ერთად მოეფინა ქუჩებს. ააფრიალეს წითელი დროშები.

ზარდამცემი ამბავით თავრეტდასხმული ქალაქის მმართველობა, პოლიცია, ჟანდარმერია, მეფის მოხელეები კედლიდან კედელს აწყდებოდნენ და აღსასრულის მოახლოებას განიცდიდნენ.

ხალხი უკვე თამამად გაიძახოდა:

— გაუმარჯოს რევოლუციას!

— გაუმარჯოს თავისუფლებას!

თავისუფლების სიმღერის ჩამხშობი არავინ ჩანდა. ნუთუ დამიწდა და დაიმარხა თვითმპყრობელობა?! ნუთუ ყველაფერი იმ უზენაესი კაცის ჩამოგდებით დამთავრდა?!

ქართულ გიმნაზიაში დიდი ზეიმი გაიმართა. სერგო რობაქიძემ, ალექსანდრე წერეთელმა, გიორგი სვანაძემ, ალექსანდრე ჯაფარიძემ თავიანთ სადამრიგებლო კლასებს სხვა კლასებიც შეუერთეს და რუსეთის რევოლუციის შესახებ მოხსენებები წაიკითხეს.

იმავე საღამოს ქუთაისის თეატრში მიტინგი მოეწყო. ნიკომ დიდის რის ვაი-ვაგლახით მოახერხა შეეღწია დარბაზში და მოესმინა ორატორთა სიტყვები.

მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა იოსებ ოცხელმა. მალიმალ გაისმოდა შეძახილები, დარბაზი ფეხზე დგებოდა და ტაშის გრიალით კედლებს აზანზარებდა.

თავისუფლებამ უცებ გაიჯირითა პატარა ქალაქში. გამოცოცხლდა დუქნები, უფრო მეტი ეშხი მიემატა იმერულ სიმღერას, ვისაც როგორ შეეძლო, ისე გამოხატავდა თავის სიხარულს.

ღარიბ-ღატაკებმა თავისუფლების პირველი სუნთქვა რომ იგრძნეს, იმედით გამოიხედეს და თვალზე ცრემლმომდგარნი აღელვებით უყურებდნენ ქალაქის შუაგულში თავმოყრილ ზღვა ხალხს.

დიდ-პატარა ჩილინგაროვის აივნიან სახლთან შეჯგუფდა.

ქართული გიმნაზიის მასწავლებლებმა თავ-თავიანთი კლასები დარაზმეს. ზეიმით, შეძახილებითა და სიმღერით ჩამოუარეს კლასიკური გიმნაზიის მოწაფეებს, შეეერთეს ისინი და მალე ისინიც მიადგნენ ჩილინგაროვის სახლს, რომლის აივანსეც, ტრიბუნის მაგივრობას რომ სწევდა, თავი მოეყარათ რევოლუციონერებს. აივანზე წითელი დროშა გადმოეკიდათ და რაღაცის მოლოდინში წრიალებდნენ. ალბათ არკვევდნენ, ვინ უნდა მიესართა ხალხისათვის.

აივანზე ნიკომ რამდენიმე ნაცნობი შეინიშნა. ყველაზე უკეთესად მათ შორის სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთ ლიდერს, საზოგადო მოღვაწეს, კრიტიკოსსა და შესანიშნავ ლიტერატურკრიტიკოს აბაშიძეს იცნობდა. ნიკო [illegible] ნიკს პატივს სცემდა და არც

ერთი მისი გამოქვეყნებული ნაწარმოები წაუკითხავი არ დაუტოვებია.

კოტა აბაშიძეს გადაწკეპილი ულვაში და კოხტად დაყენებული ბლანქე შეენოდა. დიდი შუბლი და ფართოდ გადაშლილი წარბები ჰქონდა. კაცი შორიდანაც კარგად გაარჩევდა მის გამჭოლ, სიცოცხლით სავსე თვალებს.

სწორედ იგი მოადგა აივნის მოაჯირს, აზიმზიმებულ ხალხს გადახედა და ხმამაღლა დაიძახა:

— აღსრულდა, ხალხო! მეფე ჩამოგდებულია! ხალხის ტანჯვა-წამებას ბორკილები მოეხსნა!

საკმაოდ ვრცელი სიტყვა თქვა. ლაპარაკობდა ლაღად, აზრს არავის ესესხებოდა. აზვირთებულ მასას ერუანტელად უელიდა თავისუფლების კეთილი სიტყვა!

დროდადრო ისმოდა შეძახილები. მთავრობის სახლის სკვერში ტაში გრიალებდა.

ზეიმი არც შემდგომ დღეებში ჩამცხრალა. მიიმალნენ მეფის ჩინოვნიკები. ხალხს რევოლუციის დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, ცხოვრებაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. პატარა ქალაქში კვლავ თავ-თავიანთი მუნდირებით გამოჩნდნენ ჩინოვნიკები და მოხელეები.

ქართულ გიმნაზიას საკუთარი ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა ჰქონდა. ბიბლიოთეკის ფონდი პედაგოგებისა და მოწაფეების მრავალ წლის მეცადინეობით ივსებოდა და მალე ქალაქში ერთ-ერთ მდიდარ წიგნთსაცავად გადაიქცა.

1914 წელს გიმნაზიაში ჩატარებულმა გამოცდებმა, დეპუტატ კორიცკისთან შეჯახებამ სილოვან ხუნდაძე რამდენიმე წლით ჩამოაშორა პედაგოგიურ მოღვაწეობას. რამდენს არ ეცადა იოსებ ოცხელი, ოღონ მასწავლებლად მაინც დაებრუნებინა ყოფილი ინსპექტორი, ირაფერი გამოდიოდა.

ავი ხმები დადიოდა, იოსები არც მაინცდამაინც ცდილობს სილოვანის დაბრუნებას. თორემ ასეთ კაცზე უარს როგორ ეტყოდნენო. ეს მხოლოდ ავი ხმები იყო, სინამდვილეში ოცხელი დიდ პატივს სცემდა სილოვანს. ბათი მეგობრობა სამაგალითო იყო. ერთმანეთს ბუღეს მოწაფეები მიმართავდნენ:

ბატონო იოსებ!

ბატონო სილოვან!

ასეთი თავაზიანი, მოკრძალებული, ურთიერთმალმერთებელი დამოკიდებულებით სხვათა თვალში მაღლდებოდნენ.

ოცხელი მოწაფეებს აფრთხილებდა: „სილოვან ხუნდაძე დიდი ადამიანია, მას განსაკუთრებული პატივით უნდა ეპყროთ".

ასეთი ადამიანი იმ საბედისწერო გამოცდებმა მოწყეტის ჩამოაშორეს ოცხელს.

კერასიმე ცაგარეიშვილი ურიგო პედაგოგი როდი იყო, სათნო და კულისსმიერი კაცი. მაგრამ სილოვანის შემდეგ გიმნაზიის ინსპექტორობა შეუფეთებლად მიაჩნდა წლობით ხეღავდა დ. გრძნობდა, რომ სილოვანი სულ სხვა გაქანებისა და უნარის კაცი იყო. მართალია გიმნაზიის ინსპექტორობა სილოვანს არც მემკვიდრეობით მიეღია და არც მის საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ, როცა ეს კაცი გიმნაზიის მიღმა დარჩა, კერასიმეს ეუხერხულებოდა მის თანამდებობაზე ყოფნა და გულისტკივილს განიკდიდა.

იოსებ ოცხელმა თავისი მაინც გაიტანა და სილოვანი მთლიანად მაინც არ ჩამოაშორა გიმნაზიის კედლებს. ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკის გამგედ დანიშნა და ხელფასიც დაუნიშნა

ყოველთვის, თითქმის ერთსა და იმავე დროს, გიმნაზიის მახლობლად ხვდებოდნენ ერთმანეთს ნიკო ხუციუბაძე და სილოვან ხუნდაძე.

სილოვანი ისეთი ნაბიჯით მიიჩქაროდა, თითქოს გაკვეთილზე აგვიანდებაო. უწინაც ასე იცოდა. გიმნაზიაში მეორე კაცად რომ ითვლებოდა მუდამ სასწავლებლისკენ ეჩქარებოდა. აბუშაოს დამთავრების შემდეგ კი შინისკენ ნელი. დინჯი ნაბიჯით გაუყვებოდა გზას.

ვინ იცოდა, რამდენი ამაკი დიდი გიმნაზიის! განა თავის ლით არ დაეღიეს ქვა ქვაზე ამ შენობის აგებისას! ოცხელთან და სხვა ბიდაგოგებთან ერთად კერასიმეს გაუწევია. ერმ ებიდან ქვა დეოლეკრა. ქვეშა და კირი აურევია. ადგილი თოხები მიუწყია. წიგნები უხილია... ვინ იცის, რამდენის გულში ღრმად ჩაფესვილა გაკვეთილები ჩაეტარებია. ზომაელი თაობის სრუნვაში რამდ ღამე გაუთევია ქართული ენის გრამატიკის დასა-

ფუშაებლად. წერდა ლექსებს... შრომობდა, შრომობდა, შრომობდა...

და ახლაც მიიჩქარის დილაადრიან, ოლონდ გიმნაზიის კედლებში მოხვდეს. მას კი საჩქარო არაფერი აქვს, რადგან მასწავლებლები და გიმნაზიელები ბიბლიოთეკას გაკვეთილების შემდეგ აკითხავდნენ ხოლმე.

დილით სულ სხვა მჩქეფარე ცხოვრება იწყებოდა — ირეკებოდა ზარი, მოწაფეები ხმაურით მოედებოდნენ საკლასო ოთახებს, მასწავლებლები სამასწავლებლოდან დაიძვრებოდნენ კლასებისაკენ....

სილოვანი კი უამრავ წიგნთა შორის, სადაც ერთი ბიბლიოთეკარი ქალიც იყო, იჯდა თავის მაგიდასთან და ყურს უგდებდა ზარის წკრიალს, გიმნაზიის საართელების გუგუნს, მერე მძიმე გარინდებას, ისევ ზარის ხმას, ისევ ბავშვების აჟრიამულებას... ზოგჯერ სამასწავლებლოში ავიდოდა, გაიცლიდა დერეფნებში, შეიხედავდა კლასებში... ყველა მოწიწებით და პატივისცემით ხვდებოდა. დანაღვლიანებული ისევ ბიბლიოთეკას მიაშურებდა. აქ, წიგნებთან ფუსფუსში, საბიბლიოთეკო საქმითა და წერით კლავდა დროს. კლავდა დროს. რომელიც უფრო დიდი საქმეებისათვის სჭირდებოდა — ის ხომ ჯერ მოხუცი არ იყო!

მაგრამ ბოლო დროს საკმაოდ მოტეხილი ჩანდა ეს ორმოცდაჩვიდმეტი წლის კაცი.

ნიკო ნუცუბიძე ბაქოდან ქუთაისში რომ გადმოვიდა, სილოვანი უკვე ჩამოშორებული იყო პედაგოგიურ მოღვაწეობას. ისინი ერთმანეთს გიმნაზიის ბიბლიოთეკაში ხვდებოდნენ. ახალგაზრდა მასწავლებელს სილოვანის დარიგებანი მუდამ გულთან მიჰქონდა და მოხიბლული იყო ამ კაცის პედაგოგიური ნიჭიერებითა და გამოცდილებით.

სილოვანი საბიბლიოთეკო საქმესაც ჩინებულად დაუფლებოდა, მასწავლებლებსა და მოწაფეებს ურჩევდა მათთვის საჭირო და გამოსადეგ წიგნებს.

გიმნაზიისკენ მიმავალი ნიკო სილოვანს წამოეწია.

— ეჰ, ბატონო ნიკო, ეს თქვენ ბრძანდებით?

ნიკოს ყოველთვის ეხამუშებოდა ამ კაცის მეტისმეტი თავა-

ზიანობა. მაგრამ ხუთთა მიმართაც რომ ასეთი იყო, უმცროს-უფროსს არ არჩევდა.

— მე გახლავართ, ბატონო სილოვან, გამარჯობაი!

— იდღეგრძელეთ!

სილოვანმა ნაბიჯი შეანელა, რათა თანამგზავრს თავიაუფლად გასაუბრებოდა.

— რა ცუდი ამინდია, ეს ოხერი!

ამინდი მართლაც ცუდი იყო. ქუთაისს საავდრო ღრუბლები დასწოლოდა.

— უქეიფოდ ვიყავ, არ უნდა წამოვსულიყავი, მაგრამ გული არ მითმენს!

— შეუძლოდ თუ ბრძანდებოდით, მართლაც არ გმართებდათ წამოსვლა, ბატონო სილოვან!

— ადვილი სათქმელია... ბიბლიოთეკაშიც არ ვისუნთქო ჩემი გიმნაზიის ჰაერით?!

ეს ისეთი გრძნობით, ისეთი თოთოლით თქვა, თითქოს გიმნაზიაში მართლაც, განსაკუთრებული ჰაერი იყო. მაგრამ ნიკო მიხვდა, რა ჰაერითაც ცოცხლობდა სილოვანი გიმნაზიაში. რა მაცოცხლებელი ძალა იყო დაგროვებული უამრავ ბავშვთან და მეგობარ პედაგოგებთან. სწორედ ეს მაცოცხლებელი ძალა ეწიოდა ნიკოსაც, როცა იგი დილით თვალს ახელდა და შემდეგ ისევ გაჩქარებით მიეშურებოდა სასწავლებლისაკენ.

— მესმის თქვენი, ბატონო სილოვან... იქნებ ახლა მაინც მოხერხდეს თქვენი დაბრუნება?

— რა ვიცი, ვნახოთ. იქნებ სიკეთე მოკვეტანოს რევოლუციამ...

საუბარი გაკვეთილების შემდეგ განახლდა ბიბლიოთეკაში, როცა ნიკომ მოწაფეები შინ გაისტუმრა და თვითონ წიგნისთვის ჩავიდა სილოვან ხუნდაძესთან.

სილოვანი წიგნების ერთ-ერთ კარადასთან იდგა. მის მახლობლად თავი მოეყარათ ია ეკალაძეს და სიმონ ქვარიანს. სილოვანის ახალგაზრდა მეგობრებს, კოლეგებს, როგორც პედაგოგიურ, ისე სამწერლო ასპარეზზე.

ია ეკალაძე ქართული ენის მასწავლებელი, ოცდათხუთმეტი წლის ახალგაზრდა კაცი, ასევე ჭაბუკი სიმონ ქვარიანი — ქართული ლიტერატურისა და ქართველი ხალხის ისტორიის მასწავ-

ლებელი. იგი ქართველი ხალხის გმირული წარსულით უაღრესად ვატაცებული კაცი იყო, ხალისიანი მოსაუბრე.

სიმონი გაცხარებით ამბობდა:

— ეს რევოლუცია, როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით სასიკეთოს არაფერს პირდება საქართველოს. მეფის ჩინოვნიკები ისევ გამოჩნდნენ ასპარეზზე, როგორც გამოზამთრებული ბუზები... ახლა მენშევიკებმა ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება და ნახავთ, რა „სიკეთეს" მოუტანენ ისინი წამებულ საქართველოს!

მართალი ხარ, სიმონ. ყველი დაუკრა იამ.— მეფის ჩამოგდება ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა... ბრძოლები, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ წინაა. სალი თვალით უნდა შეეხედოთ მოვლენებს და არ უხელა დაგვაბხიოს დღევანდელმა ვითარებამ. ვითომც ეს რევოლუცია გადამწყვეტი და საბოლოო იყოს ხატრული თავისუფლებისათვის... თქვენ რას იტყოდით, ბატონო ნიკო?

უცებ შემოხედა ია ეკალაძემ ნიკოს, თითქოს საგანგებოდ აინტერესებდა მისი აზრი თებერვლის რევოლუციაზე და მის შედეგებზე.

მაგრამ, სანამ ნიკო რამეს იტყოდა, ბიბლიოთეკის კარი გაიღო და სახეგაბრწყინებული გერასიმე ცაგარელიშვილი შემოვიდა.

— როგორც იქნა! — დაიძახა მან მხიარულად და ყველამ შენიშნა, რომ მას ხელში ქაღალდი ეჭირა და ცხადი იყო, ეს აღტაცებით ნათქვამი სწორედ ამ ქაღალდით იყო გამოწვეული.

გერასიმე სილოვანს მიუახლოვდა და ქაღალდი გაუწოდა:

— წაიკითხეთ, ბატონო სილოვან და მიიღეთ ჩემი მოლოცვა.

სილოვანმა ქაღალდი გამოართვა და ნაწერს დახედა.

სანამ იგი ტექსტს ჩაიკითხავდა, ია ეკალაძემ, სიმონ ქვარიანმა, და ნიკო ნუცუბიძემ გერასიმეს შეხედეს. არაფერი უკითხავთ. მაგრამ სამივეს გამოხედვა იმის მაჩვენებელი იყო, რომ მათ აინტერესებდათ ის სასიხარულო ამბავი, რომ სილოვან ხუციდაძეს ეხებოდა და ბუნებრივია, სხვასთვისაც საინტერესო იქნებოდა, რადგან გერასიმეს აშკარად ეტყობოდა კმაყოფილება.

— რუდოლფის დეპეშაა. ბატონი სილოვანი თავის უფლებაში აღდგენილი.

ნიკომ ეკალაძეს შეხედა

— ახლა შემიძლია გაგცეთ პასუხი წეღანდელ შეკითხვაზე. ოუ-ბერვლის რევოლუციამ გარკვეული საქმე მაინც გააკეთა, ბატონო ია... დახავსებული ცხოვრების საძირკველი შეარყია... საბუთი გნებავთ? აი დეპეშაც...

დიახ, მე რუდოლფმა კი არა, რევოლუციამ აღმადგინა. ხშირს თრთოლით თქვა აღელვებულმა სილოვანმა და რატომღაც გერასიმეს შეხედა, რომელიც სამი წლის განმავლობაში გიმნაზიის ინსპექტორი იყო. ახლა ეს ადგილი ყოფილი ინსპექტორისათვის უნდა დაეთმო. გერასიმეს აღტაცებით ნათქვამი სიტყვები, მისი წყლიანი თვალების შუქი აშკარად მეტყველებდნენ, რომ მას უხაროდა საქმის ასეთი შემობრუნება, რადგან გიმნაზიის თავკაცობა სილოვან ხუნდაძისათვის უფრო უპრიანი იყო.

სილოვანმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მეგობარს მოეხვია. გერასიმემ იგრძნო, როგორ თრთოდა ხუნდაძე.

შემდეგ სათითაოდ მიულოცეს ია ეკალაძემ, სიმონ ქვარიანმა და ნიკო ნუცუბიძემ.

სილოვანს თვალები ცრემლით აევსო.

— მეგობრებო... გაკვეთილზე რომ შევალ... — აღელვებულ კაცს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მის სახეს უცებ მკაცრი ელერი გადაეფარა, — ბატონ რუდოლფს მაინც მივწერ საკადრისს!

კართან ფეხის ხმა შიწყდა. პარმალზე იოსებ ოცხელი გამოჩნდა. სილოვანი მის დანახვაზე ისევ აღელდა. მღელვარება ისე აშკარად გამოეხატა, იოსები მიუახლოვდა, მოეფერა და დამშვიდება დაუწყო.

— ჰო, კარგი, კარგი... ხომ ხედავ, ყველაფერი გამოსწორდა... ჩვენ ერთად დავიწყეთ და სიკვდილამდე კვლავ ერთად გავწიოთ მძიმე ჯაპანი, ჩემო სილოვან!

გაზაფხული ადრე მოდის ქუთაისში, ძალიან ადრე და ისე ლამაზად, თითქოს მაშინ იბადება სამყარო, მაშინ ისახება მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა სიცოცხლე.

უსულო საგნებსაც კი სულს უდგამს გაზაფხული.

მერედა, რა ლამაზად მოირთვებიან ხოლმე უქიმერიონი და კიბული, როგორ ნაზად. ჰაეროვნად გაიფურჩქნებიან ხეთა კოკრები ბაღებში! ქუჩებსა და შუკებში სითბო დაივლის, ღობეებს

თეთრპერანგა ტყეძლები ცნობისმოყვარე გოგონებივით მოადგებიან, თითქოს ქუჩაში უნდა მოხდეს მოსახდენი — აქ უნდა ჩამოიაროს მზეთუნახავი გაზაფხულის ეტლმა.

ის კი ყველგან ერთნაირად მოედება, ნაირ-ნაირი, სულ ცოცხალი საღებავებით, მზის ალერსიანი სითბოთი და იმედებით.

ძალიან ადრე მობრძანდება გაზაფხული ქუთაისში. მაგრამ ასეთი შიმშილიანი კი არასოდეს მოსულა, ასე ხელცარიელი... ჭღიმება, კეკლუცობს ქარაფშუტა ლამაზმანივით, ტანჯული კაცის გულის სიღრმეს კი ვერა სწვდება მისი ალერსი, მისი ეშხი და სილამაზე.

ასეთი დაძაბული, ასეთი არეული წელი არასოდეს ახსოვს ნიკოს.

საქართველოში მენშევიკებმა მოიკალათეს, მეფის ჩინოვნიკებმა ძველი ადგილები შეინარჩუნეს. პატარა ქალაქს მალე გაუნელდა თებერვლის რევოლუციით გამოწვეული სიხარული!

სწორედ გასაჭირის ჟამს გამოღოღდება ხოლმე ასეთი ურჯულო, სპეკულანტი, ქურდი და ჯიბგირი, კაცის მკვლელი და ყაჩაღი...

ქვეყანას გაჭირვება სახადივით დაერია. პურის დუქნებთან, სასურსათო მაღაზიებთან რიგები გაიქიმა. პურის მაღაზიაო... სადღა იყო პური! ზეთზე გამომცხვარ მქადზე მთელი ღამე იდგა ხალხი რიგში. გაწყდა ნავთი და ასანთი.

ქუთაისის ქუჩებში ტურფა გაზაფხულის ეტლით შიმშილი დანავარდობდა მეფური სიამაყით.

ნინო და ნიკო ორი პატარა ბავშვით დროებით გვარამაძეებისას გადასასლდნენ — ნინოს თავისიანებთან ერჩივნა ყოფნა. ხავადსკისას საქირავები ოთახები ისევ ჰქონდათ. რადგან ნიკო ღამეს აქ ათევდა. მუშაობდა. ზოგჯერ კი გვარამაძეებისას რჩებოდა.

ერთხელ სიმამრის ბინიდან შომავალმა სადგურის ქუჩიდან წითელი ხიდისკენ გასწია. ამ ბოლო დროს ყოველთვის გულდამწვარი და აღელვებული შიდიოდა გიმნაზიაში. ქუჩებში პურისა და სასურსათო დუქნებთან ღამენათევ, უძილოსა და დაუძლურებულ ხალხს რომ ხედავდა, გული ეკუმშებოდა და ისეთ ცუდ გუნებაზე დგებოდა, სამასწავლებლოში კარგა ხანს ებრძოდა გრძნო-

ბებს. რომ როგორმე მაწნეობა მოეკრობა. გულში იმედის ერთი სანთელი მაინც აებჟუტებინა, თავად კუჭმომწვარსა და შიმშილ თ თავბრუდახვეულს რაღაც გამამხნევებელი სული მიეტანა კლასში მოწაფეებთან.

არავის ულხინდა.

კეკლუცობდა გაზაფხული და ალბათ. ბუნების ეს „თვალთმაქცობა“ უფრო მეტად აღიზიანებდა ადამიანებს.

ნიკო გიმნაზიისკენ ისეთ ქუჩებს ირჩევდა სასიარულოდ, სადაც ნაკლებად იყო პურისა და სასურსათო დუქნები.

ერთხელ ბაღის კიდესთან რომ გამოვიდა, თვალი მოკრა გერასიმე ცაგარეიშვილს. გაუკვირდა. ბოძს მიყრდნობილი, ასე გატაცებით რას უყურებსო. მაგრამ ხომ შეიძლება ბაღში ლამაზი ყვავილი შენიშნა, ანდა თვალს ადევნებს ბალახში მობულრაკე ფრინველებს. ასეთ თბილ დღეებში ჩიტებს ერთი ამბავი აქვთ, ერთმანეთს ეხლებიან, ჭიკჭიკებენ თავდავიწყებით — სიყვარული მათ პატარა გულებშიც ბუდობს. ლაღობენ ქორფა ბალახსა და ახლად შემწვანებულ რტოებში. მზის სხივების თბილ წვიმაში. სანეტარო სანახავი ბევრი რამ არის გაზაფხულზე.

გერასიმე გაქვავებული მიყრდნობოდა ბოძს და თავი დაეხარა. ნიკომ დაინახა, გერასიმე რაღაც დიდ ტკივილს მიეჯაჭვა ბოძზე.

ბულვარზე გამვლელი რამდენიმე კაცი შეჩერდა. მაგრამ ყველას ნიკომ მიასწრო და შეშფოთებით ჰკითხა ცაგარეიშვილს:

— რა დაგემართათ, ბატონო გერასიმე?

კაცს მიტკლისფერი ედო სახეზე. უძლურად და სევდიანად მოიხედა.

ნიკომ ხელი მოჰკიდა. გერასიმე მძიმედ მინებდა. ბაღის ბორდიურზე მიუთითა, დამავითო.

ცნობისმოყვარე გამვლელები ერთ წუთს კი გაჩერდნენ, მაღე წავიდნენ. რადგან კაცს პატრონი გამოუჩნდა.

ნიკომ გერასიმე ბორდიურზე ...

— რა მოგივიდათ, მითხარით.

— არაფერი... ისე... თავბრუ დამეხვა.

— მე ახლავე ეტლს მოვიყვან... შენ წავიდეთ.

— არა. გეთაყვა. ძაგაზე ნე შეწუხდებით... ნახეთ, სულ გამოვლის და გიმნაზიაში ერთად წავიდეთ.

გერასიმემ სახეზე ხელი მოისვა, რომ თავბრუსხვევა გაქარ-ეებოდა. თვალები ისევ უკრელდებოდა, ფერად-ფერადი რგოლ-ები ერთმანეთში ერეოდა და მხედველობას უშლიდა. ცალ ხელში ნიკოს ხელი ეჭირა და არ უშვებდა. ნიკო გრძნობდა, როგორ თრთოდა მისი ხელი, ათასმა საშინელმა აზრმა გაუელვა და ყველაფერი ერთ უსაშინელეს აზრში მოთავსდა — „ნუთუ ეს ბოლოა?"

სულ მალე გერასიმე ცაგარეიშვილმა სეედიანად გაღიმა.

— აი, ხომ ხედავ. გამიარა... სიბერე. სიბერე, ჩემო ნიკო... შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, ღმერთმა კარგად გამყოფოს!

— რა დროს თქვენი სიბერეა, ბატონო გერასიმე! — რაღაც ხომ უნდა ეთქვა კაცს გულის გასაკეთებლად.

— ორმოცდაათს რომ გადაებიჯებ, უკვე სიბერეა და მერე ასეთ დუხჭირ ცხოვრებაში, ორმაგად სიბერე... ეჰ, მოდი ნელ-ნელა გავწიოთ გიმნაზიისაკენ. ჩვენი ცხოვრება მაინც იქ არის, ჩვენი აზრი და სულისდგმა...

თავს ძალა დაატანა და წამოდგა. რამდენს არ ემუდარა ნიკო, სჯობს ახლა შინ წავიდეთ და მოისვენეო, გერასიმე ცაგარეიშ-ვილმა თავისი გაიტანა და არ მინებდა. თავს უკეთ გრძნობდა და ნიკოს ხელკავი გაუკეთა, მძიმედ მიენდო და ნაბიჯიც გადადგა.

— აბა, გეთაყვა, ვიაროთ...

ნიკო საერთოდ ჩქარ სიარულს იყო ჩვეული, მაგრამ ამ ბოლო დროს შიმშილობამ ისე დაუძლურა იგიც, დამძიმდა და ნაბიჯიც ხანდაზმული კაცისა გაუხდა.

ნელა გასცდნენ ბაღის კიდეს. ვიწრო ქუჩას ჯაჭვის ხიდისკენ გაჰყვნენ.

გერასიმე ერთხანს ხიდზე შეჩერდა. მჩქეფარედ მიმავალ რიონს გადახედა. ვაზაფხულის წყალდიდობას მთლად გადაურია მდინა-რე, ძალოვნად მიდგაფენობდა ლონიერი, მღვრიე, გეგონებოდათ ქვეყანას წალეკვას უქადისო. კალაპოტი ევიწროებოდა და შმა-გობდა.

— ეჰ, ამის [illegible] ძალა [illegible] რაღაც ისეთი სურვილითა და ნეტარებით თქვა ცაგარეიშვილმა, თითქოს მართლა შესაძლებელი ყოფილიყო მდინარის ძალა კაცს მისცემოდა. მერე სეედიანად გაეცინა და ნიკოს შ[illegible]

მიყვარს რითი, ასეთი მდინარე ალბათ მთელ მსოფლიოში არ არის. სათავიდან შესართავამდე ხულ დაცვლილი მაქვს მისი ნაპირები... შეუდარებელია, შეუდარებელი! უყურებ და ძალას გმატებს, ვამხნევებს, არ დაიცა, არ წახდე, მუდმივად იმოქმედო... და ჩვენ რა უფლება და ძალა გვაქვს, ბუნების ამ მოწოდებას არ დავემორჩილოთ!.. წავიდეთ, ოღონდ გაკვეთილებზე დაგვაგვიანდება და უსერხულია, რასიფ ქრებენ ყმაწვილები!

თითქოს, მართლა მდინარეს შთაგონა და შემატა ძალაო, კაცმა ცოტა ხალისიანად და ძალაშემატებულად გადადგა ნაბიჯი, ნიკოს ხელის შეშველებაც აღარ დასჭირდა, მხნედ მივიდა გიმნაზიის კარამდე.

ნიკოს პირველი გაკვეთილი მეოთხეკლასელებთან ჰქონდა რუსულ ენაში. ათი ყმაწვილი უკვე მესამე დღეა არ დაიარებოდა, ყველაზე უღარიბესნი. რომელ ერთს გაუწვდი დახმარების ხელს, ან რით დაეხმარები თვითონ კეკეშოშვილი!

ძალიან ცივი და აუტანელი დღეები დადგა. იმედი ისღა იყო, რომ მალე ფხალი და მწვანილი შემოვიდოდა, მწვანილს ხილი მოჰყვებოდა, და ცოტა პურიც გაჩენილიყო ამქვეყნად

შეაყურებს ნიკო ყმაწვილებს. გამოიძახებს ერთს. მეორეს, ფერმკრთალს, ძალაშალეულს. დაყვავებით გამოკითხავს, ცდილობს ილარსიანი სიტყვით შეუმსუბუქოს ყმაწვილს დუხჭირი ცხოვრების ის. ერთი ტანჯული დღე მაინც. და როგორი სიამაყის ვრძნობა ეუფლებოდა. როცა ნახევრად შიშველი, შიშველით დაოსებული ყმაწვილი გაკვეთილს კარგად უპასუხებდა. ეს ნამდვილი ბედნიერება იყო, ეს იყო მისი სულის ყველაზე დიდი საზრდო. ეყურებდა მოწაფეს და გულში დიდი იმედი ესახებოდა, რომ სწორედ მისგან, სწორედ ასეთი ყმაწვილისაგან დადგებოდა კაცური კაცი. ავიწყდებოდა შიშველიც. სხვა ბევრი უსიამოვნებანი.

გაკვეთილი რომ დამთავრდა, ნიკომ სამასწავლებლოს მიაშურა. ... ამ ბოლო დროს სამძიმარზე მიმსვლელთა მსგავსად მდუმარედ შედიოდნენ მასწავლებლები თავიანთ საკრებულოში. თითქოს ერთმანეთს ეშინოდეთ. უდილობდნენ ათოფერი ეთქვათ. გაძელ მაგიდას მიუსხდებოდნენ. თავს ქაღალდებში ჩარგავდნენ. ხოგი ბოლთას სცემდა. ხოგი ფანჯრიდან ქუჩას გაპყურებდა.

დერეფნებში თითქმის მიყუჩდა ყმაწვილების ყივილ-ხივილი. ცხოვრება უმძიმეს ტვირთად დააწვა ყველას, დიდსაც და პატარასაც. თითქოს აუტანელი გახდა ეს მცირე შესვენებებიც კი. ზარი დაირეკებოდა, თუ არა, მასწავლებლები ჟურნალს წამოავლებდნენ ხელს და კლასებისაკენ ისე მიეშურებოდნენ, თითქოს იქ ჰპოვებდნენ შვებას.

გერასიმე ცაგარეიშვილი შუა გაკვეთილზე ცუდად გამხდარა. გიმნაზიელებს იოსებ ოცხელისთვის შეუტყობინებიათ. ოცხელმა მიაშურა საკლასო ოთახს და დერეფანში გამოიყვანა ცაგარეიშვილი, მერე ეტლისთვის აფრინა ბიჭები, მათვე ჩააბარა მასწავლებელი და შინ გაისტუმრა.

შეწუხებული იყო გიმნაზიის დირექტორი. როცა მასწავლებლებმა თავი მოიყარეს და ეს ამბავი გაიგეს, ისინიც ძლიერ შეწუხდნენ. სამასწავლებლოში თავდახრილი და დაფიქრებული იდგა ოცხელი. ყველანი მას მისჩერებოდნენ.

— ასეთი აუტანელი ცხოვრება დაგვიდგა, ბატონებო! — თქვა მან მრავალმნიშვნელოვნად, თავი ასწია და სათითაოდ შეხედა იქ მყოფთ.

არვის ულხინდა, არც მასწავლებელს, არც მოწაფეს, მაგრამ ზარი მაინც ირეკებოდა, გაკვეთილები გაკვეთილებს მისდევდა, სწავლობდნენ და ასწავლიდნენ, რადგან სწავლაც ბრძოლაა, ბრძოლა არსებობისათვის.

პატარა დათო შეუძლოდ გახდა და ნინომ თავის და-ძმებს გაეიოდა. პატარა კუკური გვარამაძეებისას დატოვა, თვითონ ისევ ხდანოვიჩის ქუჩაზე ნაქირავებ ბინაში დაბრუნდა.

წუხდა მოხუცი ზავადსკი, საზრუნავი და საფიქრალი გაუჩნდა. აფთიაქში წამალი რომ არ იშოვებოდა, ის წამალი სამხედრო ქალაქის აფთიაქიდან გამოჰქონდა.

ნიკოს ძილი არ ეკარებოდა. ნინო სიცხიან შვილს ღამეებს უთენდა. რა სახადი იყო უკურნებელი, ექიმები ვერაფერს შველოდნენ, წამალს ძალა არა ჰქონდა.

ამაყსა და მუდამ წელში გამართულად მოსიარულე ზავადსკის თავისი ცხოვრების მანძილზე. ბრძოლის ველზე თუ მშვიდობიანობისას, ბევრი სიკვდილი უნახავს, ბევრი ნათესავ-მოყვარე, ბევ-

რი მეგობარი დაუტირებია, მაგრამ ამ სიბერეში პირველად შეეს-წრო პატარას სიკვდილს.

ეს იყო პირველი ძლიერი და ულმობელი დარტყმა ნიკო ნუ-ცუბიძის ოჯახში.

...დათოს დაკრძალვის შემდეგ ძალიან გაუძნელდა გიმნაზიაში წასვლა. მიდიოდა ნელა შიშის იდუმალი განცდით. ისეთი გრძნობით, თითქოს მას დიდი თუ არა მცირე დანაშაული მაინც მიუძღოდა დათოს დაკარგვაში.

გლოვის დღეებში მთელი გიმნაზია, ქუთაისის მთელი ინტელი-გენცია, ნათესავ-მოკეთეები, მეგობრები მის გვერდით იყვნენ... მაგრამ მალე ულმობელმა სიცარიელემ დაისადგურა ირგვლივ.

პირველი წუთები სამასწავლებლოში: მეგობრების მწუხარე-ბის თანაგრძნობით გამოხედვა. ზოგიერთის მანუგეშებელი სიტ-ყვა. ზოგისგან უსიტყვო მოფერება... დუმილი, ჩურჩული, გლო-ვის გამოძახილი...

პირველი გაკვეთილი: არა, ყოველთვის ასეთნი არ იყვნენ ეს მესამეკლასელი ონავრები. სხედან განაბულნი და ისე მისჩერე-ბიან მასწავლებელს, თითქოს საკმარისია, მის თვალში ცრემლის ერთი წვეთი დაინახონ — გულამომჯდარნი ატირდებიან... მათი ცრემლი კი კარგად ახსოვს ნიკოს, როცა გლოვის ჟამს მთელმა გიმნაზიამ მის წინ სამძიმარის სათქმელად ჩაიარა.

მართლა უმძიმესი იყო პირველი გაკვეთილის რამდენიმე წუ-თი. ნიკომ კვლავინდებურად მოსთოკა მღელვარება და გიმნაზიე-ლებს მიმართა:

— აბა, ყმაწვილებო, რაზე გვქონდა ლაპარაკი წინა გაკვეთილ-ზე?

მაგრამ ყმაწვილთა სმენას ვერ გამოაპარებდა ხმაში გარეულ ბზარს...

მეორე გაკვეთილი: იცის ნიკომ, რომ აქაც დახვდება თანა-გრძნობის მძიმე დუმილი.

მესამე გაკვეთილი: იგივე გრძელდება.

მეოთხე გაკვეთილი: როცა ნიკო მოწაფეთა კვარებს კითხუ-ლობდა და წყალტუბოელი ნიკარაძე ამოიკითხა, ყმაწვილმა თავი ვერ შეიკავა და ქვითინით უპასუხა. აქ გახლავართო... მერე უცებ დაჯდა, თავი ხელებში ჩარგო და დიდხანს გულამომჯდარი ტირო-

და. მასწავლებელი კვერდით მიუჯდა. მხარზე ხელი მიიდო, მიეფერა. გული ძლივს დაუშოშმინა.

— რა გულჩვილი ყოფილხარ, — შენიშნა ნიკომ. ერთხელ კიდევ ალერსით გადაუსვა ხელი თავზე და წამოდგა. ვინ იცის, მის გულში ამ დროს რა გამოუნელებელი ცეცხლი ტრიალებდა.

მოხდა ოქტომბრის რევოლუცია.

მთელი ძალით გამობრწყინდა ლენინის სახელი.

...მაგრამ საქართველოსთვის ჯერ კიდევ შორს იყო პეტროგრადში დანთებული ცეცხლის ელვარება. მისმა სითბომ ჩვენამდე მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ მოაღწია.

მანამდე კი...

მანამდე საქართველოს შავი ღრუბელი ეფარა. რევოლუციური ნაღვერდალი კი ღვიოდა.

ერთ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, როცა გიმნაზია დაცარიელდა, მიწყდა მოწაფეთა ყიჟინა და მასწავლებლებიც შინ წავიდნენ, გიმნაზიის ბუღალტერს, ისიდორე წიგნიაძეს, თავის კაბინეტში ელოდა იოსებ ოცხელი.

ბანკში დილით ადრე წაიელი ისიდორე ნაშუადღევსაც არ ჩანდა. ეს პირველი შემთხვევა არ იყო, ბუღალტერი რომ აგვიანებდა. მასწავლებლებს ხელფასი დროზე არასოდეს მიუღიათ. მთელი დღე ბანკის სალაროსთან აყუდებული ისიდორე ბევრჯერ ხელცარიელი დაბრუნებულა. მეორე დღეს, უთენია, ისევ იმ სალაროსთან იყო გახევებული.

თუკი ხელფასს დაგვიანებით მოიტანდა, დირექტორის ოკრის ყუთში ინახავდა, მეორე დღეს კი მასწავლებლებს ურიგებდა.

ბუღალტერის მოლოდინში იოსებ ოცხელი იმ დღეს გიმნაზიის საქმეებზე მეშაობდა. საერთოდ ყოველთვის რჩებოდა ხოლმე სასწავლებელში. საორგანიზაციო საქმეს უფრო უკეთ ეტანებოდა მაშინ, როცა გიმნაზიის კედლებში სიწყნარე დაისადგურებდა.

სასწავლო წლის მიწურული იყო და ქვეყნის საქმე დაუგროვებიათ. მასწავლეთა გამოსაშვები გამოცდები კარზე მოადგა.

ზაფხულის ცხელი დღე იყო, მაგრამ ნაშუადღევს ბიონის ხეივანში მაცოცხლებელმა სიო ჩამოიქროლა მთებიდან და სალამი

ხანს, მხე რომ გადაიხარა, ისე აგრილდა. კაცი სული მოითქვა.
და.

ისიდორე გამოჩნდა. ჩანთით ფული მოიტანა და სული ოცხელის კაბინეტში მოიბრუნა.

— მადლობა ღმერთს, დღეს მაინც გვრგებია.. გაწვალდი, ისიდორე! — თანაგრძნობით შეხედა იოსებ ოცხელმა და რკინის ყუთი გახსნა ფულის ჩასაწყობად.

— ჩემს წვალებას ვინ ჩივის, ბატონო იოსებ... ბედნიერებაა, ხვალ და ზეგ ბანკში მისვლა რომ აღარ დამჭირდება... — ფულის რამდენიმე დასტა ამოიღო ისიდორემ და ყუთში ჩააწყო. ბერე ცოტა ხანს იჯდა, დაისვენა და შინ წავიდა.

ამის შემდეგ იოსებიც არ დარჩენილა დიდხანს. ფანჯარა მიხურა, კარი გამოკეტა და შინისაკენ გასწია. მთელი დღის მშიერმა გადაწყვიტა რამე ეჭამა და ისევ გიმნაზიაში დაბრუნებულიყო საშუშაოდ.

დარაჯად ერთი შუახნის კაცი ყოვდათ. ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. გიმნაზიის დერეფნებს უელდა, ათვალიერებდა, სადმე ფანჯარა ღია ხომ არ დარჩათ, ანდა მოწაფის შემთხვევით დანატოვარი ნიეთი რაიმე ერთი სიტყვით, მთელ შენობას შ მოიარდა. საღარბაზო კარს დაკეტავდა და შინ მიდიოდა. იქვე, გიმნაზიის ეზოში ცხოვრობდა და თვალი იერდანაკ ეჭირა.

შებინდებული იყო. იოსები შინიდან რომ დაბრუნდა. ფრანგების ეკლესიის გვერდით ცხოვრობდა და გიმნაზიამდე საკმაო მანძილი ჰქონდა გასავლელი. რიონზე გადებული ხიდი რომ გადაიარა, ორ თაეის გიმნაზიელს მოეკრა თვალი, კობახიძეს და თვალჭრელიძეს. ისინი წყლის ამოვრეებდნენ სასწავლებელს. ნიშიერი ყმაწვილები იყვნენ. ერიერდ არ ეწელოსნენ. [illegible] ეკ[illegible]ში იყვნენ. როცა ცა ქუდად არ მიაჩნიათ და ეიეამწა ქალაბნ[illegible]. [illegible] ყმაწვილი თავს დროსტარებენ და ქეიფში სცდის. [illegible]მასდობაში ტ[illegible] [illegible]ავიდ[illegible] უდებს. ბუშტს კ[illegible]ც [illegible]ვარჯიშებს... [illegible] დაღვინების ჟამია და ამ დროს აფორიაქებულია ყმაწვ[illegible] სისხლი...

მოდიოდნენ [illegible] თვალხატული ბიჭები. ოცხელის დანახვაზე ერთიც კი შეკრთნენ, შეჩერდნენ და თავი მღაბლად დაუკრეს.

— აქეთ საით ყოფილხართ, ყმაწვილებო?

გენძეხაძესთან გახლდით, პატივცემულო მასწავლებელო, ცოტა არ იყოს დაბნეულით მიუგო თვალჭრელიძემ.

— ვიმეცადინეთ, — დაუმატა კობახიძემ.

— აბა. თქვენ იცით, გამოცდებზეც თუ კარგ ნიშნებს მიიღებთ. — სიამაყით შეხედა ოცხელმა თავის მოწაფეებს.

— არ შეგარცხვენთ, პატივცემულო მასწავლებელო!

აჩქარდნენ კობახიძე და თვალჭრელიძე, ოცხელს თავი დაუკრეს და სწრაფად გაშორდნენ.

ოცხელმა გიმნაზიას მიაშურა. დარაჯი კართან არ დახვედრია. ალბათ, სადმე დერეფანში დაბორიალობდა.

იოსები კაბინეტში შევიდა, სინათლე აანთო და უცებ ელდა ეცა. რკინის ყუთი, რომელიც ჩვეულებრივ კამოდზე ედგა ხოლმე, სკამზე იყო გადმოდგმული. არასოდეს მისთვის მეხსიერებას არ უღალატია და არც ახლა ღალატობდა. ყუთის საკეტი ვიღაცას გაეტეხა და ფული პირწმინდად წაეღო.

გაოგნებული და ელდანაცემი კაცი ერთხანს გახევებული იდგა. რა ექნა, არ იცოდა. რა პასუხი გასცეს მასწავლებლებს? ორიოდე გროშს ელიან და ისიც არ მისცე?! რომელი ავაზაკი შემოიჭრა მის ოთახში, ვინ ხელყო მასწავლებელთა მთელი თვის სარჩო? თავბრუ დაეხვა, სკამზე დაჯდა და როცა გონება ცოტათი დაეწმინდა, რაღაც ავად მოეჩვენა ხიდთან შემოფეთებული კობახიძისა და თვალჭრელიძის დაბნეულობა.

— ღმერთო შეგცოდე... ნუთუ?! — ამის გაფიქრებამ უფრო მეტად დასცეცხლა. იმ წუთებში სიკვდილი ყველაფერს ერჩია. გამწარებული კაცი კარს ეცა და ბნელ დერეფანში გასძახა:

— სტეფანე! სტეფანე!

სტეფანე ხურეილავა, სკოლის დარაჯი, დერეფნის შორეულ კუთხიდან გამოეხმაურა, ახლავე გეახლებით, ბატონო.

სტეფანე აქაქანებული მოვარდა. იოსებ ოცხელი თავის მაგიდას მისჯდომოდა და ცდილობდა როგორმე დამშვიდებულიყო.

— სტეფანე, დაჯექი, გეთაყვა.

დარაჯი ჩამოჯდა.

— აქ, ხომ არავინ შეგომჩნეია, სტეფანე?

— სად, ბატონო იოსებ?

— აქ, შენობაში... ამ ცოტა ხანში...

არა, ღმერთო გეფიცებით! მოხდა რამე? — ხმაში ბზაოი გაუჩნდა შემკრთალ სტეფანეს.

არა, ისეთი არაფერი... — თავი გააქნია იოსებმა და ცოტა ხ.ის გაქვავდა. აღელვებას არ იმჩნევდა, გული კი აშოვარდ ხ ; აქონდა. მერე სტეფანეს სთხოვა:

— შენი ჭირიმე, სტეფანე. აბა ერთი, „ზასტავაში" მიდი და სასწრაფოდ მომიყვანე მოსწავლე გენძეხაძე...

— აი, მაღალი, ხუჭუჭთმიანი რომ არის?

— ჰო, ისა. ხუჭუჭთმიანი... მაპატიე, შენი ჭირიმე, გადაუდებელი საქმე მაქვს მასთან. უთუოდ მომინახე.

— ახლავე გეახლებით, ბატონო იოსებ. — დაფაცურდა სტეფანე.

სანამ სტეფანე დაბრუნდებოდა, ვერ მოისვენა, დერეფანში გავიდა და ბოლთა იქ დასცა. ნერვიულობდა.

სტეფანე მარტო არ დაბრუნებულა, გენძეხაძე მოიყვანა.

იოსებ ოცხელმა ყმაწვილკაცსაც ბოდიში მოუხადა. შეგაწუხე ასე გვიანო.

უცებ გამახსენდი... კარგი ხელწერა გაქვს და სამინისტროში გასაგზავნი აბიტურიენტების სია შენ უნდა გადაიწეროო..

— გადაგიწერთ, ბატონო მასწავლებელო... მაგაზე შიხდით ბოდიშს?! — შეიცხადა გენძეხაძემ და საწერად მოემზადა.

შენ გაგახარა ღმერთმა, კარგი კაცი ხარ. მოიფერა ოცხელი. სტეფანეს მადლობა გადაუხადა და გაისტუმრა. გული კი საგულეს არ ეტეოდა. ოთახში ბოლთას სცემდა. ვიდრე გენძეხაძე აბიტურიენტთა სიას წერდა.

იოსები ფიქრით თავს იტეხდა. იყვნენ თუ არა ამ ცოტა ხნის წინ კობახიძე და თვალჭრელიძე გენძეხაძესთან.

„ო, ღმერთო ჩემო, — გულში მწარედ ფიქრობდა იოსები. — ვინ იცის, ამ ეშვით რა ცოდეს ვიდებ! იქნებ იყვნენ. ბერეფა ამით რა? იყვნენ და შემდეგ გამოიარეს გიმნაზიაში მაგრამ ნინ კი?"

გენძეხაძემ სიის წერა დაამთავრა.

— აგაშენა ღმერთმა! კიდ ერთხელ დალოცა ოცხელმ ფურცელ ისე გადადო გვერდზე, არც კი დაუხედავს.

— დრო წაგართვი, ბოდიშს ვიხდი. გამოცდებისათვის ეშზადები?

დიახ, ბატონო მასწავლებელო, ვეშზადები.

მათემატიკაში უნდა აჭოქაჩო... გაკირდა. ამხანაგები ხომ გეხმარებიან?

— მარტო ემეცადინეობ, რაც შემიძლია...

ოცხელი შეცბუნდა. მაგრამ არ შეიმჩნია. გულმა ჩხვლეტა დაუწყო. ფანჯრისკენ წავიდა. აღელვება არ შემატყოსო, თავს ძალა დაატანა და მოწაფეს მიუბრუნდა.

— მარტო ძნელია, როცა გაკირს... შენ გაკვს ძლიერი ამხანაგები. სთხოვე... დღეს თუ იმეცადინე?

ყოველდღე ვეშზადები.

დღესაც მარტო?

მარტო, ბატონო მასწავლებელო.

ოცხელს მეტი არაფერი უთქვამს. გენძეხაძის ნაწყრი აიღო და ვადახედა. ყვირიმალები ალბათ შესამჩნევად უთრთოდა.

კარგი, თავისუფალი ხარ, გენძეხაძე... დახმარებისათვის, გმადლობ.

გენძეხაძე წავიდა. დერეფანში მიწყდა მისი ფეხის ხმა. იოსებმა თავზე შემოიწყო ორივე ხელი და მწარე საგონებელს მიეცა. ასტეხოს განგაში? შეყაროს ქვეყანა? ცხენში უკრას თავი ყმაწვილებს? ახლა, როცა ცხოვრების დიდ გზას უნდა დაადგნენ... რა ვასწავლეთ, როგორ აღვზარდეთ?! სად შევედით, რა გამოგვეპარა, რა ვერ გავითვალისწინეთ? დალახვროს ეშმაკმა. მსგავსი რამ ჩვენს გიმნაზიას არ ახსოვს და აჰა, თავის მოკრა და მერე როგორი! სვალ რა პირით დავეწახო ბუღალტერს, მასწავლებლებს...

ერთადერთ კამოსავალს იმაშიღა ხედავდა, რომ, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ფული ამაღამვე უნდა ეშოვნა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ოღონდაც მთელი თავის უძრავ-მოძრავი ქონება დაეგირავებინა. ყველაფერი გაეყიდა...

თავზარდაცემული კაცი ფიქრობდა გულმაგრად ყოფილიყო და საქმე როგორმე მოეგვარებინა. მაგრამ სულ სხვა იყო ფიქრის

ის ნაწილი, რომელიც მოწაფეებს ეხებოდა, ეს უფრო ულრნებდა ჯულს, რადგან ადამიანის სინდისს ვერანაირ ფასს ვერ ადებდა.

ნათესავებში ყველა ეგულებოდა, რომელიც ფულს უშალიდა: ეს არა, მისი გულისთვის რწყილს გაატყავებდა.

ფული ამ კაცმა უშოვნა პროცენტიანი სესხით. ღამის ორ საათზე შინ მიაღწია.

ბოლო ღამის უძილო, მტანჯველი ფიქრით მოღლილი ოსტელი უთენია გიმნაზიაში მივიდა და ფული რეკინის სეიფში ჩაკეტა.

დადგა ქამი ფულის დარიგებისა. როცა ისიდორეს ოსტელს მიაკითხა და რეკინის ყუთი გახსნეს, ბუღალტერმა გაკვირვებით შეხედა დირექტორს. ოსიბეს დანა პირს არ უბსნიდა. ისიდორეს მაინც შებედა:

ხომ არ მეჩვენება, ბატონო ოსებ... ფული დასტა-დასტად აყია...

კარგად გახსოვს? — რაღაც ისეთნაირ კილოზე ჰკითხა ოსებმა, ისიდორე დაიბნა და ხმა აღარ ამოუღია.

ვალი ვალად და ყმაწვილების ყოსმათი მძიმე ტვირთად!

გულში ჩამარხული დაიდი კი ღვიოდა მანამდე, სანამ კაბოცდები არ დამთავრდა და ერთ დღეს სამინისტროს მიერ დამტკიცებული ატესტატები საზეიმო ვითარებაში არ დაურიგა ოსტელმა გიმნაზიის კურსდამთავრებულებს.

ატესტატების გადაცემისას საზეიმო განწყობილება სუფევდა. ოსტელი თავად ურიგებდა სიმწიფის მოწმობებს. ულოცავდა გიმნაზიის დამთავრებას და ცხოვრებაში ბედნიერ გზას უსურვებდა. ყოფილ მოწაფეებს.

მაგიდას, რომლის მახლობლადაც იდგა სახენათელი ოსებ ოსტელი, რამდენიმე მასწავლებელი და სილოვან ხუციძეც უსხდნენ. აქვე იყო ნიკო სუცუბიძეც, რომელიც მღელვარებით განიცდიდა დღევანდელ საღამოს.

ოსტელი ამიტურიენტებს თითო-თითოდ იძახებდა. მაგრამ და ... ,რომ სიას აღარ ჩახედა, ატესტატებში ორი ამოარჩია, გადაფურცლა, სიმნებს ჩახედა, მერე დამსწრეთ გადაავლო თვალი და ... ორი ყმაწვილკაცი ერთად მიიხმო.

კარგ ხალხ და თავლეპრეულიძე!

წამოდგნენ. სხარტად გამოვიდნენ, ოცხელს მიუახლოვდნენ და შეხედეს.

ოცხელმა გულის გამალებული ფეთქვა იგრძნო. ორი ატესტაცი ცალ-ცალკე ეპირა. როგორც სხვებს, მათაც მიულოცა გიმნაზიის დამთავრება, უსურვა ცხოვრების ბედნიერი სარბიელი, მერე წინ გადაიხარა და ხმადაბლა, ისე, რომ სხვებს არ გაეგონათ, კბილებში გამოსცრა:

— ის ამბავი კი თქვენს სინდისზე იყოს!

და, მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ: ორივე უმაწვილკაცმა ერთდროულად დაიჩოქა და მათაც ხმადაბლა, მაგრამ მუდარით წარსთქვეს:

— გვაპატიეთ! დამნაშავენი ვართ!

ამ ამბავის საიდუმლო ვერავინ გაიგო. ვერც ვერავინ გაიგებს ამ ვაჟკაცების ვინაობას, რადგან ამ სტრიქონების ავტორმა მათ გვარები შეუცვალა. ისინი შემდგომ სახელოვანი ადამიანები დადგნენ და ეშმაკის მაცდურობით ჩადენილი უღირსი საქციელის გახსენება ალბათ კარგა ხანს სირცხვილის ცეცხლს უკიდებდა ორივეს გულს.

1919 წლის 27 თებერვალს ქუთაისის ქართულ გიმნაზიას უბედურება დაატყდა: იოსებ ოცხელი გარდაიცვალა.

წავიდა კიდევ ერთი ამაგდარი კაცი და გული მოუკლა ათას ამაგდარს. მოკეთეს, კოლეგას, მოწაფესა და ნამოწაფარს...

ერისკაცის დაკარგვამ მთელი ქუთაისი შეძრა, საქართველოს მრავალი კუთხე დაამწუხარა.

გიმნაზიაში სწავლა რამდენიმე დღით შეწყდა.

ოცხელის ცხედარი გიმნაზიის შენობაში დაასვენეს. იქაურობა ძაძებით შემოსეს. ისედაც უკმურ დღეებს გლოვის ზარი მიემატა.

დუმდნენ გიმნაზიის კედლები. მძიმედ, ძალიან მძიმედ ჩადუღაბებულიყო ამ დუმილში მწუხარება.

დაკოძალვას ზღვა ხალხი დაესწრო. პროცესიას წინ მიუძღოდა დეკგმირი ჭაბუკი კოლია ქუარიანი, რომელმაც საეკლესიო დროშა გაწვდილი მარჯვენით მიიტანა სასაფლაომდე. კუბო მხრებით ზიდეს ცოტამლით დახამულ გზაზე. აიარეს საფიჩხიის აღმართი. სასაფლაოს ფარღალალა კარს მიადგნენ...

სამუდამო სამყოფელის კარი ყველასათვის მუდამ ღიაა. ღმერთი ისე გასწყრომია კაცთა მოდგმას, კარის დაკეტვა დავიწყებია...

პროცესია მიდის მდუმარედ. ისმის აუარება ხალხის ფეხის შარიშური, თითქოს უძლური, მძიმე ფრატუნი. აქა-იქ თაეწეკავებით ქვითინებენ.

არავინა თქვას, მდუმარებას ძალა არა აქვსო. მწუხარების ჟამს ბობოქარია და დაუდგრომელი, გულსა და სულს რომ აწვება... გონებაში ყრუდ ისმის მისი იდუმალი ძახილი.

ნიკო რამდენჯერმე შეეშველა კოლეგებს. კუბოს მარჯვენა მხარს უდგამდა... მანამდე კუბო არც აუწევია... რა უმძიმესი ყოფილა! ახლა უბრალო მიცვალებულის კი არა, რაღაც უფრო დიდსა და განუზომლად მძიმე ტვირთს გრძნობდა თავის მხარზე. ამ კუბოში ერთად ესვენა კაცური კაცი, თავდადება, ნათელი გონება, დიდი აზრი, კაცთა სიყვარული, ამა ქვეყნის ტრფიალი... აი, სწორედ ამ სიმძიმეს გრძნობდა ნიკო. მრავალი კეთილი თვისება თან მიჰყვებოდა იოსებ ოცხელს.

კუბო სამარესთან დაასვენეს.

მიწყდა ჩოჩქოლი. ითქვა გამოსათხოვარი სიტყვები. მაგრამ ყველაზე გულში ჩამწვდომი მაინც მასწავლებელ დეკანოზ აბესაძის ნათქვამი იყო.

— შენი მუდმივი ძეგლია შენს მიერ განათლებული და გათვითცნობიერებული ახალგაზრდობა, — მიმართავდა იგი სამუდამოდ დადუმებულ ოცხელს. — ისინი თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს ნათლად დაუხატავენ შენს სხივმოსილ პიროვნებას, როგორც კეთილ მისაბაძ მაგალითს და ჩაუნერგავენ გულში შენდამი მიბაძვის სურვილს. შენი ძეგლის წარწერა, შენი ეპიტაფია იქნება ის ძვირფასი სტრიქონები. რომელსაც პირუთვნელი, მიუდგომელი და გულწრფელი ისტორიკოსი, გაატარებს რა კრიტიკის ქარცეცხლში შენს შოომას, მოქმედებას, ოქროს ასოებით აღნიშნავს სამშობლოსათვის შენს კეთილ მოღვაწეობას საქართველოს ისტორიის კაბადონზე.

დაობლდა ქუთაისის ქართული გიმნაზია. დანაკარგს დიდხანს განიცდიდა დიდი და პატარა. სამგლოვიარო ატმოსფერო კარგა ხანს სუფევდა. იოსებ ოცხელის სული თითქოს ისევ ტრიალებდა,

ყველა მის გამოჩენაზე ელოდა [illegible] ფეხაკრეფით დადიოდნენ და ჩუმად საუბრობდნენ.

[illegible] თუ დაბალფასიანი [illegible] ეკეთა, ეკ[illegible] [illegible] [illegible] [illegible]

—ჩუმად ამაწვალებთ... პატივი [illegible] ჩვენს დიდ მასწავლებელს!

და უმალვე მორჩილად ჩაცხრებოდა ყოველნი...

ბევრი ლაპ დატოვა [illegible] [illegible] [illegible]

არც ერთი შვილის ყისმათი ისე არ აფიქრებდა იულია იაკოვლევნას, როგორც შალვასი. ეს იყო მისი მეექვსე შვილი, თვრამეტი წლის ტანდაბალი, მკვრივად ჩასხმული და ძალიან თავისებური, მკაცრი და ჯიუტი.

ნიკოს კარგად იცოდა თავისი ძმის გზა-კვალი. ტყუილად არ დადიოდა იგი იმედაძეებთან და ოკუჯავებთან, მენშევიკებს რომ მტრობდნენ და საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის შუქის შემოტანას ფიქრობდნენ.

ერთ დღეს იულია იაკოვლევნა გულგახეთქილი მოვარდა ზდანოვიჩის ქუჩაზე ზავადსკის სახლში. საღამო ხანი იყო. ნინო პატარა კუკურის დასაძინებლად აწვენდა, ნიკო და სახლის პატრონი მაგიდას უსხდნენ, ცხელ ჩაის სვამდნენ და ჩუმად რაღაცაზე მსჯელობდნენ.

— რა იყო, დედა, რამე ხომ არ მოხდა? — შეშინდა ნიკო და დედის დანახვისთანავე ფეხზე წამოდგა. წამოდგა ზავადსკიც და ქალს თავის დაკვრით მიესალმა.

— ბებია! — საწოლიდან წამოხტა ოთხი წლის კუკური და პერანგის ამარა ბებიასკენ გამოვენთო.

ბებიამ ჯერ კუკური აიყვანა ხელში, საწოლისკენ წამოიყვანა, უბრძანა, ჩაწოლილიყო, მერმე ნიკოს მიუბრუნდა:

— ეს შენი ძმა მთლად გადაირია... შთააგონე რამე! მამაშენი სამხედრო კაცი იყო, მაგრამ იარაღი შინ არასოდეს მოუტანია... მან კი... ნეტავი განახათ, რამხელა შაშხანა მოათრია, თანაც საბრძოლო ვაზნებით დატენილი. ის კი შაშხანის ნახევარიც არ არის... დავიღუპეთ!

— უნდა წაჰყვე დედას და ჩამოართვათ შაშხანა, — უჩჩია ზავადსკიმ ნიკოს, — იარაღთან თამაში მართლა საშიშია.

ნიკო დაფიქრებული იდგა. იცოდა თავისი ძმის დაუდგრომელი ხასიათი, მისი თითოეული ნაბიჯი... ახლა იგი სხვა რომელიმე ავარდნილი ბიჭივით არ მოიქცეოდა და საიდანმე აწაპნულ იარაღს არ მოიტანდა შინ.

დედას გაჰყვა. იულია გზაში წუხდა, დიმიტრის მისტიროდა, რომ ბოლომდე არ უპატრონა თავის შვილებს და ასე ცხოვრების შუა გზაზე დატოვა ცოლი ამდენი დავიდარაბის გადამკიდე. და ახლა ამ ერთმა შაშხანამ მთლად გადარია ქალი.

შინ რომ მივიდნენ, შალვას უკვე საიმედო ადგილას გადაემალა იარაღი თავისი ტყვია-წამლით. დედას და ძმას ისე დახვდა, როგორც დარბაისელი მამაკაცი.

— რა გნებავთ ჩემგან? — ჰკითხა მან ნიკოს, რომელიც რამდენიმე დღე არ ენახა ძმის დიდი მორიდება და ხათრი ჰქონდა. ამას ნიკოც კარგად გრძნობდა, მაგრამ ახლა ეს თვრამეტი წლის ჭაბუკი ნამდვილად აღარ იცნობოდა.

— შაშხანა მოგიტანია, — მიმართა დინჯად ნიკომ.

— მერე რა არის აქ გასაკვირი? წითელი რაზმელები შეიარაღდნენ... მეც ხომ წითელრაზმელი ვარ... აქ პოლიტიკაც გარკვეულია, ჩემი პოზიციაც მომავალ ბრძოლაში და დედაჩემს რომ მუდამ ბავშვი ვგონივარ, ეგ ხანაც წავიდა...

ნიკო დუმდა. რა ეთქვა ამის პასუხად, არ იცოდა. დედას მისი იმედი ჰქონდა, რომ ძმას განაიარაღებდა, ის კი უსმენს მას და როგორც ეტყობა, მოსწონს კიდეც მისი სიტყვები.

ეჰ, რამდენი ბრძოლა, რამდენი წინააღმდეგობა, რამდენი ენერგიის დახარჯვა უხდებოდა იულიას შვილების გაზრდაში. მაოგან ალერსიც უგემნია, ტკბილი სიტყვა, მოფერება, ჯუჯღუნი, წყენა... დედას ჯანი ელეოდა, დარდი უმძიმდა, უამრავი წუხილი, შფოთვა და დრტვინვა უდროოდ აბერებდა.

ნეტავ ახლა სად გადამალა შაშხანა ამ ეშმაკის კერძმა! ტანადი მაინც იყოს და ღონე ერჩოდეს!

დედას თვალში ცრემლი მოადგა.

ნიკო დედას მიუახლოვდა და უთხრა:

— ცრემლი და წუხილი ზედმეტია, დედა... შენ უნდა გეამაყებოდეს, ასეთი შვილი რომ გყავს.

შალვამ ხელი გამოუწოდა ნიკოს. ნიკომ ჩამოართვა.

— გმადლობთ, ბატონო მასწავლებელო, მხარდაჭერისათვის!.. დედაჩემს ისევ აკვნის ბიჭი ვგონივარ... აუხსენით და განუმარტეთ, რომ რევოლუციას ჯარისკაცები სჭირდება.

იულია გახეევებული იდგა და მდუმარედ შეჰყურებდა თავის შვილებს.

ეჰ, დედის გული, დედის გული! მუდამ შიშით და ნერვიულობით რომ ფეთქავს. მართველებს კი უკვე თავიანთი სიტყვა უპოვიათ და უფრო მაღალ და მაღალ კაბადონებს აძლევენ.

ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა.

გაიმართა ქართული გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს სხდომა. ეს პირველი შეკრება იყო, რომელსაც ოცხელი არ ესწრებოდა.

იგი მაგიდის თავში ყოველთვის მაღალსაზურგალიან სკამზე ჯდებოდა. ეს სკამი ერთ-ერთი შეძლებული გიმნაზიელის მშობელმა შემოსწირა სასწავლებელს. ძვირფასი ნაკეთები იყო, სამასწავლებლოს ღარიბულ დგამში საგრძნობლად გამორჩეული.

ახლა ამ სკამზე არავინ იჯდა. ცარიელი იყო ოცხელის კაბინეტიც. ამ ოთახის კარს არავინ კეტავდა. თითქოს ეს პატარა ოთახიც ყოველ წამს ელოდა მის დაბრუნებას.

მოწაფეები ხშირად გროვდებოდნენ ღია კართან, მდუმარედ იხედებოდნენ კაბინეტში და აქ განლაგებულ დგამსა თუ საგნებს განსაკუთრებული გულისტკივილითა და მოწიწებით ჰვრეტდნენ. უკვე რაღაც განსაკუთრებული ფასი მიიღო ყველაფერმა ამან, რადგან იოსებ ოცხელის კუთვნილება გახლდათ, მისი ცხოვრების გარკვეული ნაწილი.

დადგა ქამი გიმნაზიისათვის ახალი დირექტორი აერჩიათ. შეიკრიბნენ პედაგოგები, მოვიდნენ განათლების ოლქის წარმომადგენლები, სამინისტრომ თავისი კაცი მოავლინა თბილისიდან.

ვინმეს ეგონებოდა, წინასწარ შეთანხმდნენო, ისე ერთხმად დაასახელეს სილოვან ხუნდაძის კანდიდატურა.

სილოვანს უარი არ უთქვამს. რადგან იოსებ ოცხელის შემდეგ თავი მისი საქმის ღირსეულ განმგრძობად მიაჩნდა. სამინისტრომ დამტკიცა სილოვან ხუნდაძის დირექტორობა და იგი ისე შეუდგა მუშაობას, ოცხელის კაბინეტს არც გაჰკარებია. ისევ ინსპექტორის პატარა ოთახში იჯდა, კარზე წარწერაც არ გამოაკვლევინა.

რამდენჯერმე ნიკოც გულისტკივილით შეჩერებულა ოცხელის კაბინეტის ღია კართან. დიდ უბედურებასთან შეურიგებლობის გრძნობა იმდენად იყო გამჯდარი მის გულში, რომ მომხდარისა არა და არ ეჯერებოდა და რატომღაც ეგონა, რომ პატარა დათოც, მამაც და ოცხელიც სიზმარეულში იყვნენ. სიკვდილმა არ იცის მობრუნება კაცისა. სიცოცხლეს თუ აქვს უამრავი ზიგზაგი, მიხვეულ-მოხვეული და სწორი გზები, აქვს მრავალფეროვნება, გრძნობათა აურაცხელი სიმდიდრე, მოძრაობა, ჭიდილი, სიხარუ-

ლი და მწუხარება, სიკვდილს მხოლოდ ერთი რამ გააჩნია — შეუგრძნობელი უსასრულობა.

კაბინეტში ისეთი სიჩუმე იდგა, ისეთი შემზარავი სამარისებური დუმილი იყო გამეფებული, ნიკო დიდხანს ვერ უძლებდა დაობლებულ კართან დგომას და სწრაფად გაშორდებოდა ხოლმე.

სილოვან ხუნდაძე ენერგიულად ჩაუდგა საქმეს და სწავლები ისევე კარგად წარიმართა მოსწავლეთა სასიკეთოდ.

ოცხელის დანატოვარი ცეკხლი გიმნაზიაში ისევ ღვიოდა. მის მიერ შერჩეული მასწავლებლები კვლავაც საიმედო ბურჯად ედგნენ ქართული კულტურისა და განათლების ტაძარს. და განა მარტო ამ ტაძარს?! ისინი ქართული სიტყვის, ქართული სულის, ჩვენი ქვეყნის კულტურის მებაირახტრენი იყვნენ.

ქართულ გიმნაზიას არსებობის ორმოცი წელი შეუსრულდა. მთელი ქუთაისი ემზადებოდა ამ თარიღის აღსანიშნავად. გიმნაზიიდან ოდესღაც წასული მასწავლებლები თუ კურსდამთავრებულები იწერებოდნენ, მადლიერებით იხსენიებდნენ გიმნაზიაში გატარებულ წლებს...

ქართული გიმნაზია განსაკუთრებული კერა იყო მთავრობის მიერ დაარსებულ სასწავლებელთაგან განსხვავებით. ამ სხვაობაში ნიკო პირველივე დღეებიდან დარწმუნდა, როგორც კი ფეხი შედგა მის კედლებში. მას აქ არ უსწავლია, მოვიდა მასწავლებლად და უმალვე იგრძნო დიდი ქართული, პატრიოტული სული.

ამ სასწავლებლის დამაარსებლებისა და მათი საქმის თანაზიართა მთავარი საზრუნავი. ძირითადი მიზანი ქართული ენის მოვლა, განვითარება და დაცვა იყო, მაგრამ არა თვითმიზნური, არა სხვა ენათაგან განცალკევებით. ეს ხომ ყმაწვილთა გონებას გააღარიბებდა და წმინდა ეროვნულ ნაჭუჭში მოაქცევდა. აქ ყურადღება ექცეოდა რუსული ენის სწავლებას, სხვა უცხო ენათა ათვისებას...

ქართულ გიმნაზიაში სულს მოითქვამდა კაცი. ამიტომ იყო, ამ სასწავლებელს დასაკლეთ [illegible] თითქმის ყველა კუთხიდან რომ ეტაფებოდნენ სწავლას მოწყურებული ახალგაზრდები. აფხაზეთიდან და [illegible] კი მოდიოდნენ მშიერ-მწყურვალი, ნახევრად [illegible] ბავშვები... კლასები ისე იყო გადატვირთული, ბავშვები [illegible] ეტეოდნენ.

ნიკო მიწაზე იყო იმისა, რომ ქართველ ყველა კულტურული დაწესებულების საქმიანობაში სწორედ ამ გიმნაზიის მასწავლებლები და მოწაფეები იღებდნენ მონაწილეობას. ისინი ბევრი ეთილი საქმის წამოწყებნი იყვნენ.

თეატრის წარმოდგენა ძალიან ქართული მახასიათებელია.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ქალაქისის ინსტიტუტებს ფილიალებს ქართული გიმნაზიიდან.

სასულიერო უსწავლელობა ტაბუს წაიკითხავენ ქართული გიმნაზიიდან.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოებაა მეუშაკნი ქართული გიმნაზიიდან.

რა მოწაფეები ისრდებოდნენ! რა ლამაზი ქართველობა ძალიანდა! რა ჯანიანი ვანითლებული, იმედის მოცემი. საქართველოს ღირსეული თაობა.

რა ეამაყებოდა ნიკოს და ამიტომ მღელვარებით ხვდებოდა იგი გიმნაზიის ორწოკ წელს.

ქართულ გიმნაზიაში, ისევე როგორც სხვა მრავალ საწავლებელში, მასწავლელთა შორის იყვნენ ისეთნიც, ვინაც სწავლა [illegible] ეროვნულად იყო ქცეული.

[illegible] კლასელი ლევან კაპანაძე უნიჭოთა ოიცხეს [illegible] ეკუთვნოდა. მაგრამ რუსულში მოიკოჭლებდა.

[illegible] გაკვეთილების შემდეგ დარჩენა. უნდა მოგელაპარაკოთ, [illegible] ერთ დღეს ნიკო ხუკეებიძეს.

[illegible] შეეხმაურნა. მაგრამ შეკითხვა ვერ [illegible] [illegible] ბ [illegible] ხელმეტი სიტყვის გამო ერთის ბაცარად. მდეგარეულ შეხვედავდა და გაიჩუმებდა. მასწავლებელმა ეცინა [illegible] ეს [illegible] ეუბნა დარჩენ.

და როცა [illegible] შემდეგ მთელი კლასი შინ წავიდა, კლასში მარტო დარჩ [illegible] ბიჭ [illegible] ერდოს ამბით გამოეშვა. დარბაზს „ბრეულად" [illegible] ამბავზე. ეხუმრენ. გაამხნევეს, ზოგმა თავშიც წაუთაქა. ბიჭებს ხმაური მიწყდა და უცებ ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა. მარტო ვერ გაუძლო და დერეფანში [illegible] ეკონა ნიკო მასწავლებელი [illegible] ამ [illegible]

ვაო. ის იყო დერეფანში გამოვიდა, ნუცუბიძეც დაინახა, სწრაფი ნაბიჯით მომავალი.

— ბოდიშს ვიხდი, რომ ცოტა ხანს შემაგვიანდა, — მოწიწებით მიმართა მასწავლებელმა კაპანაძეს. ლევანს ეგონა, მეხუმრებაო, მაგრამ მასწავლებელს სულ არ ეტყობოდა ხუმრობა.

ლევანი შეკრთა და მიუგო:

— რას ბრძანებთ, ბატონო მასწავლებელო!

— შევიდეთ კლასში. მიხურე კარი. აი, ამ მერხზე დაჯექი.

მასწავლებელმა იგი წინა მერხზე დასვა და გვერდით მიუჯდა.

— მინდა სერიოზულად მოგელაპარაკო, ასევე სერიოზულად მომისმინო, გონივრულად გაუკეთო ანალიზი ჩვენს საუბარს და დღეიდანვე, ჩვენი საუბრის დამთავრებისთანავე დაადგე სულ სხვა გზას: ხომ გესმის, რას გეუბნები?

— გისმენთ, პატივცემულო...

ლევანი მერხს დასჩერებოდა, უყურებდა მერხზე დაწყობილ მასწავლებლის ხელებს და მისი თითების მოძრაობით ხვდებოდა, რომ ნუცუბიძისთვისაც ძნელი იყო ეს შეხვედრა და რაღაც დიდი ამბის შემცველი საუბრის დაწყება.

— გიყვარს მშობლიური ენა? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— მიყვარს.

მასწავლებელმა თითები ნერვიულად აათამაშა.

— რაში გამოიხატება?

— არ ვიცი... მიყვარს... თავისი ენა ვის არ უყვარს!

— ეს რა სიყვარულია, როცა მშობლიურ ენაში საშუალო ნიშანი გაქვს! ეს უკვე სიყვარული არ არის. მშობლიური ენის სიყვარული იცი რა არის? როცა მთელი შენი არსებით, სულით და გონებით, თითოეული შენი უჯრედით გრძნობ მის სურნელებას, მის ხატოვნებას, მის აუცილებლობას შენთვის, ისევე, როგორც ჰაერსა და წყალს, ურომლისოდაც სიცოცხლე შეუძლებელია, როცა გრძნობ, რომ თითოეული ქართული სიტყვა ეს ჩუქურთმაა, მხატვრობაა, სურათია... თითოეული სიტყვა ფერია... ეს თუ არ შეიტკბე და შეისისხლხორცე. ისე რა სიყვარული გვექნება ენისა! ენა შენი მიწის, შენი სამშობლოს სუნთქვაა. გესმის ეს სუნთქვა? ენა ჩვენი წინაპრების გადმოძახილია, ენა შენი სამშობ-

ლოს ალერსია, ენა შენი სისხლი და ხორცია. დაფიქრებულხარ ერთხელ მაინც ამაზე?

— არა, ასე არა, როგორც თქვენ ამბობთ...

— ახლა გაიგე, რაც გითხარი?

— თქვენ ისე ლამაზად თქვით... კარგადაც გავიგე.

— უფრო მეტად მოიკოპლეს რუსულ ენაში. გასაკვირია პირდაპირ, სიტყვებს ისე ამახინჯებ. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინე, რომელიმე სხვა ერის შვილმა შენი ენა ასე დაგრიხოს, დაკუწოს, დაგიმახინჯოს... გესიამოვნება?

— არ მიყვარს რუსული! — უცებ მოჭრით და გარკეევით თქვა ლევანმა. რის შემდეგ წუთიერი დუმილი ჩამოვარდა. მასწავლებელმა თითები ისევ აათამაშა მერხზე და ღრმად ამოისუნთქა.

— მიზეზი?

ლევანმა ხელებს დაუწყო წვალება და თვალში ცრემლი მოერია. ამის დანახვაზე შეცბუნდა ნიკო. ყმაწვილს ზამთრისთვის შეუფერებელი სამოსი ეცვა. თითქოს ახლა შენიშნა მისი სიღარიბე და სიბეჩავე. მსგავსი ყმაწვილები გიმნაზიაში უამრავი იყო, მაგრამ ისინი ჩინებულად სწავლობდნენ.

პასუხი რომ ვერ მიიღო, კითხვა აღარ განუმეორებია ნიკოს.

— მამა სად მუშაობს?

— მამა არა მყავს, ბატონო მასწავლებელო. სამი წლის წინ რუსმა სალდათებმა მოკლეს რკინიგზაზე.

ნიკო წამოდგა. ალბათ მერხი ევიწროვა, სუნთქვა შეეკრა და თავიც გაუბრუვდა. „იქნებ მშიერიცაა, საკოდავი?!“ გული მოეწვა. „ვითონაც ხომ მშიერი იყო. ინანა, რომ ასე უდროოდ დატოვა კაპანაძე. სასაუბროდ შესაფერი დრო ვერ მონახა. მაგრამ საუბარი უნდა გაგრძელებულიყო...

ისევ გვერდით მიუჯდა. ერთხანს ჩუმად იყო და აზრს იკრებდა. ბოლოს ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით დაიწყო:

— მძიმე, ძალიან მძიმე ცხოვრება გვაქვს, ჩემო კარგო... ძნელია მამის დაკარგვა... შიმშილი და სიდუხჭირე... ვინ იცის, დღეს არც ერაფერი გიჭამია.

ყმაწვილს თვალებში კვლავ ელვა ცრემლმა.

— უნდა ყველაფერს გაუძლო, რადგან ვაჟკაცი ბქვია... მომავალი თქვენ გეკუთვნით. ქვეყანა იმედით შემოგყურებთ და თუ

აქედანვე ყველაფერს სიძულვილითა და უიმედოდ უყურეთ. არაფერი გამოგვივა.

ნიკოს ხმაში სიმტკიცემ იმატა და მისმა ალერსიანმა სიტყვებმა ყმაწვილს გული გაუთბო.

— რუსეთში მოხდა რევოლუცია, სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც სულ ახლებურად, სხვა მიმართულებით შეატრიალა რუსი ხალხის ცხოვრება. ხელისუფლებას ხალხი დაეუფლა. ეს კი, იცი რას ნიშნავს? ხალხი თავის მომავალს თვითონვე გაჰოსტვდავს და ამ დალოცვილ მიწაზე ერთხელაც იქნება გაიხარებს მშრომელი ადამიანი. აი, რა იმედები და რწმენა გადმოვიდა ახალი რუსეთიდან. განუუდგეთ? არ გავიზიაროთ და არ მივიღოთ ეს სიკეთე? ახლა შევიძულოთ მათი ენა, რომელიც ერთ-ერთ თვალსაჩინო ენად ითვლება მსოფლიოში და ამ ენაზე იქმნება მდიდარი ლიტერატურა...

ნიკო დადუმდა. მაგრამ მალე ისევ მგზნებარედ განაგრძო:

— ცარიზმის რეჟიმი მძიმე უღლად აწვა თვითონ რუსეთს... მისი მსახერალი ხელი მოხვდა მამაშენსაც. ენა კი, რუსული ენა, ამიერიდან დარჩებათ მშრომელებს. მალე, ალბათ, გამარჯვებული მუშათა კლასი ჩვენც გამოგვიწვდის დახმარების ხელს და ამოიკალთ ამ დამპალ წუმპედან... ახლა ეს სიტყვები რომ გამიგონ, ციხე არ ამკდება და მეწშეეკების გვარდიელები ტყვიასაც არ დაიშურებენ ჩემთვის. მაგრამ მე მაინც გადაგიშალე გული და გითხარი სრული სიმართლე. თუ რამ გაგიჭირდეს, მითხარი, არ მომერიდო. დაეხ[illegible] ზოლმე გაკვეთილების შემდეგ. დაგეხმარები...

კაპანაძე [illegible] მაგრამ ახლა თავი კი არ დაეხარა, მასწავლებელს [illegible]

— ნუთუ [illegible] კარგად ვიცხოვრებთ, ბატონო მასწავლებელო?

— მზამზარეულ [illegible] ერთ მოგვართმევს. ენდა [illegible] ენდა ვეცადოთ, [illegible] და დიდი რევოლუციის ცეცხლი ჩვენშიც გადმოვიტანოთ. [illegible] მაშინ მოვითქვამთ სულს და კიდეც გვეგნება კარგი ცხოვრება.

კაპანაძეს გული გამალებით უძგერდა. მასწავლებლის თვალებში რწმენის ცეცხლი ეწოთ.

ახლა კი წავიდეთ შინ. — თქვა ბოლოს ნუცუბიძემ და წა-
ბოდგა.

მეორე დღეს კაპანაძე სკოლაში არ მოსულა. ეს მაშინვე შე-
ნიშნა ნიკომ, როგორც კი გაკვეთილზე შევიდა და ყმაწვილებს
მივესალმა. კაპანაძის გარდა რამდენიმე მოსწავლეც აკლდა. მაგრამ
ნიკოს მაინცდამაინც კაპანაძე დააკლდა თვალში. გუშინდელი სა-
უბრის შემდეგ, ქუჩაში რომ განაგრძეს, სულ სხვანაირი განწყო-
ბილებით ელოდა ყმაწვილს.

მაგრამ კაპანაძე არ მოვიდა.

ნიკოს არაფერი უკითხავს, რა დაემართაო. გაკვეთილი ჩვეუ-
ლებრივად ჩაატარა. დროდადრო გუნებაში კაპანაძეს ებაასებოდა:
„არა, დღეს მაინც არ უნდა გაგეცდინა გაკვეთილები. განა რა და-
გემართა ისეთი, რომ არ მოხვედი?"

მერხებს ჩაუარა. იმ მერხთან გაჩერდა, სადაც კაპანაძე უნდა
მჯდარიყო. გულისტკივილი იგრძნო, ცარიელ ადგილს რომ და-
ხედა. „დღეს აქ უნდა ყოფილიყავი. თუკი ჩემი შეგონება შეის-
მინე. დაე. ხვალ, ზეგ. მაზეგ... როცა გინდოდა მაშინ გაგეცდინა
მიზეზით და უმიზეზოდ... დღეს კი... ო, როგორ მინდოდა, რომ
დღეს აქ ყოფილიყავი!"

გაკვეთილების შემდეგ გაიგო კაპანაძის მისამართი. ბალახვანში
ეცხოვრია. ნიკო შინ არ წასულა, პირდაპირ ბალახვანისკენ გას-
წია.

ნაშუადღევი იყო. ცივდა. ღამით წამობარდნილი თოვლი ფეხ-
ქვეშ ხრაშუნობდა.

ბალახვანი ქოხმახებითა და ბაღებით, მოსახლეთა შორის გა-
ფენილი ვენრო შუკებით, ქალაქის ნაწილს კი არა, სოფელს უფ-
რო წააგავდა.

ღარიბი კაცი ქალაქგარეთ სახლდება. ქალაქი ღარიბების უბნე-
ბით იზრდება. ჭარბად და უწესრიგოდ აგებული სახლებითა და
ქოხმახებით. სიდ[illegible]ე ქალაქს ეტმასნება. ეკონწება. აქ უმეტე-
სად სოფლებიდან სამუშაოდ ჩამოსულნი სახლობენ. სოფლის
ყაიდაზე ამიტომაც ეწყობოდნენ. განა არა, აქა-იქ შნოიანი ორ-
სართულიანი სახლებიც იყო ჩადგმული.

სულ ახლა იყო ბალახვანი გაზაფხულზე. როცა ეს ამდენი ბა-

ღი აყვავდებოდა, ნუში და ტყემალი გაიღვიძებდა, მათი ქორფა თეთრი ყვავილი გაიფურჩქნებოდა, მერე ატმები ვარდისფერს წამოაშველებდნენ, ამასობაში ფოთლებიც წამოეზრდებოდათ ხეებს და ქალაქის ეს განაპირა უბანი ნამდვილ სამოთხეს დაემსგავსებოდა, აქა-იქ კოხტა სახლს უფრო შეალამაზებდა, ქოხმახებს კი ისე წაეფარებოდა, თითქოს სირცხვილისგან იფარავსო.

მაინც, როგორ იფეთქებს ხოლმე მცენარეთა მწვანე ცეცხლი!

ახლა თეთრად შელესილა ქოხმახები და შუშაბანდიანი სახლები, გასიპულა შუკები, ფქვილივით მიჰყრია თოვლი ღობეებს, სკვერებსა და ბუჩქებს.

ცა ისევ საავდროდ დაჰყურებს ქვეყანას. ცივა. ნიავიც უბერავს.

ნიკომ პალტოს საყელო წამოიწია და გზას გაუდგა.

ბალახვანში სიწყნარე სუფევდა. საკვამურებიდან ბოლი ამოდიოდა. ბოლს ნიავქარი ხან ერთ მხარეს წაიღებდა და სწეწავდა, ხან მეორე მხარეს. რიონის ხმა ყრუდ მოისმოდა. გადარევა გაზაფხულზე იცოდა.

ნიკო ერთ ვიწრო შუკას ჩაჰყვა. მესერთან შეჩერდა, ფიცრულ კუტიკარს გასაღები მოუსინჯა, ჭრილში ხელი შეჰყო, ხის რაზას აჰკრა და მეზობლის საზიარო ღობესა და ფიცრულ ძველ სახლს შორის ვიწრო ბილიკს გაჰყვა, რომელიც სახლს უკან, აივანთან თავდებოდა. ამ მხარეს ბაღი იყო. წვიმისგან და ქარისგან ჩამუქებულ, დამსკდარ ფიცრულ სახლს ყავარი ეხურა. აივანზე ოთხსაფეხურიანი უსახელურო კიბე იყო მიდგმული. აივნის მოაჯირი კბილებჩაცვენილ ბებრის ყბას ჰგავდა, აქა-იქ რომ შერჩენოდა რიკულები.

ნიკო აივანზე ავიდა და კარზე დააკაკუნა. კარი გაიღო და თავით ფეხებამდე ღაზლში გახვეული გოგონა გამოვიდა.

— ლადო კაპანაძე აქ ცხოვრობს, გოგონი?

— კი, აქ ცხოვრობს, ბიძია, მობრძანდით.

ნიკოს ზედმეტი პატიჟი არ დასჭირვებია, გოგონას შინ შეჰყვა. ბინა ოროთახიანი იყო. წინა ოთახში თავმოყრილი იყო სასადილო მაგიდა, ტაბურეტები, ერთი რკინის საწოლი, ტანსაცმლის ვიწრო, აწოწილი კარადა, მამაპაპური ჭიანაჭამი „ბუფეტი“.

ნიკომ ქუდი მოიხადა, მაგრამ არც დაკიდებას აპირებდა, არც

სადმე დადებას. თავზე ხელი გადაისვა და სანამ გოგონას რამეს ჰკითხავდა, ტანისამოსის საკიდზე ლევანის ძველი პალტო შენიშნა, რომლის სახელოზეც ცარცით გამოესახათ ციფრი 85. წარწერა ჩამოსვრილი იყო, მაგრამ მაინც იკითხებოდა. ეტყობა ვიღაცას ხელებითაც ეფათურა, იქნებ მუჯლუგუნებითაც დაიდღაბნა... ასეთ ციფრებს ხომ პურის რიგში მდგომთ აწერენ... პურის რიგს ეძახდნენ, ზეთში გამომცხვარ მჭადს კი ჰყიდიდნენ.

ნიკო იდგა და პალტოს შეჰყურებდა აღელვებული.

გოგონა გაკვირვებით მისჩერებოდა უცნობს.

მეორე ოთახში ვიღაცის შფოთიანი, ღრმა ამოსუნთქვა გაისმა და ძველმა ტახტმაც გაიჭრიალა.

ნიკომ გოგონას შეხედა, რომელსაც თავზე გადაეძრო ღაზლი და ახლა სასაცილოდ გაკეთებული კიკინები უჩანდა, ბაფთის მაგივრად წვრილი ზორტები გაენასკვა. გოგონას ციმციმა შავი თვალები ჰქონდა.

— ლადო სად არის?

— სძინავს, ბიძია. წუხელ, მთელი ღამე...

— კი, ბიძიკო, მივხვდი... — ისევ პალტოს შეხედა ნიკომ და მერე ნაღვლიანად იკითხა, — ერგო მაინც?

— კი, ბიძია... კი ერგო. — გოგონას ხმაში კმაყოფილების ისეთი სიმი აჟღერდა, ნიკოს ცრემლი მოადგა. უბეში ხელი ჩაიყო, ფანქარი და ქაღალდი ამოიღო, სასწრაფოდ რაღაც დაწერა და გოგონას მიაწოდა.

— როცა გაიღვიძოს, შენს ძმიკოს... ძმიკოა, ხომ?

— კი, ლადო ჩემი ძმაა.

— დედა სადღაა?

— სამუშაოზე. გვიანობამდე არ მოდის.

— ეს ჩემი მისამართია. გაიღვიძებს თუ არა, აუცილებლად მოვიდეს ჩემთან.

— კი, ბიძია, თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე მისი მასწავლებელი ვარ, ნიკო ნუკუბიძე.

— მასწავლებელი?! — გოგონამ ისე გაიოცა, თითქოს რაღაც დაუჯერებელი რამ გაიგონაო. მაინც, რამ განაცვიფრა ამრიგად? თვალებში ისეთი სიხარულის სხივმა გაუელვა, ნიკო დაიხარა, გო-

გონას შუბლზე აკოცა, მერე სწრაფად შეტრიალდა და შუკაში გავიდა ფიქრიარეული და გაოგნებული.

ნიკო ნუცუბიძე თავისი ოჯახით ამ ცოტა ხნის წინათ მასწავლებელ ფერაძის სახლში გადავიდა საცხოვრებლად. პეტრე-პავლეს ეკლესიის მახლობლად.

მართალია ზავადსკი თავის მდგმურებს თან ჰყვებოდა, მაგრამ პატარა დათოს სიკვდილის შემდეგ ნინო ვერაფრით ვერ ეგუებოდა იქაურობას და არანაკლებ განიცდიდა ნიკოც. სახლს მიუახლოვდებოდა თუ არა, მუხლებში სიძაბუნეს გრძნობდა და გული გამალებით უცემდა. ყოველთვის იმის მოლოდინში იყო, რომ სადღაც გამოჩნდებოდა დათო, ჭიშკართან, კიბეზე, კარადის უკან მიმალული, მაგიდის ან ტახტქვეშ შემძვრალი...

ამ სახლში გაძლება მართლაც ძნელი იყო. ამიტომ მასწავლებელმა ფერაძემ თავისი ბინის ნაწილი მიაქირავა ნიკოს.

ზავადსკიმ მაშინვე გაუგო ახალგაზრდა ცოლ-ქმარს და ბარგის გადაზიდვაშიც მიეხმარა, მერე ხშირად აკითხავდა ფერაძეებისას, რადგან მას ნიკოსთან საუბარი ერთ რამედ უღირდა, მისგან ბევრ საინტერესო ამბავს იგებდა. კაცი დაბერდა და ცხოვრების ბევრი საიდუმლო მასავით მაინც არ იცოდა.

ნიკო ბალახვანიდან რომ დაბრუნდა, ნინო კუკურის უჯდა და რვეულში რაღაცას უხატავდა. შვილს ცოტა ხნით მიანება თავი და ქმარს მიხედა.

— რატომ შეგაგვიანდა?

— ბალახვანში გავიარე მოწაფესთან. საცოდაობა ტრიალებს, ნინო... საბრალო ბიჭი მთელი ღამე მჭადის რიგში მდგარა. დღეს სკოლაში არ მოვიდა. როცა მივედი, ეძინა. დას დავუბარე, გამოიღვიძებს თუ არა, ჩემთან მოვიდეს-მეთქი. რუსულში მოიკოჭლებს. ხელი უნდა წავაშველო...

ელოდა. კუკურის წაეთამაშა. შვილი მამას ეტიკეტიკა. ნიკოს ყურადღება მაინც კარისკენ იყო და ყოველ წუთს დაკაკუნებას ელოდა.

შებინდდა. ლადო არ ჩანდა. ნიკო საათს შეხედავდა, ძველებურ გირაგიან საათს. კარგა ხანს რომ ემსახურა ნუცუბიძეების ოჯახს. გადაგდებული მოძებნა, შეაკეთებინა და ჩამოკიდა. საათი

ჯერ მამა-პაპას უთვლიდა წუთისოფელს, ახლა მათ მოდგმას უწიკ-
წიკებდა მონოტონურად.

ნიკო ფანჯარას მიადგებოდა და ქუჩაში გაიხედავდა.

წამოთოვა. ბოლოს ისე წამობარდნა, ლადოს მოსელის იმედი
მიადაეწურა.

კუკური ადრე ჩაწვინეს ლოგინში. ნინოს რვეულები ჰქონდა
გასასწორებელი. წმინდა ნინოს საქალებო სასწავლებელში დაბალ
კლასებში რუსულ ენას ასწავლიდა და საღამოობითაც დიდი სამუ-
შაო უგროვდებოდა.

როცა კუკური დაიძინებდა, მაგიდის ცალ მხარეს ნიკო მიუჯდე-
ბოდა, მეორე მხარეს ნინო. მაგიდის შუაში ნავთის ლამპა იდგა და
ორივე მასწავლებელს შუქს უნაწილებდა. ამ დროს პატარა კუკუ-
რი უშფოთველად, ჩუმად ფშვინავდა და ალბათ ძილის წინ დედის
მონაყოლი ზღაპრების ცოცხალ პერსონაჟებს ხედავდა.

ნიკოს მოწაფის მოსელის იმედი გადაეწურა. სწორედ იმ დროს,
როცა აღარ ელოდა, კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ნიკო მარდად წა-
მოხტა და კარს ეცა. მონატრებულივით ჩაეთქვა. ნეტავი კი ის
იყოსო.

კარი გააღო და თოვლში ამოგანცვლილი ლადო დაინახა.

— კარგი ბიჭი ხარ, კარგი! — შესძახა ნიკომ. ყმაწვილი შინ შე-
იყვანა და იქვე, კართან, თვითონვე ჩამოფერთხა თოვლი.

— მე თვითონ, მე თვითონ, ბატონო. — წუხდა ლადო, ქუდი
მოიხადა, მუხლზე დაიბერტყა, პალტოზე ხელები მოისვ-მოისვა.

სახელოზე ცარცის ყვალი ისევ აჩნდა. ლადომ პალტო გაიხა-
და.

კარგი ბიჭი ხარ, რომ მოხვედი. — კიდევ ერთხელ შეაქო
სტუმარი ნიკომ და ნინოს სთხოვა ერთი ჭიქა ცხელი ჩაი მიერთმია.

ყმაწვილს ჩაიზე უარი არ უთქვამს. შაქრის მაგივრად სახარი-
ნი მიაყოლა. მაგრად გათბა და ეამა.

შენი ლაიკო... სახელიც ვერ ვკითხე. ნეტა კარგი გოგონაა,
გაუსაუბრა მასწავლებელი ლადოს.

ეუეუნა ჰქვია, ბატონო.

კარგი სახელია. კიდევ ხომ არ დალევდი ჩაის? გათბი? ჰოდა,
კარგი. მოდი, ახლა წიგნს ჩავუჯდეთ, თუ, რასაკვირველია, შენ
რაიმე საწინააღმდეგო არა გაქვს, რაღაც ისეთი თბილი, ისეთი

ალერსიანი, მაგრამ ამავე დროს მომთხოვნიც იყო ნიკო, ყმაწვილი უარის თქმას როგორ გაბედავდა, უსიტყვოდ დაჰყვა მის ნებას.

„შვილივით თუ არ გიყვარს მოწაფე, არაფერი გამოგივა, — ფიქრობდა ნიკო, — ჯიგარი თუ არ გეწვის, ვერც ვერაფერს გააკეთებ. მისი მომავალი თუ არ გაწუხებს, შენს მუშაობას ფასი არა აქვს!..“

ნიკოს გონებაში ეს აზრები ისე რეკავდნენ, როგორც დიდსა და მაღალ სამრეკლოზე კაცთმოყვარეობის ყველაზე დიდი ზარები.

თებერვლის პირველ რიცხვებში ქართული გიმნაზიის დაარსების ორმოცი წელი ოცხელის გარეშე აღნიშნეს. ის უნდა მოსწრებოდა ამ თარიღს, უფრო დიდ თარიღებსაც... მაგრამ ბედმა ასე ინება და ეს ამბავი გულს სტკენდა სილოვან ხუნდაძეს.

გიმნაზიაში ჩატარებულ საღამოს მაინც აკლდა საზეიმო ელფერი. ამ დღეს კი მეტი მხიარულება შეშვენოდა.

დიდ ზეიმს ჰეშმარიტად იმსახურებდა ქუთაისის ქართული გიმნაზია, რომელმაც ორმოცი წლის მანძილზე არაერთი სახელოვანი შვილი აღუზარდა ქვეყანას. სახელოვანი ადამიანები არა მარტო მოწაფეთა რიგებიდან გამოდიოდნენ, დიდ მეცნიერებად მწიფდებოდნენ მასწავლებლებიც, შემდგომში პროფესორები, აკადემიკოსები. მათ თავიანთი სახელები ქართული კულტურის დიდ საგანძურში ოქროს ასოებით ჩაწერეს.

ოცხელის გარეშე გატარებული ერთი წელიწადი კი ძალიან მძიმე იყო სილოვანისთვის და მთელი პედაგოგიური კოლექტივისათვის.

ეს სასწავლებელი დიდი ოჯახი იყო, ოჯახი, რომელსაც კაცი დააკლდა და როგორც წესი მოითხოვს, აქაც მთელი წლის განმავლობაში იგლოვდნენ იოსებს.

სანამ გიმნაზიაში საზეიმოდ შეიკრიბებოდნენ, მასწავლებლები და რჩეულ მოწაფეთა დიდი ჯგუფი ოცხელის საფლავს ეწვივნენ.

სასაფლაოზე მდუმარება სუფევდა. ზამთრის სუსხიანი, სევდიანი ქარი სისინებდა, კვიპარისებსა და ფიჭვებში ისეთნაირად ჩამოისისინებდა, თითქოს ჰაერის ძრაობა კი არა, გარდაცვლილთა ერთად შეკრულმა სულმა ჩამოიქროლაო.

...საღამოზე სასწავლებლის, მისი მოამაგე ადამიანების დიდი დამსახურება აღნიშნეს. მხატვრული ნაწილი მასწავლებლებმა ფაღავამ და რობაქიძემ მოამზადეს და არცთუ ურიგოდ.

მაგრამ საზეიმო განწყობილება მაინც შორს იყო. სილოვანის გულს არაფერი ეკარებოდა და მოწყენილი იჯდა მოკლე, ყველასათვის ნათელი მოხსენების შემდეგ, რომელიც ზეპირად წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას.

სილოვანი გვიანობამდე დარჩა გიმნაზიაში, დაცარიელდა დარბაზი, მიყუჩდა სასწავლებლის კედლები. მარტოდ დარჩენილ კაცი ფიქრებს ჩაულრმავდა. აგონდებოდა განვლილი ტკბილ-მწარე დღეები. ვინ იცის, რამდენი რა გამორჩა წელან სათქმელი. ახლა, როცა მარტო დარჩა, უფრო მეტი აგონდებოდა. მაგრამ ყველაფერი რომ მოეთხრო, მთელი საღამო მარტო მას არ ეყოფოდა. სულ რაღაც ერთი წელია ოცხელის ჭაპანი გასწია და ემძიმა. ემძიმა არა იმიტომ, რომ გამოცდილებამ და ცოდნამ უღალატა. ემძიმა იმიტომ, რომ დაიღალა. და ეს მოქანცულობა ყველაზე უფრო მეტად დღეს, ამ საღამოს იგრძნო, როცა საზოგადოებას გიმნაზიის წარსული ორმოცი წლის ამბავ მოუთხრო. ამ მოთხრობაში ერთხელ კიდევ აღადგინა თავისი ღვაწლიც, თავისი ამაგი, თავისი გაწეული შრომა ოცხელთან ერთად. და როცა თვალი გააცლო, შეაჯამა ყოველივე გაკეთებული, საკმაოდ დიდი ნამოღვაწარი გამოვიდა. უნდოდა მეტიც. მაგრამ ჯანი? ჯანი აღარ მოსდევდა.

„ამ სასწავლო წელსაც ჩავთავებ და..." გაუელვა გონებაში. არა. პედაგოგიურ საბიელს სიკვდილი თუ ჩამოაცილებდა, დირექტორად კი, დაე. ამიერიდან სხვა იყოს, უფრო ახალგაზრდა, ჯანსაღი და ენერგიული.

აი, რა დასკვნა გამოიტანა მან გიმნაზიის ორმოცი წლისთავზე.

თბილად. მშვიდად იჯდა იგი ოთახში განმარტოებული და ფიქრთა ღრუბლებში გახვეული.

გვიან წავიდა შინ. ქუთაისს უძინა. ციდან მსხვილი ფიფქები საამურად ცვიოდა.

უმაწვილების აღზრდა ნიკოსთვის მხოლოდ საგნის სწავლებით არ განისაზღვრებოდა. უმაწვილთა ნაწილი რომ კარგად სწავლობდა, ნაწილი — საშუალოდ, ნაწილიც ცოდნის მიღებაზე გულაგ-

რილი იყო. მიზეზი ათასი და ათასჯერ ათასი. ყმაწვილის გონიერება და უგუნურება, ათვისების უნარი, საგნის სიყვარული და სიძულვილი, სიბეჯითე და სიზარმაცე... ოჯახური მდგომარეობაც, რაც უთუოდ ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო ყმაწვილის სულიერი წრთობისა, მისი გონიერებისა, ხალისისა და ბოლოს მისი მსოფლმხედველობისა. მრწამსი, იმედი და უიმედობა, ჯანმრთელობა, მასწავლებელთან დამოკიდებულება...

ყველაფერ ამაზე ფიქრობდა ნიკო, ყველაფერ ამას ანგარიშს უწევდა. ის რომ კლასში შეეიდოდა, ამ ნააზრევით მოქმედებდა და იმ წუთებიდან, როცა ჟურნალს გადაშლიდა, ყმაწვილის გვარს ამოიკითხავდა, წამიერად შეხედავდა გიმნაზიელს და მის გამოხედვაში, თუნდაც მერხიდან წამოდგომაში და მოკლე პასუხში „ვარ", გრძნობდა მის განწყობილებას, მის გუნებიერობას.

ნიკოს ასეთი დაკვირვება არც არავისგან უსწავლია, არც არავისგან შეუთვისებია. ეს მის ბუნებრივ, ყოველდღიურ მოთხოვნილებად იქცა, იგი სათანადოდ უნდა შემზადებულიყო თითოეულ ყმაწვილთან შესახვედრად, იმ პირველივე წუთებიდან, როცა იგი სიის ამოკითხვას იწყებდა.

გაკვეთილის ახსნა, მოწაფის გამოკითხვა და შეფასება იოლ საქმედ მიაჩნდა. ამას თითქმის ყველა პედაგოგი მოახერხებს. მაგრამ ყმაწვილთან სულიერი კავშირი, მის გულში ჩაწვდომა ეს რთული პედაგოგიური პროცესი იყო და კაცი, რომელმაც ამ საქმეს სამარადჟამოდ მოჰკიდა ხელი, ცდილობდა ამ რთული პროცესის საიდუმლოების გარკვევას და ყმაწვილების გულთან დაახლოებას.

მას ერთი გარემოებაც აღელვებდა და ღრმად აფიქრებდა. ზოგიერთ კლასში ვერ გრძნობდა მოსწავლეთა კოლექტიურ სულისკვეთებას. იყვნენ მეთავისენი. სწავლაში საკმაოდ მოწადინებული მეთავისენი, რომელნიც წინ იაწრაფოდნენ. უკან მიმდევართ ერთხელაც არ მოხედავდნენ. დახმარების ხელს არ უწვდიდნენ. საკმაოდ გოროზად და თავმომწონედ გამოიყურებოდნენ.

ეს ამბავი ყველაზე მეტად აღელვებდა ნიკოს. კამორჩეულობაც ცხოვრებაში ადამიანებს ბევრი რამ ავნო. რასაკვირველია. ყველა ადამიანის გონება ერთნაირად არ არის მოწყობილი. მომზადებული, ჩამოყალიბებული. ზოგი ამქვეყნად გენიოსია, ზოგი ჭკვიანი,

ზოგი ნიჭიერი, ძლიერი, უძლური და გონებაჩლუნგი!.. მაგრა კაცობრიობის ისტორიამ იცის, რომ გენიოსები და ჭკვიანი მიანები თუ რამეს ქმნიდნენ თავდაუზოგავად და ბევრჯერ ჭირადი მსხვერპლის ფასადაც, ქმნიდნენ ხალხისთვის, საზოგადოებისთვის, მათდა გამოსადეგად, მათდა საკეთილდღეოდ, მათდა ატკბობად და მათდა მოსახმარად... ასეთ საქმეში წინ წასულია და გამორჩეულს ბარაქალა!

მაგრამ კლასებში შეიმჩნეოდა ისეთი რამ, რაც ნიკოს გულს სტკენდა. ზოგიერთი მოსწავლის სწავლაში გამორჩეულობას ერამცთუ აღტაცებაში მოჰყავდა იგი, აღელვებდა ყმაწვილის ეგო-ში. ვინც მეგობარს ეხმარებოდა. ასეთს თავზე შემოეელებოდა, მასში დიდ ადამიანურ თვისებებს ხედავდა.

გაჭირვებულის, ჩამორჩენილისა და დავრდომილისადმი ხელის გაწვდენა მას ერთ-ერთ კეთილშობილ თვისებად მიაჩნდა. ამაში იხატებოდა უპირველესი შამულიშვილი.

ბუნებით კეთილშობილს თქმა და ჩიჩინი არ სჭირდებოდა სიკეთე თანდაყოლილი თვისება იყო მ-სი. სქელშუბლას კი ბაგრად უნდა მიუკაკუნო!

და ნიკოც კლასებში. სადაც იგი ასწავლიდა. რუსული ენა და ლიტერატურა იქნებოდა თუ ზოგადი ისტორია, ასეთი წესი შემოიღო: სწავლაში დაწინაურებული კარგ ნიშანს ვერ მიიღებდა, თუ ერთს ან რამდენიმე ჩამორჩენილ ამხანაგს ბუქსირზე არ აიყვანდა და კლასის საერთო ღირსებისათვის არ იზრუნებდა.

ამ ამბავმა უსიამოვნებაც შეამთხვია.

თუკი სილოვან ხუნდაძეს რომელიმე მასწავლებელთან საიდუმლო რამ საქმე ჰქონდა, კაბინეტში არასოდეს იბარებდა. სამასწავლებლოში ეამოვიდოდა და იქ მოელაპარაკებოდა. მაგრამ მაშინ კი, როცა მასწავლებელთან განმარტოება სწადდა, სხვას კი არ მოახმობინებდა, თვითონ გაირჯებოდა. სამასწავლებლოდან ხელკავით გაიყვანდა თავის კაბინეტში.

ერთხელ სამასწავლებლოში შემოვიდა, ნიკო ნუცუბიძეს მიუახლოვდა და მიმართა:

— ეგონებ თავისუფალი ბრძანდებით ამ გაკვეთილზე, ბატონო ნიკო.

ძალიან ეუხერხულებოდა ნიკოს სილოვანი ასე, რომ მიმართავ-

და, ბატონო, მაგრამ რას გააწყობდა, როცა ეს კაცი განურჩევლად ყველასთან ასეთი იყო.

— დიახ, ამ გაკვეთილზე თავისუფალი ვარ, ბატონო სილოვან.

— მაშ, ჩემს კაბინეტში შემობრძანდით, გეთაყვა... ერთი მშობელი გვეახლა.

„უთუოდ რაღაც მოხდა", — უცებ გაუელვა თავში ნიკოს და მაშინვე გაჰყვა სილოვანს.

კაბინეტში ჯერ სილოვანი შევიდა, ნიკო ფეხდაფეხ შეჰყვა.

ფანჯარასთან იდგა ზორბა აღნაგობის ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ულვაშგადაწკეპილი მამაკაცი. ყაბალახი მხარზე მოეგდო, ფეხზე უძიროები შემოეტკიცა. იმ დალოცვილს რაღა ყაბალახი უნდოდა — თავზე ზვინივით ადგა თმა. თვალებს ისე აბრიალებდა, თითქოს მოსისხლე მტერი შენიშნაო. ცალი ხელი ხანჯლის ტარზე დაებჯინა.

მასწავლებლების შესვლისთანავე მამაკაცმა აწკეპილ ულვაშზე გადაისვა ხელი. სათქმელად შეემზადა, თორემ კოხტად გადაწკეპილ ულვაშს რა შესწორება უნდოდა! მასწავლებელს თავი მდაბლად დაუკრა.

— მაქვს პატივი, მოგესალმოთ! — მიმართა ნიკოს იმერელი კაცის ზრდილობით.

— მოგესალმებით, ბატონო! ასევე თავის დაკვრით მიუგო ნიკომ და მერე სილოვან ხუნდაძეს შეხედა.

— მეოთხეკლასელი სიმონ კლდიაშვილის მამაა. — გააცნო მასწავლებელს სილოვან ხუნდაძემ.

— ფრიად სასიამოვნოა, — თავი კვლავ მდაბლად დაუკრა ნიკომ.

არც სტუმარი და არც მასწავლებელი არ ცდილან ხელი ჩამოერთმიათ ერთმანეთისათვის. ასე შორი-შორ იდგნენ. სტუმარმა ხელის ჩამორთმევა ალბათ არ იკადრა. ნიკო მასზე უმცროსი იყო და არ ეკადრებოდა.

— დაბრძანდით, ბატონო ისიდორე! — მიმართა სილოვან ხუნდაძემ.

— გმადლობთ! — რაღაც ბრაზიან კილოზე თქვა ისიდორემ, სკამს საბუთგალზე წაავლო ხელი. გაწია და ასევე ბრაზიანად ჩამოჯდა. ნიკოს თვალს არ აშორებდა.

რას ვეღირსეთ, რა დრო დაგვიდგა! — ორივე ხელი მუხლებზე დაირტყა ისიდორემ.

— რა მოხდა, არ გვიბრძანებთ? — თამამად შეხედა ნიკომ და მაშინვე თვალწინ დაუდგა მეოთხეკლასელი სიმონ კლდიაშვილი, ამპარტავანი, მაგრამ სწავლაში მოკოჭლებული.

— გიბრძანებთ, ბატონო, გიბრძანებთ! — ხანჯალი შეისწორა კლდიაშვილმა, — როდის იყო გლეხის შვილი... — რაღაც უნდოდა ეთქვა, სიფიცხემ კრიჭა შეუკრა, მერე ხმას დაუწია და ნიკოსკენ წაიგრძელა კისერი, — გამაგებინეთ, თქვენ ბრძანდებით მასწავლებელი თუ ვიღაც გლეხუჭა მარგველაშვილის ბიჭი? ვითომ გონებით ჩემს სიმონიკაზე უკეთესია? თუ რაშია საქმე, გამაგებინეთ, ბატონო!

— მარგველაშვილზე ბრძანებთ? — იკითხა ნიკომ.

მისი კილო არ მოეწონა ისიდორეს და უფრო გაცხარდა.

— დიახ, მარგველაშვილზე... მაშინ წახდა დრო... მაშინ კი არა, ახლა, ახლა წახდა დრო! — თავი გაიქნია და თვალები დააბრიალა კლდიაშვილმა.

— მარგველაშვილი ერთ-ერთი საპაგალითო ყმაწვილია, ბატონო ისიდორე, — დინჯად დაიწყო ნიკომ, ისე, როგორც სჩვეოდა, აუღელვებლად, — თქვენი ვაჟი კი სწავლაში მოიკოჭლებს.

— მერე? ასწავლეთ. ბატონო! ფულა ვიხდით! — იყვირა ისიდორემ და ხელები გაშალა. ვითომ, რა გემართებათ, ერთს ასწავლით, მეორეს არაო?

— თქვენ გაღელვებთ ის ამბავი, რომ მე დავავალე მარგველაშვილს გაკვეთილების მომზადებაში მიხმარებოდა თქვენს ვაჟს, — განაგრძო ნიკომ.

— რა აქვს სხვისი დასახმარებელი და ისიც გლეხუჭა... მარგველაშვილები ჩემი მოჯამაგირეები იყვნენ თერჯოლაში... რას ვეღირსეთ, რა დრო დაგვიდგა! — ისევ მუხლებზე დაირტყა ხელები გამწარებულმა კლდიაშვილმა.

— დიახ, მოვიდა ისეთი დრო... და მოვა ისეთი დრო, გლეხუჭებისა და აზნაურის შვილები ერთად ხელიხელჩაკიდებულები იაშენებენ ახალ ქვეყანას... აქედანვე უნდა ისწავლონ ურთიერთდახმარება და ხელის გამართვა, აქედანვე უნდა გადასცენ ერთმა-

ხეთს ცოდნა და გამოცდილება, უნდა შეეწვიონ იმას, რომ ერთნი წინ არ იდგნენ, მეორენი უკან...

— რა წმინდაწყლის ბოლშევიკივით მელაპარაკები? — თითქმის ჩურჩულით იკითხა გაოცებულმა კლდიაშვილმა.

ეს არის ჩემი პედაგოგიური მეთოდი, რომ მარტო ცოდნით კი არა, კეთილშობილებით მდიდარი კაცი წავიდეს ამ წმინდა ტაძრიდან... არიან აზნაურის შვილებიც, რომლებიც გლეხის შვილებს ეხმარებიან... მე ასე მინდა, მე ასე მწამს, რომ ცოდნა თანაბრად და უხვად ვაინაწილონ, ერთმანეთს აიყვარული და ძმობა ასწავლონ... ურთიერთპატივცემა ვანიმტკიცონ. სათაკილო აქ არაფერია, რადგან ეს მომავალს სჭირდება.

ნიკო ვამოკვეთილად და მტკიცედ ეუბნებოდა ამ სიტყვებს სტუმარს და ხედავდა, კაცს ყბა როგორ მოექცა, როგორი ვანცვიფრება ჩაუდგა თვალებში. და როცა სათქმელი მოათავა, ენაჩაკარდნილმა კლდიაშვილმა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, ნიკო სილოვან ხუნდაძეს მიუბრუნდა.

— მე მგონი საკითხი გარკვეულია და შემიძლია წავიდე.

სილოვანს ცისკარი ჩადგომოდა თვალებში, იგი მოალერსე მზერით უყურებდა ნუცუბიძეს, სანამ იგი ლაპარაკობდა, ჩუმად უჯდა მაგიდას. ახლა სიცოცხლის გრძნობით უყურებდა ახალგაზრდა პედაგოგს.

მიბრძანდით, ნიკო, მიბრძანდით, გეთაყვა.

ამ სიტყვებში ამდენი სიტბო იყო ჩაქსოვილი, ნიკო უფრო მეტად შეთამაშდა. როცა კარებში ვაჯიოდა, კლდიაშვილის ჩუმად, მაკრამ ღვარძლიანად ნათქვამი შემოესმა:

ბოლშევიკი!

სილოვან ხუნდაძე თავს ძალას ატანდა, ეგებ როგორმე სასწავლო წლის ბოლომდე ჯეროვნად მოვუარო საქმესო. საბოლო წლია კაცს ჯანრთელობა ამდენად შეეყა, ისე დაუძლურდა, როგორც ღრმა მოხუცებული. ამ დუხჭირ დროში კიდევ კარგად გამიძლო გულმაო, იცოდა ხოლმე ამისი თქმა მეგობრებთან. სილოვანი მათ მუდამ ხალისიანი, მოძრავი, ათასი სასიკეთო საქმის წამომწყები ახსოვთ, გარდა ამისა, რომ ჩინებული აღმზრდელი და

სამაგალითო პედაგოგი იყო, ენერგიულად და ცოცხლად უძღვებოდა გიმნაზიის საქმეებს, იგი გულმოდგინედ ამუშავებდა ქართული ენის გრამატიკას, ბევრს წერდა. წერდა სახელმძღვანელოებს ქართული სალიტერატურო ენის შესახებ, წერდა ლექსებს, მრავალი კრებულიც გამოსცა. ნაყოფიერად თანამშრომლობდა იმდროინდელ ქართულ გამოცემებში „ლოლაბაში", „კვალში", „შრომის ფურცელში", „განათლებაში"... იგი თავისი საქმის შეუდარებელი ოსტატი იყო. დიდ საქმეს კი ჯანმრთელობა სჭირდებოდა, რაც ასე მალე გამოეცალა სილოვანს.

შუა თიბათვის ერთ დღეს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე საგრძნობლად გაფითრებული და მოტეხილი შევიდა. ჩაჯდა სავარძელში და თვალი გადაავლო შეკრებილთ. ყველა თავ-თავის ადგილზე იყო. ოთახის შუაგულში დადგმულ საკმაოდ დიდი მაგიდის გარშემო ყველანი ვერ თავსდებოდნენ. ამიტომ ზოგს ბუხართან ჰქონდა ამოჩემებული ადგილი, ზოგნიც ფანჯრებთან სხდებოდნენ.

იმ დღეს სასწავლო წლის საბოლოო შედეგებზე უნდა ემსჯელათ. პედაგოგიური საბჭოს სხდომა ადრე დაინიშნა. ყველა კლასის ხელმძღვანელს საბჭოსთვის თავისი სადამრიგებლო კლასის შესახებ უნდა მოეხსენებინა, მართალია მოკლედ და კონკრეტულად, როგორც ამას მკაცრად იცავდნენ ოცხელის მიერ დაკანონებული მეთოდით. სწორედ ამ ხაზის გამტარებელი იყო სილოვანიც, რადგან უაზოო, თუნდაც საზრიანი, მაგრამ ბევრი ლაპარაკი მასაც არ უყვარდა სხდომებზე. და საერთოდ, ქართული გიმნაზიის მასწავლებლებს შორის იშვიათად გამოჩნდებოდა ისეთი, ვინც ამ ტრადიციას ღალატობდა. უმეტესობა დახეულად ლაპარაკობდა, მოკლედ. ნათელი აზრით გამოხატავდა თავის სადამრიგებლო კლასში გაწეულ მუშაობას. იყვნენ ისეთნი, რომელნიც ამას უფრო ოსტატურად, უფრო ხატოვნად ახერხებდნენ და თავიანთ მოკლე გამოსვლაში ამის თქმასაც კი ასწრებდნენ. მოწაფეთა ცხოვრების მნიშვნელოვან ამბებს რომ ეხებოდა. ეს იქნებოდა ოჯახური თუ სასკოლო ყოფითი ამბები, რაც საინტერესო იყო ყმაწვილის დახვეწის, მისი აღზრდის საქმეში.

სილოვანმა ერთხელ კიდევ მდუმარედ გადაავლო თვალი კოლეგებს და ხმადაბლა დაიწყო:

— ბატონებო, სანამ ჩვენს ძირითად საქმეს შეუდგებოდეთ, თავს მოვალედ ვთვლი გაუწყოთ... — თითქოს ჰაერი არ ეყო, ღრმად ამოისუნთქა. მართალია ყველა ფანჯარა ღია იყო, ოთახში არცთუ ისე ცხელოდა. პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე, როგორც ჩვეულად ჰქონდათ, თამბაქოს არავინ ეწეოდა, მაგრამ, ეტყობა, უჰაერობამ იმდენად არა, რამდენადაც სათქმელი გაუჭირდა სილოვანს, ამიტომაც ასე ღრმად ამოისუნთქა.

კოლეგები გარინდებულნი მისჩერებოდნენ.

— დიახ, უნდა გაუწყოთ, რომ მე თავს ვანებებ სამსახურს...

რამდენიმე კაცი შეწრიალდა, სკამების ჭრიალი გაისმა.

— ჩვენს გიმნაზიაში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, — განაგრძო სილოვანმა, — სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების ყრილობის დადგენილების თანახმად, გთხოვთ თქვენი კანდიდატურა წამოაყენოთ დირექტორის თანამდებობაზე.

— ბატონო სილოვან... — ფეხზე წამოდგა გერასიმე ცაგარეიშვილი. ეტყობა ააღელვა სილოვანის მოულოდნელმა განცხადებამ, ისევე, როგორც სხვა იქ დამსწრენი.

გერასიმემ იმდენი სევდა და მოქანცულობა შენიშნა სილოვანის თვალებში, მხრები აწურა და თქვა:

— ნება თქვენი.

მერე კოლეგებს გადახედა და მიმართა:

— ბატონებო, მე სულ სხვა რამის თქმას ვაპირებდი... მაგრამ, ეოგებიენებათ, კაცი რკინა არ არის და თუ ჩვენ გვიყვარს ჩვენი ძვირფასი სილოვანი, უნდა კიდეც გავითვალისწინოთ მისი განცხადება. კაცი ქვა და რკინა არ არის... და, მოგეხსენებათ, რკინაც ცვდება. ბატონ სილოვანს სჭირდება მუდროება და მოსვენება. ჭ.ნ დიდი, განუზომლად დიდი ამაგი დადო ჩვენს გიმნაზიას... თქვენ რაა იტყოდით, ბატონებო?

პედაგოგები ახმაურდნენ. მაგრამ ამ ხმაურში არა რაიმე საწინააღმდეგო აზრი გამოიხატა, არამედ ის დიდი სიყვარული და პატივისცემა, რითაც ისინი სილოვანისადმი იყვნენ გამსჭვალულნი. არ ეომობოდათ, მაგრამ ამ კაცის ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა ყველაფერს ერჩივნათ. ადამიანი მათ წინ დნებოდა, როგორ არ უნდა გაეწიათ ანგარიში! მაგრამ ასე ნაუცბათევად დირექტორის

ადგილზე სხვისი მოძებნა, არცთუ იოლი იყო და საქმე მეორე დღისათვის გადადეს.

მეორე დღეს სამი კანდიდატურა წამოაყენეს: გერასიმე ცაგარეიშვილი, ვარლამ იმნაძე და სიმონ შარაძენიძე.

როგორც კი თავისი გვარი გაიგონა, სიმონი უმალ წამოდგა და გაცხარებით დაიწყო:

— როგორ გეკადრებათ, ბატონებო... ასეთი პატივი მომაგეთ... გიხოვთ, მოხსნათ ჩემი კანდიდატურა, უღრმესად გთხოვთ!..

დირექტორად ვარლამ იმნაძე აირჩიეს. იქვე მიულოცეს. ვარლამი, ცოტა არ იყოს, შეცბუნებული იყო ახალი თანამდებობით, იმ მოვალეობით, რომელსაც დიდი ოცხელი და სილოვან ხუნდაძე წლობით ასრულებდნენ. მაგრამ რახან დააკისრეს, რახან ენდნენ და აირჩიეს, მანაც შეიფერა. შინ ღარიბული წვეულებაც კი გამართა.

ნაადრევი კი მოუვიდათ მეგობრებს მილოცვა. განათლების სამინისტრომ ქუთაისელ მასწავლებელთა კანდიდატურა არ დაამტკიცა და დირექტორად ვალერიან კანდელაკი გამოგზავნა.

პირველი, ვინც ვალერიანს გულთბილად და შვებით შეხვდა, ვარლამ იმნაძე იყო.

— აგაშენა ღმერთმა! — აღტაცებით მიაგება კანდელაკს, — ეს დღეები ძალი გამიფრთხა... აღარ ვიცოდი, საიდან რა დამეწყო...

ვალერიანმა ხელი ჩამოართვა, თავაზიანად წარუდგა გიმნაზიის მასწავლებლებს და იოსებ ოცხელის კაბინეტს მიაშურა.

განათლების სამაზრო განყოფილებაში რომ ამბავს შეიტყო, ეს მთელი სიცოცხლის მანძილზე არ დაავიწყდებოდა ნიკო ნუცუბიძეს.

მშობლების ერთ ჯგუფს უჩივლია, ნიკო ნუცუბიძე ცარიზმის პოლიტიკას ახორციელებს, ყმაწვილებს გარუსების გზაზე აყენებს, გაკვეთილებს კი არ აკმარებს. წრეებში აერთიანებს, საეკლესიო წიგნებს აკითხებს და სხვა და სხვა. ბოლოს მომჩივანნი ასკვნიდნენ. ამას იმიტომ სჩადის, რუსის სისხლი უდუღს, დედა რუსი ჰყავს და ალბათ ამის გამოც ცდილობს ასე გულმოდგინედ, ყმაწვილები გაგვირუსოსო.

საკმაოდ გრძელი განცხადება იყო, ათამდე კაცი აწერდა ხელს.

განათლების აამაზრო განყოფილებაში ერთი ახმახი კაცი შეხვდა ნიკოს. ამ კაცს, კირილე წულუკიძეს, ადრეც იცნობდა ნუცუბიძე. დარდიმანდი ვინმე იყო. მოქეიფე. განთქმული თაძადა. როცა იგი ქართველთა სადღეგრძელოს ამბობდა, თვალებში ცრემლი ერეოდა. (ერთმა მასწავლებელმა ძეობა გამართა და ამ ამბავს იქ შეესწრო ნიკო).

კირილე წულუკიძემ განყოფილებაში რევოლუციის შემდეგ ერთი რუსი ჩინოვნიკი შეცვალა და ეს დიდ გამარჯვებად მიაჩნდა. რუსთა სიძულვილით კბილები უკაწკაწებდა. მენშევიკების დიდი თაყვანისმცემელი იყო. განყოფილების ინსპექტორად მუშაობდა და საჩივაოიც მის მაგიდაზე იდო.

ნიკომ განცხადება წაიკითხა და კირილეს დაუბრუნა.

— რა ვქნათ ახლა ჩვენ? — იკითხა კირილემ.

— განცხადებაში სრული ჭეშმარიტებაა ასახული. მე მართლაც ვცდილობ ენა შევასწავლო ყმაწვილებს... ამისთვის ვეცადარ ამ საქმახურში. მეტი საქმე კი არაფერი მაქვს... რაც შეეხება პოლიტიკურ ბრალდებებს, დემაგოგია და ცილი წამება. მიუგო დინჯად ნიკომ.

— მე არ ვიცოდი თუ თქვენ დედა რუსი გყავდათ, — ქვეშქვეშ გამოხედა კირილემ.

— დიახ, მე რუსი ადამიანის შობილი ქართველი ვარ. რუსული ენის სწავლების თაობაზე თქვენ რა აზრის ბრძანდებით, ბატონო კირილე, მაინტერესებს.

— აი, აქ არის შენი რუსეთი. აი! — ვაცეცხლებულმა კირილემ ხელი დანასავით გამოისვა კისერში. — ცარიზმმა დაგვახრჩო. ახლა ბოლშევიკები შემოგვერტყნენ... ისევ რუსულით, ისევ რუსულით! არა, თქვენ მოგიხსნით მაგ გაკვეთილებს... აუდნიერად ჩათვალეთ თავი ზოგადი ისტორიის გაკვეთილებს თუ შეგინარჩუნებთ.

— ო, რა ცხელი გულით გყვარებიათ საქართველო! — კბილებში გამოსცრა ნიკომ.

— ეჰვი არავის შეეპაროს არც ჩემს ცხელ გულში და არც საქართველოს სიყვარულში! — იყვირა კირილემ.

— არ ვიცოდი. ასეთი დიდი პატრიოტი თუ ბრძანდებოდით, — ახლა კი გესლიანად ჩაეკრა ნუცუბიძემ და იავ სწრაფად წამოდგა, კირილე უნებლიედ აპყვა.

რამდენიმე წამს ისინი ასე მრისხანედ და მტრულად შეაყურებ-
დნენ ერთმანეთს. ბოლოს ნიკომ დაარღვია ეს დუმილი. ეს დაჟა-
ბულობა.

მხოლოდ ისტორიის გაკვეთილები?

მხოლოდ! ბრძანებას ამ დღეებში მივართმევთ კანდელაკს.
თქვენ თავისუფალი ბრძანდებით. — გამარჯვებული იღიმი გახედა
კარს კირილემ.

ნიკო შეტრიალდა და კარს მიაშერა.

კირილემ მიაძახა:

ბრდღვინობა დაგრჩათ, ბატონო, ბრდღვინობა!

— თუ რამ დამრჩა, გამოგადვებათ. ჩქარა მიუგო ნიკომ
და კარი გაიხურა.

აღელვება არ გამოჰყოლია. მშვიდად გულდინჯად მიაბი-
ჯებდა ქუჩაში.

ერთ დილას გულგახეთქილი იყო ოკოლელენა ისევ მოვარ-
და უფროს შვილთან. ნიკო გიმნაზიაში წასასვლელად ემზადებო-

დავიღუპეთ! — მუხლზე ხელს იკრავდა ქალი.

ნინოს ფერი ეცვალა.

რა მოხდა, დედა?

გუშინ წავიდა თავისი თოფით და მი

დედა უნდა დაამშვიდოს, აუხსნას, რომ ეს ყველაფერი კანონზომიერად ხდება, რომ შალიკო ბავშვი აღარ არის და ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის იბრძვის.

— კმარა ცრემლები, დედა. შალიკომ კარგად იცის თავისი გზა, — მიუგო ნიკომ დედას. ასეთი კილო ქმრისგანაც არ ახსოვდა ეულიას. შვილისგან ნაწყენი წავიდა.

როცა თბილისში წითელი დროშა აფრიალდა, უნდა გენახათ, რა ამბავი იყო რიონსა და სამტრედიის სადგურებში. თბილისში ალბათ არც ერთი ორთქლმავალი და ვაგონი არ დარჩენილა, მოაწყდა და მოაწყდა ლტოლვილთა ბრბოებით გაჭედილი.

დაუდეღარ ფაფასავით ფუყფუყებდა პატარა ქალაქის ცხოვრება. იყო ფაციფუცი და არჩევა განძეულისა. ხარბნი ყველაფრის წაღებას აპირებდნენ, ფარდებსაც კი ხსნიდნენ ფანჯრებიდან, ტენიდნენ მაფრაშებს, ყუთებს, კალათებს, ხელჩანთებს... იყო ცრემლის ღერა, წრიალი, ტრაგიკული გამოთხოვება მშობლიურ კარმიდამოსთან, ნერვიული მისვლა-მოსვლა... ფურგონებით, ურმებით, დროგებით გაივსო რიონისა და სამტრედიისაკენ მიმავალი გზები. გაიწელა ქარავნები ბალახვანიდან სალორიამდე, ალორიიდან რიონამდე...

ქართული გიმნაზიის მასწავლებლებმა მოწაფეებს სრული წესრიგიანად მოუწოდეს. აუხსნეს ქვეყანაში შექმნილი ვითარება და დირექტორის ბრძანებით, ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა მეცადინეობა.

დილაა, ნიკო გიმნაზიისაკენ მიიჩქარის.

ქუჩაში რაზმელთა დიდი ჯგუფი მოემართება კოხტად დაწყობილი. ყველას მხარზე თოფი გაუდევს. თოვლიან გზაზე ხრაშახრუში გააქვს აწყობილ ნაბიჯებს.

წითელრაზმელები მოდიოდნენ ამაყად, თავშემართულნი. წიხ შაგბეშლატიანი ახოვანი მეთაური მიუძღოდათ.

ნიკო შეჩერდა და თვალი მიადევნა. ათას კაცში გამოარჩია თავისი ტანდაბალი ძმა. შენიშნა, მხარზე მძიმე თოფი რომ გაედო და ისე მიჰყვებოდა წითელრაზმელებს, თითქოს მისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება მეომაროა შორის დგომა ყოფილიყო.

ნიკომ ჩუმად გააყოლა თვალი. ძმას არ შეეხმიანა, რომ მისი

ყურადღება არ მიექცია. შალიკო ძლივს მიათრევდა მაშხანას, მაგრამ ცდილობდა ამხანაგებს არ ჩამორჩენოდა. ნუთუ არ შენიშნა ქუჩის პირას მდგარი ნიკო? ნუთუ ვერ მოკრა თვალი? იქნებ შენიშნა კიდეც, მაგრამ არ გამოხედა იმის შიშით, რომ ნაბიჯი არ შეშლოდა.

ქუჩა ხმაურობდა.

ნიკომ ცოტაზე რომ გაიარა, გზისპირა ორმოში ცალი თვალით ჩავარდნილ ფურგონს წააწყდა. ფურგონი მძიმედ იყო დატვირთული. მეფურგონე ბერიკაცი ამაოდ ეძალებოდა გაძვალტყავებულ ცხენებს. იქვე მახლობლად აბობოქრებული კირილე წულუკიძე მუშტს მკერდზე იცემდა და მეფურგონეს უწყრებოდა.

— რაღაც იღონე, შე უპატრონო!.. ასეთი მკვდარი ცხენებით სამტრედიაში კი არა, საღორიამდე ვერ მივაღწევთ. ბოლშევიკების ნაცვლად მგლები შეგეჭამენ.

ნიკო შეჩერდა და გამძვინვარებულ კაცს მიაჩერდა, რომელიც იძულებული იყო მოხუც მეფურგონეს შეშველებოდა.

ფურგონის უკან ურემი იდგა, რომელზეც ქალები და ერთი ბიჭუნა ისხდნენ.

იძალეს კაცებმა, იძალეს ცხენებმა და როგორც იქნა ფურგონი გზაზე დააყენეს.

კირილემ ტანისამოსი ჩაიბერტყა, სული მოითქვა და მისი მზერა სწორედ ამ დროს გზის პირას მდგარ ნიკოს შეეფეთა. ვითომ ვერ იცნო, დაფაცურდა, პირი ფურგონისაკენ იბრუნა.

— ვიჩქაროთ, ვიჩქაროთ!.. დაღამდა, თქვე უღმერთოებო!

მშვიდობით მგზავრობა, ბატონო კირილე!

კირილე იძულებული იყო, მოეხედა.

— ასეთი მშვიდობა ნუ მოუშალოს ჩვენს დამაქცევარს, ჩვენი ბუდის ამშლელთ! — სვეგამწარებული კაცის კილოზე შეაძახა კირილემ და ორივე ხელი ზეცისკენ შემართა.

— შორს მიბრძანდებით? — არ მოუშვა ნიკო.

— დამეხსენ თუ კაცი ხარ! ნეტავი რას გადამეკიდე! ფურგონს აედევნა კირილე.

— ბრძანებაო... რუსულს გაკვეთილებს მიტოვებ თუ არ მიტოვებ?

კირილემ გადააფურთხა.

— ო, რა ცხელი გულით გყვარებია საქართველო! — მიაძ ნიკომ.

ქუთაისი რევოლუციური ტრადიციების ქალაქი იყო. ბევრჯერ მორწყულა მისი ქუჩები უსამართლობის წინააღმდეგ აჯანყებული მშრომელი კაცის სისხლით. ქუთაისის ცხე სავსე იყო რევოლუციონერებით.

სანამ მეთერთმეტე არმიის ნაწილები ქუთაისს მოაღწევდნენ, აქაურმა რევოლუციონერებმა; რომლებიც კარგა ხანს იატაკქვეშ იყვნენ, დააპატიმრეს ადგილობრივი მენშევიკი მმართველები, გაანაიარაღეს გვარდიელები. ჩაკეტეს ქუთაისელ ბობოლათა გასაქცევი გზები.

რიონისა და სამტრედიის გზებზე ქუთაისიდან გაქცეულთ წითელარაზმელები ხვდებოდნენ, ქალაქიდან გატაცებულ სიმინდს, ხორბალს, ბრინჯსა და შაქარს ფუთობით ართმევდნენ. სისხლიც დაიღვარა.

ერთ შუადამისას ნიკოს კარის კაკუნი მოესმა. გაბედულად და ჯამაჯად მოსდგომოდა ვიღაც.

— რომელი ხარ? — გაძახა ნიკომ.

— შალვა ვარ. გამიღე კარი, — მოესმა ძმის ხმა და ნიკო უშალვე ეცა კარს.

სიქაგაცლილი, ჭუჭყიანი, მაგრამ მომღიმარე შალვა თავისი განუყრელი თოფით გამოეცხადა ძმას.

ნინოც წამოდგა. ნავთის ლაჩპა აანთო და მაზლს მიეგება.

— დილამდე გამომიშვეს. დედასთან ვეღარ წავალ. ხომ იცი, ერთ ამბავს ატეხს... ისევ ბავშვი ვგონიარ. — თოფი კართან მიაყუდა შალვამ და აული მოითქვა. — ჩვენ რომ არ ვიყოთ, ქუთაისს სულ ამოლ-ად გაყელეფდნენ ბობოლები... ერთი თავი მიეადებინეთ და დაამაინეთ... სამი ლაშქა თვალი არ მომიხუჭავს, მადლიანი ხალხი!

ტახტთან მიბანცალდა. გაუხდელად მიეგდო.

— დაიცა, ბიჭო, ლოგინს დაგიგებ. — შეწუხდა ნინო.

ნიკომ ვიღაცის ძველი ბუშლატი გაიხადა. უშველებელი, მძიმე და ალაგ-ალაგ დაკერილი.

— არ მინდა ლოგინი. ეგ ბუშლატი წამიღია... ჰო, ისე... ძალი დაგიფრთხეთ... არ მინდა-მეთქი ლოგინი... ჭუჭყიანი ვარ... თანაც. ასე უფრო მალე წამოვდგები. უთენია გაააქცევი კარ... აბა, ღამე მშვიდობისათ!

ტახტზე მიგდებულმა თვალი მოხუჭა თუ არა, მაშინვე ჩაეძინა.

ნინომ ერთი კი დახედა მაზლს, ყოჩაღსა და დაუდეგარს, მზრუნველი ხელით წააფარა ბუშლატი, თავთით მუთაქაც შეუსწორა, ფეხთ გახადა... ტალახიანი და სველი ბოთინკები კართან დაყარა და ჩვარი მოძებნა გასაწმენდად.

ნიკომ თოფი აიღო და შეათვალიერა.

— ხელი უშვი, შენი ჭირიმე! — შეეეედრა ნინო. გატენილი არ იყოს, ხიფათს არ ვეწიოთ! ვინ იცის, საწყალი ბიჭი მშიერია...

ნინომ ფეხსაცმელი გაასუფთავა და ტახტთან დაწყო. ნიკომ თოფი ისევ კართან მიაყუდა. ოთახში ცოდა. აკანკალებულმა ცოლ-ქმარმა ლოგინს მიაშურა.

ნიკოს ძილი არ ეკარებოდა, ამაზე ფიქრობდა, ასე გზადაგზა, რომ დასდევდა წითელრაზმელებს. ესმოდა ღრჭა ძილში წასული ჭაბუკის თავისუფალი სუნთქვა. არც ნინოს მიკარები ძილი. უთენია უნდა წავიდეო, მაზლის სიტყვები აფხიზლებდა. არ უნდოდა ისე გაეშვა. ცხელი ჩაი სახარინით მაინც რომ არ დაელევინებინა და ერთი ლუკმა მკვადი არ ეჭმია. თან ეცოდებოდა, თანაც ეამაყებოდა. შიშიც შეჰპაროდა გულში — გზებსა ათასი ხიფათი ხდებოდა, ათასი ოხერი და გაიძვერა უძალიანდებოდა წითელრაზმელებს. ათასი უბედურება ეხატებოდა ნინოს და თავის დედამთილს ოდნავადაც არ ამტყუნებდა, ასე რომ განიცდიდა შვილის გამო.

ნინო ფეხმძიმედ იყო. უძილობა ისედაც დასჩემდა და ახლა კედელზე მოწოლილი საათის ხმაზე დროა გუნებაში ითელიდა, რომ შალვასთვის აესწრო.

დილის ხუთ საათზე წამოდგა. ღუმელი აანთო და ჩაიდანი შედგა. შალვას ისე ღრმად იძინა, ყურთან ჩარბახნის დაცლის ვერ

გაიგებდა. მაგრამ გაწვრთნილი ჯარისკაციით მაინც იმ დროს წაა-
მოდგა, რა დროც გუნებაში ჰქონდა დათქმული.

ჩაიდანი უკვე თუხთუხებდა და ნინო ისე დიასახლისობდა,
თითქოს მაზლს სამეფო სუფრა უნდა გაუწყოსო.

შალვამ თვალი მოიფშვნიტა, რძალს გაულიმა, მერე საათს შე-
ხედა. დაფაცურდა, არ დამაგვიანდესო, ცხელი ჩაი კი სიამოვნე-
ბით შეხვრიპა.

— ფრთხილად იყავი. ბიჭო. — უთხრა ნინომ დედობრივი ალერ-
სით.

— ფრთხილად ახლა... ბუჩქებში კურდღელივით ვერ გავინა-
ბები. მტერს პირისპირ უნდა შევხვდე.

ნიკოც წამოდგა.

— სამტრედიაში იყავი? — ჰკითხა ძმას. წუხელ მათი საუბარი
ვერ აეწყო და ახლა, წასვლის ჟამს, მაინც უნდა ეკითხა რამე, გაე-
გო მისი ასავალ-დასავალი, საქმის ვითარება, წითელრაზმელების
მოქმედება.

— სადგურში ვდგევართ... ისინი კი მირბიან და მირბიან... მა-
ტარებლები სავსეა, მაინც ეტენებიან. ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ!
ნინო, ერთი ჭიქაც დამისხი... ქუთაისიდან წაღებულ ერთ გრამ
მარცვლეულსა და შაქარს არ გავატანთ! იცით რამდენი გროდე-
ბა! მაგათი დედა კი ვატირე... წუხელ მთელი ქარავანი ჩამოვაცი-
ლეთ ქუთაისში ალბათ დღესაც იქნება რამე... ო, რას ცახცახე-
ბენ და კანკალებენ! იმ ბოლშევიკების ეშინიათ. რომ მოდიან...
აქ რომ ვართ. ეთომ არაფერი! არაფერი? აბა. მოიტა ეგ ტომა-
რა. სიმინდითა და ბრინჯით რომ დაგიტენია! იმასაც მეტი რა გზა
აქვს... აბა. ახლა კი უნდა ვიჩქარო. მეთერთმეტე არმიაც მოგვის-
წრებს და ჩავაბარებ ამ თოფს. მიიმეა ეს ოხერი!

- რევოლვერი მაინც მოეცათ. — გაიღიმა ნიკომ.

-- რევოლვერი უფროსისაა.

შალვა წამოხტა. ბუშლატი ჩაიცვა. რძალი, ძმა და საწოლში

ძძინარე კუკური დაკოცნა, კართან აუუდებელ თოფს ხელი სტაცა და ღამის სიბნელეში გავარდა.

...იმ დღეებში, გაკვეთილების შემდეგ მასწავლებლები თავს იყრიდნენ სამასწავლებლოში და ცხოვრების ამბებზე მსჯელობდნენ, ვიღაც ცხელ-ცხელ ამბებს მოიტანდა... ზოგი გულგატეხილიც იყო, ბევრ ბრძოლას, შეხლა-შემოხლას მოსწრებია ცხოვრებაში. ცხოვრება კი არ დალაგდა. ამ შეხლა-შემოხლისაც უკვე აღარა სწამდა. იყვნენ ცულჩათხრობილნიც, ხმას არ იღებდნენ. მაგრამ იყვნენ ისეთნი, ვინც აღტაცებით შეხვდა საბჭოთა ხელისუფლებას, სიახლეს, ქვეყნისა და ხალხის გამოღვიძებას...

იყვნენ მასწავლებლები, რომელთაც ქართული გიმნაზიის მოსწავლეთა მომღერალთა გუნდს „ინტერნაციონალი" შეასწავლეს და ერთ საღამოს, როცა სწავლა დამთავრდა. მათ გრძნობით, გულიდან მომსკდარი ხავერდოვანი ხმებით დააგუგუნეს რევოლუციის ჰიმნი.

ამ დროს სამასწავლებლოში თითქმის ყველა მასწავლებელს მოეყარა თავი. სომღერა სამასწავლებლოს ღია კარებში შემოიქრა. უნებლიეთ ფეხზე წამოდგნენ ოთახში მყოფნი. ისე, როგორც ეკებებიან სასურველ და ძვირფას სტუმარს. ეს „სტუმარი" კი შემოიქრა, როგორც თავისუფლების მაცნე. შემოიქროლა, როგორც გრიგალი.

ასეთი გაზაფხული მართლაც არ ახსოვს ქუთაისს.

ბუნება ყოველთვის თავის დროზე იფურჩქნებოდა, ყვავ ლდებოდა, მშვენდებოდა და ზამთრობით იძინებდა...

რაც მთავარია — ის გაზაფხული სულ სხვა სითბოთი მოესილა ვარული და მოეფერა კაცის გულს. კაცმაც სულ სხვა თვალით დაინახა აყვავილებული ქვეყანა.

1921 წელი ნიკოსთვის ჯერ ერთი იმითაც იყო საოცნებო, რომ მარტში ნინოს ვაჟი შეეძინა. ზურაბი დაარქვეს. [illegible] ხანი, საბჭოთა ხელისუფლების გამოლვიძებამ

ისე ინებეს, რომ ქართული გიმნაზიის დირექტორად ნიკო ნუცუბიძე ყოფილიყო, ხოლო ინსპექტორად — ნიკო ჯაფარიძე.

მარტის დამლევის თბილი და სურნელებით სავსე ღამე იყო.

ოცხელის ყოფილ კაბინეტში პირისპირ მარტონი ისხდნენ გიმნაზიის ახალი თავკაცები და ერთმანეთს იმედიანად შეჰყურებდნენ.

— ახალი დრო ბევრ სიახლეს მოგვიტანს და დაგვაეალებს, ჩემო ნიკო, — მიმართავდა ნუცუბიძე ჯაფარიძეს, — სწავლების ახალ გზაზე უნდა დავდგეთ... მაგრამ ჩვენი მთავარი საქმე ისევ და ისევ ის იქნება — ღირსეულ ადამიანად აღვზარდოთ ყმაწვილი...

ნაწილი მეორე

ნიკო ნუცუბიძე საგონებელში ჩავარდა. მაშინ, როცა სასწავლო წლის ბოლომდე რამდენიმე თვეღა რჩებოდა, ახალი ყაიდის სკოლის მართვას უნდა შესდგომოდა.

ცხოვრების სიახლე უპირველესად სკოლას უნდა დასტყობოდა. სკოლაა იმ მდინარის სათავე, ცხოვრების ყოველ სავარგულს რომ არწყულებს და მაცოცხლებელ ძალას აძლევს.

ნიკოს კარგად ესმოდა, რომ სკოლაში სიახლეთა დანერგვას, სწავლების მეთოდების შეცვლას, კომუნისტურ იდეებზე ყმაწვილთა აღზრდას წლები სჭირდებოდა. სწავლების კალაპოტი მეთოდურად, თანმიმდევრობით შეიცვლებოდა. როცა ამაზე ფიქრობდა, ნიკო ძველი სკოლის ბევრ სიკეთესაც ითვალისწინებდა, რაც უთუოდ უნდა შერწყმულიყო ახალთან.

სიახლეთა ნათელ კონტურებს კი იგი იმ პირველსავე დღეებში ცხადად ხედავდა, მისი გონება უფრო ღრმად სწვდებოდა მომავალს, მაგრამ აფიქრებდა ის მოშლილობა, რაც ოდესღაც დისციპლინითა და წესიერებით სახელგანთქმულ ქართულ გიმნაზიას ბოლო დროს და განსაკუთრებით იმ გაზაფხულზე დაეტყო. საფუძველი ეცლებოდა ცნობილი სასწავლებლის სახელს, მისი ღირებ[illegible] დღითი დღე ილახებოდა. ამის მიზეზი ნიკოსთვის ცხადზე უკ[illegible]ხი იყო. საზოგადოებრ[illegible] სხვადასხვა ფენებმა სხვადასხვანაირად აღ[illegible]ქვეს საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეები.

კლასობრივი სიჭრელე ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში დღიდან ამ სასწავლებლის დაარსებისა. თვალსაჩინო იყო. აქ ყველ[illegible] წოდებისა და ფენის წარმომადგენელთა შვილები სწავლობდნენ. საბჭოთა ხელისუფლებამ კლასობრიობას ბოლო მოუღო, თანასწორუფლებიანობა სად, თუ არა სკოლაში, მოსწავლეებს უნდა დასტყობოდათ... ოჯახებში შექმნილი ვითარება კი სხვაგვარად მოქმ[illegible]

დებდა მოზარდთა ფსიქიკაზე. რასაც ყმაწვილი ოჯახში ისმენდა და ხედავდა, რა დამოკიდებულებასაც ახალი ხელისუფლებისადმი იჩენდნენ უფროსები, ისეთივე დამოკიდებულება და მსოფლმხედველობა ღვივდებოდა მოზარდის გულში.

საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად გასწყობილი ოჯახებიდან გამოსული გიმნაზიელებია საქციელმა თავიანი დაღი დაასვა სასწავლებლის საერთო ცხოვრებას და დისციპლინაც შეირყა.

მსგავსი მდგომარეობა სხვა სასწავლებლებშიც სუფევდა. სკოლათა მესვეურები ხშირად იკრიბებოდნენ ქალაქის განათლების განყოფილებაში, იხილავდნენ მიმდინარე ამბებს და მომავლის სამოქმედო გეგმებს სახავდნენ, თუ როგორ გამოსულიყვნენ ჩიხიდან და როგორ დასდგომოდნენ ახალ რელსებს. მაგრამ ეს იოლი საქმე არ აღმოჩნდა.

ნიკოს გული არ გასტეხია, საგონებელს უიმედოდ არ მისცემია. მისთვის თითქოს უცხოც არ იყო მქონებელთა მხრიდან ბრძოლის ამგვარი გამოხატულება. ნიკო ოპტიმისტურად უყურებდა ცხოვრებას და სჯეროდა, რომ მალე ყველაფერი ნორმალურ კალაპოტში მოექცეოდა. მასწავლებლებს აფრთხილებდა, კვლავინდებურად მოთმინებითა და სულგრძელობით მოკიდებოდნენ საქმეს. არ აჰყოლოდნენ ზოგიერთი მოსწავლის პროვოკაციას და მეთოდურად, თანმიყოლებით მოეთოკა ზოგიერთის აღვირახსნილობა. ეს კი ვლინდებოდა გაკვეთილების ჩაშლაში, სასკოლო ინვენტარის დაზიანებაში, ფანჯრების მსხვრევასა და სხვა წერილმან ხულიგნობაში.

ნიკოს თავისი პედაგოგების დიდი იმედი ჰქონდა და ამიტომაც იყო გულმაგრად. ოღონდაც ეს სასწავლო წელი როგორმე ჩაეთავებინათ, ახალი სასწავლო წლისათვის უფრო საფუძვლიანად მოემზადებოდნენ და დაირაზმებოდნენ.

ნიკო სასწავლებელში გვიანობამდე რჩებოდა. დერეფნებში კვლავ დაფუსფუსებდა დარაჯი სტეფანე ხურცილავა. საკლასო ოთახებს დაიარლიდა. იქაურობას საიმედოდ დაათვალიერებდა და შინ მანამდე არ მიდიოდა, ვიდრე დირექტორი სადარბაზო კარს არ გაიხურავდა.

ერთხელ სტეფანე აღშფოთებული შევიდა ნიკოსთან და მოახ-

სენა. ბიჭებს წასვლისას შეხუთე „ბ“ კლასში ორი ფანჯრის მინები ჩაუმსხვრევიათო.

ნიკო დუმს. გულში ღრმად იხვეტს ბოღმას. მეორე დღეს მეხუ-
„ბ“ კლასელთა წინაშე დგას და ჩვეული სიდინჯით, ხმადაბ-
ლა, თითქოს ისე, სხვათა შორის ამბობს:

— მოგწონთ ჩალეწილი ფანჯრების ცქერა? ამას მხოლოდ უგუ-
ნური თუ ჩაიდენს... ამის ჩამდენის საქციელი სხვა არა არის რა,
თუ არა პროტესტის ვამოხატულება... მინებს რას ვერჩით, ან მერ-
ხმა რა დააშავა? განა ეს ეკადრება ჩვენი სკოლის ღირსებას? სა-
ხელს ურყვნით და თავს იმასხრებთ... მე არ ვკითხულობ, კერძოდ,
ვინ იყო ამის ჩამდენი... ალბათ, არც გაგვიჭირდებოდა ამისი მიკ-
ვლევა და დამნაშავის დასჯა... მაგრამ მე მინდა, რომ შეგნებამ,
სინდისმა იმარჯვოს, რომ რაღაც გავლენებით ყმაწვილის შერყეუ-
ლი სული დამშვიდდეს და შეიგნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლე-
ბა დამყარდა სამუდამოდ და მასთან ამ მეთოდით ბრძოლა, მისდამი
ზიზღის გამოხატვა არავის ეარგებს, არავის გამოადგება. თქვენს
სინდისზე იყოს ეს ზარალი... მე ამ მინებს საკუთარი ფულით ჩა-
ვასმევინებ. და თუ სხვა დროს განმეორდა, ამას პირად მტრობად
ჩავთვლი... ვებრძოლოთ? ვიჩხუბოთ? თუ მეცნიერებას კვალს
გავყვეთ და ვიქცეთ ქვეყნის ღირსეულ ადამიანებად? ჩაუფიქრ-
დით, ყმაწვილებო!

ამას რომ ამბობდა, გული ყელში ებჯინებოდა! ძნელი იყო
თავშეკავება. მაგრამ სძლია, ერჩივნა, ერთი დენთივით ეფეთქა,
გულზე დაწოლილი კაეშანი უცებ მოეშორებინა. ძალდატანებით
დაყვავებით, ჩუმი ხმითა და შეგონებით სკადა აცვენილ ყმაწვილ-
თა მოთოკვა, რადგან „გველსა შიგან გამოიყვანს ენა ტკბილად
მოუბარი“. მალე ასეთმა მიდგომამ ნაყოფიც გამოიღო.

ნიკომ კარგად იცოდა, ზოგიერთთა ბრძოლის ეს მეთოდი საბ-
ჭოთა ხელისუფლებისადმი ზიზღით იყო გამოწვეული.

ერთ დღეს სტეფანე ხურკილავამ ყმაწვილკაცს წასწრო. და-
ნით საკლასო ოთახის კარს რომ სერავდა. დარაჯმა იმარჯვა. შო-
წაფეს დანა აართვა. გაცეკხლებულმა დარაჯმა ნერვები ვერ მო-
თოკა და დამნაშავე ისე დაალილავა, მეორე დღეს მისი მშობლე-
ბი საჩივლელად ქალაქის განათლების განყოფილებაში გაიქცნენ.

სტეფანემ ლაშის ხათაბალას გადაჭკიდა ნიკო. სანამ ყველაფე-

რი გაირკვეოდა, ყმაწვილის გაცოფებულ მშობლებს სხვა არა დარ-
ჩენოდათ რა, რომ არ გაეთათხათ საბჭოთა სკოლის ახალი წესრი-
გი...

ნიკომ ყმაწვილის გალახვისათვის სტეფანე ხურცილავას სას-
ტიკად უსაყვედურა.

ზოგ-ზოგთა პოლიტიკურ სიბეცეს, ცხოვრებისადმი ნიჰილის-
ტურ დამოკიდებულებას ნიკო ნუცუბიძე და მისი პედაგოგიური
კოლექტივი ნათელი გონებითა და იდეური გამჭრიახობით გადაე-
ღობა.

ბრძოლა გრძელდებოდა.

ცხელი ზაფხული იცის ქუთაისში, მაგრამ საღამოობით რიო-
ნის მაცოცხლებელი სიგრილე შვებას ჰგვრიდა ქუთათურებს.

იმ ზაფხულს მაინც, ისეთი პაპანაქება იყო, ვისაც კი შეეძლო,
სოფლებში გაიხიზნენ და სიგრილეს შეაფარეს თავი.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის არც ერთ მასწავლებელს ფეხი
არ გაუდგამს ქალაქიდან. ქუთაისის განათლების განყოფილების
გამგე პოლიკარპე ბარდაძე სამსახურში აღამებ-ათენებდა. განყო-
ფილებაში მუდმივი ფუსფუსი იყო, ახალი სასწავლო წლის სამ-
ზადისს შესდგომოდნენ.

ერთ საღამოს ნიკო განათლების განყოფილებაში მივიდა. გან-
ყოფილება ძველისძველი შენობის მეორე სართულზე იყო და
ჩაბეუტებული ნათურა სულ ოდნავ ანათებდა სადარბაზოში აწო-
წილ ვიწრო კიბეს.

ნიკო კიბეს აჰყვა. ზემოდან თავით ფეხებამდე თეთრ ტანსაც-
მელ-ფეხსაცმელში გამოწყობილი ახოვანი კაცი ჩამოდიოდა. ლა-
ღად, მსუბუქად მოდიოდა, საფეხურებზე ანცი ბავშვივით მოაცეკ-
ვეებდა ფეხებს.

ნიკომ შეხედა თუ არა, შეჩერდა და თვალი არ მოაცილა ზე-
მოდან მომავალ მამაკაცს. თვალს არ დაუჯერა, რომ ეს განათლე-
ბის განყოფილების ყოფილი ინსპექტორი, კირილე წულუკიძე იყო,
ამას წინათ ბოლშევიკებს შიშით რომ გაურბოდა. მას მერე არც
უფიქრია ამ კაცზე. რომელი ერთი გაქცეული უნდა გაეხსენებინა.
ბევრი უკან მობრუნებულიც უნახავს, მაგრამ კირილე ისეთი რი-
ხით, ისეთი მონდომებითა და შიშით გარბოდა, ქუთაისისკენ

მკვდარს თუ შემოაბრუნებდნენ, თორემ ცოცხალზე ფიქრი ვის ექნებოდა!

გალაღებულა კოხტად ჩაცმული ყმაწვილი!

ნიკოს ელდა ეცა მის დანახვაზე. ეს იყო მოულოდნელი და არასასურველი შეხვედრა, ძველი ჭრილობის გახსნა, არასასიამოვნო ამბავის გახსენება.

კირილემ იცნო ნიკო.

— ნუცუბიძეს ვახლავარ, ნუცუბიძეს! — შესძახა აღტაცებით და ნიკო ოდნავ მაინც რომ გადახრილიყო მისკენ, მარტო ხელის ჩამორთმევას კი არ დასჯერდებოდა, ალბათ გადაეხვეოდა და გადაკოცნიდა კიდეც.

— ბატონი წულუკიძე ბრძანდებით?

— კარგი ახლა, მოეშვი ამ ოფიციალობას... ჩვენ კოლეგები და ამხანაგები ვართ...

— სწორე გითხრა, არ მოგელოდი... სხვანაირად გაიქეცი იმ დღეს...

— როგორ სხვანაირად!.. იმ დღის მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. — მწყრალად შეათამაშა წარბები. კირილემ, — ზოგიერთ რამეს თვალს უხუჭავენ და ივიწყებენ... ვიცი, განაწყენებული ხარ ჩემზე... მაგრამ, რა მექნა, გიჩიელეს და ზომები ხომ უნდა მიმეღო...

— არა რუსეთისა და რუსული ენის გინებით!

— გვაპატიეთ, ბატონო... ბოდიში შეწუხებისათვის! — მკერდზე ხელი მიიდო კირილე წულუკიძემ, წელში მოიხარა, წარბები ერთხელ კიდევ შეათამაშა და კბეს ჩაუყვა.

ცოტა ხნის შემდეგ ნიკო განათლების განყოფილების გამგის, პოლიკარპე ბარდაძის პატარა ოთახში იჯდა.

— საკვირველია, პირდაპირ, — დაიწყო ნიკომ და საქალალდე ცოტა ხნით გვერდზე გადადო. — ზოგს როგორ ემარჯვება, ყოველგვარ ხელისუფლებას აუღოს აღლო და ისე შეეგუოს, ვითომ არაფერი. ცარიზმი, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი, სოციალიზმი და კომუნიზმი ერთ ლანგარზე აქვს მირთმეული...

— რაზე ბრძანებთ, პატივცემულო ნიკო, არ მესმის! — გაკვირვებით შეხედა ბარდაძემ.

კირილე წულუკიძეზე მოგახსენებთ... განათლების განყოფილების ყოფილ ინსპექტორზე...

ახლახან მეოთხე სკოლის დირექტორად დავნიშნეთ...

— მომილოცავს! — ფიცხლად მიუგო ნიკომ და ჩაეცინა, ჩინებული კანდიდატურა შეგირჩევიათ.

განკარგულება თბილისიდან მივიღეთ... მაინც, რას ეპვობ, ნიკო? იქნებ უფრო კულახდილად მითხრათ?

— დასამალი არაფერი მაქვს, გეტყვით. კარგია, რომ იცოდეთ...

ნიკომ დაწვრილებით მოუთხრო კირილესთან წაკიდების ამბავი. არც ის დაუმალა, ქუთაისიდან კუდამოძუებული რომ გარბოდა ბოლშევიკების შიშით.

პოლიკარპემ გულდასმით მოუსმინა და თქვა:

— ნურაფერი გაგიკვირდებათ, ნიკო... ბევრი დღესაც დაბნეულია და ვერ გარკვეულა შექმნილ ვითარებაში...

— მაგრამ პირად ცხოვრებას კი კარგად უხამებენ გარემოებას, ისევე როგორც ქამელეონები... იქნებ ცოტა მკაცრად მოვეკიდოთ პედაგოგების შერჩევას?! ჩემი არ გესწავლებათ, უმაწვილებს დღეს ყველაზე უფრო მეტად სჭირდებათ სწორი ორიენტაცია...

— მართალი ხარ, ნიკო... მაგრამ კაცსაც ასე ერთბაშად ვერა ჰკრავ ხელს. განათლების სისტემაში ნაპუშევარია... ენახოთ, ცხოვრება გვიჩვენებს.

— მე ჩემი მითქვამს, — უკმაყოფილოდ გააქნია თავი ნიკომ და თავის საქალალდეს გადასწვდა, პოლიკარპეს მაგიდაზე დაუდო. — გადახედეთ. მე მგონი ამ გეგმით გადავჭრით ჩვენს წინაშე დასმულ ამოცანას.

— ამას დღესვე გავეცნობი, — პოლიკარპემ საქალალდე გასხვაფურცელს დახედა და იმ წუთში ამით დაკმაყოფილდა. იგი დიდი ხანია იცნობდა ნიკო ნუკუბიძეს. იცოდა მისი გაბჭრალი გონების ამბავი, აფასებდა მის ცოდნასა და გამოცდილებას. სწორედ ამიტომ, სხვა დირექტორთაგან გამორჩეულად, სთხოვა შეეგზავნა სასწავლო წლის პერსპექტიული გეგმა, სადაც საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის საფუძველზე და-

მუშავებული იქნებოდა სკოლის მიკრორაიონში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საკითხი.

პოლიკარპემ საქალალდე რომ დახურა, ნიკოს საუბარი ბინახე ჩამოუგდო. ბარდაძემ იცოდა ამ კაცის საბინაო გასაჭირი, მოკლე ხანში რამდენიმე ადგილი რომ გამოიცვალა. ამაზ წინათ შესთავაზა კიდეც, საცხოვრებლად გიმნაზიის შენობის წინ აგურით ნაგებ ძველ შენობაში გადასულიყო. რომლის დიდრონი ოთახები გამოუყენებლად ჰქონდათ. ნიკოს გაეხარდა. მეორე დღესვე სტეფანე ხურცილავას გააღებინა ძველი შენობის კარი და მასთან ერთად დათვალიერა დროებით მიტოვებული ოთახები.

პოლიკარპემ ახლა ჰკითხა, როგორ დაბინავდითო.

— ჯერ არ გადავსულვარ. მსუბუქ რემონტს ვუკეთებ და მგონი ამ დღეებში დავბინავდები. ეფიქრობ, დანარჩენი ოთახები სასკოლო კაბინეტებისათვის გამოვიყენო.

— კაბინეტებისათვის? შორს უმიზნებ, ნიკო...

— ჩვენი პერსპექტიული გეგმა ამასაც ითვალისწინებს. პროექტში შეგხვდებათ თავი, რომელიც მე და ნიკო ჯაფარიძემ დავამუშავეთ საბუნებისმეტყველო კაბინეტის შექმნის შესახებ.

— სახსრები? საიდან გამოვნახოთ ეს სახსრები. როცა ერთი ხელრიანი სახელმძღვანელოც არ გაგვაჩნია.

— იმედი მაქვს, განათლების განყოფილება ჩვენი გეგმის ამ ნაწილს ყურადღებას მიაქცევს. — ნიკოს ისეთი ცივი და ოფიციალური კილო ქონდა, პოლიკარპეს არაფერი უთქვამს. მას ძალიან ბევრი მოუგვარებელი საკითხი აწუხებდა და ახლა თავი შეიკავა, შეკამათებოდა ნიკოს. მასამდე, ვიდრე გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივის მიერ დამუშავებულ პერსპექტიულ წლიურ გეგმას არ გაეცნობოდა.

კაბინეტების შექმნის იდეა ნიკოს ჯერ კიდევ ადრე აწუხებდა. იგი ხედავდა, რომ ზოგიერთი მასწავლებელი თავს იტყუებდა ილუზიებით. თითქოს სასკოლო ბუნებათმეცნიერული საგნების: ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და ზოოლოგიის ერთად დამაკმაყოფილებლად, ძალიან კარგად შესწავლაც კი შესაძლებელი იყოს ილუსტრირების, თვალსაჩინოების, ლაბორატორიულ-პრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეთა უშუალოდ ჩაბმის გარეშე. ბევრი მასწავლებელი დაჟინებით იცავდა თავის მეთოდს, მხოლოდ

„წიგნური“ პრაქტიკით მიეღწია მიზნისათვის. ისინი ლაბორატორიაში გაწეულ მუშაობას ზედმეტად მიიჩნევდნენ, აცხადებდნენ, რომ იგი ზღუდავს მოსწავლეთა თეორიულ ჰორიზონტს.

ნიკო ხუციუბიძე ეწინააღმდეგებოდა ამ თვალსაზრისს. ზეპირი და ჩვენებითი გზით შეძენილი ცოდნა მას მერყეევად და ზედაპირულად მიაჩნდა, იგი ცოდნის მტკიცე საფუძველს მოკლებული იყო.

ილუზიები უცხო როდი გახლდათ ნიკოსთვის, მაგრამ, როცა საქმე საბუნებისმეტყველო მეცნიერებას ეხებოდა, იგი რეალისტურად უყურებდა მოვლენებს.

ახალგაზრდა ნიკო ჯაფარიძე ზუსტად ამავე აზრს ადგა. ნიკო ხუციუბიძეს უხაროდა, რომ ეს საღად. მოაზროვნე ახალგაზრდა პედაგოგი ღრმად უკვირდებოდა მოვლენებს და საკმაოდ შორსაც იხედებოდა, საბუნებისმეტყველო მეცნიერების დიდ მომავალს გრძნობდა.

სასკოლო გეგმაში ხაზგასმული იყო ლენინის დაბეჯითებითი მოთხოვნა სახალხო განათლების ორგანოებისადმი, სისტემატურად შეაგროვონ, განაზოგადონ და ფართოდ გამოიყენონ პრაქტიკული გამოცდილება.

ერთი სიტყვით, ამ გეგმას გიმნაზიის თითქმის მთელი კოლექტივი ადგენდა და მასში ჩაქსოვილი წლობით დაგროვებული მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება უთუოდ კეთილად წაადგებოდა ახალ საქმეებს.

შინ მიმავალი ნიკო გზაში კირილე წულუკიძეზე ფიქრობდა. შინ რომ მივიდა ნინოსთან საუბარში მოიოხა გული. მერე იმავე საღამოს ცოლი და ქმარი ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასასვლელად სამზადისს შეუდგნენ. ქონებით ღარიბები იყვნენ. მხოლოდ საჭირო დგამი ჰქონდათ: ფრაჟის ძველი საწოლები, ტახტი, კარადა, მაგიდა, კამოდი და სკამები. სხვა საოჯახო წვრილმანი... კუსტარული თაროები და უამრავი წიგნი. ბლომად წიგნებში უნიკალური გამოცემებიც ჰქონდა ნიკოს. და თავის ამ არცთუ მდიდარ, მაგრამ მაინც საკმაო მოცულობის ბიბლიოთეკას თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. აბარგებაც აქედან დაიწყო. დასტა-

დასტა წიგნებს ნელ-ნელა კრავდა, თანაბარი ზომისას ერთად იატაკზე გაშლილ ფარდაგზე აწყობდა.

ნინოს უსაროდა ბინის შეცვლა. ჯერ ერთი იმიტომაც, რომ საგრძნობლად გაფართოვდებოდნენ, მეორეც, ნიკოს საშუალება ექნებოდა ახლო ყოფილიყო გიმნაზიასთან.

სკოლის სახელის შეცვლაზე ჯერ არავის ეზრუნა. ქუთაისის სასწავლებლები ისევ ძველ სახელს ატარებდნენ. გარდა ქალთა წმინდა ნინოს სასწავლებლისა. ეს სახელები — კლასიკური გიმნაზია, ქართული გიმნაზია — უცვლელი იყო 1923 წლამდე. ქართულ გიმნაზიას შემდგომ ჰუმანიტარულ ტექნიკუმად გადაურქვეს სახელი, ხოლო მოგვიანებით კვლავ შეუცვალეს, ჯერ მეორე ცხრაწლედად, ხოლო შემდეგ მეორე საშუალო სკოლად იწოდებოდა. ასე ეწოდება დღესაც.

იოსებ ოცხელის, სილოვან ხუნდაძის, ვალერიან კანდელაკის შემდეგ ქართული გიმნაზიის დირექტორობა წილად ხვდა ნიკო ნუცუბიძეს და ამ სახელით დაიწყო მისი, როგორც სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელის მოღვაწეობა.

ნინო ხედავდა ქმრის უსაზომო მოწადინებას. ხედავდა რა ძძიმე მისია დაეკისრა მის ქმარს, როცა სკოლების ცხოვრებას მიმართულება უნდა ეცვალათ, როცა ეკონომიკურად მოშლილ ქვეყანაში სწავლების სიახლე უნდა დანერგილიყო.

ნიკო დღე და ღამ სასწავლებელში იყო. გვიან ღამით. როცა იგი მიძინებული ქუთაისის მიყრუებული ქუჩებით შინ ბრუნდებოდა, ნინო ელოდა. ელოდა მოქანცულ კაცს. რომელიც არაფერს ზოგავდა გიმნაზიის შელახული სახელისა და მისი დიდების აღსადგენად. ეს შრომა დიდი ჯაფის ფასად უჯდებოდა.

იქნებ ცოტა შეღავათი მისცემოდა ნიკოს. იქვე. გიმნაზიის მახლობლად რომ იცხოვრებდა. ამიტომ გადასასვლელად გაფაციცებით ემზადებოდა ქალი და ზაფხულის ერთ საღამოს ნუცუბიძეებმა რამდენიმე ფურგონით შეარახარახეს თავიანთი ავლ-დიდება გიმნაზიის ეზოში.

ნინო გახარებული დადიოდა ჯერ კიდევ დაულაგებელ ოთახებში. ხუთი წლის კუკური კუთხიდან კუთხეს ყიჟინით აწყდებოდა, ხოლო პატარა ზურაბი დედის ძუძუს ლოღნიდა და ჯერ

არაფერი გაეგებოდა მათ ოჯახში იმ დღეს რა ბედნიერება სუ-ფევდა.

სტეფანე ხურცილავა და რამდენიმე კაცი მიეხმარნენ ნიკოს, ბარგი შეაზიდვინეს, შეკრული წიგნები დაუბინავეს. კაცები წა-ვიდნენ. სტეფანე კი დარჩა, სანამ ავეჯი თავის ადგილზე არ შიაწყვ-შოაწყვეს.

— ნამდვილი მეფური სასახლეა, — უხაროდა ნიკოსაც.

სტეფანეს უკვირდა, რატომ აქამდე კი არ გადმობრძანდებო-დითო. ეს შენობა დიდხანს უპატრონოდ იყო გამოკეტილი, საკ-მაო ოთახები უქმად ცდებოდა, შმორისა და ნესტის საბინაღრო გამხდარიყო.

— დანარჩენ ოთახებში კაბინეტებს გავხსნით... გიმნაზიის დაუმთავრებელ ფლიგელსაც დავამთავრებთ და სასწავლო ქა-ლაქს გავხსნით... სტეფანე, ფეხი არ მოიკვალო. ახლა ნინო რა ღაცას მოგვიმზადებს. თითო ჭიქით ჩვენი ახალსახლობა დავილო-ცოთ, — დაპატიჟა ნიკომ.

სტეფანე მუდამ მორცხვი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ სულაც არ მორცხვობდა. ახლაც შეიშმუშნა, ოღონდ ახალ-მოსახლეთა დალოკვაზე უარი არ წამოსცდენია.

გვიანობამდე ისხდნენ.

სტეფანემ დაღლილა ახალგაზრდა ოჯახი:

— ჯანმრთელობა მოგცეთ უფალმა, ეს ორი გვრიტი დაგივაჟ-კაცოთ. კუკურია და ზურიკო... მაგათ გამრავლებას მოგასწროთ. ამ სახლის ჭერი გფარავდეთ წვიმისგან, თოვლისგან, სეტყვის-გან. ქარისგან. ეშმაკისა და ქაჯისგან! იცოცხლეთ. ბატონო ნიკო, ქალბატონო ნინო!

— იცოცხლე, ჩემო სტეფანე!..

— იხარეთ, ბატონო!

სკოლის მახლობლად ცხოვრებამ თითქოს საქმესთან უფრო შეამჭიდროვა ნიკო. ახლა იგი მთელი არსებით მხოლოდ სასწავ-ლებელზე იყო მიჯაჭვული.

ზაფხულის ბოლო თვე მოსამზადებელ სამუშაოებს შეალია. საშინელი გვალვა დაიჭირა. რიონში წყალმა ისე იკლო, თითქოს

ღღე-ღღეზე დაშრებაო. მთელი ქუთაისის ახალგაზრდობა მდინარეს ეტანებოდა. აქ ითქვამდნენ სულს.

და ამ გაგანია სიცხეში მასწავლებლები ყოველდღე იკრიბებოდნენ გიმნაზიაში.

დალოცვილმა ხელებმა ააგეს ეს საშვილიშვილო შენობა, სქელი, მასიური კედლებით, ზამთარში სითბოს რომ ინარჩუნებდა, ხოლო ზაფხულის პაპანაქებაში მაცოცხლებელ სიგრილეს ინახავდა.

ახლოვდებოდა სექტემბერი და ნიკო ახალი სასწავლო წლის დადგომას ისეთი მღელვარებით მოელოდა, თითქოს ახლა იწყებოდა მისი პედაგოგიური მოღვაწეობა. პასუხისმგებლობის გრძნობა ბევრ რამეს ავალებდა, სწორედ აქედან მოედინებოდა მისი მღელვარებაც.

სადებიუტო სპექტაკლივით განიცდიდა სასწავლო წლის პირველი ღღის დადგომას, როცა მას, როგორც დირექტორს, პირველად უნდა მიელოცა მოსწავლეებისათვის. იგი ამ ღღესათვისაც კი საგანგებოდ ემზადებოდა. მღელვარების გარეშე არა საქმის კეთება არ შეეძლო.

სასწავლო წლის პირველ ღღეს თითქოს ყველაფერი თავიდან იწყება.

პასწავლებლის პროფესია, ერთი შეხედვით, მეტისმეტად მძიმე და მოსაწყენი პროფესიაა, მძიმე — დანიშნულებით, მოვალეობით, შრომატევადობით; მოსაწყენი — ყოველწლიური თითქოს ერთფეროვანი გამეორებებით, ათასჯერ და ათიათასჯერ გამეორებებით, ათასჯერ და ათიათასჯერ გახუთხული გაკვეთილებით...

ეს ყველაფერი ერთი თვალის შეელებით. ზერელე მზერით. სკოლის ცხოვრებაში ღრმად ჩაუხედავი ადამიანის განსჯით...

სკოლა ჭეშმარიტი პედაგოგისათვის სიცოცხლეა. სკოლა მისი არსებობის აზრია. სკოლა ეს ია მჩქეფარე. წმინდა და ძლიერი ნაკადულია. რომელიც ცხოვრების ყოველგვარ ჩარხს აბრუნებს.

ყოველი სასწავლო წელი ბევრი. ძალიან ბევრი რამით განსხვავდება წარსულ სასწავლო წელთაგან წელთა სიმრავლე, ყმაწვილთა ზრდა, მასწავლებელთა დაბრძენება. მათი ურთიერთობანი და მოფლმხედველობა — ბევრი რამ იცვლება, ვითარდება.

არც ერთი სასწავლო წელი თავის შინაარსით არა ჰგავს ერთ-მანეთს. მაშინ სკოლა ნაკადულს კი არ დაემგვანებოდა, მუდამ მოძრავი, ანკარა და მჩქეფარე წყლით, არამედ სიძველისაგან ნა-პირებმოშპალ ტბორს...

განახლება, მოძრაობა, ზრდა, განვითარება, ადამიანთა ფორ-მირება — ასე დუღს სკოლა.

დაობლებულ, პატრონთაგან მიტოვებულ სახლ-კარსა ჰგავს ზაფხულობით მიყუჩებული სკოლის შენობა. დგას მდუმარედ, მძიმედ, თითქოს ბერიკაციანით ღრმად ჩაფიქრებული.

კიდევ კარგი, რომ იმ ზაფხულს მასწავლებელთაგან მაინც არა-ვის მოუცვლია ფეხი. სამუშაო ბევრი იყო. ახალი, საბჭოური გა-ნათლების სისტემა ლენინის უშუალო მითითების მიხედვით ით-ვალისწინებდა უახლეს წლებში წერა-კითხვის უცოდინარობის მთლიან ლიკვიდაციას. მასწავლებლები იმ ზაფხულს სკოლის მახლობელ რაიონში უბან-უბან დადიოდნენ და აღრიცხავდნენ წერა-კითხვის უცოდინარებს. სწავლების სამზადისი მეორე ფრონ-ტზეც ჩაღდებოდა. ჩანდა, მასწავლებლებს ამ ახალ სასწავლო წლიდან გაორკეცებული ენერგიით მოუხდებოდათ მუშაობა.

აგვისტო რომ მიიწურა, ერთ საღამოს, ნიკოს ახალგაზრდა კა-ცი ეწვია სკოლაში. ეს კაცი უცნობი არ იყო, მაგრამ არც ისე ახ-ლო იცნობდა, სულ რამდენჯერმე შეხვდა განათლების განყოფ-ლებაში თათბირზე. ერთ-ერთი სკოლის დირექტორად იყო და-ნიშნული. იმდენად ახალგაზრდა იყო, რომ ნიკოს გაუკვირდა კი-დეც მისი ასეთი უცაბედი დაწინაურება. მაგრამ იმ ორიოდე თათ-ბირზე მან ჭკვიანი, განათლებული და გონიერი ჭაბუკის შთაბეჭ-დილება დატოვა და ნიკოს თავისი ეჭვი არავისთვის გაუმჟღავნე-ბია.

ახლა ეს ჭაბუკი სკოლაში ეწვია.

— მობრძანდით, მობრძანდით! — ნიკო ფეხზე წამოდგა. სტუ-მარს კაბინეტის კართან შეეგება და შემდეგ პირისპირ დასხდნენ.

— შეგაწუხეთ, პატივცემულო ნიკო, — დაიწყო ივანე ვაშაკი-ძემ. — პატივცემულმა პოლიკარპემ მირჩია საკონსულტაციოდ თქვენთან მოვსულიყავი... მოგეხსენებათ, ძნელია ახალ საქმეს შეუდგეს გამოუცდელი კაცი...

— მოხარული ვიქნები, თუ რაიმეთი შემიძლია დაგეხმაროთ... რით დავიწყოთ?

— განათლების განყოფილებაში ყველა თქვენს გეგმაზე ლაპარაკობს. პატივცემულმა პოლიკარპემ მირჩია, პირველ რიგში გეგმას გავცნობოდი...

ნიკომ თანაგრძნობით შეხედა სკოლის ახალგაზრდა დირექტორს და ეცინამოვნა, რომ მან პოლიკარპე ბარდაძია რჩევა არ ითაკილა. იმ დღეებში, როცა განათლების განყოფილებამ სამაგალითოდ მიიჩნია ნუცუბიძისა და მისი პედაგოგიური კოლექტივის მიერ შემუშავებული სამუშაო გეგმა და პოლიკარპე ბარდაძემ რამდენიმე სკოლის დირექტორს ურჩია გასცნობოდნენ ამ გეგმას, მათ ცხვირი აიბზუეს და ამაყად განაცხადეს, რომ არანაკლებ საფუძვლიანად დაამუშავებდნენ თავ-თავიანთ გეგმებს. მათ ეს გეგმები წარადგინეს, მაგრამ ნიკო ნუცუბიძის გეგმას ვერ გაუტოლდნენ. ეს ძალზე რთული, შრომატევადი სამუშაო, რომელსაც წინ მრავალი გონიერი გააზრება, პრაქტიკულ საქმიანობიდან გამომდინარე დასკვნები უძღვოდა, არც ისე იოლი ჩამოსაყალიბებელი იყო, როგორც ზოგიერთს ეგონა.

და ეტყობა, ამ საქმეში სრულიად გამოუცდელ ივანე ვაშაკიძეს უფრო მეტად გაუჭირდა. ბუნებრივია.

— გეგმას გაგაცნობთ, — დაეთანხმა ნიკო, — მაგრამ, ჩემი რჩევა იქნება, შაბლონად ნუ გამოიყენებთ. ჩვენს სასწავლებელს ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს თავისი ტრადიციებით, ჰყავს გამოცდილი პედაგოგები... თქვენი სკოლა ახლა ჩამოყალიბდა. ცხადია, უფრო მეტ სიძნელეებს წააწყდებით... გეგმის გარდა, თუ კიდევ რამე დაგჭირდეთ საკონსულტაციო, მთელი ჩვენი პედკოლექტივი მზად იქნება დაგეხმაროთ.

— დიდი მადლობელი დაგრჩებით, პატივცემულო ნიკო, მე თავს ბედნიერად ვიგრძნობ, თუკი შეგირდად მიგულებთ. გამოცდილება დიდი სკოლაა და თქვენ ეს სკოლა წარმატებით გაქვთ გავლილი...

ნიკომ სამუშაო გეგმის ერთი პირი ვაშაკიძეს გაატანა.

ივანე ვახშამს არ გაჰკარებია, შინ მივიდა თუ არა, ჩაიკეტა და დიდი გატაცებით ჩაუჯდა სამუშაოს.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიას სახელი, გიმნაზია, 1923 წლამდე შერჩა. ივანე ვაშაკიძეს ამ სკოლაში არ უსწავლია, მაგრამ იმდროინდელმა ახალგაზრდებმა კარგად იცოდნენ სახელგანთქმული სასწავლებლის მთელი ისტორია, ყმაწვილთა წვრთნა-განვითარებაში მისი წონა და ხვედრი.

გიმნაზიელთა შემუშავებულ გეგმას ივანე უყურებდა როგორც სახელმძღვანელოს. იგი ვრცელი იყო, ყველაფრის მომცველი, რაც კი სკოლას ეხებოდა, პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს.

ამ გეგმაში ლენინის მოთხოვნათა შესაბამისად პირველ პლანზე იყო წამოწეული სკოლის მიკროორგანიზმში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე. გეგმის ეს ნაწილი ასე იყო დასათაურებული:

„ვ. ი. ლენინის თეზისებში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავზე არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი" და სკოლის ამოცანები".

მიკროორგანიზმი გეგმის მიხედვით უბნებად იყო დაყოფილი. დაზუსტებული იყო 50 წლის ასაკამდე წერა-კითხვის უცოდინარი ყველა მოქალაქე. ამ საქმისათვის უბნებზე ბრძანებით იყვნენ მიმაგრებული მასწავლებელთა და მშობელთა აქტივი. დაკომპლექტებული იყო ქვეჯგუფები, მასწავლებლები... მეცადინეობა ამ ჯგუფებთან საღამოობით ჩატარდებოდა.

სკოლის გეგმაში დიდი ადგილი ეჭირა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონს და სკოლის ამოცანებს. გათვალისწინებული იყო გაკვეთილების ხარისხის გაუმჯობესება და სკოლის დირექციის როლი. განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული თითოეული გაკვეთილის იდეურობაზე. ყურადღება ექცეოდა საპროგრამო მასალის დაკავშირებას თანადროულობასთან. სწავლებისა და აღზრდის ერთ მთლიან პროცესად გადაქცევას. ყურადღება ექცეოდა ამ ფაქტს, რომ მასწავლებელთა მუშაობაზე არა მარტო კონტროლი უნდა დაწესებულიყო, არამედ თითოეულ პედაგოგს შესაძლებლობა ეძლეოდა თეორიული და პრაქტიკული დახმარება მიეღო. მასწავლებლის შემოწმება კი ძირითადად მთელი მისი საქმიანობით, მისი ცოდნის, პროფესიისადმი სიყვ-

ქარულის, მეთოდური დახელოვნების, სამართლიანობისა და ობიექტურობის მიხედვით.

ივანე კითხულობდა გეგმას და მის ყოველ მუხლს, ყოველ წინადადებას რამდენჯერმე უბრუნდებოდა, თითქმის ზეპირად სწავლობდა. ეს იყო ფუნდამენტური ნაშრომი, პედაგოგების სახელმძღვანელო, აღმოცენებული მრავალი წლის დაუცხრომელი მოღვაწეობის ნიადაგზე.

ივანე ამჩნევდა, რომ ეს ყველაფერი გამომზეურებული იყო პირადად ნიკო ნუცუბიძის პრაქტიკულ გამოცდილებიდან. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მასწავლებელთა კომპლექსურ საქმიანობას. ივანემ იცოდა, როგორ ამოწმებდა ნიკო მასწავლებლებს კლასის მომზადების მიხედვით, როგორ ყურადღებას აქცევდა ჟურნალებისა და დღიურების ყოველდღიურ წარმოებას, მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურ შემოწმებას. შედეგებს პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე იხილავდა. მისი პედსაბჭო დიდ აღშფოთებლობით ფორუმს წარმოადგენდა.

ეს ყველაფერი ვაშაკიძემ გადმოცემით იცოდა, მაგრამ ახლა, გეგმის გაცნობისას, თვალწინ დაუდგა ნიკოს მთელი მოღვაწეობა და უფრო მეტი კდემამოსილებითა და თაყვანისცემით განიმსჭვალა მისდამი.

გეგმაში ჩანდა, როგორ დიდად ფასდებოდა მასწავლებლის შრომა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მის პედაგოგიურ დაოსტატებას. მასწავლებელს უნდა შესძლებოდა მოსწავლეში სწავლის დაუმცხრალი სურვილის გაღვიძება. გეგმა მოითხოვდა დამოუკიდებელი აზროვნების გზით. მოსწავლეთა გააქტიურებას.

გიმნაზიაში ამ მუხლების დაძლევა შესაძლებელი იყო. ივანეს თვალწინ დაუდგნენ მისი შესანიშნავი პედაგოგები: დომენტი ოყროშიძე (თომაშვილი), რომელიც ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. ეს კაცი სახელგანთქმული პოეტიც გახლდათ და საკმაო ავტორიტეტი ჰქონდა ქუთაისის პედაგოგიურ წრეებში. დიმიტრი ლორთქიფანიძის, ნიკო ჯაფარიძის, სიმონ ეზიკაშვილის, ალექსანდრე ჯანელიძის, სოლომონ წერეთლის, პეტრე ყიფიანის, ნიკო შარაშიძის, ბენედიქტე მამფორიას, მექი ხელაძის, აკაკი ფაღავას და სხვათა სახელები ცნობილი იყო მთელ ქუთაისში.

გეგმაში ხაზგასმული აყო ლენინის მითითება: „ყოველ სკო-

ლაში უმნიშვნელოა გაკეთილის ფილოსოფიურ-პოლიტიკური მიმართულება".

ამას ნიკოს განათლების განყოფილებაში, როცა ლენინის ამ მითითების საფუძველზე თათბირი ჩატარდა, ყველა საშაგალითოდ ისევ ქართული გიმნაზიის მასწავლებლებს ასახელებდნენ, შენგელიას, ყვარელიძისა და ხანანაშვილს.

გეგმაში ასახული საკითხები, ვაგონილი, ნანახი თუ შესწავლილი ერთად მოიზიდავდა ვაშაკიძეს. უკვე ნაშუალამევი იყო, როცა იგი ოთახში ბოლოს სცემდა ბევრი საკითხი აფიქრებდა, თავისი სკოლის ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა. ნიკოს მიერ ჩამოყალიბებულ გეგმაში კი პუნქტები ლერწმანივით მტკიცედ იყო ჩაშენილი.

და იგრძნო ივანე ვაშაკიძემ, ამიერიდან მის ურთიერთობას ნიკოსთან მტკიცე და ურყევი საფუძველი ეყრებოდა.

ეს ურთიერთობა შემდგომ მართლაც განმტკიცდა და ისინი ბოლომდე კარგი მეგობრები იყვნენ.

ივანე ვაშაკიძე აწ განსვენებულ ნიკო ნუცუბიძეს დღესაც სიყვარულით ისსენიებს და თავის საუკეთესო მასწავლებელთა შორის ერთ-ერთს პირველს ასახელებს, თუმცა მისი მოწაფე არასოდეს ყოფილა.

იმ ღამეს კი ყველაფერი გადაწყდა. ივანეს წინაშე დაიხატა ახალი სკოლის ნათელი სურათი, ქუთაისის ქართული გიმნაზიის სიმტკიცე და ის კარგი მომავალი, რომელსაც ამ სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივი გრძნობდა თავის ახალგაზრდა დირექტორთან ერთად.

ნიკოს არაერთხელ გაუმეორებია მასწავლებელთა წრეში ძველი ფილოსოფოსის შეგონება: „სიბრძნეს ის იძენს, ვინც ხედავს, როგორ იზრდებიან ადამიანები".

ქართული გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივისა და ნიკოს ნამოღვაწარი გეგმა ქაღალდზე არ დარჩენილა. ნიკო დინჯად, მეთოდურად, საოცარი მოთმინებით და უნდა ითქვას, პედანტურადაც კი, მიპყვებოდა დასახულ მიზანს.

მუშაობა გახურდა.

დღისით სკოლის საკლასო ოთახები და დერეფნები თუ მო-

ზარდებით ივსებოდა და გუგუნებდა, საღამოთი სკოლისკენ მოზრდილები მოეშურებოდნენ. მოსწავლეთა მეორე ცვლა პირველისაგან როგორც ცა და მიწა ისე განსხვავდებოდა. მოზრდილი ადამიანები თითქოს ახლა გამოდიოდნენ ბნელეთიდან და სინათლის უცაბედი შეგრძნება საოცარი ძალით მოქმედებდა მათზე.

ჯერ მცირე ცოდნა რა არის კაცისთვის და სულ არარაობა ხომ სიბეჩავის მძიმე უღელია.

ცოდნა მასებს —კანონად ჩამოყალიბდა და სწავლა ყველასთვის სავალდებულოდ გამოცხადდა.

გაჭირვება კი ადვილად ვერ სცილდებოდა ქვეყანას. რასაკვირველია, იგი თავისთავად ვერ ამოიძირკვებოდა. ქვეყანას ბევრი რამ აკლდა, ძალიან ბევრი. საღამოს სწავლების მოწაფეებს კი არა, ყმაწვილებს არ ჰქონდათ სახელმძღვანელოები, რვეულები, საწერ-კალმები, ფანქრები... მაგრამ მასწავლებელთა ცდა განუზომლად დიდი იყო. ისინი შესაშური ფანატიკური სიყვარულით ეძალებოდნენ საქმეს.

სწორედ ამ პერიოდში, მიუხედავად განათლების განყოფილების წინააღმდეგობისა, ნიკო ნუცუბიძე და ნიკო ჯაფარიძე აგურით ნაგებ სახლში, სადაც ნიკო ნუცუბიძე თავისი ოჯახით ცხოვრობდა, ხსნიან საბუნებისმეტყველო კაბინეტს. ეს იყო ჯერ პრიმიტიული, ღარიბული კაბინეტი, მაგრამ ნიკო ჯაფარიძის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს აუსრულდა ოცნება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების: ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და ბოტანიკის დიდ მომავალზე თითქმის ყოველ გაკეთილზე აღნიშნავდა. იგი ქიმიის მასწავლებელი იყო და თავისი საგანი ერთ-ერთ მთავარ საგნად მიაჩნდა. ამით ამაყობდა კიდეც. მასალებს აგროვებდა, რათა მშობლიურ ენაზე შეექმნა ბუნებათმცოდნეობის სახელმძღვანელო, ამუშავებდა ქიმიის ტერმინოლოგიას, რუსულიდან თარგმნიდა საბუნებისმეტყველო ნაწარმოებებს. ოდესის უნივერსიტეტდამთავრებულს ფართო განათლება ჰქონდა. ნიკოს მზრუნველი ხელი თავიდანვე დაუტყო ახლად შექმნილ კაბინეტს. ხელოსნებს გააკეთებინა კარადები, თაროები და სტენდები, თუკი რაიმე ხელსაწყოზე ხელი მიუწვდა, უკანასკნელი გროშებით შეიძინა თბილისში. სინჯარები, კოლბები, ქიმიური ნივთიე-

რებები თავისი ხელით განალაგა, კედლებზე სქემები და სურათები გააკრა...

როცა ნიკო ნუცუბიძე ამ ფაციფუცში შეესწრო ჯაფარიძეს, ერთხანს კმაყოფილმა უყურა. ღია კარში იდგა. ჯაფარიძე ისე იყო საქმეში გართული, დირექტორის შემოსვლა არც უგრძვნია.

ნუცუბიძემ ჩაახველა.

ჯაფარიძე კარისკენ შემობრუნდა.

— ჰა, რას იტყვით, პატივცემულო ნიკო, როგორ კაბინეტს უჩანს პირი?

— ბევრს დავუმტკიცებთ, რომ ჩვენ მართალი ვართ, — ნუცუბიძე კაბინეტში შევიდა, იქაურობა ერთხელ კიდევ შეათვალიერა, — დავუმტკიცებთ, რომ ზეპირი და ჩვენებითი გზით შეძენილი ცოდნა ესაჭირვოლოა. ახლა თეორიას კონკრეტულ საგნობრივ საფუძველს მივცემთ და ზოგიერთ პედაგოგს დავარწმუნებთ, რომ ეს ჩვენი ახირება არ არის...

— ვნახავთ, როგორ შეზღუდავს ეს ჩვენი ლაბორატორია მოსწავლეთა თეორიულ ჰორიზონტს, — ჩაიცინა ჯაფარიძემ, — ან კი საიდან მოდის ზოგიერთის ასეთი, ყოვლად გაუმართლებელი ჰიპოთეზა!.. საგნის ზერელედ სწავლების თეორია... მაშ, რა მიზანი აქვს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებას თუ ცხოვრებაში პრაქტიკულად არ იქნა გამოყენებული?! მიკვირს პირდაპირ, თითქოს განათლებული ხალხია და ასეთ ელემენტარულ საკითხში კი ცდებიან.

— სასკოლო კურსის სწავლების ეს მეთოდი, საგნობრივი ფუნდამენტის გარეშე, მათ სწორად მიაჩნიათ, შეუქმნან ადამიანს ზოგადი წარმოდგენა... რასაკვირველია, ყველა მოსწავლე ვერ გახდება ბუნებისმეტყველი, ქიმიკოსი, ფიზიკოსი, მათემატიკოსი... ზოგიერთ მასწავლებელს შიაჩნია, რომ ამ საგნების სიღრმეს უმაღლეს სასწავლებელში ჩასწვდებიან დაინტერესებული პირები, შესატყვისი ნიჭით დაჯილდოებულნი!.. მაგრამ სწავლების ზერელობა საშუალო სკოლაში ყველასათვის ერთნაირად მავნეა. ასეთი სწავლება ნიჭიერ კაცსაც კი ვერ დააინტერესებს.. პრაქტიკულად გადაჭრილი საკითხი სულ სხვა ოცნებას გაუღვივებს... ეს შრომაა. შრომის სიყვარულის გარეშე კი არა საქმე არ იქნება. ჩვენს სას-

წავლებელში ამას უთუოდ მივაღწევთ, რადაც არ უნდა დაუჯდეს.

აქედან მოკიდებული, ნიკო ნუცუბიძე უფრო ხშირად ესწრებოდა საბუნებისმეტყველო საგნების გაკვეთილებს, თვალს ადევნებდა სწავლების მიმდინარეობას, მეთოდს, ამოწმებდა მასწავლებლის დამოკიდებულებას საგნისადმი, მის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ საქმიანობას. შემდგომ ამას ყოველივეს ანალიზს უკეთებდა პედაგოგიურ საბჭოზე.

ნიკო ნუცუბიძის კოლეგები, მოგვიანებით, როცა ამ კაცის მოღვაწეობას იხსენებდნენ, თითქმის ყველა მათგანი პირველ რიგში მის მიერ ჩატარებულ პედაგოგიური საბჭოს სხდომებს იხსენიებდნენ, ვითარც შთამბეჭდავ გაკვეთილებს, როგორც ახალგაზრდა მასწავლებელთათვის, ასევე ხანდაზმულთათვის.

ნიკოს მიერ ჩატარებული პედსაბჭოს სხდომები, მართლაც მთელი სკოლა იყო პედაგოგიკისა. სხდომებზე დაწვრილებით, კონკრეტული ფაქტებით იხილებოდა და ირჩეოდა თითქმის ყოველდღიური შედეგები. თქმა არ უნდა, როგორი ფართო და ყოვლისმომცველი იქნებოდა მეოთხედისა და წლიური მოღვაწეობის განხილვა. ყოველ პედსაბჭოს სხდომას თვითონ ატარებდა. მეოთხედის ბოლოს კლასის ხელმძღვანელთაგან და საგანთა მასწავლებელთაგან მოითხოვდა მოსწავლეთა დახასიათებას და ნიშანთა დასაბუთებას. მოიღუშებოდა და აშკარად შეემჩნეოდა უგუნებობა, როცა რომელიმე პედაგოგი მოსწავლეს ზოგადად დაახასიათებდა: „კარგი მოწაფეა“, „ეშმაკია“, „კარგად სწავლობს“ ან „არ სწავლობს“. ასეთი მოკლე, გაუშიფრავი ფრაზები ახელებდნენ, მაგრამ მუდამ დარბაისელ კაცს ზედმეტი ემოციების გარეშეც სახეზე ეხატებოდა უკმაყოფილება. იგი ხმადაბლა იტყოდა: „კეთილ ინებეთ და დაგვიხატეთ სრული სურათი, თორემ, რაღაც მეტისმეტად მოგვიმრავლდნენ „ეშმაკები“!“

საბჭოს სხდომა ისე არ ჩატარდებოდა, მოსწავლეთა ოჯახური მდგომარეობა რომ არ გამოეკითხა. ეს იყო მასწავლებელთა გამოცდა, თუ როგორ იცნობდნენ ისინი თითოეული მოსწავლის საოჯახო პირობებს. ნიკო მკაცრად ავალდებულებდა კლასის ხელმძღვანელებს, ღრმად ჩაწვდომოდნენ თითოეული მოსწავლის

ცხოვრებას. ფლეგმატურ, დაღვრემილ, დარდიან ყმაწვილებს აუცილებლად თვითონ გამოუჩენდა კლასგარეშე საქმეს.

დრო გაღიოდა და გიმნაზიის საქმენი თანდათან კალაპოტში დგებოდა.

თავისებური პრობლემები წამოჭრა ქალთა და ვაჟთა ერთად სწავლებამ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქუთაისში თუ რამდენიმე სასწავლებელი იყო, ბოლო რამდენიმე წელიწადში სკოლათა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

ყოველ სიახლეს თავისებური წინააღმდეგობებიც ახლავს. დიდი დავა გამოიწვია ქალთა და ვაჟთა ერთად სწავლებამ. ძველი პედაგოგები პრინციპულად იდგნენ თავიანთ აზრზე, რომ ეს ყოველად შეუწყნარებელი ნაბიჯი დიდ გავლენას მოახდენდა ყმაწვილთა ფსიქოლოგიაზე, მათი ცხოვრების წესზე. ამაზე კამათობდნენ სასწავლებლებში, მსჯელობდნენ განათლების განყოფილებაში. მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ჰყავდა მომხრეებიც. ქალისა და მამაკაცის უფლებათა გათანაბრება, ქალის როლის ამაღლება საზოგადოებაში, ქალის გამოყვანა ცხოვრების ფართო ასპარეზზე, მისი თავისუფლება, ყველაფერი ეს ვლინდებოდა ბავშვობის დროიდან, იმ პირველი ნაბიჯებიდან, როცა იგი ვაჟთან ერთად მიუჯდებოდა მერხს და აქედანვე იგრძნობდა ყველა იმ სიკეთეს, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ ქალს არგუნა. რაც მთავარი იყო, იმთავითვე საფუძველი ეყრებოდა მეგობრულ დამოკიდებულებასა და სიყვარულს. ერთი სიტყვით, ქალთა და ვაჟთა ერთად სწავლებას ბევრი სასიკეთო თვისება ახლდა, რომელიც შემდგომ უფრო გამოკვეთილი და ნათელი გახდა.

ნიკომ თავიდანვე გონივრულად განსჭვრიტა ამ ნაბიჯის სიკეთე.

1923 წელს, როცა გიმნაზიას სახელი შეუცვალეს და იგი ამიერიდან მეორე ჰუმანიტარულ ტექნიკუმად იწოდებოდა, სასწავლებელში გაერთიანდა ქალთა და ვაჟთა რამდენიმე სკოლის მერვე და მეცხრე კლასები. ამასთან უამრავი ყმაწვილი და გოგონა მოაწყდა ჰუმანიტარულ ტექნიკუმს. დიდ ყურადღებას აქცევდნენ მშობლები, სად და ვისთან მიეყვანათ შვილი აღსაზრდელად. პრიორიტეტი მაინც ტრადიციების მქონე სასწავლებელს ენიჭებოდა.

ანგარიშს უწევდნენ ძია ტრადიციას. საბელს, მისი ბელადგვარის განათლების დონეს, თუნდაც საკმაოდ შენობას...

ისევ ცოცხლობდა ოცხელია სახე. ბევრისთვის საამაყო იყო ესწავლა იმ სკოლაში, რომელიც შექმნა და მოაღორძინა ამ მადლცხებულმა კაცმა. ნიკოს სახელიც იმ დროისათვის საკმაოდ მომწიფებული იყო, რაც მას სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზრდობის მიზიდვის ერთ-ერთ ძალად წარმოადგენდა. ერთი სიტყვით, ყოველ დამდეგ ახალ სასწავლო წელს ნიკოს დიდი თავსატეხი უჩნდებოდა და ძალიან უჭირდა, უადგილობის გამო თუნდაც ერთი სწავლამოწყურებული გოგონა, ან ვაჟის გაბრუნება. არადა, სასწავლო ოთახები ვეღარ იტევდა მოსწავლეებს.

ის კი არა და, ერთხელ სამი ახალგაზრდა ისეთ დროს მოადგა, ნიკომ გაოცებით შეათვალიერა იარნი და ერთხანს მღუმარედ უყურებდა. იანვრის დამდეგი იყო. სამივენი სოფელ ლაილაშიდან წამოსულიყვნენ, გაცრეცილნი, შილიფად ჩაცმულნი. აბეზულები იდგნენ კართან და დირექტორის განაჩენს ელოდნენ. მაინ უკვე თქვეს თავიანთი სათქმელი, ნიკოს სამთა ხელმოწერილი ვინცხადება მაგიდაზე ედო. მეექვსე კლასში ჩარიცხვას ითხოვდნენ და თანაც პირობას დებდნენ, წარჩინებით ვისწავლითო. ერთმანეთის მხრებით ისე მიჰკვროდნენ, თითქოს ეშინიათ ვინმემ არ დაგვიცილოსო.

— რომელი ხართ გერშონ ზონუნაშვილი? — იკითხა ნიკომ, ალბათ ინიტომ, რომ ხანშიკლე ფიქრში ჯერ ვერაფერი გადაეწყვიტა. ამ შეკითხვამ კი ბიჭები გაახარა, რადგან უარის მომასწავებელი არ იყო.

— მე გახლავართ, ბატონო. — თავი დაბარა ებრიელმა ბიჭმა. მერე, როცა ნიკომ შეათვალიერა იგი, ამას მცირე პაუზა მოჰყვა.

— გრიშა კაჭკაჭიშვილი?

— მე გახლავართ. — თქვა კაჭკაჭიშვილმა.

— შენ კი ალექსანდრე ოვანესიანი ბრძანდები, რასაკვირველია.

— დიახ, ბატონო. — გაეღიმა ბიჭს.

ნიკომ კაბინეტში ბოლოს დასცა. როგორც ჩანს ეშინოდა უარის თქმა, რაც ერთგვარ იმედს უღვივებდა ბიჭებს და ისეთი მორჩილებით შეჰყურებდნენ წინ და უკან ნელი ნაბიჯებით მოსიარულე ნუცუბიძეს. ასე მ�კვირა რომ გაგრძელებულიყო,

ისინი მაინც უსულო საგნის მოთმინებით დაელოდებოდნენ პასუხს.

დუმილმა არც ისე დიდხანს გასტანა. ნიკო შეჩერდა და ისევ ბიჭებს შეავლო თვალი.

— აქამდე სად იყავით? — არა, ეს არ უნდოდა ეკითხა ნიკოს, რაღაც სხვა რამის თქმა ეწადა, მაგრამ უცებ მიავიწყდა, რომ სულ ახლახან, განცხადების წაკითხვისთანავე ჰკითხა იგივე. პასუხიც განმეორებით მიიღო:

— ოჯახური პირობების გამო თავი ვერ მოვაბით, ბატონო... ახლაც გვიმძიმდა, მაგრამ სწავლა გვწყურია...

აი, სწორედ ამ სიტყვებმა გადაუკეტეს უარის სათქმელი გზა ნიკოს და სწორედ ამიტომ მიეცა საფიქრალს, მესამე მეოთხედის დასაწყისში, იმ დროს, როცა მთელი ნახევარი სასწავლო წელი თითქმის გავლილია, მიიღოს სამი მოსწავლე?

— დედის სულს გეფიცებით, არ შეგარცხვენთ, ბატონო! — თქვა ზონენაშვილმა.

— სხვებს დავეწევით... ნახავთ, როგორ ვისწავლით, — დაიქადნა კაჭკაჭიშვილმა.

თვარაძე კი ჩუმად იდგა. მის დუმილზე ნიკოს უნებლიეთ გაეღიმა მაგრამ არაფერი უთხრა. ალექსანდრეს არაფერი უთქვამს, მის ჭიუტ მზერაში კი უკვე გაიელვა წყენის ნაპერწკალმა.

„მართალია, — თქვა ნიკომ გუნებაში, — ან ჰო, ან არა! მე კი ლობე-ყორეს ვედები და ვერ გამირისკია, მაშინ როცა ამ ყმაწვილების გაბრუნება არამც და არამც არ შეიძლება. თუნდაც მისაყვედურონ ხელმძღვანელებმა, მე ამას ვერ ვიზამ!“

ამ გადაწყვეტილების შემდეგ იგი თავის მაგიდისაკენ გაემართა, მიუჯდა და ის, რაც მათ განცხადებას წააწერა, ბიჭებს მაშინვე წაუკითხა:

— ჩარიცხულ იქნენ მეექვსე კლასში.

როცა ფურცელს თვალი მოაშორა და ყმაწვილებისაკენ გაიხედა, დაინახა მათი მოცინარი სახეები. ზონენაშვილს მხრები უცახცახებდა, თვალები ცრემლით ავსებოდა.

— გმადლობთ, ბატონო!

ეს წუთები ნიკოსთვისაც განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო. შემდეგ, როცა რამდენიმე წლის განმავლობაში, თვალს ადევნებ-

და მათ მეცადინეობას, კმაყოფილი იყო თავისი საქციელით, რომ ამ ნიჭიერ ყმაწვილებს ცხოვრების გზა არ გაუმრუდა. მათ, მართლაც, არაჩვეულებრივი ნიჭიერება გამოიჩინეს, სკოლის სამაგალითო მოწაფეები იყვნენ, სასწავლებელი ბრწყინვალედ დაამთავრეს და შემდეგ ასევე წარმატებით სწავლობდნენ უნივერსიტეტში...

ამ სკოლის კედლებში კვლავაც ის დიდი სული ტრიალებდა, როცა ქუთაისის ქართული გიმნაზია სულდგმულობდა. ნიკოს ჰყავდა დიდი წინაპრები, ღრმად იცნობდა მათ პედაგოგიურ მოღვაწეობას. სკოლას ისეთი მდიდარი ტრადიცია გააჩნდა ადამიანის აღზრდის, მისი ცხოვრების სწორად წარმართვისა, რომ ის სიახლენი, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ დაუსახა სკოლას, ბევრ რამეში ერწყმოდა ტრადიციას, ოდითგან ამ სასწავლებლის დასახულ მიზნებს — აღეზარდათ სამშობლოს, თავისი ხალხის მოყვარული, სრულფასოვანი, განათლებული მოქალაქე.

თუკი გიმნაზიას უწინ დამატებით ბევრი თვითმოქმედი წრე გააჩნდა და ქალაქის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ სათავედ ითვლებოდა, ნიკომ ამ მხრივ კიდევ უფრო გაამახვილა ყურადღება. მომღერალთა გუნდის ლოტბარად ბესარიონ ღოღობერიძე მოიწვია, გუნდის მეცადინეობას ხშირად ესწრებოდა და სულგანაბული უსმენდა ტკბილხმოვან ქართულ ხალხურ სიმღერებს, რომელთაც ბესარიონ ღოღობერიძე დიდი ოსტატობით ფლობდა და ახალგაზრდა მომღერლებს მონდომებით ასწავლიდა.

ოდითგან ქუთაისის თეატრის კადრების სამჭედლოდ ქართული გიმნაზია ითვლებოდა და ახლაც ნიკომ არ დაარღვია ეს ტრადიცია. ისევ აღადგინა ერთხანს დაშლილი დრამატული წრე. ამ საქმეს თავიდანვე ჩინებულად წარუძღვნენ შემდგომში საქვეყნოდ სახელგანთქმული მსახიობები გრიგოლ კოსტავა და გიორგი საღარაძე.

ხშირად იმართებოდა ლიტერატურული გასამართლებანი. მოწაფეთა პაექრობის, ლიტერატურული ნაწარმოების გარჩევის ეს ხერხი ერთნაირად მოსწონდათ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს. ლიტერატურული გასამართლებანი ისეთ სახეს იღებდნენ, ისეთ ჰიმზიდველსა და საინტერესო შემოქმედებით ატმოსფეროს ქმნიდ-

ნენ, იმ დღეს სკოლის სააქტო დარბაზი (რომლის მშენებლობაც, როგორც იყო, მოათავეს) ხალხს ვეღარ იტევდა.

ერთხელ ერთი ახალგაზრდა პედაგოგი, რომელსაც თავისებური შეხედულებები ჰქონდა ყმაწვილთა აღზრდაზე და სწავლაზე, მხიარულად შევიდა ნიკოსთან, მაგიდასთან ჩამოუჯდა და დაიწყო:

— უკვე ვიმკით პირველ მოსავალს, ბატონო ნიკო!

— გატყობთ... სასიამოვნო მოსავალს.

— ყოველ შემთხვევაში კმაყოფილი ვარ, რომ მასწავლებელთა ერთი ჯგუფის სახელით დაგარწმუნებთ ჩვენი შეხედულებების სისწორეში, რაზედაც ამას წინათ სერიოზული კამათიც გვქონდა.

— ბრძანეთ.

— აი საბუთი... ურომლისოდაც ჰეშმარიტებას შეიძლება ფარდა არ აეხადოს.

მასწავლებელმა ჯიბიდან ორად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო და ნიკოს მაგიდაზე დაუდო.

ნიკო თვით საგანგაშო მოვლენასაც კი ყოველთვის თავდაჭერილი ხვდებოდა და ამიტომ ქაღალდის წასაკითხად არ აჩქარებულა, მიუხედავად საბუთისადმი დიდი ინტერესისა, რომელმაც საზეიმო ელფერი დადო პედაგოგთა ერთი ჯგუფის წარმომადგენელს. აქ საბუთს წერტილი უნდა დაესვა კამათისათვის... მაგრამ, რომელი კამათისათვის? საკამათო ბევრი რამ იყო. ბევრი პრობლემა მოსაგვარებელი. იყო წინააღმდეგობანი, ახლის შეუთავსებლობა, ძველის ტრფობა... ეს ყველაფერი ნიკოს ბუნებრივად მიაჩნდა და ყოველ პოლემიკას იგი თავისებური დარბაისლობითა და ყველასადმი მორიდებით წარმართავდა, ცდილობდა, ყოველთვის ჭეშმარიტების სამრეკლოდან დაერეკა ზარი.

კარი გაიღო და ნიკო ჯაფარიძემ შემოიხედა.

— სხვა დროს მოვალ, — ცოტა უხერხულად შეწრიალდა იგი და გაბრუნება დააპირა. — რაღაც შინდოდა შემეთანხმებინა...

— ნიკო, მობრძანდით!

ორივე ნიკოს ურთიერთობაში მოკრძალება და ურთიერთპატივისცემა იგრძნობოდა, ისინი თითქოს იმეორებდნენ იოსებ ოცხელისა და სილოვან ხუნდაძის ურთიერთდამოკიდებულებას. ვისაც ახსოვდა, ოცხელი როგორი პატივისცემით ეპყრობოდა ხუნდაძეს და იგი ასეთსავე დამოკიდებულებას გრძნობდა გიმნაზიის ინსპექ-

ტორისაგან, სასიამოვნო იყო სკოლის ამ ორი ახალგაზრდა თანაკაცის შეგობრობაც. ისინი არც არავის ბაძავდნენ, არც არაკის იმეორებდნენ, ისინი მსახიობები არ იყვნენ.

ნიკო ჯაფარიძე შემოვიდა. ნუცუბიძემ სთხოვა დამჯდარიყო.

— იქნებ მერე მოვსულიყავი...

— თუ არ გეჩქარებათ, ნიკო... მე და პატივცემულ იოსებს საიდუმლო არაფერი გვაქვს... ერთი ამ ნაწერს ჩავიკითხავ, — თქვა ნუცუბიძემ და სტრიქონებს გააყოლა თვალი.

ნიკო ჯაფარიძემ ჯერ რატომღაც ყურადღება არ მიაქცია, რას კითხულობდა სკოლის დირექტორი, თავის საქალალდეს ჩახედა. იოსები კი ნიკო ნუცუბიძეს წამითაც არ აშორებდა თვალს და სკამის საზურგალზე ნებიერად გადაწოლილი ელოდა, რას იტყოდა დირექტორი ბარათის წაკითხვის შემდეგ.

ბარათი კი მეცხრეკლასელ ირაკლი შეანგირაძეს ეკუთვნოდა. იგი თანაკლასელ ციცინო მეხს თავაზიანად და მგრძნობიარედ ეფიცებოდა სიყვარულში. ვაჟის სიტყვებში იგრძნობოდა, რომ გოგონა მისდამი გულგრილად არ იყო. ვაჟი ამ აღმოჩენით ცას ეწეოდა...

ნიკომ წერილის კითხვა დაამთავრა, თითები მაგიდაზე ნერვიულად აათამაშა და ჯაფარიძეს გახედა, რომელიც კვლავ თავის საქალალდეში ფუთაობდა, მაგრამ ინტუიციურად იგრძნო ნუცუბიძის მზერა, საქალალდეს თავი მიანება და შეხედა.

ნიკო ნუცუბიძე დუმდა, ჯაფარიძეს უყურებდა, იგრძნობოდა, რომ მის გულში აზრთა ჭიდილი გაჩაღებულიყო, რომ ის, რაც მან წაიკითხა, რაღაც მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელი იყო.

— რას გვეტყვით, ბატონო ნიკო. — თითქოს უადგილოდ და უდროოდ გაისმა ახალგაზრდა მასწავლებლის ხმა. ამავე დროს მიამა სკამმაც. გაიქოიალა. ამან ერთგვარად შეძრა ნიკოს შინაგანი მღელვარება — ხელი შეეშალა. დროულად მოეფიქრებინა საკადრისი პასუხი. უკმაყოფილება უცებ დაეჩნა სახეზე.

ნიკო ნუცუბიძემ იოსებს შეხედა. თითქოს ახლა შენიშნა მისი ამაყი, ნიშნისმომგები გამოხედვა.

— როგორ ჩაგივარდათ ხელში ეს ბარათი, პატივცემულო იოსებ? — მთელი ძალების დაძაბვით ნუცუბიძემ შეინარჩუნა ის სიდინჯე, რომელსაც კარგად იყენებდა ხოლმე ცაარე პოლემიკის

დროს. ეს უნარი მას ბევრჯერ წაადგა და გამარჯვებულიც გამოსულა.

იოსები არ ელოდა ასეთ შეკითხვას და იუკადრისა:

— მე მგონი ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, პატივცემულო ნიკო. ფაქტი სახეზეა.

— ვხედავ ფაქტს, რომელშიც შესაშური სინაზით, ძალზე თბილადაა გამოხატული ადამიანური გრძნობები... მაგრამ მე მაინც მაინტერესებს, როგორ მოხვდა ეს ბარათი თქვენთან... — ნიკო ჯაფარიძისათვის რომ ყველაფერი გასაგები ყოფილიყო, ნუცუბიძე მისკენ შებრუნდა და ყმაწვილის სასიყვარულო ბარათი გაუწოდა, — წაიკითხეთ.

ქაღალდი რომ გადასცა, ისევ იოსებს შეხედა.

— ჩემის აზრით, ასეთი რამ შეუწყნარებელია... ესენი ბავშვები არიან. მე ჩემს აზრზე მტკიცედ ვდგავარ, რომ ასეთ ადრეულ ასაკში სიყვარულით გატაცება სიკეთეს არ მოიტანს, გარდა სწავლაზე გულის აცრუებისა... ბოლოს და ბოლოს... თუ საჭირო იქნა, გაბედულად ვიტყვი — ცარიელებისა...

ნიკო ჯაფარიძეს, რომელიც ყმაწვილის ბარათს კითხულობდა და მთელი გულისყურით ცდილობდა, ყური არ მოეკრა ახალგაზრდა პედაგოგის სიტყვებისათვის, გონებაში მაინც შეიჭრა მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები... ალერსითა და გრძნობით დაწერილი ბარათი ბოლომდე წაიკითხა და იმ დროს, როცა იოსები კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, თითქოს არც კი გაუგონია დირექტორის ორგზის ერთი და იგივე შეკითხვა, როგორ ჩაგივარდათ ხელში ეს ბარათიო, ნიკო ჯაფარიძემაც ჰკითხა:

— როგორ მოხვდა თქვენთან ეს ბარათი?

— თქვენც ეს საკითხი გაინტერესებთ, ბატონო ნიკო? ეს საკითხი და არა ის მოსალოდნელი საშიში შედეგები, რაც ადრეულ ასაკში ასეთი გრძნობების გაღვივებას მოჰყვება... რა დროს მეცხრეკლასელი ბავშვების სიყვარულია... მე მიმაჩნია...

— თქვენ რა მიგაჩნიათ, არ ვიცი... არ გინდათ გვითხრათ, როგორ ჩაგივარდათ ეს ბარათი.... აქ მე და ნიკო პროკურორ-გამომძიებლები არა ვართ და მეტისმეტად არ მოგეძალებით, — ამბობდა ნიკო ნუცუბიძე, — მაგრამ ჩემი რჩევა იქნება, თუკი, რასაკვირველია, ეს ამბავი გაბმაურებული არ არის და ბარათი უშუალოდ

ირაკლი შეანგირაძისგან გაქვთ ხელთ... დაუბრუნოთ და ბოდიში მოუხადოთ.

— რას ბრძანებთ, პატივცემულო ნიკო! — ფეხზე წამოვარდა იოსები, — ეს სად თქმულა, ეს სად გაგონილა?!

— ის სად გაგონილა, ადამიანის გრძნობებში ვაფათურობთ ხელი? — ხმას აუწია ნიკომ. იოსებისთვის არ უთქვამს, დამჯდარიყო, რადგან თვითონაც ფეხზე წამოდგა, — ჩვენ, პედაგოგები, ვალდებული ვართ აღვზარდოთ ადამიანები... მოზარდი ნუ წარმოგიდგენიათ ზანდუკად, სადაც ცოდნას, როგორც ნივთს, ჩააწყობ... ცოდნა — აღზრდისათვის, აღზრდა — მომავლის სასიკეთოდ... გრძნობებს კი, ამ ხელუხლებელ და სათუთ სიმებს კი სიცოცხლესავით უნდა გავუფრთხილდეთ... რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია! ამ ჭეშმარიტების არსი არც ერთ პედაგოგს არ უნდა დაავიწყდეს. ასეთია ჩემი აზრი ამ საკითხის მიმართ, ბატონო იოსებ! გირჩევთ, ინახულოთ ის ყმაწვილი და ბოდიში მოუხადოთ! თავს ნუ შეაძულებთ ყმაწვილებს... ამ ბარათის დამწერს ალბათ სიძულვილიც ასეთივე ძლიერი შეუძლია.

ნიკო საგანგებოდ და დიდი პასუხისმგებლობით ემზადებოდა მორიგი პედსაბჭოს სხდომის ჩასატარებლად. თავის გამოსვლას სამ ნაწილად ჰყოფდა. პირველი ნაწილი ეხებოდა დადებით მხარეებს; მეორე ნაწილი — უარყოფითს, მესამე — ღონისძიებებს.

აი, მისი თეზისების ერთი მაგალითი.

ნაწილი პირველი:

1. გაიზარდა ჩვენი მასწავლებლების არმია, რიცხობრივად და ხარისხობრივად.

რასაკვირველია, აქ მხედველობაში ჰქონდა პედაგოგების იდეური წრთობა, მათი კვალიფიკაციის ამაღლება. ვინაიდან ნიკოს ზერელე, განზოგადებული ფრაზებით არ უყვარდა მსჯელობა და კონკრეტულობას ყოველთვის დიდ ფასს სდებდა, უთუოდ ეხებოდა თავის რამდენსამე კოლეგას მაინც, რომელთა გაკვეთილებსაც დასწრებია.

ასევე კონკრეტულ მაგალითებზე აგებდა პირველი ნაწილის მეორე პუნქტსაც.

2. თითქმის ყველა რუსული ენის გაკვეთილზე დაცულია გაკვეთილების ორგანიზაცია.

მაგრამ თუ ნიკოს გამოსვლის პირველი — დადებითი ნაწილი, ორი პუნქტისაგან შედგებოდა, სამაგიეროდ მეორე ნაწილი, რომელსაც იგი „ნაკლოვან მხარეებს" უწოდებდა, ექვს პუნქტად ჰქონდა დანაწევრებული:

1. სუსტად არის მოწაფეობა დაუფლებული სალაპარაკო რუსულ ენას.
2. რუსული ლექსიკონის სიღარიბე.
3. გრამატიკულად სწორად ვერ აყალიბებენ წინადადებებს.
4. ორთოგრაფიის სისუსტე.
5. არ წარმოებს რუ-ული წიგნების კლასგარეშე კითხვა.
6. კითხვის ტექნიკის სისუსტე.

ეს ის საკითხები იყო, რომელზედაც ნიკო საქმიანად და მკაცრი მომთხოვნელობით ლაპარაკობდა. იგი ასახელებდა მოსწავლეთა გვარებს. ზეპირად ახსოვდა მათ მიერ დამახინჯებული წაკითხული თუ აუთვისებელი მასალა, წინადადებები, ცალკეულ სიტყვათა გამოთქმები.

ამ დროს განსაკუთრებით ცხარე დღე ადგათ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს. და ეს მორიგი პედაგოგიური საბჭოს სხდომაც სწორედ რუსული ენის შესწავლის საკითხს იხილავდა. ნიკო გაუნელებელ ყურადღებას უთმობდა რუსული ენის სწავლებას. თავისი გამოცდილებით შესანიშნავად უწყოდა, რომ ამ ენის მეშვეობით ცოდნის შეძენის უფრო ფართო შესაძლებლობანი ეძლეოდა მოზარდს.

საკითხთა ასეთ დაწერილმანებიდანაც ჩანს, ნიკოს როგორ აწუხებდა, რომ მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი სალაპარაკო რუსულ ენას არ იყო დაუფლებული. რომ ბევრი გრამატიკულად სწორად ვერ აყალიბებდა წინადადებას, გამართულად ვერ კითხულობდა ტექსტს და ყურადღება არ ექცეოდა რუსული ლიტერატურის კლასგარეშე კითხვას. პრობლემები, მართლაც, სერიოზული იყო და აქვე ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ღონისძიებებში ასახავდა:

1. ზეპირი და წერილობითი მეტყველების განვითარების გაკვეთილების შემოღება.

2. რუსული ლექსიკონის რეფულების შემოღება.

3. გრამატიკის სწავლების გაღრმავება.

4. ჯერ ნახევრად დამოკიდებული და შემდეგ დამოუკიდებელი წერითი საგარჯიშოები.

5. წრეებში გარეშე წიგნების კითხვა.

ეს ყველაფერი მრავალი ფიქრისა და განაჯის შემდგომ იყო შემუშავებული. როცა პედაგოგებს ამ თავის დებულებას აცნობდა, თითოეულ პუნქტს შიფრავდა და უხსნიდა, თუ რა უნდა ეკეთებინათ მათ. ამ ღონისძიებების გატარებას იგი მკაცრად მოითხოვდა. მართალია თვითონ შეიმუშავა და გაითვალისწინა. მაგრამ ეს არ იყო მისი სუბიექტური კაპრიზი. ამას ყველაფერს ცხოვრება კარნახობდა, ის ვითარება და ზოგჯერ დაუწერელი კანონებიც კი, რაც მოზარდის, როგორც სრულფასოვანი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის იყო საჭირო.

შემდგომი პედსაბჭოს სხდომები ეხებოდა ისტორიის, გეოგრაფიის, მეთამატიკის, ქიმიის სწავლებას... ნიკო სხდომათა წარმართვის თავისებურ მეთოდს ინარჩუნებდა. ჯერ დადებითი მხარეების, შემდეგ ნაკლოვანებების მხილებითა და აღნიშვნით, დასასრულ იმ საჭირო ღონისძიებებით, რაც შესაბამისი საგნის პედაგოგთა სამოქმედო გეგმად იქცეოდა ხოლმე.

იყო კამათი, აზრთა გაზიარება, მაგრამ ნიკოს მიერ შემუშავებულ პუნქტებს გვერდს მაინც ვერავინ უვლიდა.

...ერთი ასეთი კონსპექტი დღესაც გაყვითლებულ ქაღალდზე კოცხლობს ნიკოს მიერ დანატოვარ ნივთებში.

1924 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა ლენინი. ისე, როგორც მთელი ჩვენი ქვეყანა, ჭუთაისიც ძაძებით შეიმოსა.

მოულოდნელი და თავზარდამცემი ამბავი მოხდა. მაშინ, როცა ახალი ცხოვრების საძირკველი გაიჭრა, როცა ხალხი ის იყო სანუკვარი ოცნების განხორციელებას იწყებდა და ლენინის სახით ისინი დიდ იმედსა და გზის მანათობელ პიროვნებას ხედავდნენ, ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ ტკივილს მიაყენებდა მისი სიკვდილი მშრომელ ადამიანებს.

ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სკოლას.

ნიკო ნუცუბიძე ხედავდა, რა სწორი და მართალი გზით მიემართებოდა სასკოლო საქმე. ყოველდღიურ თავის საქმიანობაში გრძნობდა ლენინის თანადგომას და საზრდოობდა მისი დებულებებით. ლენინის სახით მან იწამა კაცი, რომელმაც ყველაზე ღრმად და საზრიანად ჩაიხედა ყმაწვილთა აღზრდის საქმეში, სკოლას დაუსახა ის ერთადერთი და სწორი გზა, რომელსაც შეეძლო ცხოვრებაში გამოეყვანა ჭეშმარიტად ნათელი გონების ადამიანი.

დიდი იყო ლენინის ზემოქმედების ძალა სკოლის ყოველდღიურ ყოფაში. იგი თითქოს მონაწილეობას იღებდა ყოველ ღონისძიებაში. მაშინაც კი, როცა წერა-კითხვის უცოდინარი მოზრდილები სკოლისაკენ მოეშურებოდნენ საღამოობით. ნიკოს ისე ეჩვენებოდა, თითქოს ისინი ლენინს მოჰყავდა სათითაოდ, ზოგი — ძალითაც კი... მისი ნებით იყო, საყოველთაო-სახალხო განათლება, სავალდებულო სწავლება, მასებში სინათლის შეტანა...

იანვრის იმ დღეებში კი ძაძით შეიმოსა თვით ლამაზი ოცნებაც კი ხვალინდელ დღეზე...

ხვალ როგორ ჩატარდება გაკვეთილი ულენინოდ?

ძნელი წარმოსადგენი იყო.

მაგრამ ისტორიის ჩარხს ვერავითარი ძალა წაღმა ვეღარ დაატრუნებდა.

ცხოვრება კვლავ ლენინის მიერ ნაჩვენები გზით მიდიოდა. კვლავაც იგრძნობოდა ამ დიდი ადამიანის მაორგანიზებელი ძალა. ლენინი ცოცხლობდა.

ზაფხულის არდადეგებზე ნიკო ქუთაისიდან არ გადიოდა. მიყრუვდებოდა სკოლის კარ-მიდამო, დადუმდებოდა ზარი, გიმნაზიის ძველი შენობის გამოყრუებულ დერეფნებში საოცარი სიგრილე დაგუბდებოდა. ნიკოს ეხამუშებოდა ასეთი გამოყრუება, მაგრამ დღე არ გავიდოდა, დერეფნები არ დაევლო. საკლასო ოთახებში არ შეეხედა.

ამ დროს მოგონებებში ცოცხლდებოდა მთელი წლის სასკოლო დავიდარაბა.

სკოლის მახლობლად, ცალკე, პატარა სახლში ცხოვრობდა დარაჯი სტეფანე ხურცილავა ცოლითა და შვილით. ბიჭს ივანე ერქვა.

ზაფხულობით, როცა სკოლიდან ყველანი გაიკრიფებოდნენ, ამხელა კარ-მიდამოში სტეფანე და ნიკო რჩებოდნენ თავ-თავიანთი ოჯახებით და მეტად ტკბილი მეზობლობა ჰქონდათ. ამასთან, სტეფანე სამსახურის ერთგული იყო. ნიკო აფასებდა მის კეთილსინდისიერებას, როგორც შეეძლო ხელს უმართავდა ღარიბ კაცს.

ერთხელ ნიკო თავისი სახლის დაბალ აივანზე გამოსულიყო. სკოლის ეზოს შუაგულში სტეფანესთან ერთად დაუნახავს ვილაც უცნობი კაცი. კაცი სტეფანეს რაღაცას უმტკიცებდა. სტეფანე კი თავდახრილი უსმენდა. ბოლოს მხრები აიჩეჩა და თავი გააქნია. კაცმა, ეტყობა, ვერაფერი გააწყო სტეფანესთან, ხელი ჩაიქნია და წავიდა.

ნიკოს გულმა არ მოუთმინა. ერთი სული ჰქონდა, გაეგო რა მოხდა. სტეფანე ადგილიდან არ იძვროდა, დაღონებული აბალახებულ მიწას დასჩერებოდა.

ნიკო აივნიდან ჩავიდა, სტეფანეს მიუახლოვდა.

— რაო, რა მოხდა, სტეფანე?

სტეფანე შეკრთა, ფიქრებში წასული კაცისთვის მოულოდნელი იყო ნიკოს გამოჩენა, უხერხულად შეწრიალდა.

— რა მოხდა, არ მეტყვი? — ხმადაბლა გაუმეორა ნიკომ.

— არაფერი ისეთი, ბატონო ნიკო... შინაურული საქმეა...

— შერედა, ჩვენ, კარის მეზობლებს ერთმანეთის დარდი დაგვემალება?

სტეფანემ თავი ასწია და შეხედა ნიკოს.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ... რა ვიცი ახლა... არ ყოფილა ჩემი ბედი...

— რა ბედი, კაცო?

— ე მაგ კაცს უშობელი ყავს გასაყიდი... ძროხა ქე გამართაედა წელში ჩემს ოჯახს... იყიდეო, ჩამციებია... იაფად გაძლევო... მართლა იაფად მაძლევს, მაგრამ... — აბა, საიდან! — სტეფანემ ხელები გაშალა და სახე ტანჯვით მოეღრიკა. გულდათუთქულ კაცს ლამის ცრემლი გადმოსკვნოდა.

ნიკოს ხმა აღარ ამოუღია. ერთხანს ეყურა სტეფანეს, მერე ჰკითხა, რას აფასებს უშობელსო. სტეფანემ მიუგო.

— აქ დამიცადე!

ბატონო ნიკო! — ხმის თრთოლით დაადევნა ხურციელავამ

მაგრამ ნიკოს ყურადღება აღარ მიუქცევია, სწრაფად შეეფა შინ. როცა ვამობრუნდა, სტეფანე ხურცილავა ისევ ეზოში იდგა.

— რა არის ახლა ეგ, ბატონო ნიკო! — შეიცხადა სტეფანემ, როცა ნიკომ ფული გაუწოდა, ხელები გაასავსავა და უკან დაიწია.

— გამომართვი, გამომართვი! ლაპარაკი არ უნდა ამაზე... შე კაი კაცო, როცა გექნება მაშინ დამიბრუნე.

ამ სიტყვებმა ცოტა შეაღბო დარაჯი. თვალებში სიხარულის სხივი ჩაუდგა. ფული, როგორც იყო, გამოართვა და იქიდანვე, ეზალუსის ამარა გაიქცა უშობელის პატრონთან.

ცოტა ხნის შემდეგ სტეფანემ ალბათ გულში ატეხილი ზეიმზარით გამოატარა უშობელი ქუთაისის ქუჩებში. მიიყვანა შინ, გრძელ თოკზე გამობმული მიუშვა სკოლის აბალახებულ ეზოში და მას მერე, რაზდენჯერაც ნიკოს დაინახავდა, მის გამჩენ დედას ლოცავდა.

ვალი გადაუხდელი დარჩა. სიკვდილის წინ სტეფანემ თავის ვაჟს, ივანეს დაუბარა, ნიკო მასწავლებლის ვალი მაქვს, შვილო, უნდა შეიძლო და როგორმე გადაუხადოო.

ჯერ ბალღი იყო ივანე.

ერთხელ, საღამო ხანს, ქალაქის ცენტრში გამოსულ ივანეს ნიკო შემოხვდა. მამის სიკვდილის შემდეგ წელიწადზე მეტი იყო გასული და გულჩათხრობილი ბიჭი თავის ეზო-კარს არ შორდებოდა, მეზობლის ბიჭებთან. კუკურისთან და ზურაბთან თამაშით ერთობოდა.

ახლა აგერ, შუაგულ ქალაქში დაინახა ნიკომ.

— საით გაგიწევია, ივანე?

ნიკოსი ყოველთვის ერიდებოდა ბიჭს. როცა შინ კუკურისთან და ზურაბთან თამაშობდა და ამ დროს ნიკო მასწავლებელი მოვიდოდა, ივანე ჩუმად გაიძურწებოდა ხოლმე. მამას წააგავდა პირწმინდად. მორიდებული და ფრთხალი ბიჭის საქციელი საჩოთიროდაც მიაჩნდა ნიკოს. არ უყვარდა, როცა ვინმე, მით უმეტეს მოწაფე, გაურბოდა, ერიდებოდა, ასდა რატომღაც ეშინოდა მისი. ამის საბაბი არავისთვის მიუცია, კაცი შუდამ იმას ცდილობდა, თავისი თბილი მოპყრობით დაახლოებოდა მოზარდებს. აქ კი, მეზობლის ბიჭი სათოფეზე არ ეკარებოდა.

ივანემ მასწავლებელი რომ დაინახა, თავი დახარა.

— კინოში მივდივარ, პატივცემულო... „რადიუმში".

ნიკომ ბიჭი ისე შეათვალიერა, თითქოს პირველად უყურებსო. კინოში მიმავალი ყმაწვილის მუხლებზე დაკერებული შარვალიც არ გამორჩა მხედველობიდან. გულში ნაღველი ჩაეწვეთა, თავზე ალერსით გადაუსვა ხელი.

— წადი, ივანე, წადი... არ დაგაგვიანდეს!

ქეორე დღეს ყმაწვილი კაბინეტში დაიბარა.

— დაჯექი, ივანე, — მიუთითა სკამზე.

ივანე ჩამოჯდა. დირექტორს მდუმარედ მიაჩერდა. ნიკო ოთახიდან გავიდა, სკოლის საქმეთა მმართველი ბაბუცა გაბუნია შემოიყვანა.

— ამ ყმაწვილს ხომ იცნობ, ბაბუცა? ჩვენი სტეფანეს შვილია...

— კი, ვიცნობ, როგორ არ ვიცნობ... საცოდავი სტეფანე... თითქოს გუშინ იყო...

ბაბუცას სახე დაუმწუხარდა, ბავშვს გრძნობით შეხედა და ლამის ცრემლი გადმოეღვარა. ივანემ თავი დახარა და თავის ხელებს დააჩერდა. როცა დირექტორმა ბაბუცას უთხრა, ამ ყმაწვილს სალაროდან ექვსი მანეთი მიეცი, რომ შარვალი იყიდოსო, ივანე უცებ შეკრთა და წამოიხედა.

ბაბუცა ფულის მოსატანად წავიდა. ივანემ ხმადაბლა, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ჯერ მამაჩემის ვალიც არ გამისტუმრებია...

— რაო, რა თქვი? — ნიკოს გულზე მოხვდა მისი სიტყვები. როგორც ჩანს, სტეფანეს შვილისთვის შეუჩივლია თავისი დარდი, რომელიც საფლავში ჩაჰყვა. ნიკომ კი დავიწყებას მისცა.

— ვალი, პატივცემულო მასწავლებელო... მამაჩემს ძროხისთვის რომ ასესხეთ...

— საიდან მოიგონე, ივანე? რა ფული ვასესხე მამაშენს?!

— ისე დამიბარა, ეგებ შენ გაუსტუმრო როგორმეო... ვეცდები... ახლა ამ ფულსაც მიმატებთ... — ბიჭს თვალები აუწყლიანდა.

ამ დროს ბაბუცაც შემოვიდა. ნიკომ ფული გამოართვა და ივანეს გაუწოდა.

— ეს ფული გამომართვი, შარვალი იყიდე... მეორედ აღარ გამაგონო ის, რაც მითხარი, თორემ წაგეჩხუბები და სამუდამოდ დამკარგავ... წადი ახლავე და იყიდე!

ბიჭს ისღა დარჩენოდა, ნიკოს ბრძანება დაუყოვნებლივ შეესრულებინა.

როცა იგი კაბინეტიდან გავიდა, ბაბუცამ ამოისლუკუნა:

— საცოდავი სტეფანე!

ნიკო საწერ მაგიდისაკენ წავიდა, თან ბაბუცას დაუბარა:

— მაგ ფულს კი ჯამაგირიდან დამიკავებ.

ნეპის პერიოდი იყო. ქუთაისში კერძო ვაჭრობაც გაეჩაღებინათ, მაგრამ მზა ტანსაცმლის მაღაზიაში ივანეს სარგო შარვალი არ აღმოჩნდა. მაშინ ბიჭმა საშარვლე იყიდა და შინ გახარებული დაბრუნდა იმ იმედით, რომ დედა შეუკერავდა. ხშირად დაუნახავს მის ხელში ნემსი, დასაკერს და დასაკერებელს კოხტად აგვირისტებდა.

— შარვალი არასოდეს შემიკერავს, შვილო. ამას ცოდნა უნდა... რა ვიცი, ვცადო და ნაჭერი გაგიფუჭო... მაშ, ნიკო ბიძიამ მოგცა ფული, ჰა? არ ვიცი, როგორ გადავიხდით ამ კაცის ვალს...

— დედა, ასე მითხრა, მეორედ არ გამაგონო ეგ სიტყვებიო.

— რა სიტყვები, ბიჭო?

— რა და ვალიო... მეტყვი, წაგეჩხუბები და სამუდამოდ დაგკარგავო...

— ღმერთო, თუ რამ სიკეთეა, ის მიეცი ნიკო ნუცუბიძის ოჯახს, დაავაჟკაცე კუკურია და ზურაბი, სხვას არაფერს გევედრები უფალო!

ქალმა პირჯვარი გადაიწერა და შვილს მიაჩერდა.

როცა მეორე დღეს ნიკომ ისევ ძველი შარვლით დაინახა ივანე, შეაჩერა და ჰკითხა:

— რა ჰქენი, ბიჭო. იყიდე შარვალი?

— მზა არ იყო. ნაჭერი კი ვიყიდე. მაგრამ დედას შარვლის კერვა არ სცოდნია და...

— უნდა შეაკერინო, სხვა გზა არა... თქვა ნიკომ. მაშინვე შეტრიალდა და სკოლას მიაშურა. ივანემ თვალი მიადევნა, საშარვლე ნაჭრის ყიდვით გამოწვეული სიხარული ჯერაც არ გა-

ნელებოდა. ახლა ბიჭმა ის ინანა, რომ ეს სიხარული ჯეროვნად ვერ გამოხატა და ნიკოს მადლობაც ვერ უთხრა.

სალამოს ხურცილავებისას კუკურიმ გადმოირბინა და მამის დანაბარები გადასცა ივანეს.

— მამამ ასე თქვა, მცეოავ ნოე მუშკუდიანთან მივიდეს ჩემი სახელითო.

— შენ გაეზარდე შენს მშობელს! — ხელები გაშალა ივანეს დედამ და კუკური გულიანად ჩაკოცნა.

ნოე მუშკუდიანი ქუთაისში განთქმული თერძი იყო. ნიკო მორიგებოდა, შაოვლის შესაკერი ფული წინასწარ მიეცა.

ივანემ ახალთახალი შარვალი ჩაიცვა, თავისზე ბედნიერი კაცი ქუთაისში კი არა, მთელ დუნიაზე არავინ ეგულებოდა, უმაწვილის გული სიხარულით ფეთქავდა.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ, როცა შვიდი კლასი დაამთავრა, ივანეს ფეხები უკან რჩებოდა, მაგრამ მაინც მივიდა თავის ღმერთკაკთან და სკოლის საბუთები მოთხოვა, ზესტაფონის ცხრაწლედში უნდა განაგრძო სწავლაო.

ნიკომ, რასაკვირველია, ზედმწევნით იცოდა ხურცილავების ოჯახის მდგომარეობა, ისედაც ღარიბ-ღატაკებს, სტეფანეს სიკვდილის შემდეგ როგორ აეწეწათ საქმე. ხანამ მეზობლად ცხოვრობდნენ, ხელს უმართავდა, ახლა ზესტაფონში უნდა გადასულიყო დედა-შვილი.

— ზესტაფონის სკოლიდან ცნობა უნდა მოიტანო, — ივანეს უთხრა ნიკომ.

— რა ცნობა, პატივცემულო მასწავლებელო?

— ცნობა, რომ შენ აუცილებლად ჩაგრიცხავენ მეორე კლასში... ეშიშობ სკოლის გარეშე არ დარჩე...

— დედის შეპირდნენ.

— შეპირება შეპირებაა, მაგრამ ქალალდი მჭირდება, რომ დან საბუთები გაგატანო. ასე ხომ არ არის, ღვთის ანაბარა გაგიშვა!

ნიკოს გული უკრძნობდა, რომ ივანეს უფრო მეტად გაუჭირდებოდა. იგი უთუოდ მიატოვებდა სკოლას და ლუკმაპურის ნაში, ვინ იცის, სათ და როგორ წავიდოდა მ[illegible] ბა. თუკი თლა მოიტანდა ცნობას, ეს შეეხებ[illegible] ... გადასცეს-

და საბუთებს. ახლა ღვთის ანაბარა გაშვება ნამდვილად არ შეეძლებოდა, მით უმეტეს, განათლების სისტემაში ამდენი ხნის მუშაობამ დაარწმუნა, რამდენი სკოლის დირექტორი სცოდავდა. რაღა შორს წასულიყო, აქვე, ქუთაისის ერთ-ერთი სკოლის დირექტორის, კირილე წულუკიძის მაგალითიც კმაროდა. გარდა იმისა, რომ ეს კაცი სიცრუით განთქმული იყო, სახელი მოწაფეთა ოჯახებში ქვეყითა და დროს ტარებით საკმაოდ გაიფუჭა.

არა, ცნობის გარეშე ივანეს ფეხს არ მოაცვლევინებდა.

მალე ნიკომ გაიკითხა და გამოირკვა, რომ ზესტაფონის სკოლაში ივანესათვის სწავლის გაგრძელება შეუძლებელი იქნებოდა მოსწავლეთა კონტინგენტის გადატვირთვის გამო.

ივანე ქუთაისში დარჩა.

ერთხელ, ეს იყო 1929 წელს, ზაფხულში ნიკო ნუცუბიძე მეგობრებთან ერთად რიონჰესის მშენებლობის დასათვალიერებლად წავიდა. მოიარეს მთავარი ნაგებობები, არხისა და კაშხალის უბნები. მასწავლებლები გაოცებით უყურებდნენ იმ დროისათვის გრანდიოზულ, ახალი სახლის მშენებლობას და აღტაცებას ვერ ფარავდნენ, იმედა გამოთქვამდნენ. რომ რიონჰესი მეორე მზედ მოეკლინებოდა მთელ დასავლეთ საქართველოს.

ამ მხიარულ კამათში რომ არიან, საგუბარზე გასვლისას ნიკო დააკვირდა ერთ შიშველ ბიჭს, რომელიც ჯალამბრის ბორბალზე გადახვეული ფოლადის გვარლის ბოლოში მიმაგრებული ჩანგლით ჩაყვინთავდა ხოლმე წყალში. ბიჭი მალე ამოყვინთავდა, მუშები ჯალამბარს აამუშავებდნენ და წყლის ფსკერიდან ჩანგალმოდებულ მორს ამოათრევდნენ. ეს მორები რიონის საგუბართან, ხიდის ქვეშ, წყლის დროებით კალაპოტის შეცვლასთან დაკავშირებით იყო ჩამაგრებული. ახლა ეს სამმეტრიანი მორები ამოსაღები იყო. მყვინთავი ბიჭი მოხერხებულად ასრულებდა თავის მოვალეობას, დაიჭერდა ჩანგალს, გვარლს გაითრევდა, ჩაყვინთავდა, ჩანგალს მორს მოსდებდა და ბაყაყურით ისევ წყლის ზედაპირზე გამოჩნდებოდა.

ნიკოს გული შეუქანდა, როცა ხიდის მოაჯირზე გადაყრდნობილმა კარგა ხნის დაკვირვების შემდეგ შიშველ ბიჭუნაში ივანე ხურციელავა შეიცნო. აღელდა, მოუსვენრობა დაეტყო, მაგრამ თავისი მღელვარების მიზეზი მეგობრებისათვის არ გაუმჟღავნებია.

სალამოს კი ხურეულავების კარზე დაკაკუნა. კარი ქალმა გაიღო.

— მობრძანდით, ბატონო ნიკო.

ივანე გვიან ვაბშანს უჯდა. ნიკომ თავი მოაბრუნა. მაგიდაზე დაწყობილ მშვიდსა და ყველს, ჯამით ლიმონათს... დაბეზეულ ბიჭს. პირი ლუკმით ჰქონდა გამოტენილი. სკოლის დირექტორის დანახვაზე წამოიწია. ნიკომ ხელით ანიშნა, იჯექიო. მერე იქვე. მაგიდასთან მიუჯდა ბიჭს.

— ბატონო ნიკო, იქნებ ისიამოვნოთ... ლიმონათი? — მესთავაზა ქალმა.

— გმადლობთ, ახლა ვიეახშმე... ივანესთან პატარა საქმე მაქვს და თქვენც მოგვიხმინეთ. დედა ხართ, უნდა გაიგოთ.

ქალი შეცბა, ისიც მაგიდას მიუჯდა და ნიკოს მიაჩერდა.

— რაშია საქმე, ბატონო ნიკო?

— ცუდ დროს მოვედი... ეჭვამ ბიჭს! — შეწუხდა ნიკო, — რა ვქნა, გულმა აღარ მომისვენა... რომ არ გითხრათ, არ შემიძლია...

— უიმე, რა მოხდა ისეთი?! — შეიცხადა ქალმა.

ივანემ ლუკმა გადაყლაპა და ნიკო მასწავლებელს გაკვირვებული მიაჩერდა, ნეტავი რა ჩავიდინე ისეთიო.

— შვილო, — დაუწყო დაყვავებით ნიკომ, — ღღეს რიონჰესის დასათვალიერებლად ვიყავით... სოგუბარზე დაგინახე... მყვინთავად მუშაობ?

— მყვინთავად, პატივცემულო მასწავლებელო, — არ დაფიცა ბიჭმა.

— რა ვქნათ, რომ გვიჭირს! — დაიწუწუნა დედამ.

ნიკო აღელდა.

— ხვალიდან არ დაგინახო მაგ სამუშაოზე. — მკაცრად დაიწყო, მაგრამ მალე ისევ სილბო გამოურია ხმაში და დაყვავებით უთხრა ივანეს, — აბა, დაუფიქრდი, შეძლებს კი შენი ორგანიზმი იმას, რომ შენს გარშემო მყოფი გამდინარე წყალი გაათბოს? ეს სამუშაო დაგაავადმყოფებს, სიცოცხლეს მალე მოგიწყაფებს. არა, შენი იქ წასვლა შეუძლებელია... რაც შემიძლია, დაგეხმარები... ვთხოვ, ნუ იზამთ ამას. მამის სულს გაფიცებ... მე იმ კაცის აჩრდილი ბევრ რამეს მავალებს... ახლა ბოდიშს გიხდით შეწუხებისათვის. ივახშმე

და დაისვენე. ხვალ დილით ჩვენსა გადმოდი, კიდევ მაქვს სალაპარაკო...

დედა-შვილმა მდუმარედ გააცილეს სტუმარი.

ნიკოს შემწეობით ივანემ დაამთავრა ქუთაისის საშუალო სკოლა და შემდეგ მისივე დახმარებით უნივერსიტეტიც.

ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ გადაისინჯა ცხოვრებაში. ნიკო პროგრესიულად მოაზროვნე კაცი იყო და თავიდანვე აუღო ალღო, თუ რა გზით უნდა წარმართულიყო უმაწვილთა სწავლება ზოგადად და ცალ-ცალკე დისციპლინების მიხედვით. განსაკუთრებით გადახედვას საჭიროებდა ისტორიის სწავლება, რომელსაც ჯერ კიდევ შემორჩენოდა ძველი მეთოდები. ისტორია მხოლოდ და მხოლოდ მეფეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერით შემოიფარგლებოდა.

იყვნენ პედაგოგები, რომლებიც ცხოვრების მდინარებას ბრმად მიჰყვებოდნენ, მათ არც განუზრახავთ ამ საგნის სწავლებაში სინათლე შეეტანათ.

1925 წელს ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილების გამგედ დაინიშნა თეიმურაზ ჭუმბურიძე, განათლებული და მეტად სიმპატიური პიროვნება. ნიკო მას კარგად იცნობდა და ამ პოსტზე ჭუმბურიძის დანიშვნა მისთვის სასიხარულო მოვლენა იყო.

თეიმურაზი თავიდანვე ენერგიულად ჩაუდგა საქმეს. მაგრამ მუშაობა მოუხდა ისეთ მძიმე პირობებში, როცა არ იყო სახელმძღვანელოები, შეცვლილი იყო არსებული პროგრამები, განათლების ქსელი განიცდიდა კადრების ნაკლებობას. მუშაობას აძნელებდა სასკოლო შენობების სიმცირე.

ჭუმბურიძე ისტორიის მასწავლებელი იყო და მას კარგად ესმოდა ამ საგნის დანიშნულება, მოზარდის მსოფლმხედველობის განვითარებისათვის რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა ცოდნას და არა მხოლოდ ისტორიის რომელიმე კონკრეტული მოვლენის ათვისებას.

ნიკო ნუცუბიძე საკუთარი იზიარებდა თავისი მეგობრის სწავლების მეთოდს. საშუალო სკოლაში მათი მეცადინეობით დაიწყო ისტორიის, როგორც საზოგადოებრივობის განვითარების ობიექტურ-

ნაზომიერების შესახებ სწავლება.

[illegible]ავლებლები ხშირად იკრიბებოდნენ განათლების განყოფი-

ლების გამგესთან, რომელიც, მიუხედავად მიმბეჭდველი ყოველდღიური შრომისა, გულმოდგინედ და რუდუნებით ადგენდა საბჭოთა სკოლისათვის შესაფერის სახელმძღვანელოს. იგი საკონსულტაციოდ იწვევდა ნიკოსაც, რომელმაც არაერთი დამაფიქრებელი რჩევა და აზრი მიაწოდა თავის მეგობარს.

ამ დროისათვის ერთი წუთითაც არ წყდებოდა ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან.

უბანში, რომელსაც ქუთაისის მეორე საშუალო სკოლის პედაგოგებს განათლება შეჰქონდათ, გაცხოველებული მუშაობა იყო გაჩაღებული. ორიოდე წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც მასებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ლენინური პროგრამა სახელმძღვანელოდ მიიღეს. ნიკო პირადად ამოწმებდა აააკოვან მოსწავლეებს, ესწრებოდა საღამოს გაკვეთილებზე. უკვე 1925 წლის ბოლოს, ერთ საღამოს, იგი ვრცელი ანგარიშით მივიდა განათლების განყოფილებაში.

თეიმურაზს ერთი წელიც არ შეარულებოდა ახალ თანამდებობაზე, მუშაობაში დღე და ღამეს ანწორებდა. ბის შეპყურე თანამშრომლებსაც გატეხილი ჰქონდათ ძილი.

ნიკომ გვიან საღამოს გასწია მეგობართან. დრო შეარჩია, როცა განათლების განყოფილებაში შედარებით ხალვათობაა, დღიური ვნებანი ჩამცხრალი. დღისით აქ ათასი ჯურის ადამიანი ტრიალებს, დაწყებული პედაგოგებიდან, მწობლები მოსწავლეები... ათასი სატკივარი, ათასი საჩივარი, ათასი წუხილი და პრობლემა იჩენს ხოლმე თავს. და მაინც, ყველაფერი სწავლებასთან, განათლებასთან იყრის თავს. და ეს ყოველდღიური საზრუნავი, ზოგჯერ ძნელად გადასაწყვეტი საკითხები ყველამდე ხვევდება. საღამოს კი ხალხის დენაღობა კლებულობს და უკვე მოღლილი თეიმურაზ ჭუმბურიძე აკაკუნებს და თავს უყრის დღიურ შრომა ხვალინდელზე ფიქრი არ ასვენებს.

ნიკომ შეაღო კაბინეტის კარი.

— მოგრძანდი, ნიკო. — შეეგება თეიმურაზი. — გატყობ, მხიარულ ვუნებაზე ხარ... სასიხარულოს რა გეამცნობ?

— ლენინის თეზისი შესრულებულია, მაგრამ საბოლოოდ ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა, — სამხედრო პი-

როვნებასავით მოახსენა ნიკომ, — შეგვიძლია ზუსტად ამ სიტყვებით ვუპატაკოთ განათლების სახალხო კომისარიატს.

— მომილოცავს, ნიკო. ლენინი გვითითებდა, რომ ჩვენ ეს საქმე ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავისათვის მოგვეგვარებინა... დიდი ბელადი რომ ცოცხალი ყოფილიყო, შეგვეძლო მისთვისაც გაგვეგზავნა დეპეშა, — მხნეობა მოემატა თეიმურაზს, დაღლილობის მძიმე ლოდი თითქოს მოშორდა.

ნიკომ გაწეული მუშაობის მთელი ნუსხა მაგიდაზე დაუდო, ამასთან სამაგალითო წერითი ნამუშევრები იმ პირებისა, რომელთაც ამ ორიოდე წლის წინ წერა-კითხვისა არაფერი გაეგებოდათ.

— შეადგინე დეპეშის ტექსტი, — უთხრა ჰუმბურიძემ, — ამ საღამოსვე გავაგზავნოთ.

ცოტა ხნის შემდეგ დეპეშის ტექსტი მზად იყო. ნიკომ ქაღალდი თეიმურაზს გაუწოდა.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ, — თეიმურაზმა თვალი მოაცილა ფურცელს და ნიკოს შეხედა, — მეუსერხულება თქვენი გაწეული შრომის სიხარული მე, განათლების განყოფილების ახალმა გამგემ, ვამცნო სახალხო კომისარიატს... დავარღვიოთ სუბორდინაცია და პირადად უპატაკე სახალხო კომისარიატს.

— არ იფიქრონ, თითქოს განათლების განყოფილებას მხარი ვუქციეთ...

— მე მინდა, რომ თქვენი სკოლის, პირადად შენი ღვაწლი გამოჩნდეს, ნიკო. სადაც ჯერ არს უპატაკოს იმან, ვინც ვადაზე ადრე გადაჭრა ლენინური ამოცანა. — თეიმურაზმა შეჯობარს მხარზე მოხვია ხელი. — ჩვენ ბევრი რამ გვექნება სასი

და წაიკითხა. მერე კაცს ღიმილით შეხედა. — ასეთი ღებეშის დაგვიანება მართლაც არ შეიძლება.

ცოტა ხანში ტელეგრაფი თბილისის ხაზზე გადასცემდა:

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარ მარიამ ორახელაშვილს...“

დიდი იყო სწავლის წყურვილი. გარდა იმისა, რომ ხელისუფლება ისწრაფოდა მასების განათლების, კულტურული და სწავლული ადამიანების აღზრდისათვის, მააებმაც თავისებური ენთუზიაზმით უპასუხეს პარტიისა და მთავრობის ამ ერთ-ერთ უპირველეს საზრუნავს.

გასაკეთებელი ბევრი იყო. ჯერ მხოლოდ კონტურები ისახებოდა იმ მიზნებისა, რაც უნდა განხორციელებულიყო. 1927 წლისათვის მრავალ სოფელში უკვე გაიხსნა შვიდწლედები.

დასავლეთ საქართველოს სოფლის ახალგაზრდობა ქუთაისს მოაწყდა. სასწავლო წლის დასაწყისში ნიკო ნუცუბიძის სახელზე უკვე ექვსასი განცხადება შევიდა, სულ კი ორასი მოსწავლე უნდა მიეღოთ მერვე კლასებში.

თავსატეხი გაუჩნდა ნიკოს, საბუთებისა და შვიდწლედის ნიშნების მიხედვით არჩევდა უკეთესთა შორის უკეთესს, რომ აქამდე წარჩინებით მოსული ყმაწვილი არ დაჩაგრულიყო, ნიჭიერი სკოლის გარეთ არ დარჩენილიყო. კაცი იმასაც ცდილობდა, როგორმე შეხვედროდა ამ ყმაწვილებსა და გოგონებს, პირადად გასაუბრებოდა. არჩევანში რომ არ შემცდარიყო. ძნელი, ძალზე ძნელი ამოცანის წინაშე იდგა. მაგრამ სასწავლო წელი უკვე კარზე იყო მომდგარი.

მოსალამოვდებოდა, სკოლის კართან თავმოყრილი ჯგუფები თანდათან შეთხელდებოდა, ყმაწვილების ხმაური მიწყდებოდა და ბოლოს, სულ ბოლოს, როცა ქუთათური წყნარი საღამო ჩამოწვებოდა, სკოლის კარს არ შორდებოდა ერთი ყმაწვილი. აბორიალდებოდა იმ დიდ ეზოში და როცა ღამე დადგებოდა, ქალაქის ნახევრად ბნელ შუკას მაშინ გაუყვებოდა.

სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანს, ნოე უგულავას, როშელიც მონაწილეობას იღებდა განცხადებების გადასინჯვასა და

მოსწავლეთა შერჩევაში, ეს ყმაწვილი შეუნიშნავს და უყურადღებოდ არ დაუტოვებია. ყმაწვილი დაიმარტოხელა და ვინაობა გამოჰკითხა.

— შალვა მქვია, გვარად კანდელაკი ვარ.

— ბზვანიდან? გამახსენდა შენი განცხადება... მერე და, სკოლას რატომ უტრიალებ გვიანობამდე?

— აქ ნათესავთან ვარ... შინ ვერა ვძლებ. ერთი სული მაქვს, სიებს როდის გამოაკრავენ... თქვენ აქ სწავლობთ?

— კი, აქ ვსწავლობ. სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვარ.

— კომიტეტის მდივანი?! — თვალები გაუგანიერდა შალვას.

— როგორც მახსოვს, კარგი ნიშნები გაქვს შვიდწლედიდან...

— კი, ვსწავლობდი რაც შემეძლო...

— ჰოდა, რაღა გადარდებს? პირველ რიგში მათ ჩარიცხავენ, ვისაც შვიდი კლასი წარმატებით აქვს დამთავრებული... წადი ახლა და დამშვიდებული იყავი.

— იმედი მქონდეს ვითომ? — შეწუხდა შალვა და თვალებში ნაღველი ჩაუდგა.

— ჰო, კარგი, ნუ წუხარ. — მეგობრულად მოხვია ხელი ნოემ-

მიუხედავად ამისა, მღელვარება მაინც დიდი იყო.

ერთ დღეს გამოაკრეს სიები.

ნოე უვულავა ახალგაზრდების ჯგუფს შეერია. ნაცნობ ყმაწვილს ეძებდა, რომ მისთვის სკოლაში ჩარიცხვა მიელოცა, მაგრამ ამაოდ ეძებდა. ნეტავი რა დაემართაო, შეფიქრიანდა ნოე. გული დაწყდა, რომ შალვა იქ არ აღმოჩნდა.

შალვა ამ დროს ფრთაშესხმული გარბოდა შინისკენ. ოცკილომეტრიანი გზა ორიოდე საათში გაირბინა, რათა მთელი სოფლისათვის ეხარებინა, ქუთაისის მეორე ათწლედის მოწაფე გავხდიო.

შალვას დღემდე არ ავიწყდება ნიკო ნუცუბიძის მგზნებარე სიტყვები, სასწავლებელში ჩარიცხულთ რომ მიმართა:

— სურვილი შეგისრულდათ, ჩარიცხული ხართ მერვე კლასში. სასიამოვნოა, რომ ახლად მიღებულთა შორის უმრავლესობა კომკავშირელები ხართ. კომკავშირმა, როგორც პარტიის შებრძოლმა რაზმმა და თანაშემწემ ბევრი საგმირო საქმე გაკეთა სამოქალაქო ომისა და აღდგენით პერიოდში. ბევრი ჯერ კიდევ გასაკეთებე-

ლია. ჩვენ გვესაჭიროება პედაგოგები, ინჟინრები, ექიმები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და სხვა დარგის მუშაკები. სასწავლებელში მიღება ყველაფერს არ წყვეტს. საჭიროა ისწავლოთ წარჩინებულად, იშრომოთ მამაცურად, გიყვარდეთ პარტია, სამშობლო, ერი. ამას სისტემატური, თავდადებული და ყოველდღიური შრომა შედეგად მიაღწევთ.

კიდევ ერთხანს ლაპარაკობდა იგი დინჯად და მგზნებარედ. შეკრებილნი გასუსულიყვნენ. ნორჩთა გულებში სამუდამოდ იბუდებდა ნიკოს შთამაგონებელი სიტყვები. ეს იყო მოწოდებაც, შეგონებაც და თავისებური გაფრთხილებაც.

ნიკოს ამ დროისათვის საკმაო სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. სახელოვანი კაცის თითოეულ სიტყვას კი მაინც თავისი ძალა ჰქონდა, თავისებური შთამაგონებლობა.

დირექტორის გამოსვლის შემდეგ, როცა მოსწავლეებმა მჭუხარე ტაში დასცხეს, ნოე უგულავამ თვალი შეასწრო შალვა კანდელაკს. მალე შალვა და ნოე პირისპირ აღმოჩნდნენ.

— გეძებდი რომ მომელოცა, — უთხრა ნოემ.

— გმადლობ... შენ თავიდანვე ისე მანუგეშე, ყველაფერი დაგეჯერებოდა, მაგრამ მანამ ჩემი თვალით არა ვნახე სიაში...

— სად იყავ მაშინ? გეძებდი.

— სიები გამოაკრეს თუ არა, იქიდანვე ვიშვირე ფეხი და სოფელში გავენთე, მამას და მეზობლებს ვახარე...

— დედა არა გყავს?

— არა მყავს.

— აბა, შენ იცი ახლა... ასევე წარმატებით ისწავლე აქაც, ჩვენს დირექტორს არ უყვარს ზარმაცები... ბეჯითებს კი თან ჰყვება.

— არ შეგარცხვენთ! — თქვა შალვამ და სიხარულით გაცისკროვნებული თვალებით შეხედა ნოეს.

მასწავლებელთა კადრების შერჩევის პრინციპი ნიკოსთვისაც იგივე იყო, რაც იოსებ ოცხელმა დაამკვიდრა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. მასწავლებელი არა მარტო თავისი საგნის მტკიცე მცოდნე უნდა ყოფილიყო, [illegible] ბევრ უმაწვილთა კეთილი აღზრდილი და საზოგადო [illegible]. [illegible] ძლება საზოგადოებრივ საქმეში

დიდად არ გამობრწყინებულიყო, მაგრამ საგნის ღრმა ცოდნა და აღზრდის ტაქტი და უნარი კი უთუოდ უნდა ჰქონოდა.

სკოლების მომრავლებამ, პედაგოგთა კადრების სიმცირემ, ცოტა არ იყოს დაარღვია ეს მოთხოვნილება, მაგრამ ნიკო მაინც ცდილობდა დაეკავა სკოლის ტრადიცია.

მასთან საკონსულტაციოდ, რჩევა დარიგებისათვის სხვა სკოლებიდანაც მოდიოდნენ დირექტორები, მასწავლებლები, მშობლები. რაც დრო გადიოდა, იგი ქუთაითურებში მეტ სახელს იხვეჭდა. სახელი კი, მოგეხსენებათ, მეტად მძიმე ტვირთია.

უკვე კარგა ხნის დირექტორი იყო ქუთაისის ერთ-ერთი სკოლისა ივანე ვაშაკიძე, კარგ ხელმძღვანელადაც ითვლებოდა, მაგრამ ნიკო მაინც სჭირდებოდა. მისი კონსულტაციები, რჩევა-დარიგებანი, ბევრ საქმეში წაადგა და როგორც კი რაიმე ახალს წამოიწყებდა, აზრს უთუოდ ნიკოს დაესესხებოდა.

ნიკოს უყვარდა ეს კაცი, უყვარდა გულწრფელობისათვის, ყოველდღიური რუდუნებისათვის, დაუღლელი შრომისა და წარმატებებისათვის, რითაც მისი სკოლა სახელოვნად გამოდიოდა. ამ ურთიერთობამ ისინი დაამეგობრა და ნიკოსაც არაერთხელ წასდგომია ივანეს კეთილი სიტყვა.

ივანეს უყვარდა ძველი გიმნაზიის შენობაში ფეხის შედგმა, რაღაც ძალას, შუქსა და სივრცეს გრძნობდა, როცა იგი მეორე სართულზე ამავალ ფართო კიბეს აუყვებოდა. ნიკოსთან დღის ბოლოს არჩევდა მისვლას, როცა მოწაფეები გაიფანტებოდნენ და სკოლის კედლებში მდუმარება დამყარებულიყო. ამ დროს მეგობრები წყნარად დასხდებოდნენ კაბინეტში და მოკუვებოდნენ სკოლის სასიხარულო თუ საჭირბოროტო ამბებს. ივანეს განსაკუთრებით სკოლის შენობის უვარგისობა და პედაგოგთა ნაკლებობა აწუხებდა, მძიმე ჭაპანს ეწეოდა, ნიკოს მანუგეშებელი სიტყვა გულზე მალამოდ ედებოდა.

ერთ საღამოსაც ეწვია თავის მეგობარს, კაბინეტის კარი შეაღო.

— შეიძლება, ბატონო ნიკო? — იგი ყოველთვის ასე მიმართავდა თავის უფროს მეგობარს.

— მობრძანდით, მობრძანდით, — თქვენობით მიმართავს არც ნიკო იშლიდა, თუმცა ეს ოფიციალურობა და თავაზიანობა სრუ-

ლიადაც არ ბღალავდა მათ თბილ, მეგობრულ დამოკიდებულებას.

ნიკო, ჩვეულებისამებრ, კართან მიეგება სტუმარს, ხელი ჩამოართვა და მიიწვია.

კაბინეტში მათ გარდა იყო ერთი მოწაფეც. იგი მხრებაწურული იდგა. ეტყობა ივანეს მოსვლამდე რაღაც სერიოზული ლაპარაკი ჰქონდათ დირექტორსა და მას, საკითხი ბოლომდე არ იყო ვადაჭრილი.

ბოდიშს ვიხდი, ხელი შეგიშალეთ, — მიმართა ივანემ ნიკოს, მაგრამ უცნობ ყმაწვილს კი შეხედა.

მამაკაცები დასხდნენ. ყმაწვილი კი ფეხზე იდგა.

— მახსოვს, როგორ იკლავდი თავს, — მიმართა ნიკომ დაღვრემილ ბიჭს. ერთი სული გქონდა, ჩაირიცხებოდი თუ არა ჩვენთან... არც ურიგოდ განაგრძე სწავლა, სულ ხუთებზე მიდიხარ... და უცებ გვტოვებ...

— როგორ?! — ველარ მოითმინა ივანე ვაშაკიძემ და უნებლიეთ ჩაერია საქმეში, — სკოლიდან აპირებს წასვლას?

— თქვენ წარმოიდგინეთ, ასეა, — თავი გააქნია ნიკომ. დედა არა ჰყავს, მამა ხელმოკლე, ავადმყოფი კაცია. უჭირს. არადა, ბრწყინვალედ სწავლობს, სამაგალითო ბიჭია.

— სადაური ხარ, ბიძიკო? — ჰკითხა ვაშაკიძემ.

— ბზვანიდან გახლავართ, ბატონო, შალვა კანდელაკი...

— კარგი ბიჭი ყოფილხარ და... იქნებ ბოლომდე მაინც...

— არა, არა, — ხელი გააქნია ნიკომ და წამოდგა. — მე შენ სკოლიდან ვერ გაგიშვებ. ნუ გეშინია, დაგეხმარები, მე გაგიწევ მამაშვილურ დახმარებას. ორი შვილი მყავს. მესამე შენ იქნები, წამოდი ჩემთან, კუკურისთან და ზურაბთან იმეცადინე. მათთან ერთად ითამაშე...

ნიკო ბიჭს მიუახლოვდა და თავზე ალერსით გადაუსვა ხელი. ბიჭს თვალში ცრემლი მოადგა, ენაჩავარდნილი მისჩერებოდა ნიკოს.

იმავე საღამოს ნიკომ შალვა თავის მეუღლეს წარუდგინა. თორმეტი წლის კუკური და შვიდი წლის ზურაბი გაკვირვებული უყურებდნენ მათზე ბევრად უფროს შალვას. რომელზედაც მამა დედას ეუბნებოდა:

— ჩვენი მესამე შვილი იქნება. ნინო. აბა, შენ იცი, არ დაიკლო

ზრუნვა და ალერსი. ჭკვიანი და ნიჭიერი ბიჭია, დედით ობოლი...

— როდის მოგიკვდა დედა. შვილო? — ნინომ მგრძნობიარედ შეხედა ბიჭს.

— კარგა ხანია... მამა მზრდიდა...

— მოდი, გენაცვალე. აგერ, კუკური და ზურაბი შენი ძმები იქნებიან. — დედამ თავის შვილებს შეხედა, — ხომ გინდათ კიდევ ერთი ძმა, ბიჭებო?

— გვინდა, კი გვინდა, დედა, — თქვა კუკურიმ ხალისიანად.

ზურაბი კი ჩუმად და ქვეშ-ქვეშ უყურებდა შემომატებულ ოჯახის წევრს.

ბედი ზოგჯერ საწყალი კაცისთვისაც სასიკეთოდ დაბერავს, თუ ეს ქარი კეთილი ადამიანის გულიდანაა წამოსული. მზრუნველმა მამობილმა ბოლომდე სდია შალვა კანდელაკს. ჭაბუკმა დაამთავრა სკოლა, ამავე სკოლაში დაინიშნა მასწავლებლად. შემდეგ ქუთაისის მეოთხე საფაბრიკო-საქარხნო შვიდწლიანი სკოლის დირექტორად დააწინაურეს. ნიკო ნუცუბიძე გახარებული იყო თავისი შვილობილის ხვედრით. ერთხელ დაიმარტოვა და უთხრა:

— ვხარობ, რომ ჩემი აღზრდილი ასეთი თანამდებობის კაცია, მაგრამ იცოდე, შალვა, საბოლოოდ უმაღლეს განათლებაზე უნდა იფიქრო.

ახალგაზრდა კაცმა არა მარტო იფიქრა, აღმზრდელის რჩევა ყურად იღო, მოსკოვს გაემგზავრა, უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა. სტუდენტობისას ხშირად მოსდიოდა ნიკო ნუცუბიძის მამობრივი სითბოთი აღსავსე წერილები და ხშირად წერილში ჩაკეცილი ფულიც.

...მოგვიანებით, დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში, შალვა კანდელაკი ლაგოდეხის განათლების განყოფილების გამგედ მუშაობდა, იმ დროს, როცა რაიონის პარტიულ ორგანიზაციას სათავეში ედგა ნიკოს უმცროსი ძმა შალვა ნუკუბიძე.

1928 წელს გარდაიცვალა სილოვან ხუნდაძე. ნაამაგარი კაცი მთელმა ქუთაისმა დაიტირა. განსაკუთრებით დამწუხრებული იყო ნიკო. რობერმა დაკარგა უფროსი მეგობარ-მასწავლებელი, კეთილი მრჩეველი და ნათელი პროგნოზი.

ის დღეები დაღვრემილი და ენაჩაკარდნილი დადიოდა ნიკო. სკოლაში უწინ თუ გვიანობამდე რჩებოდა აუარება საქმეში ჩაფლული, ახლა მარტო ვერ ძლებდა და დარდს შინ კუკურისთან, ზურაბთან და ნაშვილებ შალვასთან იქარვებდა.

იმ წელს სასწავლებელს ისევ მოაწყდა დიდძალი ნაკადი სოფლელი ახალგაზრდობისა. ისევ ჭირდა მოსწავლეთა შერჩევა შერვე კლასებისათვის. შესარჩევად მარტოოდენ შეიდწლედის ატესტატის ნიშნები არ კმაროდა, რადგან ბევრი მოზარდის ცოდნა არ შეესატყვისებოდა იმ მაღალ ნიშნებს, რომლებიც გულუხვად გაემეტებინათ სოფლის მასწავლებლებს. ეს ყველაფერი გასაუბრებიდან გამომჟღავნდა. ყმაწვილთა და გოგონათა გამოცდის ეს ფორმა ნიკომ შეიმოიღო და როგორც საქმემ დაარწმუნა, სწორადაც მოიქცა. გასაუბრებას პირადად ესწრებოდა.

ერთ-ერთი ასეთი გასაუბრების დროს გეოგრაფიის მასწავლებელმა, პეტრიაშვილმა, ნიკო მიიხმო. სოფლელი ბიჭი დაფაზე გაკრულ რუკასთან იდგა, საჩვენებელი ჯოხი ხელში ეჭირა და გაკვირვებული შეჰყურებდა პეტრიაშვილს, რომელიც რატომღაც არ ენდო ყმაწვილს.

ნიკო მიუახლოვდა. ბიჭი შეათვალიერა და პეტრიაშვილს შეხედა. მასწავლებელმა რუსულად უთხრა:

— მოუსმინეთ, ბატონო ნიკო... შეიძლება, რომ სოფლიდან ასეთი ცოდნით წამოვიდეს ყმაწვილი?

შემდეგ დაუწყო გამოკითხვა. ბიჭი ყოველ კითხვაზე ამომწურავ პასუხს აძლევდა, სხარტად, გაბედულად მეტყველებდა...

ნიკოს სიამოვნებით გული გაუთბა. ბიჭს მიუახლოვდა და ჰკითხა:

— რა გვარი ხარ?

— ჯაველიძე გახლავართ... ელადიმერ ჯაველიძე.

— გეოგრაფიას ვინ გასწავლიდა?

— შალვა დოლიძე. ბატონო.

— კარგი მასწავლებელი ყოლია და შენც კარგი ბიჭი ყოფილხარ.

რამდენიმე დღის შემდეგ ნიკო თავის მეგობარ მასწავლებელს დიმიტრი ლორთქიფანიძეს ესტუმრა. დროგამოშვებით, საღამოობით, დიმიტრისას თავს იყრიდნენ მასწავლებლები. ივანე კუკური-

ძე, დომენტი თომაშვილი, მექი ხელიძე და სხვები. ყველას მიუხაროდა ამ ოჯახში, სადაც ქალბატონი ანეტა, დიმიტრის მეუღლე, ყოველთვის სტუმართმოყვარე მასპინძლის გულუხვობით ხვდებოდა ქმრის მეგობრებს. ოჯახი მაშინ გამოცოცხლდებოდა, როცა მასწავლებლები მაგიდას მიუსხდებოდნენ და სანამ ანეტა რაიმეს მოაითმევდა, გაჩაღდებოდა სწავლულ მამაკაცთა ფონიერული კამათი ისევ და ისევ სკოლაზე, სწავლების მეთოდებზე, ეხებოდნენ ცალკეულ საგნებსაც. განსაკუთრებით დიდი კამათი გამოიწვია ისტორიამ, რომლის სწავლების საკითხი ყველას აწუხებდა.

სტუმართაგან ყველაზე ახალგაზრდა ნიკო იყო.

იმ საღამოს გაცხოველებული კამათი გაიმართა პეტრე ბაგრატიონის ქართველობაზე. პეტრეს სახელი ისტორიაში ჩაიწერა, როგორც რუსეთის გენერლისა და ამდენად მისი ნაციონალობის საკითხი რატომღაც სასწორზე შეაგდეს ზოგიერთებმა. საეჭვო გახადეს ამ დიდი ქართველის ქართველობა და კამათიც ამას შეეხო.

მექი ხელიძე ფიცხი, მაგრამ მცოდნე, უაღრესად განათლებული კაცი იყო. ათას წყაროს იშველიებდა თავისი აზრის დასაცავად. მაგრამ ნიკომ უფრო სარწმუნო წყაროებით დაუსაბუთა ზოგიერთთა შეცდომა. პეტრე ბაგრატიონი საქართველოში არ დაბადებულა და გაზრდილა, მაგრამ სარწმუნო წყაროებით დასტურდება, რომ იგი ჩინებული მოქართულე იყო. სულით-ხორცამდე ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი.

დიახ, ეს საკამათო გამხდარიყო ივ დროს, როცა ისტორიაში ჯერ კიდევ ბევრი რამ გადასახედი და ობიექტურად გადასაფასებელი აღმოჩნდა. ზოგიერთი ისტორიული მოვლენა არასწორად იყო გაგებული, ბევრი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე მიჩქმალული. ანდა საზოგადოებისათვის ნაკლებად მნიშვნელოვან პიროვნებას უზარმაზარ კვარცხლბეკზე აყენებდნენ და დიდების დაფნის გვირგვინს ადგამდნენ.

დიმიტრი ლორთქიფანიძე კარგად სვამდა. კარგად სვამდა ნიკოც.

ქალბატონი ანეტა სუფრას დასტრიალებდა. ზოგჯერ შერცხვებოდა და მოკამათეთ ყურს მიუგდებდა. კამათი წრეს არ სკლდებოდა. ეს იყო დინჯი მამაკაცების ისეთი პაექრობა, თითქოს ისინი

მოსწავლეებს გაკვეთილს უხსნიდნენ. ერთ რამედ ღირდა მათი მოსმენა!

— მადროვეთ, მადროვეთ!..

— სცდებით, გეთაყვა!..

და ეს სიტყვებიც ურთიერთპატივისცემითა მოკრძალებით გაისმოდა.

როცა სუფრა გაიშალა, ამ დროს ოთახში, სადაც თავი მოეყარათ პედაგოგებს, შემოვიდა ყმაწვილი. იგი სუფრას არ გაკარებია, თავშეყრილთ მორიდებით მიესალმა და კარადას მიაშურა.

— ყმაწვილო! — მიიხმო ნიკომ. უმალვე შეიცნო ვლადიმერ კაველიძე.

— ჩვენი სკოლის მოსწავლეა, ნიკო. — მიუგო დიმიტრი ლორთქიფანიძემ, — ანეტას ძმისშვილი.

ამ დროს, სანამ ვლადიმერი ნიკოს მიუახლოვდებოდა, ანეტა შემოვიდა, სინით შემწვარი ხორცი შემოიტანა.

— ეს რა კარგი ძმისშვილი გყოლიათ, ქალბატონო ანეტა, შეაქო ყმაწვილი ნიკომ.

— ენაცვალოს მაჭიდა! ნიჭიერი ბიჭია... არ შეგარცხვენთ, ბატონო ნიკო! — გაიბადრა ანეტა. სინი მაგიდაზე დადგა.

— თქვენ კი ერთი სიტყვა არ გითქვამთ. — ახლა დიმიტრის შეხედა ნიკომ.

— ყმაწვილს დამოუკიდებლად შეუძლია გაიკვლიოს გზა. მე ამის იმედი მაქვს. სოფლის სკოლის ბარობაზე ათმაგად უკეთაა მომზადებული. პირში ვაქებთ, მაგრამ, იმედია, ამ ქებას ჩინებული მამულიშვილური სამსახურით უპასუხებს. ასე არ არის, ვლადიმერ?

ყმაწვილს ლოყები აეწვა, თავი მორცხვად დახარა და ხმადაბლა თქვა:

— ასე გახლავთ, ბიძია დიმიტრი.

ვლადიმერი აქტიურად ჩაება სკოლის ცხოვრებაში. სკოლაში, სადაც პარტიის ერთი წევრი იყო, ძირითად ბირთვს კომკავშირი წარმოადგენდა. კომკავშირელებს სათაეში ვალიკო შვანგირაძე ედგა, მოძრავი, სიცოცხლით სავსე და სწავლას დაწაფებული ყმაწვილკაცი. ნიკოს ძალიან უყვარდა და როგორც მოსწავლეთა და

კომკავშირის წარმომადგენელს პედსაბჭოს ყველა სხდომაზე ისწრებდა, მოსწავლეთა წარმომადგენლის აზრი აინტერესებდა და კომკავშირელებს ფართო გასაქანს აძლევდა, უფრო მეტი აქტიურობა გამოეჩინათ, უფრო მეტი სიცხოველე შეეტანათ მოსწავლეთა ცხოვრებაში. ცხოვრების ახალი, საბჭოური წესის დამკვიდრება კი იმ დროს წინააღმდეგობას წინააღმდეგობაზე აწყდებოდა, წვრილბურჟუაზიული და კულაკური წრეები მალულად თუ აშკარად მოქმედებდნენ.

ნიკოს მოსწონდა კომკავშირელთა ბევრი სასარგებლო წამოწყებანი. ისინი მარტო სკოლის ცხოვრებით როდი იფარგლებოდნენ, დიდი ღვაწლი დადეს მათ წერა-კითხვის უცოდინართ, ახლომახლო სოფლებსა და უბნებში სააგიტაციო მუშაობას ეწეოდნენ, ხალხს ფიზიკურადაც ეხმარებოდნენ... ერთი სიტყვით, ეს იყო ძალა, რომელსაც ნიკო ენდობოდა და რომლის სახითაც იგი ბევრ აწ გასაკეთებელ ბევრ სასარგებლო საქმეს ხედავდა.

ერთხელ კომკავშირელებმა სასკოლო კედლის გაზეთში ერთ-ერთი მასწავლებელი ქალის შვილი გააკრიტიკეს.

რასაკვირველია ეს ამბავი ნიკოსთვის ჯრასასიამოვნო იყო და სანამ იგი რაიმეს მოიფიქრებდა, გაცეცხლებული მასწავლებელი დირექტორთან შევარდა.

— აი, რას სჩადიან თქვენი კომკავშირელები! — გაჰკიოდა ქალი, — გადაუსვით თავზე ხელი, გაათამამეთ... თავზე დაგვასვით!.. ბატონო ნიკო, მე ამას ისე არ დავტოვებ, არა, არა!

— დამშვიდდით, ქალბატონო ანიკო! ყველაფერს გავარკვევთ...

— რას, რას გაარკვევთ, როცა ჩემს შვილს თავი მოსჭრეს და საქვეყნოდ გამოაქენეს! იქნებ პოლიტიკური სარჩულიც დაუდონ და დააჭერინონ?! იმიტომ, რომ კომკავშირში არ შევიდა, მოუგონეს რაღაც-რაღაცეები... ცილისწამებაა, ცილისწამება!

— დაწყნარდით, საქმეს მოევლება... — ნიკო ცდილობდა როგორმე დაეშვიდებინა აღელვებული ქალი, მაგრამ იგი კვლავ გაშმაგებული იყო.

ამას ისიც დაემატა, რომ გაკრიტიკებულმა ყმაწვილმა გაზეთი ჩამოხია. ნიკომ შექმნა კომისია, რომელიც დაწვრილებით გამოიკვლევდა საქმის ვითარებას. კომისიაში შევიდნენ სკოლის კომკავშირელთა თავკაცი ვალიკო შვანგირაძე, რამდენიმე აქტიური კომ-

კავშირელი, ორი ახალგაზრდა მასწავლებელი. კომისიაში იყო ვლადიმერ ჯაველიძეც. თათბირი დირექტორის კაბინეტში დაინიშნა. ვლადიმერი კაბინეტში შესვლას ვერ ბედავდა. ნიკომ მოჰკიდა ხელი და შეიყვანა.

— ჩვენ აქ დიდი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი, შენ კი, როგორ მორცხვობ! — უსაყვედურა ნიკომ ვლადიმერს.

ვლადიმერი სკამზე ჩამოჯდა, მაგრამ გულის ფეთქვა ვერაფრით დაიოკა. იგი ყურს უგდებდა თავის მეგობარ კომკავშირელებს, რომლებიც გაცხარებით ლაპარაკობდნენ ამხანაგის დანაშაულზე, მის ზედმეტ სითამამეზე, გოგონებთან არამეგობრულ დამოკიდებულებაზე, იმაზე, თუ როგორ დასცინოდა იგი კომკავშირელებს, როცა ისინი დარაზმულად მიეშურებოდნენ საქვეყნო საქმეზე.

ნიკოს მათი მსჯელობისას სახეზე ისეთი კმაყოფილება ეხატა, თითქოს მიავიწყდა განაწყენებული მასწავლებელიც და მისი გათამამებული შვილიც. ახლა იგი შეჰყურებდა მგზნებარე ჭაბუკებს და გოგონებს, რომლებიც სიტყვაში ერთმანეთს ცვლიდნენ, ჯანსაღი, გამართული აზრი პირიდან პირზე გადადიოდა და ჭაბუკურ ცეცხლს ანთებდა.

ნიკო ზოგჯერ თვალს გააპარებდა ვლადიმერ ჯაველიძისკენ, მორცხვად, თავისთვის წყნარად რომ იჯდა, მაგრამ თვალებში ეტყობოდა შინაგანი ცეცხლით რომ ანთებულიყო. ნიკოს აგონდებოდა გამოცდა გეოგრაფიაში, მისი დალაგებული პასუხები. გაკვეთილებზე არ შეხვედრია, მაგრამ ფაქტი იყო მასწავლებლები როგორ ემადლიერებოდნენ, როგორ აქტიურად მონაწილეობდა კომკავშირელთა საქმიანობაში.

ნუთუ ასე მდუმარედ იჯდება ბოლომდე? ნიკომ შეხედა ვლადიმერს. ამ დროს კაბინეტში დუმილი გამეფებულიყო. ნიკოს შემოხედვა ვლადიმერმა ისე გაიგო, რომ მისგან სათქმელს ელოდნენ.

— თუ შეიძლება, — როგორც კლასში, გამოძახების ნიშნად, ხელი ასწია ჯაველიძემ და ნიკომ უყოყმანოდ, ღიმილით დაუქნია თავი.

— მე ერთი რამ მიკვირს, — მხრები აიჩეჩა ვლადიმერმა და გაბედულად გასაგრძო, — კაცი როგორ არ უნდა უფრთხილდებოდეს დედის სახელს, თავი რომ დავანებოთ პირად ავტორიტეტს... სამ-

წუხარობა. მაგრამ მე არ შემიძლია არა ეთქვა... იქნებ სჯობს რომ გავჩუმდე? არ ვიცი.. — უხერხულად შეწრიალდა ვლადიმერ ჯაველიძე და ნიკოს შეხედა.

თქვი, ვლადიმერ, თქვი, რაც სათქმელია, — უთხრა ნიკომ, — აქ მოსარიდებელი არაფერია. მოგეხსენებათ, სკოლა აღმზრდელობითი დაწესებულებაა და არა დამსჯელი ორგანიზაცია. ვთქვათ, ვილაპარაკოთ, ვურჩიოთ, დავარიგოთ, დავსახოთ გზები, რომ ჩვენი ანბანაკი გამოვასწოროთ. ეს კეთილშობილური საქმეა და თუკი რამ კეთილი აზრი დაგვებადება, ვთქვათ, გულში ნუ შევინახავთ, იქნებ რამეში წაგვადგეს... ბრძანეთ, ვლადიმერ!

ვლადიმერ ჯაველიძე ჩუმმანობდა, აშკარად მერყეობდა, ეთქვა თუ არ ეთქვა ის, რაც აწუხებდა. წუხილი კი აშკარად დაეტყო.

— მე რა უფლება მაქვს, მასწავლებელს ვკადრო, — შეწრიალდა ვლადიმერი.

— მასწავლებელზე, რაო? — დაინტერესდა ნიკო.

დედამიწაზე მოგახსენებთ, პატივცემულო დირექტორო...

ნიკო ამჯერად მდუმარედ მიაჩერდა. ცალკერძ ყმაწვილის თავშეკავება მოეწონა, ცალკერძ კიდეც აინტერესებდა, გულში რა ედო მას, რის თქმას ვერ ბედავდა, რა სიტყვას არ ჰკადრებდა მასწავლებელს.

თქვი, ლადო! შეუძახა ვალიკო შვანგირაძემ, — მოსარიდებელი არაფერი

მაგრამ მაინც, აქ ნიკო იყო მთავარი და მან უსიტყვოდ, თანხმობის ნიშნად დაუქნია თავი

იცით რა, — გაბედა ჯაველიძემ, — ცოტა უხერხულია ისიც, დედა თაკის დაწნაბავ, შვილს რომ იკავს... ელიკო მასწავლებელს გაგვიბრაზდა, ძალიან ეწყინა და ჩვენ, კომკავშირელებს ცალკე [illegible] ბრბო გვიწოდა... რა ვიცი, მაპატიეთ, მაგრამ გულ[illegible] შეტ[illegible] და თუ ასე გაგრძელდა, მაშინ ჩვენ ძალიან, [illegible] ბრალ[illegible] [illegible] გამოსწორება.

[illegible] ვალიკო შვანგირაძემ.

[illegible] ჭიჭიხაძე წამოიძახა, აქეთ — გარდაფხაძე და ფერაძე...

[illegible] — წამოდგა ნიკოც და შემართულ კომკავშირელებს [illegible], — თქვენ ახლა პატარები არა ხართ...

თქვენი კომკავშირული რახმი ჩვენი სკოლის საიმედო ძალაა. ამიტომ მე თქვენთან დასამალი არაფერი მაქვს და გეტყვით, რომ ქალბატონ ელიკოს საქცელი შეც ძლიერ მტკენს გულს... თქვენ მაინც თქვენი ამხანგის ბედი გაწუხებთ, მე უფრო მეტი... გატყობდით, რომ ბევრის თქმა გეწადათ, თავს იკავებდით და ზოგიერთ რამეს ვერ ამბობდით... საწყენი ამბავი მოხდა, ჩვენს სკოლას საშუალო ლაქა დაეშვა. მაგრამ მე მჯერა, რომ ამ თქვენი შემარეთებით, თქვენი ჯანსაღი, კომუნისტური სულით ჩვენ ბევრ პრობლემას გადავეჭრით... ერთ რამეს გთხოვთ, უმაწვილებო, კვლავაც ასეთი ტაქტით, ზომიერად, ყოველგვარი ყოყლოჩინობის გარეშე მივხედოთ ჩვენს გამოსასწორებელ საქმეს.

როცა ახალგაზრდები დაშალნენ, ნიკო ერთხანს მარტო იჯდა კაბინეტში და გონების თვალით ერთხელ კიდევ მზერას ავლებდა მათ, ვინც ცოტა ხნის წინ აქ, ამ ბატარა ოთახში იყვნენ და მეზნეებარედ ლაპარაკობდნენ ადამიანურ ზნეობაზე.

...მასწავლებლის საკითხი კი გადაუდებლად მიაჩნდა. ქუთაისის ქართული გიმნაზიის, ახლა მეორე საშუალო სკოლის გარეშე ასეთ პედაგოგს ვერ იგუებდა. ნიკოს ასე სწამდა: პედაგოგებად კი არ იზრდებიან, პედაგოგებად იბადებიან. პედაგოგი ის ფენომენია, რომელშიც თავმოყრილია ყველა ადამიანური სიკეთე დიდ განათლებასთან, ჰუმანიზმთან, არტიტიზმთან ერთად. იგი რაღაც დიდ სულიერ ცეცხლაც უნდა ფლობდეს. ამ უჩინარ, უხილავრო, მაგრამ მოგიზგიზე ცეცხლს, გულიდან რომ გადადის, ბავშვს რომ კაცად აქცევს, კაცს კი ხეთაების ტოლფასად — საამყაროს გამგებად ქვეყნის მეუფედ.

მასწავლებლის სახელი, მისი ღირსება ნიკოსთვის ძვირად ფასობდა. ბიჭმა ინციდენტი კ. ცელს უფორიაქებდა. საღ, როდის შეცდ როლის გამორჩა ია, რამაც ფული ალგა და შეშხარავი ბოლო გამოაჩინა!

ნიკომ კატეგორიულად დააყენა საკითხი ამ მასწავლებლის სკოლიდან დათხოვის შესახებ. მას ცხოვრებაში ბევრჯერ სტკენია გული და აჭერადაც ატკენენ. მასწავლებელი სკოლაში დაუტოვეს. ახლა მასთან მისასვლელი სხვა გზა და სხვა ხიდი უნდა ეძებნა. ო, რა რთულია ცხოვრება!

მართალია ერთეული უზნეო ადამიანები ვერ ქნიან ამინდს, მათ

არ შეუძლიათ წარმოადგინონ კოლექტივის სახე, მაგრამ დიდი ზიანის მოტანა კი შეუძლიათ. ასეთი ადამიანის გაკარება პედაგოგიურ სარბიელზე ნიკოს უბედურებად მიაჩნდა.

ცდილობდა ყველაფრისათვის ტაქტიანად მოეევლო. ამ თავისი თავდაჭერილობით, შინაგანი, ფარული ძალით ბევრ სასიკეთოს აღწევდა. უხაროდა ახალგაზრდების წინსვლა, განათლებისაკენ დაუცხრომელი სწრაფვა და განსაკუთრებით კომკავშირელების ცოცხალი საქმე. ნიკო არ იყო პარტიის წევრი. ცოდვა გატეხილი სჯობია და ერთხანს ჯეროვანი ყურადღებაც ვერ დაუთმო კომკავშირელებს. მათ საკუთარი კუთხე არ გააჩნდათ სკოლაში, ხან რომელ საკლასო ოთახში იკრიბებოდნენ, ხან — რომელში. ეოთხელ დირექტორი მიიწვიეს კრებაზე. პრეზიდიუმში სკამი დადგეს. ნიკო რამდენჯერაც შეინძრეოდა, სკამი აუტანლად ჭრიალებდა.

— რა უბედურება სჭირს! — თქვა დირექტორმა. სკამი უმალ შეუცვალეს. არც ის გამოდგა მაგარი. ისიც ჭრიალებდა.

ვლადიმერ შვანგირაძემ და ნოე უგულავამ ერთმანეთს ღიმილით გადახედეს და მერმე დირექტორს მიმართეს:

— აი, ასეთი ჭრიალ-ჭრიალით მიდის ჩვენი საქმე. პატივცემულო მასწავლებელო!

ნიკოსაც გაეღიმა. მაგრამ ეს იყო იმ კაცის ღიმილი, რაღაცაში დანაშაულს რომ იგრძნობს და ასე უსიტყვოდ, გულწრფელი, ნალვლიანი ღიმილით გამოხატავს. ის დღე იყო და ის დღე, ნიკომ ოთახიც გამოაძებნინა კომკავშირელებს და ფეხშაგარი სკამებიც დაუდ-

1930 წელს ნიკო და მისი ოჯახი საცხოვრებლად ნინოს ბიძის სახლში გადავიდნენ სადგურის ქუჩაზე. ნინოს ბიძა სამოქალაქო ომში დაიკარგა და ამ სახლში მდგმურები ცხოვრობდნენ. ნიკოს ეუხერხულებოდა სკოლის შენობაში ცხოვრება. მოსწავლეთა და მასწავლებელთა კონტინგენტის გაზრდასთან ერთად წამოიჭრა ახალ-ახალი პრობლემები — სკოლა საგრძნობ სივიწროვეს განიცდიდა. ნიკომ ცოლის ბიძის სახლი შეისყიდა მდგმურებისაგან, ხოლო ის ოთახები, რომლებშიც იგი მანამდე ცხოვრობდა, საგნობრივ კაბინეტად [illegible] ეცოთმო.

[illegible] საბოლოოდ დღე არგუნა სკოლის ეზოში ცხოვრებამ

არა მარტო ნიკოს და მის ოჯახს, არამედ იმ მრავალრიცხოვან გოგონებსა და ბიჭებს, რომლებიც ახლომახლო აოფლებიდან ქუთაისში ჩამოდიოდნენ სწავლის გასაგრძელებლად. ვინ იცის, რამდენს შეუფარებია თავი ნიკოს ოჯახში, რამდენი მშიერ-მწყურვალი დანაყრებულა, რამდენს აქ მოუსმენია გულში ჩამწვდომი შეგონებანი...

იმ წელს დიდად სამწუხარო ამბავი მოხდა. თოთხმეტ ივნისს მოსკოვში თავი მოიკლა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ.

მოგეხსენებათ, ქუთაისელები მეტად მოსიყვარულე ხალხია. მართალია, დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც ბალდადელი უმაწვილი ვალოდია ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, მაგრამ ქუთაისს არ ავიწყდებოდა ახოვანი ჭაბუკი გიმნაზიელი, იმთავითვე ცეცხლოვანი და მგზნებარე. თანაკლასელები თანდათან სიამაყით ივსებოდნენ მაიაკოვსკის პოეზიით, თავი მოჰქონდათ, რომ ვალოდია მათთან ერთად სწავლობდა. მას შემდეგ, რაც ვლადიმერ მაიაკოვსკი ქუთაისს გამოეთხოვა, ოცდათხი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მან სახელი გაითქვა როგორც რევოლუციის პოეტმა-ტრიბუნმა. ქუთათურებამდე მოდიოდა მისი ლექსების ანთებული სტრიქონები, მაგრამ მათ არაფერი იცოდნენ, რა ბრძოლის გადატანა უხდებოდა დიდ პოეტს პროლეტარულ მწერალთა რუსეთის ასოციაციაში. ახლა ყველასათვის ცნობილია ამ ბრძოლის მსვლელობა და შედეგები. ასოციაციის არსებობის პირველივე დღიდან გამოვლინდა ვულგარულ-სოციოლოგიური ბადახრები. რაპპ-ელი კრიტიკოსები მკაცრად, დაუნდობლად ეხსნიდნენ თავს მაქსიმ გორკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ალექსეი ტოლსტოის და სხვა მწერალთა შემოქმედებას. ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ ვერ გაუგო მაიაკოვსკის ნოვატორულ ძიებებს. პოეტს „თანამგზავრს" უწოდებდნენ, მის ლექსებსა და პოემებს თათხავდნენ. მართალია რაპპ-ის საქმიანობა ჯერ კიდევ 1925 წელს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა სასტიკად გააკრიტიკა, მაგრამ აღვირახსნილი ანტისაბჭოთა ლიტერატურის მესვეურები თავიანთ საქმეს მაინც არ იშლიდნენ და ეს საქმე იქამდე მივიდა, რომ დიდმა პოეტმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ჩუმი ბრძოლა მაიაკოვსკის პოეზიის წინააღმდეგ ქუთათურებშიც იყო. ინტელიგენციის ნაწილს არ მოსწონდა მისი ლექსები.

იმ დღეს, როცა მაიაკოვსკის დაღუპვის თავზარდამცემი ამბავი მოვიდა, ნიკო ნუცუბიძე თავის კაბინეტში იჯდა. მასთან მასწავლებელი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დია ჩიანელი შეეიდა. სახეგაფითრებულმა კაცმა ხმის თრთოლით აუწყა საშეზარო ამბავი.

— რას მეუბნები? როდის? რატომ? — ფეხზე წამოდგა ელდანაცემი ნიკო და გაოცებული მიაჩერდა დია ჩიანელს. იგი მეტად ნახი, მგრძნობიარე კაცი იყო. ნიკომ კარგად იცოდა მისი დამოკიდებულება მაიაკოვსკის პოეზიისადმი. დია შორს იდგა მაიაკოვსკის ლიტერატურულ შემოქმედებისაგან. ნიკოს და მას არაერთხელ ეწერა წერილიც უკამათიათ კიდეც. ნიკო მაიაკოვსკის სახით დიდ პოეტს ხედავდა, გატაცებით კითხულობდა მის ლექსებს და პოემებს, გრძნობდა ნოვატორულ ძალას, სიახლეს ლექსის არქიტექტონიკაში, ფრაზის ტევადობას, ლირიკაში შერწყმულ მოქალაქეობრივ პათოსს და ბოლოს ნათელ ხედვებს, მომავლის მრწამსს ადამიანის სულის სიმაღლეს.

მაიაკოვსკის შემოქმედების ჯიუტ მოწინააღმდეგეებთან კამათში ნიკოს მანამდე შეუნიშნავი კიდევ ბევრი სიახლე აღმოუჩენია.

— ამ დილას მოვიდა დეპეშა მოსკოვიდან, — თქვა ხმადაბლა დია ჩიანელმა და სკამი გამოსწია, რომ დამჯდარიყო. მაგრამ წუთით შეყოვნდა.

ნიკო ხმას არ იღებდა. გულის გამალებულ ფეთქვას გრძნობდა.

— თვითმკვლელობა! — წარსთქვა ბოლოს ჩურჩულით. აღელვებულმა ბოლთა დასცა კაბინეტში. დია სკამზე დაჯდა და ფანჯარას გაოგნებული მიაჩერებოდა. ეს პირველი შეშფოთება იყო, როცა ისინი მაიაკოვსკიზე ფიქრობდნენ, მაგრამ მის შემოქმედებაზე არ კამათობდნენ. მწუხარების ძალამ ორივე ერთნაირად შეპყრა.

მაიაკოვსკის ხსოვნის საღამოს უამრავი ხალხი დაესწრო. დარბაზში იყვნენ მეორე ათწლედის უფროსკლასელებიც.

თეიმურაზ ჯუმბურიძე, რომელიც საერთოდ ერიდებოდა ლიტერატურულ საკითხებზე გამოსვლას, ყველასთვის მოულოდნელად მან ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა მაიაკოვსკისე.

როცა სიტყვა დია ჩიანელმა აიღო, ნიკომ ყურადღება დაძაბა.

თითქოს გული ფეთქვა გაუკვდა. იგი არ მოელოდა, რომ ამ ღამეზე დია ჩიანელი გამოვიდოდა.

კრებას ეწერებოდა მოსკოვიდან ჩამოსული ცნობილი თეატრმცოდნე და ბრწყინვალე ორატორი სერგო ამაღლობელი. კრების შემდეგ მან განაცხადა:

— არ ველოდი თუ თეიმურაზ ჭუმბურიძე და დია ჩიანელი ასეთ სიტყვებს იტყოდნენ დღეს. ალბათ მოსკოველებსაც შეშურდებოდათ მათი ასეთი ღრმა და ნიჭიერად გამოსვლა!

ნიკო გაკვირვებული უმზერდა დიას. მან მართლაც შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა. მისი შემობრუნება არ იყო შეფთხვევითი და უცაბედი. იგი თანდათან რწმუნდებოდა მაიაკოვსკის სიძლიერეში და მისმა უეცარმა სიკვდილმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა. ეტყობა, მაიაკოვსკის ტრაგიკულმა უბედურებამ დიდი ტკივილები აგრძნობინა.

ხსოვნის საღამო გადაიქცა მაიაკოვსკის შემოქმედების ზეიმად. მეორე ათწლეულის რამდენიმე მოსწავლემ ზეპირად წაიკითხეს „ამხანაგ ნეტეს, გემსა და ადამიანს", „ლექსები საბჭოთა პასპორტზე", „სხდომას გადაყოლილნი". ნაწყვეტები პოემიდან „კარგია", პოემიდან, რომელსაც ლუნაჩარსკიმ „ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ოქტომბრის რევოლუცია" უწოდა.

საღამოზე სიტყვა თქვა ნიკო ნუკუბიძემაც. დარბაზი სულგანაბული უსმენდა. იგი არ იყო ლიტერატორი, მაგრამ ღრმად ეცნობოდა პოეზია. ადამიანის ფსიქიკაზე, მის სულიერ სამყაროზე პოეზიის ზემოქმედების ღრმა აზრი, როცა იგი სიტყვას ამბობდა. მას მოწაფეებს უკვე წაკითხული ჰქონდათ მაიაკოვსკის ლექსები. უკვე ჩამცხრალი იყო მეუხარე ოვაციები. უკვე ნათქვამი იყო თეიმურაზ ჭუმბურიძისა და დია ჩიანელის შესანიშნავი სიტყვები. მაგ მხნეობას მატებდა შექმნილი ატმოსფერო, შეკრებილთა ერთსულოვანი განწყობილება და მისი სიტყვაც მეტ ყურადღებას იქცევდა.

გადიოდა დღეები. მაიაკოვსკის მოულოდნელმა თვითმკელელობამ მის მოწიფაღმეცნეთა წინაშე დასვა წყალი, ერთხანს თაყვანისმცემლებმაც კი მიივიწყეს. განელდა ინტერესი მისი პოეზიისადმი. მაგრამ 1935 წელს, როცა სტალინის სიტყვა გამოქვეყნდა, ნათელი მოეფინა მაიაკოვსკის პიროვნებასა და მის პოეზიას. „მაია-

კოვსკი იყო და იქნება ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერესი პოეტი".

პოეტის შემდგომი ბედი ყველასათვის ცნობილია.

მოწარდი ადამიანის ბედზე ზრუნვა ნიკო ნუცუბიძისათვის თვითმიზანი კი არა, მისი მოღვაწეობის არსებითი წყარო იყო. ყველას ერთად კი არა, ცალ-ცალკე ყველას! — აი, როგორ უნაწილებდა იგი ყურადღებას, მზრუნველობას, ცოდნასა და გამოცდილებას. ამ მრწამსის, ამ დევიზის ერთგული დარჩა იგი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე.

ამიტომ იყო, რომ კარგად იცნობდა ადამიანებს, აღსაზრდელებსა და აღზრდილებს.

1930 წლის სასწავლო წელი ახლოვდებოდა. ზაფხულის ცხარე დღეები იწურებოდა. პედაგოგები ყოველდღიურად იკრიბებოდნენ სკოლაში. იყო გაცხოველებული მზადება. პედსაბჭოს სხდომებს სამასწავლებლოში ატარებდნენ. ეს იყო დიდი და გრილი ოთახი. იკრიბებოდნენ საღამო ხანს, როცა ქუთაისს რიონის გრილი სიო ჩამოურბენდა.

ერთ დღეს ნიკო განათლების განყოფილებიდან სკოლაში მივიდა. ქალაქში ამ დროს პაპანაქება სიცხე იყო და როცა სკოლის ძველი შენობის სადარბაზოში შევიდა, სული მოითქვა. კიბეს აუყვა და შორიახლოდან თავისი კაბინეტის კართან ორი წითელარმიელი შენიშნა. ერთი მაღალი იყო, მეორე დაბალი, თითქმის ბავშვი. და ის მართლაც ბავშვი აღმოჩნდა.

— მე მელოდებით? — ჰკითხა ნიკომ ორივეს.

— დირექტორს ველოდებით, თქვენ ბრძანდებით? — მიმართა ახალგაზრდამ. ყმაწვილი კი მორცხვად იდგა, მაგრამ სიცოცხლით სავსე თვალებს ნიკოს არ აშორებდა.

— მობრძანდით! — კაბინეტში შეიწვია ისინი ნიკომ.

დასხდნენ. სტუმრები ერთხელ კიდევ შეათვალიერა დირექტორმა. ყმაწვილს აშკარად ემჩნეოდა, რომ იგი ცამეტ-თოთხმეტი წლის თუ იქნებოდა. სამხედრო მოსამსახურის ოჯახში გაზრდილ კაცისთვის ისედაც ნათელი გახდა, რომ ეს ყმაწვილი უთუოდ პოლკის შვილობილი იყო. ყველაფერი სწრაფად გაიაზრა ნიკომ: ახლა

ბიჭს წითელარმიელი გამოაყოლეს ნაწილის მეთაურის მოწერილობით, თხოვენ, რომ ბიჭი სკოლაში ჩარიცხოს.

მართლაც, წითელარმიელმა გულის ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და ნიკოს გაუწოდა. ნაწილის სარდლობა დირექტორს თხოვდა შალვა პროლეტარის ძე კომუნაძე სკოლაში ჩაერიცხა.

— პროლეტარის ძე კომუნაძე, — ჩაილაპარაკა ნიკომ და ღიმილით შეხედა შალვას, — მამაშენს მართლა ეს სახელი ჰქვია, ბიჭო?

— მამა არა მყავს, ბატონო, — თქვა შალვამ.

— ასეთი გვარი ქართველებს რომ არა გვაქვს, კომუნაძე?

— ახლავე ყველაფერს აგიხსნით, — წამოიწია წითელარმიელი, — ეს ყმაწვილი, მოგეხსენებათ, პოლკის შვილობილია... ორი წლის იყო, როცა სოფელ პატრიკეთში მცხოვრებმა კალისტრატე ნარჩემაშვილმა რიონის საფგურში იპოვა.

ნიკოს გული შესძრა ამბავის დასაწყისმა, ყმაწვილს სიბრალულით შეხედა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ბიჭს წითელარმიელმაც გადახედა. შალვა ისე იჯდა, თითქოს ამბავი მას არც ეხებოდა, რადგან თავისი წარსულისა მას ბევრი რამ აღარ ახსოვდა, ხოლო წითელარმიელმა ამხანაგმა, ნაწილის კომკავშირული ორგანიზაციის თავკაცი რომ იყო, ყველაფერი დაწერილებით იცოდა.

წითელარმიელმა განაგრძო:

— კალისტრატე ნარჩემაშვილმა ბავშვი შინ წაიყვანა. მასთან ოთხი წელი იყო. შემდეგ, სოფლსაბჭოს გადაწყვეტილებით მისი აღზრდა ნესტორ ლაღიძემ იკისრა. ნესტორმა სოფლის სკოლაში. ძიაბარა. შეორე კლასში რომ იყო. შალვა ქუთაისის მესამე ქართულ მსროლელ ლეგიონში ჩამოიყვანეს. ლეგიონში მიღებისას ნესტორ ლაღიძის წინადადებით ბავშვი კომუნაძედ მონათლეს. პატრიკეთის კომუნის საპატივცემულოდ. ვინაიდან მამის სახელიც უცნობი იყო, ბევრი ფიქრისა და დავიდარაბის შემდეგ „პროლეტარი" გამოძებნეს. შალვა კი კალისტრატემ შეარქვა. დაბადების წელიც პირობითია, 1917 წლის 25 ოქტომბერი. აი, ასეთია ამ ყმაწვილის, ჩვენი ლეგიონის შვილობილის მთელი თავგადასავალი. რა მოვახსენო ჩვენს სარდლობას, პატივცემულო ნიკო?

— მოახსენეთ, რომ შალვა პროლეტარის ძე კომუნაძე მიღე-

ბულია ჩვენს სკოლაში და პირველ სექტემბერს გამოცხადდება გაკვეთილებზე. – ნიკომ ერთხელ კიდევ მგრძნობიარედ შეხედა შალვას, რომლისაც ღიმილი მოეფინა სახეზე.

შალვა კობუნაძე ჯარისკაცის ფორმით დადიოდა სკოლაში. გაკვეთილების შემდეგ ყაზარმაში ბრუნდებოდა. ცხოვრობდა ლეგიონის სამნეო ასეულში, ჯარისკაცების ყაიდაზე. ბუკზე დგებოდა, როცა მთელი ნაწილის მებრძოლები ხმაურით წამოცვივდებოდნენ, ვარჯიშობდა და საუზმობდა მათთან ერთად. ამის შემდეგ ლეგიონის შვილობილი სკოლისკენ გასწევდა, ხოლო წითელარმიელები სასროლეთზე ან პოლიტმეცადინეობაზე მიეშურებოდნენ.

მთელი წლის განმავლობაში ნიკო თვალს ადევნებდა ლეგიონის შვილობილს. ბეჯითად აწავლობდა, ახალი მეგობრები გაიჩინა. ყაზარმიდან სკოლაში მოუხაროდა, სკოლიდან ყაზარმაში და უკვე სიკვბუკეში ფეხშედგმული ბიჭი გრძნობდა, ცხოვრების ჩარხი მის სასიკეთოდ რომ დატრიალდა. ეს განსაკუთრებით იმ წელს იგრძნო და ყმაწვილის შეგნებაში მომავლის საოცნებო სურათები გადაიშალა...

საწყალ კაცს ქვა ღიმართში დაეწევაო. დიდხანს როდი გასტანა ყმაწვილის სიხარულმა. მერვე კლასში იყო, როცა ქართული მსროლელი ლეგიონი დაიშალა. წითელარმიელები შინ გაუშვეს. მეთაურები სხვადასხვა ქალაქში წავიდ-წამოვიდნენ. უზარმაზარი ყაზარმის სამნეო ასეულში დარჩა მარტოდმარტო თხუთმეტი წლის შალვა პროლეტარის ძე კობუნაძე. საარსებო წყარო მთლიანად მოესპო. ალარ თუხთუხებდა ლეგიონის სამზარეულოს დიდრონი ქვაბები. ფურგონებით ალარ მოაქონდათ სურსათ-სანოვაგე, ალარ იყო ჯამ-ჭურჭლის ჩხრიალი... დუმდა ყაზარმა, მისი დიდი და უკაცრიელი ეზო, ანე უღმერთოდ მიტოვებული. ცხარე ცრემლს ულაბავდა უპატრონოდ მიგდებული შალვა.

და ანე თვალცრემლიანი ეწვია იგი ნუცუბიძეს.

— რა იყო, რა დაგემართა? — შეიცხადა ნიკომ.

მღელვარებისგან აზრი დაეფანტა შალვას, ცრემლი მოიწმინდა და როგორც იყო დამშვიდდა.

— ლეგიონი დაშალეს. ახლა მარტოდმარტო დავრჩი ყაზარმაში... არც საჭმელი მაქვს, არც სასმელი... არ ვიცი, რა ვქნა, რა გზას დავადგე...

ნიკომ გულთან მიიტანა ყმაწვილია ბედი. მაშინვე გამოიძახა სკოლის ბუფეტის გამგე. სანამ იგი მოვიდოდა, ერთი და იგივე რამდენჯერმე გაუმეორა შალვას:

— ნუ გეშინია, შენს თავს უბედურებას არ დავაჩაგვრინებთ!

თან ბოლთას სცემდა ოთახში.

ბუფეტის გამგე შემოვიდა. ჯერ დირექტორს შეხედა, მერე დაღვრემილ ბიჭს. იგი სკოლის ბუფეტში არასოდეს ენახა, თანაც სამხედრო ფორმით იყო.

— ეს ჩვენი მოწაფეა, შალვა კომუნაძე. — მიმართა ნუცუბიძემ. — დღეიდან ასადილებ და ასაუზმებ სკოლის ხარჯზე. ანგარიშს წარმომიდგენ...

ბუფეტის გამგემ დირექტორს უსიტყვოდ დაუქნია თავი. ხოლო შალვას მიმართა:

— წამოდი!

ბუფეტის გამგემ კარგად იცოდა ნიკოს ხასიათი. როცა სკოლაში მუშაობას იწყებდა, ნიკომ თავიდანვე ეაფრთხილა: „ბუფეტში ბაზარი არ გამიმართო". ეს სიტყვები ყოველთვის ახსოვდა და მოწაფეებს მოფერებით ეპყრობოდა.

შალვა წამით შეყოვნდა. ნიკომ მხარზე დაადო ხელი — უთხრა:

— წაჰყევი. ისადილე და მერე ისევ ჩემთან ამოდი.

დანაყრებულმა ბიჭმა სულ სხვაგვარად გამოიხედა. ეს დღის უსმელ-უჭმელს თვალში შუქი ჩაუდგა. როგორ ხელად გაუქრა ლეგიონის შვილობილობა, უზრუნველი ცხოვრება! თურმე ბედნიერი იყო და ვერ ამჩნევდა. როგორ უმწეებელებდნენ წითელარმიელები ობლობით მიყენებულ ვაებას! საამბოდო ჩვეულები ინახნევეს აძლევდნენ, მეთაურთა ალერსი და სითბო უდედმამობის ტკივილს უყუჩებდნენ. საამელ-საჭმელი ყოველთვის თავისზე ჰქონდა. ხელიდან წაუვიდა ბედნიერება, მაგრამ ნიკოს კაბინეტში, მოლრუბლულ ცაზე ისევ ჩამოანათა იმედის ახვამ.

თურმე რა ცოტა უნდა ადამიანს, რომ წუთით მაინც იყოს ბედნიერი!

ნიკო კაბინეტში დახვდა.

— ახლა უნდა ვიფიქროთ შენს მომავალზე, — უთხრა დირექტორმა და სადღაც წასასვლელად ეკიმზადა. მალე ისინი ერთად

გავიდნენ ქუჩაში. ერთხანს უბრად მიდიოდნენ, მერე ნიკომ მიმართა:

— კომკავშირის ქალაქკომს ვთხოვ სადმე მოგაწყონ სამუშაოზე, ისე, რომ დილით ისწავლო, ნაშუადღევს კი ივუშაო. შეძლებ?

— შევძლებ, როგორ არ შევძლებ... აბა, ყოველთვის სხვის ხარჯზე ხომ არ ვიქნები, — წაილაპარაკა ბიჭმა.

ძეტი არაფერი უთქვამთ. ნიკომ შალვა კომკავშირის ქალაქკომში მიიყვანა. ქალაქკომის მდივანი დიდის ამბით შეეგება ნუცუბიძეს, აღუთქვა, რომ ყმაწვილს დაუყოვნებლივ მოუძებნიდა შესაფერ სამუშაოს.

ნიკომ ვული დაიმშვიდა.

ქალაქკომის მდივანმა მაუდის ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გამოიძახა და შალვა კომუნაძე გააყოლა. ფაბრიკის დირექტორმა ერთ-ერთი ჭიშკრის დარაჯობა შესთავაზა. ყმაწვილს ღამის ტეხვა მოუწია, დილით კი გამოუძინარი სკოლაში მიდიოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ნიკომ გამოჰკითხა შალვას, როგორ არის შენი სამსახურის საქმეო. შეატყო, რომ ჭაბუკი რაღაცას უმალავდა, უძინარობა და მოქანცულობა აშკარად ეტყობოდა.

— მითხარი, რაზე მუშაობ.

— კარის დარაჯი ვარ...

— ბიჭოს, გამოუძებნიათ თანამდებობა! — ჩაიცინა ნიკომ და შალვას თვალებში ჩააცქერდა, — ღამით დარაჯობ?

— ღამით.

მაშინ კი იფეთქა ნიკომ, ხელი მაგიდაზე დასცხო. სწორედ ამ დროს შემოესწრო დომენტი თომაშვილი.

— რა მოხდა. ბატონო ნიკო... ამ ყმაწვილმა რამე დააშავა?

— ამ ყმაწვილს დაუშავეს... დაუშავეს, დომენტი... ცხოვრებამ ცალკე დაჩაგრა და ახლა. რაც ბუნებამ დააკლო, ადამიანები უმატებენ. ეარაკაცები. ხისთავები. უგუნურები... ვთხოვე, სამსახურში მოაწყონ. ლუკმაპური ჰქონოდა... ადგნენ და მაუდის ფაბრიკის კარის დარაჯად დაუყენეს. ღამით ამორიგებენ... გაგიგონიათ?!

— მოხარ [illegible] სამუშაო ნაშდვილად არ შეეფერის... რაში

ვიღონოთ. ნიკო. — შეწუხდა დომენტი თომაშვილი და თანაგრძნობით შეხედა შალვას, რომელიც თავს ძლივს იკავებდა და ძილი ერთ რამედ უღირდა. მერე მივიდა, მოეფერა და უთხრა:

— არ იდარდო, ჩვენ შენთანა ვართ.

და მართლაც, ამის შემდეგ შალვას დომენტი თომაშვილის ყურადღებაც არ მოჰკლებია.

ერთხელ შალვა ავად გახდა, ჰოსპიტალში მოათავსეს. ნუცუბიძე და თომაშვილი ყოველდღიურად მიდიოდნენ მის სანახავად, ხან რას მიუტანდნენ, ხან რას, სითბოს და ნუგეშს არ აკლებდნენ. ყმაწვილიც ყოველდღიურად მოუთმენლად ელოდა იმ წუთებს, როცა ეს ორი კაცი ერთად შემოაღებდა პალატის კარს და მისკენ ღიმილით გამოემართებოდნენ.

ასეთმა ურთიერთობამ დიდხანს გასტანა. შალვა კომუნაძემ ნუკუბიძისა და თომაშვილის შემწეობით სკოლა წარჩინებით დამთავრა, ქუთაისიდან თბილისს მიაშურა, სწავლა უნივერსიტეტში განაგრძო.

შორს, ძალიან შორს წავიდა ის დრო. შალვა ახლა ხანდაზმული კაცია. კარგა ხანს იმუშავა კულტურის სამინისტროში. როცა კი ყმაწვილეს გაიხსენებს, არ შეიძლება ამ ზმანებას არ ამოაყვეს ნიკო ნუცუბის ნათელი, დაუვიწყარი სახე.

ოცდაათიანი წლების მშრომელი ადამიანები განსაკუთრებული ოპტიმიზმით იყვნენ აღვსილნი. სწამდათ, რომ პატიოსანი შრომა, ქვეყნისათვის გაწეული თავდადებული ღვაწლი კეთილ ნაყოფს გამოიღებდა, ადამიანებს, ბოლოს და ბოლოს, ბედნიერი ცხოვრება დაუმკვიდრდებოდათ.

მაგრამ სჯეროდათ კი ზოგიერთებს საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვებისა? იყვნენ სკეპტიკურად განწყობილი ადამიანები, იყვნენ მტრებიც, რომლებიც მოსახლეობაში თავიანთ, მზაკვრულ აზრებს ავრცელებდნენ, საზოგადოებას სწამლავდნენ და ცდილობდნენ, ამ ადამიანების გულში, რომლებმაც მომავალს, იმედიანად შეხედეს, მაგრამ ცხოვრება ჯერ კიდევ ვერ გამართეს წელში, ზიზღი და სიძულვილი გაეღვივებინათ ახალი წეს-წყობილების მიმართ.

ნიკო ნუცუბიძე, რომელიც თავის დროზე, [illegible] საბ-

ჭოთა ხელისუფლების დამყარებას აღფრთოვანებით შეხვდა, ქუთაისის მოწინავე ინტელიგენციის სათავეში იდგა განათლების განყოფილების გამგის თეიმურაზ ჭუმბურიძესთან ერთად.

ნიკო ნუცუბიძე სიტყვით თუ პრესის საშუალებით ამხელდა ნაციონალურ-შოვინისტურ გამოხდომებს. ის მაშინ პარტიის წევრი არ იყო, მაგრამ ბოლშევიკების პარტიულ პრინციპებს თავგამოდებით იცავდა — მომავალი ცხოვრების მიზანი მისთვის გარკვეული იყო. განსაკუთრებით ახარებდა მოწინავე ახალგაზრდობის გაძლიერება პარტიულ-კომკავშირული საქმიანობის სფეროში. ნიკოს კარგად ესმოდა პარტიის დამრაზმველი როლის მნიშვნელობა, კომკავშირელთა საქმიანობის აღმავლობა. მხოლოდ მათ შეეძლოთ უტყუარი სამსახური გაეწიათ და დაერაზმათ მასები. სწორედ ისინი მოექცნენ მშრომელთა ენთუზიაზმის ავანგარდში. და ეს ძალზე გამოკვეთილად, საგრძნობლად გამოჩნდა იმ წლებში.

ქუთაისში მოძრაველდა სასწავლო დაწესებულებები. უმეტესად შვიდწლიანი სკოლების სახით. იყო პედაგოგიური, ინდუსტრიული, აბრეშუმის მრეწველობისა და საკონსერვო მრეწველობის ტექნიკუმები. ორიც — საამშენებლო სასწავლებელი.

პოლიტექნიკური საგნის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც შემოიღეს.

ნიკო ნუცუბიძეს განსაკუთრებით ახალგახსნილი სკოლები აფიქრებდა. სკოლების ზრდასთან ერთად იზრდებოდა მასწავლებელთა კონტინგენტი, დაირღვა პედაგოგთა შერჩევის პრინციპი, რითაც თავის დროზე ხელმძღვანელობდა იოსებ ოცხელი. მასწავლებელთა გაზრდილ არმიაში, რომელსაც ოცდაათიან წლებში ქუთაისის განათლების განყოფილება აერთიანებდა, უკვე ძნელი იყო შერჩევის იმ პრინციპის გატარება თეიმცა, განათლების განყოფილების მესვეურები, თეიმურაზ ჭუმბურიძე და ნიკო ნუცუბიძე, ცდილობდნენ კადრების დაკომპლექტებისას ნაწილობრივ მაინც, გამოეყენებინათ ოცხელის მეთოდი.

სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების შემოღება დრომ მოიტანა. ამ საგნის სწავლების აუცილებლობა, მისი ხარისხის ამაღლება-გასვლითარება ნიკოს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდა. ქვეყანა ამეურნეობას მოითხოვდა! ამიტომ იყო, რომ ნიკო სკოლიდან

სკოლაში გადადიოდა და კულმიდგომად ამოწმებდა. სად როგორ მოეკიდნენ ამ საგნის სწავლებას.

ლითოხის მასალების ტექნოლოგიის პირველ მასწავლებელს ქუთაისში, ვანო ადეიშვილს. სულ რაღაც ერთი თვის დაწყებული ჰქონდა მუშაობა, როცა სკოლის დირექტორმა გააფრთხილა, გაკვეთილზე განათლების განყოფილების მეთოდ-სექტორის გაწგუ ნიკო ნუცუბიძე დაგესწრებაო.

ახალგაზრდა მასწავლებელმა კარგად იცოდა, ვინც იყო ნიკო. იგი იმ დროს განათლების განყოფილების გამგის მოადგილედაც მუშაობდა და ვანოს ბედნიერება ჰქონდა სამსახურში გამწესებამდე შეხვედროდა და ესაუბრა იმ დროს ქუთაისში საკმაოდ სახელმოხვეჭილ პედაგოგთან.

ორი პედაგოგის, გამოცდილისა და გამოუცდელის, საუბარმა ერთ საათს გასტანა. ამ საუბრის მნიშვნელობას მაშინვე მიუხვდა ვანო ადეიშვილი. ეს იყო ძნელი, მაგრამ სასიამოვნო გამოცდა. არა აშკარა, არამედ ფარული, წმინდა, მამაშვილური. მაგრამ ახალგაზრდა პედაგოგი მაინც გრძნობდა, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო მთავარი გამოცდა იმ გამოცდათა შორის, რომლებსაც იგი წარმატებით აბარებდა სასწავლებელში. ნიკო კმაყოფილი დარჩა. საუბარს რომ მორჩნენ, ნიკომ ხელი გაუწოდა და წარმატება უსურვა.

მას მერე ერთი თვეც არ გასულა, გაკვეთილზე უნდა დაესწროს.

მღელვარება იგრძნო ვანომ. სამასწავლებლოში მოუსვენრად აწრიალდა. სანამ მისი გაკვეთილის ზარი არ დაირეკა, ადგილს ვერ პოულობდა. ზარი დაირეკა, ვანომ ჟურნალს წამოაველო ხელი, კლასისკენ გაემართა ისე, რომ ნიკოსთვის თვალი არსად არ მოუკრავს. დაესწრება თუ არ დაესწრება გაკვეთილზე? ახლა ამ ფიქრმა შეაწუხა. ალბათ, გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილება ბევრს არაფერს ნიშნავდა, რახან გაკვეთილიც უნდა შეუმოწმოს. საკითხავია, მოეწონება თუ არა მისი მეთოდი, გაკვეთილის შომზადების ხარისხი, მოსწავლეთა დამოკიდებულება საგნისადმი... ასე უცებ, სულ რაღაც ერთ თვეში — ათიოდე საათში, რაიმე გამოკვეთილის წარმოჩენა ძნელი იყო. მით უმეტეს პოლიტეკ-

ნიკური საგნის სწავლება იმ წლის პირველი ნაყოფი იყო. ჯერ კიდევ გარკვეული არ იყო ბევრი რამ — სკოლას საიმისო ბაზაც არ გააჩნდა, რომ პრაქტიკულად განეხოციელებინა დაგეგმილი სწავლება...

ვანო კლასში შეევიდა, მოწაფეებს მიესალმა. ისინი როგორც ხმაურით ადგნენ, ასევე ხმაურითვე დასხდნენ. სანამ კათედრას მიუახლოვდებოდა და საკლასო ჟურნალს დადებდა, ვანო წამით შეჩერდა, კარს შეხედა და მიაყურადა. მასწავლებლის ასეთმა საქციელმა კლასიც გაარინდა. მოწაფეები მასწავლებელს ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ და ვერ გაიგეს, ასეთი გულმოდგინებით რატომ უცქეროდა საკლასო ოთახის კარებს.

ვანოს მახვილ სმენას არ გამოპარვია, სადღაც დერეფნის სიღრმიდან წამოსულთა ფეხის ხმა.

მასწავლებელი ყმაწვილებს მიუბრუნდა და მიმართა:

— ახლა გაკვეთილზე დაგვესწრება პატივცემული ნიკო ნუცუბიძე.

კლასი შეირხა. მოწაფეთა ერთმა ღრმად ამოსუნთქვამაც აგრძნობინა ვანოს, რაოდენ ცნობილი იყო ნიკო ნუცუბიძე, რაოდენ მნიშვნელოვანი და ამაღელვებელი იყო მისი დასწრება ახლა გაკვეთილზე.

დირექტორთან ერთად შემოვიდა იგი. ვანო ადეიშვილს ხელი ჩამოართვა, მოსწავლეებს მიესალმა და როცა დირექტორი საკლასო ოთახიდან გაბრუნდა, ნიკომ მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ სკამს ისევ მერხზე დაჯდომა არჩია. თავისუფალი ადგილი უკვე შეენიშნა. ახალი მოზრდილი მერხი იყო და თავისუფლად მოთავსდა.

ვანო ადეიშვილი ღელავდა. გაკვეთილის ჩატარება პირველ წუთებში გაუძნელდა. მასწავლებელს თავი ლაღად რომ ეგრძნო, ნიკომ ჯიბეები მოიჩხრიკა. თითქოს მთელი ყურადღება რაღაც საგნის ძებნაზე გადაიტანა, ბლოკნოტი ამოიღო. ძველ ჩანაწერებს გადაავლო თვალი. ფურცლავდა და თან გრძნობდა, როგორი დაძაბულობით, ფრთხილად სუნთქავდა კვერდში მჯდომი ყმაწვილი. ყურადღება არ მას მიაქცია, რადგან გამოცდილებით იცოდა, რომ პირველი წუთები ყოველთვის ასეა. მსგავსი რამ თვითონაც

განუცდია, მოწაფეობისას მერხზე, როგორც ეს უმაწვილი და კათედრაზე — როგორც ივანე ადეიშვილი.

ნიკოს მთელი ყურადღება კი ამ დროს მასწავლებლისაკენ იყო, რომელსაც ეღელვება თანდათან უცხრებოდა და გაკვეთილს გამართულად, მკაფიოდ გადასცემდა.

ლითონის მასალების ტექნოლოგიის, როგორც თეორია, ისე პრაქტიკა, ნიკოსთვის უცხო ხილი იყო. საერთოდ, ტექნიკური მეცნიერება არასოდეს იტაცებდა და ამდენად უფრო დაინტერესდა, რა ხაზით და როგორ წარიმართებოდა მისი სწავლება სკოლებში.

საგნის თეორიული კურსი, რომელიც ჩვეულებრივ საკლასო ოთახში უნდა გაეკლოთ მოწაფეებს, თუკი დამაინტერესებელი არ იქნებოდა, მაშინ ძნელი იქნებოდა ცდა იმისა, რომ მოწაფეები, უფრო ვაჟები, დაეინტერესებინათ ტექნიკის სიახლეებით. სამშენებლო მასალების ათვისება-გამოყენებით... ნიკოს რამდენადაც საინტერესოდ მიაჩნდა საგნის პრაქტიკული მხარე, იმდენად აეჭვებდა თეორია — უმაწვილები დაუდებდნენ თუ არა გულს.

ივანე გაკვეთილს განაგრძობდა, მადნის მოპოვებისა და გადამუშავების ქვეთავს...

ნიკომ თავის ბლოკნოტში კირკიტს მალე ანება თავი და ახალგაზრდა მასწავლებელს თვალი აღარ მოაშორა. ვანო უკვე თავის სტიქიაში მოექცა. თითქოს სათავგადასავლო ამბავს ყვებაო, თხრობის ასეთ კილოში მოქცეული ტექნიკური ტერმინები თუ პროცესები, რაღაც სულ სხვა ჟღერადობაა იღებდნენ...

ნიკომ კლასს მიმოავლო თვალი. მოწაფეები სულგანაბული უსმენდნენ მასწავლებელს. თხრობის დროს ვანო ერთ ადგილზე არ ჩერდებოდა. თავისი მოძრაობით, ხან მერხებს შორის, ხან დაფის გასწვრივ, ზოგჯერ ჟესტიკულაციით, ბავშვთა დაძაბულობას ანელებდა. მათ ყურადღებას მეტ თავისუფლებას მატებდა — გონება არ იღლებოდა.

ნიკომ კმაყოფილება იგრძნო. ადეიშვილს გულისყურით უსმენდა, თვალს არ აშორებდა. გაკვეთილის პროფილს განსაკუთრებით ამშვენებდა ზოგჯერ თითქოს საგანს დაშორებული ცოცხალ მაგალითები... ისტორიული ფაქტები — ქართველები შორეულ დროში განვითარებული მეტალურგიით რომ გამოირჩეოდნენ ად-

ძოსავლეთის ხალხებს შორის... ასეთ წიაღსვლებიდან ისევ მიუბრუნდებოდა საგნის ძირითად თემას...

და გაკვეთილი სწრაფად დამთავრდა. თითქოს ერთი ამოსუნთქვით...

დერეფანში ზარი წკრიალებდა. სანამ ნიკო ნუცუბიძე არ წამოდგა, ყმაწვილები თავ-თავიანთ ადგილებზე ისხდნენ. მხოლოდ მაშინ შეხედა ადეიშვილმა დამსწრეს. ბავშვები კვლავ არ ინძრეოდნენ. ისინი ალბათ მოელოდნენ, რომ ნიკო ნუცუბიძე საკლასო ოთახიდან გავიდოდა და მაშინ წამოდგებოდნენ. მაგრამ ნიკომ მათ ხელით ანიშნა ამდგარიყვნენ. და ისინიც ფრთხილად, მორიდებით წამოიშალნენ და კლასიდან ჩუმად გავიდნენ.

ადეიშვილი და ნუცუბიძე პირისპირ დარჩნენ.

— კმაყოფილი ვარ, — მიმართა ნიკომ ახალგაზრდა მასწავლებელს. — მაგრამ მე ალბათ მომიწევს, დაგეწყრო კიდევ ერთ გაკვეთილზე... მასწავლებელი ჩინებულ ფორმაშია. საინტერესოა ასეთივე ფორმაში თუ არიან მოწაფეები... თქვენ ხომ არავინ გამოგიკითხავს, არც შეკითხვები დაგისვამთ. ეს უთუოდ მინუსად გეთვლებათ. მიუხედავად საინტერესო ლექციისა, დიახ, ლექციისა და არა გაკვეთილისა...

— პატივცემულო ნიკო, დღეს განგებ არ ჩავაბი ბავშვები. ჯერ ერთი, შევატყვე რომ ღელავდნენ... ბუნებრივია... მეც ვღელავდი. მეორეც, სწორი გითხრათ, არ მოგელოდით. წელს პირველად ვიწყებთ ამ საგნის სწავლებას, არა გვაქვს პროგრამა და დებულება... მინდა ჩემი მოსაზრებანი მოგახსენოთ. უკვე ჩამოვაყალიბე. მაგრამ პირველ რიგში მაინც, ვიდრე იმდენს შევძლებდეთ, რომ სკოლას შრომის საკუთარი კაბინეტი და სახელოსნო ექნება, კვირაში ერთხელ მაუდის ფაბრიკაში ჩავატაროთ პრაქტიკული მეცადინეობა, ანდა რომელიმე მექანიკურ ქარხანაში...

— მართალია, პრაქტიკის გარეშე შრომითი საგნების სწავლებას არავითარი ფასი არა აქვს... გამომიარე, ვანო. მე ყოველთვის გამოვნახავ დროს შენთვის. მოვილაპარაკოთ.

ნიკო ნუცუბიძეს ამიერიდან ყურადღების ცენტრში ჰყავდა ვანო ადეიშვილი. სკოლას დიდ დახმარებას უწევდა. სხვა სკოლებიდან შრომითი საგნების მასწავლებლებს მის გაკვეთილებზე ასწრებდა. მერმე თვითონ ამოწმებდა მათ პრაქტიკულ და თეორიულ

საქმიანობას. ნიკო ნუცუბიძეს ამ დროისთვის განათლების განყოფილებაში ინსპექტორებად მოწვეული ყოფილა შურა კორძაძე და ვალიკო თუმანიშვილი. შურა სათემატიკოსი იყო, ხოლო ვალიკო — ფილოლოგი. ისინი ენერგიით სავსე ახალგაზრდები იყვნენ და განათლების განყოფილების საიმედო ძალას წარმოადგენდნენ — ახლის შეგნებით, მომავლის ნათელი ჭვრეტით, პედაგოგიური ალღოთი და კარგი განათლებითაც.

ჯანსაღი ახალგაზრდობა წამოვიდა. იგრძნობოდა ცხოვრების მძლეური მაჯისცემა.

ნიკოს უხაროდა ასეთი აღმავლობა. გული უფრო მეტი იმედით ევსებოდა და რაც შეიძლება ხელს უწყობდა ახალგაზრდობას. უკვე პედაგოგიური მოღვაწეობის ერთი წლის შემდეგ ოცდასამი წლის ჭაბუკი ვანო ადეიშვილი რკინიგზის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ დაწინაურა. იმავე წელს იგი ქუთაისის განათლების განყოფილებასთან არსებული მასწავლებელთა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის მდივნად აირჩიეს. ამ დროს ვანო უკვე პარტიის წევრი იყო.

განათლების განყოფილებასთან არსებობდა პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც ექვს კომუნისტს აერთიანებდა. იმ დროს, როცა კომკავშირელთა რიცხვი 125 იყო.

კადრების აღზრდა-დაწინაურება კომკავშირზე მოდიოდა. ნიკო ყოველ კომკავშირულ კრებას ეესწრებოდა, ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა კამათში. ეს ცხოველი ინტერესი ახალგაზრდობის საქმიანობისადმი მას ძალას და მხნეობას მატებდა.

1932 წლის იანვარში ვანო ადეიშვილი კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტში გადაყვანეს განათლებისა და კულტურის განყოფილების გამგედ.

ამავე წელს ნიკო ნუცუბიძეს დაუყენა საკითხი სკოლებში დირექტორებად მოწინავე კომკავშირელი ახალგაზრდები დაენიშნათ ამას სათანადოდაც ასაბუთებდა. ეს ღონისძიება მალე განხორციელდა.

ჯერი მიდგა იმ სკოლაზეც, სადაც დირექტორად იყო დამსახურებული პედაგოგი მარიამ ყაუხჩიშვილი. ეს ხანდაზმული ქალი, რომელმაც სკოლის შენობა თავისი საკუთარი სახარებით ააგო, მთელ ქუთაისში განთქმული პედაგოგი და არაერთი სახელოვანი

ადამიანის აღმზრდელი გახლდათ. სკოლების საერთო განახლება მასაც უნდა შეხებოდა. მარიამ ყაუხჩიშვილმა, რომელიც თავს ჯერ კიდევ მხნედ გრძნობდა, იუკადრისა განათლების განყოფილებისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის წინადადება, საქართველოს განათლების სახალხო კომისარს, მარიამ ორახელაშვილს, დეპეშით აცნობა თავისი გულისტკივილი.

ერთ დღეს ქუთაისში ჩამოვიდა მარიამ ორახელაშვილი. იგი დილის მატარებელს ჩამოჰყვა და განათლების განყოფილებაში ისე მივიდა, არავისთვის უცნობებია.

ადრე იყო. ამ დროს, ჩვეულებრივ, ნიკო ნუცუბიძე თავისი ახალგაზრდა ინსპექტორებით უკვე მისულიყო სამსახურში. ნიკოს მოსწონდა შურა კორძაძისა და ვალიკო თუმანიშვილის მონდომება. მათ სამსახურში მისვლასაც ვერ ასწრებდა. დავალებებს პირნათლად ასრულებდნენ და ბევრი გონივრული წინადადებაც წამოუყენებიათ სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

განათლების განყოფილების ერთ პატარა, ვიწრო ოთახში სამნი ისხდნენ, ნიკო — ცალკე მაგიდაზე, შურასა დ ვალიკოს საზიარო მაგიდა ჰქონდათ. როცა მუშაობა ერთად უხდებოდათ, ისინი პირისპირ სხდებოდნენ.

სამივე ადგილზეა. ნიკო რამდენიმე სკოლის შემოწმების შედეგებს ათვალიერებს. შურა და ვალიკო სკოლებში წასასვლელად ემზადებიან... გარდა შემოწმებისა ნიკო დიდ ყურადღებას უთმობდა დახმარებას. იქ, სადაც უჭირდათ, ერთი კვირით, ერთი თვით, უფრო მეტი ხნითაც. თავის დასაყრდენ პუნქტს ქმნიდა შურას ან ვალიკოს „ჩაასახლებდა" სკოლაში. შემდეგ განათლების განყოფილებაში ამუშავებდნენ მიღებულ ინფორმაციას და დახმარების ხელსაც დროულად უწვდიდნენ. მუშაობის ასეთი მეთოდით ნიკომ ბევრი სკოლის საქმე წამოსწია. ამ საქმეში არანაკლები წვლილი მიუძღოდათ კორძაძესა და თუმანიშვილს...

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. ალბათ, თეიმურაზიც მოვიდა. მას ნიკოს ოთახის კარწინ უნდა გაევლო. მაგრამ ფეხის ხმა არ ჰგავდა ეუმბურიძის ძმიმე დადინჯებული ფეხისას... ეს არ იყო მამაკაცური. უფრო ქალისას წააგავდა. ნიკომ ყურადღება არ მიაქცია. მაგრამ, როცა იგრძნო, რომ ლია კარში ალაც ჩადგა,

ფეხზე უცებ წამოდგნენ ახალგაზრდა ინსპექტორები. ნიკომაც წამოსწია თავი...

ყველაფერს იფიქრებდა. მაგრამ თვით საქართველოს განათლების სახალხო კომისრის, მარიამ ორახელაშვილის, გამოჩენას კი არა

კარებში იდგა მაღალი, შნოიანი ქალი. რომლისადმი მუდამ კდემამოსილებით იყო განწყობილი ნიკო. ეამაყებოდა. რომ განათლების სისტემას ასეთი გონიერი და სამაგალითო რევოლუციური წარსულით მდიდარი ქალი წარმართავდა. იმ დროს მარიამ ორახელაშვილის სახელი დიდების ზენიტში იყო. თავისი ასევე სახელოვანი მეუღლისა, მამია ორახელაშვილთან ერთად. ნიკო რამდენჯერმე იყო მარიამთან სახალხო კომისარიატში. იქ. საქმიან ატმოსფეროში, თავს სადად. მაგრამ კოხტად მოწყობილ კაბინეტში ეს ქალი გახაკუთრებულად გამოიყურებოდა რა თავაზიანი. თბილი მიღება იცოდა, ან რა გონიერული მაჯალობა. საკითხის სწრაფი აღქმა და უმალვე სწორი, უტყუარი დასკვნის გაძოტანა...

სიზმარში დანახულს უფრო გავდა ახლა მისი მოულოდნელი გამოჩენა.

ნიკომ მღელვარება იგრძნო. არ ფიქრობ, არ მოელი უცებ. თვალწინ დაგიდგება ისეთი ვინმე, მის მობრძანებას ასეთ ვითარებაში რომ ვერ წარმოიდგენ.

ნიკო სწრაფად წამოდგა და სტუმარს მიეგება.

— პატივცემულო მარიამ!...

— გამარჯობათ. თავაზიანად ძალისმა ორახელაშვილი ხელს და ახალგაზრდა ინსპექტორებს. რომელთაც მორცხვად დაუკრეს თავი და გაჰეკუნენ იმის მოლოდინში. თუ რა მოხდებოდა.

მარიამმა ყველას ჩამოართვა ხელი და სანამ მოცელის მინდობს იტყოდა. ოთახს თვალი მიმოავლო და თქვა:

— ვიწროდ ხართ...

— სივიწროვეს არ ვუჩივით. პატივცემულო მარიამ. მიუგო ნიკომ და სტუმარს სკამი შეთავაზა. — ალბ ადგილიანად საიდან? რატომ არ შეგვატყობინეთ. დაგხვდებოდით...

— გწადლობთ, პატივცემულო ნიკო, ქალი სკამზე ჩაბრძანდა.

წელში გამართული, ამაყი, მაგრამ უბრალოც. მე პირად საქმეზე გეახელით... უფრო სწორად, ჩემი მასწავლებლის საქმეზე...

გამოირკვა, რომ მარიამ ორახელაშვილი ყაუხჩიშვილის ნამოწაფარი ყოფილა... ნიკოს სთხოვდა, ეგებ მოვახერხოთ და დავტოვოთ ეს ქალი სკოლის დირექტორადო. საკითხი კომკავშირის საქალაქო კომიტეტის განათლებისა და კულტურის ვანყოფილებას უნდა გადაეწყვიტა. კერძოდ ვანო ადეიშვილს.

ნიკო ნუკუბიძე ტელეფონით მაშინვე დაუკავშირდა კომკავშირის საქალაქო კომიტეტს. ვანო ადგილზე აღმოჩნდა.

— ვანო, ახლად წახვიდე... აქ განათლების სახალხო კომისარი, პატივცემული მარიამი ჩამობრძანდა და ახლა შენთან მოვდივართ...

ბატონობა, ვანომ იაეთი პასუხი მიაცა. ნიკომ წუთით მოიშორა ყურმილი და მარიამ ორახელაშვილს მიმართა:

— ეს ახლა თავად გეახლებათ, პატივცემულო მარიამ.

— რას ბრძანებთ! — შეიცხადა ქალმა და ეს შეცხადებაც, წრფელი და კატეგორიული, ისე დამშვენდა, ნიკომ ვერაფრის თქმა ვერ შეძლო, — სქმე მე მაქვს მასთან და ის როგორ უნდა შევაწუხო! მე თვითონ მივალ და ვთხოვ... თქვენი შეწუხებაც არ მიხდება, პატივცემულო ნიკო. მაგრამ უთქვენოდ ეს საკითხი არ მოგვარდება...

— როგორ გეკადრებათ, ეს რა შეწუხებაა! — ნიკო უხერხულად შეიშმუშნა. აღარ იცოდა, რა გაეწყო, როგორ მოქცეულიყო, ბოლოს მარიამის სიტყვაა დაემორჩილა და ყურმილში ადეიშვილს გასაგონად ჩასძახა. — მანდა დაგვხვდი, ვანო, ფეხი არ მოიცვალო... მოვდივართ.

და ყურმილი დადო.

განათლების განყოფილება ასეთდენ ნაბიჯით იყო დაშორებული იმ შენობათან, რომელშიც კომკავშირის საქალაქო კომიტეტი იყო მოთავსებული.

ვახო არც მოელოდა, თუ ასე მალე მოადგებოდნენ კარზე მარიამ ორახელაშვილი და ნიკო ნუკუბიძე. ფიქრობდა, ოღონდ წუთში ქუჩაში, სადარბაზოსთან მაინც შევეგებებიო. მაგრამ სანამ მიინძრა-მოინძრა... აკერ, ისინიც.

— შეიძლება? — კითხულობს სახალხო კომისარი.

ვანოს გულის ფეთქვა ყელში ამოუვიდა, თითქოს დაიბნა კი-

დეც. როგორლაც მოახერხა, ეთქვა, მობრძანდითო და ატუმრებს შეეგება.

— გამარჯობა, შვილო! — რაღაც ძალიან ალერსიანი, შინაურულად თბილი და მართლა დედობრივი იყო მარიამის სიტყვები. ვანოს მხარზე მოხვია ხელი და იმავე კილოთი განაგრძო. ჩვენთხოვნა იქნება, სკოლის დირექტორად დავტოვოთ მარიამ ყაუჩიშვილი. მოადგილედ კი დავუნიშნოთ კომკავშირელი პედაგოგი. ახლა რომ ეს ქალი გავათავისუფლოთ, ჯერ ერთი მორალური უფლება არა გვაქვს. ეს სკოლა მისი აგებულია, მისი დაარსებული... იცით რამდენი ამაგი აქვს გაწეული! დარდს გადაყლაპავს... მოვედი თხოვნით, მისი ყოფილი მოწაფე... სხვა რა სამსახური შემიძლია გავუწიო ამ ღვაწლმოსილ ადამიანს!..

ვანო მონუსხულივით უყურებდა სახელოვან ქალს და არც თვალს უჯერებდა. აბა ყურა, რომ მას თავისი ყოფილი მასწავლებლის გულისთვის ამხელა გზა გამოიარა თბილისიდან ქუთაისამდე და სკოლის დირექტორის საკითხს კომკავშირის საქალაქო კომიტეტის გახყოფილების გამგეს უთანხმებს...

ეს მარიამის დიდი ქალობა იყო. ეს იმ ადამიანების დაფასებაც იყო, ვისაც ეს საქმე ეხებოდა. ეს ქედის მოხრა იყო იმ ადამიანის მიმართაც, ვისი ამაგიც ახსოვდა...

ეს ყველაფერი იყო, რაც კი ადამიანს სიკეთის შუქით ამზეურებს!..

— როგორც თქვენ ბრძანებთ, პატივცემულო სახალხო კომისარო, — მიუგო ვანო ადეიშვილმა.

— არა, ეს ჩემი ბრძანება კი არა, თხოვნა იქნება მხოლოდ... მე ახლა მივალ ჩემს მასწავლებელთან და დავამშვიდებ...

მარიამმა გაღიმა მომხიბვლელი კეკლუცობისადმი, ადეიშვილსა და ნუცუბიძეს მადლობა გადაუხადა, დიდხანს ალერსიანად ... კაბინეტიდან გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ნიკო ნუცუბიძე მიჰყვებოდა ამაყად თავშემართულ, ჭიმხიბვლელ ქალს მარიამ ყაუჩიშვილის სკოლიანკენ...

ჯერ კიდევ 1925 წელს ქუთაისში შეიქმნა უმაღლეს საწავლებელში შეძსვლელთა მოსამზადებელი კურსები. მოიწვიეს იმჟამად ქალაქში მყოფი თვალსაჩინო პედაგოგები.

მოსამზადებელ ჯგუფს მათემატიკის მასწავლებელი ვარლამ ლექვენაძე ხელმძღვანელობდა. როცა ჯგუფი მეცადინეობას შეუდგა, აღმოჩნდა, რომ ისტორიის მასწავლებელი აბიტურიენტთა ცოდნას წინ ვერ წასწევდა, აკლდა მომზადება.

ჯგუფმა ერთხმად მოითხოვა. ისტორია ნუცუბიძემ გვასწავლოსო.

აბიტურიენტებს გარდა ნიკოს გაკვეთილებს მრავალი გარეშე მსმენელიც ესწრებოდა, ახალგაზრდობა და სხვადასხვა სკოლის ისტორიის მასწავლებლები.

პირველი ჯგუფის მეცადინეობის შემდეგ ხუთი წელი გავიდა. ერთხელ ნიკო განათლების განყოფილებისაკენ მიეშურებოდა. ბულვართან ახალგაზრდა შენიშნა. ეცნო. უმაღლესში შემსვლელ აბიტურიენტთა პირველი ჯგუფიდან გაახსენდა. ახალგაზრდა შეაჩერა.

— გამარჯობა, მახათაძე!

— გაგიმარჯოთ, პატივცემულო ნიკო მაესწავლებელო. — შეკბუნდა მახათაძე. იგი არ მოელოდა, რომ ამდენი ხნის გასვლის შემდეგ ნუცუბიძე შეიცნობდა. სულ რაღაც ორიოდე თვეს ასწავლიდა. ალბათ, დაამახსოვრდა იმიტომაც, რომ მიხეილ მახათაძე სხვა აბიტურიენტთაგან სიბეჯითით გამოირჩა. ფიქრი არ უნდა, ისეთი გონების კაცისათვის, როგორიც ნიკო ნუცუბიძე იყო, მეცადინე კაცის გამორჩევა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

— სადა ხარ, რას აკეთებ? — ჰკითხა ნუცუბიძემ. — უმაღლესი თუ დაამთავრე?

— დავამთავრე, პატივცემულო ნიკო... ერთი წელი ჩოხატაურის სკოლაში ვასწავლიდი ქართულ ენასა და ლიტერატურას. ახლა აქ გადმომიყვანეს, რკინიგზის საამშენებლო სასწავლებელში.

— მაშინვე შეგატყვე. საით უმიზნებდი... ჩინებული პასუხი იცოდი, ისეთი, როგორიც პედაგოგს შეშვენის... კარგია, რომ ამ გზას დასდგომიხარ. ახლა ხშირად შევხვდებით ხოლმე ერთმანეთს... მოხარული ვარ, მოხარული!

კმაყოფილები დაშორდნენ ერთმანეთს.

შემდეგ რამდენჯერმე განათლების განყოფილებაში შეხვდნენ, ხოლო სულ მალე თვალთაგან დაეკარგა ეს ახალგაზრდა ნიკოს.

მოიკითხა. აღმოჩნდა, რომ მძიმე ავადმყოფობის გამო მახათაძე სკოლას ჩამოშორებოდა.

მძიმე ფრონდიტმა საყვარელ საქმეს ჩამოაცილა მიხეილი. პროფესორმა ასპისოვმა ორჯერ გაუკეთა ოპერაცია, მაგრამ უშედეგოდ. ორი წელი თავშეხვეული დადიოდა, მერე ლენინგრადს მიაშურა. ქუთაისში განთქმული ექიმის, აკაკი გაბუნიას რეკომენდაციით, ოპერაცია გაუკეთა გამოჩენილმა ქირურგმა ვ. ე. ვოიაჩეკმა. მაგრამ ლენინგრადიდან მაინც უიმედოდ დაბრუნდა. ახლობლები წუხდნენ, მათ ხელი ჰქონდათ ჩაქნეული, მიხეილის დღეები დათვლილი ეგონათ. სასოწარკვეთილებას მიცემულ კაცის გულს ნუგეში მალამოდ არ ედებოდა. მაგრამ სულ მალე, გაზაფხულზე, მოხდა სასწაული. უცებ მოიკეთა. ახლობლებს ეს ამბავი ჯერ ცუდად ენიშნათ, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უცაბედ გამოკეთება, ავადმყოფის ფეხზე დადგომა სიკვდილის მომასწავებელი იყო. მაგრამ ამჯერად სიკვდილმა უკან დაიხია, თავის ტკივილებმა გაუარა და მის გულს შვება მოეფინა. მალე სკოლას დაუბრუნდა და კარგი მასწავლებლის სახელი აღიდგინა.

1934 წლის სექტემბრის ერთ დღეს ტექნიკუმში მორიგი გაკვეთილის დამთავრების შემდეგ მიხეილი სამასწავლებლოსაკენ გაეშურა. კარი რომ შეაღო, ტექნიკუმის მასწავლებლებთან ნიკო ნუცუბიძე დაინახა. რატომღაც ყოველთვის მოკრძალებული იყო ამ კაცის მიმართ.

ნიკომ უცებ შეასწორა თვალი.

— გამარჯობა, მიხეილ! — მასწავლებელთა ჯგუფს გამოეყო ნიკო და მახათაძეს შეეგება.

— გამარჯობათ, პატივცემულო ნიკო! როგორ ბრძანდებით, როგორ გიკითხოთ? — მიხეილმა ხელი ჩამოართვა.

— საკითხავი მე კი არა, შენა ხარ... რა იყო, რა დაგემართა, რა სატკივარი იყო ისეთი... შევწუხდი, შვილებს გეფიცები. ახლა როგორ ხარ?

— გმადლობთ... ვითომც არაფერს შევუწუხებივარ.

— მადლობა ღმერთს! ისიც გავიგე, რომ წარმატებით მოღვაწეობ... ეს მეტად სასიხარულოა. შემდეგ ხმას დაუწევ [illegible] ქმის ჩურჩულით განაგრძო, — შენ კ[illegible]ლოდი.

— მეო! მიმსახურეთ, პატივცემულო ნიკო... თუკი რამეში გამოგადგებით.

წინადადება რომ მოგცე ჩვენს სკოლაში გადმოსვლაზე... წამოხვიდოდი?

განა ასეთი ბედნიერება ყველას ხვედრია?

— მომეცი ხელი!

ასე აღმოჩნდა მიხეილ მახათაძე ქუთაისის მეორე საშუალო სკოლის მეხუთე-მერვე კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. რასაკვირველია იცოდა სად მიდიოდა, ვისთან მიდიოდა, რომ ამ სკოლაში უმკაცრესი დისციპლინა და რეჟიმი არა მარტო მოწაფეებზე ვრცელდებოდა, მასწავლებლებიც გარკვეულ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ სკოლის საერთო ცხოვრებისა და იმ დიდი საქმისათვის, რასაც ისინი თავდადებით ემსახურებოდნენ.

უკვე ორი თვის მუშაობის შემდეგ ნიკო ნუცუბიძემ მიხეილ მახათაძის საქმესაც მიხედა. მიუხედავად იმისა, რომ მისი მოწვეული იყო, სამჯერ ზედიზედ შესამოწმებლად დაესწრო გაკვეთილებზე გაკვეთილი რომ დამთავრდებოდა, ნიკო ისევ იჯდა ბოლო მერხზე, სანამ მოწაფეები შეილიანად არ გაიკრიფებოდნენ. მიხეილი ფეხზე იდგა და უცდიდა უკანასკნელი მოწაფის გასვლას. შემდეგ დირექტორი და მასწავლებელი პირისპირ რჩებოდნენ. ნიკო დინჯად წამოდგებოდა, ჩაფიქრებული, ოდნავ თავდახრილი გაივლიდა მერხებს შორის მთელ საკლასო ოთახს და მიხეილს მიუახლოვდებოდა. ნიკო წინა მერხზე ჩამოჯდებოდა. მიხეილს ხელით ანიშნებდა ისიც დამჯდარიყო. შემდეგ, როცა ასე მოეწყობოდნენ, ნიკო იწყებდა გაკვეთილის გარჩევას. დეტალურად, დინჯად. იხსენებდა ყველა ნიუანსს, წარმოთქმულ ფრაზას, მოწაფეთა რეაგირებას ახალი მასალის ახსნისას და ხაზგასმით აღნიშნავდა იმას, რაც ჰედაგოგმა გაკვეთილს დააკლო. მიხეილი, რომელსაც ამ დროისათვის კარგი მასწავლებლის სახელი ჰქონდა, გულდასმით უგდებდა ყურს ნიკოს შენიშვნებს. შემდეგ თავის აზრს მორიდებით გამოთქვამდა და არ შეიძლებოდა გულწრფელი მადლობა არ ეთქვა ფარიგებისათვის. იმ კვთილი რჩევისათვის, რაც შემდგომ გაკვეთილზე გამოადგებოდა და გრძნობდა, რომ ასეთი საუბრის შემდეგ იგი ეთი საფეხურით მაღლა იწევდა.

ამის შემდეგ ნიკომ ორჯერ მოაწყო მახათაძის საჯარო გაკვეთილი. ეს უფრო საკვალიფიკაციო გაკვეთილები იყო.

ასე ზრდიდა ნიკო ნუცუბიძე კადრებს, ასე იმაღლებდნენ კვალიფიკაციას ისინიც, ვინც მრავალი წელი სკოლას შესწირა.

— მუდამ გახსოვდეთ, რომ პედაგოგი ის ადამიანია, რომელსაც ყველაზე ბევრი შვილი ჰყავს, — ხშირად იცოდა ამისი თქმა ნიკომ. ამას განსაკუთრებით ხაზს უსვამდა პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. იყვნენ პედაგოგები, რომელთაც ეს ჭეშმარიტება გულში ღრმად ჰქონდათ გამჯდარი, სხვა მხრივ მათ მოღვაწეობას ახრი ეკარგებოდა.

ამიტომ იყო, რომ მიხეილ მახათაძე თითოეულ თავის ალსაზრდელს გულისყურით ეპყრობოდა. ერთი საოცრად ჭკვიანი, ლონიერი, მაგრამ შეტად სევდიანი ყმაწვილი ჰყავდა კლასში. ჩიტო ქორ-ოლიანი ტანადობითაც ყველასგან გამოირჩეოდა. მისი ღაღვრემილობა არ გამოპარვია მიხეილს, ზოგჯერ გაკვეთილზე დარდიანად რომ ამოიოხრებდა, გულზე ხელებდა მასწავლებელს. გაკვეთილებზე წყნარად იჯდა, მაგრამ გამოთიშული იყო დღეები გადიოდა, ჩიტო გაკვეთილებს არ ამზადებდა. როცა კი გამოიძახებდნენ, ზანტად ადგებოდა, ერთს ნაღვლიანად მიაპყრობდა მასწავლებელს თავის ბოჩოლა თვალებს, მერე ფანჯრიკენ გაიხედავდა და სადღაც შორს, ღრუბლის ქულებში იკარგებოდა ბისი ფიქრი და გონება.

დადგა ჟამი მისი სევდიანობის მიზეზის გამოკვლევისა.

ჩიტო, მშობელი მოიყვანე. უთხრა ერთხელ ბახათაძემ.

ბიქის სახეზე სასოწარკვეთილება აღბეჭდა. მასწავლებელს გასწორული ხმით უპასუხა:

ვინ მოვიყვანო, ბატონო! მამა ექვს საათზე მოდის საშახტეში, ჩემს დედინაცვალს კი პატარები ჰყავს

გუნება წაუხდა მიხეილს. გაკვეთილი ვეღარ გააგრძელა, ჯერ ფანჯარასთან მივიდა. შემდეგ ბოლო მერხზე ჩამოჯდა, მოწაფეები ნებაზე მიუშვა. მთელი კლასი სულგანაბული იყო ყველა ეცდიდა, რა მოხდებოდა. ან მასწავლებელი რაა იტყოდა.. ან საერთოდ, რა მოჰყვებოდა ამ მძიმე დუმილს წუთები გადიოდა თითქოს სუნთქვა შეეკრა ყველას. ძალზე მძიმე ასატანი იყო. წუ-

თები. იჯდა მიხეილი გარინდებული მანამდე, ვიდრე ზარი არ დარეკა.

დერეფანში უკვე ხმაურობდნენ სხვა კლასებიდან გამოშლილი მოწაფეები. მისი კლასი კი კვლავ უძრავად იყო. პირველი თვითონ წამოდგა, უხმაუროდ გაიარა მერხებს შორის, მაგიდას მიუახლოვდა, გადაშლილი ჟურნალი მოკეცა. ერთი შეფიქრიანებით გადახედა მერხებზე გასუსულ ყმაწვილებსა და გოგონებს და კარს მიაშურა. სამასწავლებლოში არ მისულა, ნიკოს კაბინეტის კარს მიადგა. ნიკო ის იყო დაბრუნებულიყო გაკვეთილიდან, მაგიდასაც არ მისჯდომოდა. მახათაძეს მიხედა.

— მობრძანდი, მიხეილ. რაღაც აღელვებული ჩანხარ...

— გაკვეთილი ჩამეშალა, პატივცემულო ნიკო...

— როგორ ჩაგეშალა?! ამას კი არ დავიჯერებ, ისეთი სერიოზული გამოცდის შემდეგ, შენ რომ საჯაროდ ჩაგეაბარე... თქვი, რა მოხდა.

— დავიბენი, არ ვიცი როგორ მოვიქცე. — ამოიოხრა მიხეილმა და ნიკოს დაწვრილებით უამბო ყველაფერი. ნიკო თავდახრილი უსმენდა. როცა მახათაძემ თხრობა დაასრულა, ერთხანს დუმილი ჩამოვარდა.

— მე ყველაფერი ვიცი, ჩემო მიხეილ... ამ გონიერ ბიჭს კი დროზე უნდა მიეხედოთ. — თქვა ნიკომ. — დედინაცვალი მაინც დაიბარე.

მეორე დღეს მიხეილმა ეორეოლიანის ქალს შეუთვალა. შვილის თაობაზე სკოლაში შემოიარეთო. მოვიდა ახალგაზრდა ქალი, თავის გვერდზე ხუთიექვსი წლით უფროსი თუ იქნებოდა. საკლასო ოთახში სამნი განმარტოვდნენ. მიხეილი, ჩიტო და მისი დედინაცვალი. დედინაცვალს სახე წამოსწითლებოდა. ჩიტო კი თავდახრილი შორიახლო იდგა.

— რაშია საქმე, ბატონო? — ქალმა მაწყალებელს მიაპყრო ანჩხლი ქალის თვალები.

მიხეილმა მაშინვე არ გასცა პასუხი. იფიქრა. ჩიტოს თანდასწრებით რომ ვუთხრა რამე, ეს ისეთი ქალი ჩანს, ბიჭს რამე არ ... გადაწყვიტა ჩიტო გარეთ გაესტუმრებინა და ქალი ... რომ ... ბიჭს, ... ოჯახური ... ეტმოსფერო ... შოქმედებდა. მოზარ-

დის ფსიქიკაზე. ის იყო. ჩიტოს მიუბრუნდა და უნდა ეთქვა, ცოტა ხნით დაგვტოვეო, ქალმა გერისკენ გაიწია და გაანჩხლებით შეუტია.

— მოხვალ სახლში და მე შენ გიჩვენებ! იქ გაგისწორდები, შე სასიკვდილე!

ჩიტოს ხმა არ ამოუღია, ისევ თავდახრილი იდგა.

მაშინ მიხეილი მიუახლოვდა ბიჭს, მხარზე ხელი მოხვია და უთხრა:

— გარეთ გადი, ჩიტო... შენ არა გვჭირდები.

ბიჭი შებრუნდა და საკლასო ოთახის კარი გაიხურა.

მიხეილი უცებ შემოტრიალდა ქალისკენ და კბილებში გამოსცრა:

— ცუდად არის ამ ბიჭის საქმე...

ქალი ხმას არ იღებდა, თვალებს ისევ ბოროტად აბრიალებდა.

— არ სწავლობს, მუდამ აღელვებული მოდის შინიდან... ვატყობთ, რომ შინ დიდ ტრამვას იღებს... არ გვეგონოთ, რომ თქვენი შინაური ამბები ჩიტოსგან ვიცოდეთ... უბედურება ის არის, რომ ბიჭი არაფერს ამბობს და ყველაფერს გულში იკლავს. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე. თუ საქმე კვლავაც ასე წავა, ჩვენ სხვა ზომებს მივიღებთ და შემდეგ საწყენად არ დაგრჩეთ! მიხეილი ქალს მიუახლოვდა. უკანასკნელი სიტყვები ხაზგასმითა და მკაცრად გამოუვიდა.

— იმუქრებით?

— დიახ, გიმეორებთ, თუკი ჩიტოსადმი დამოკიდებულებაში არ გამოიჩენთ ელემენტარულ სითბოს და ყურადღებას, ჩვენ გამოვნახავთ იმის საშუალებას, რომ ბიჭი არ დაგაჩაგვრინოთ!

— როგორც გენებოთ... მე ჩემი ორი ბატარა მყავს გასაზრდელი. ეკლა მაკლია... ვიღაცის... — არ გაბედა ქალი, აღელდა. სიტყვა გაუწყდა და ხმა ჩაეხლიჩა.

— ვიღაცის კი არა, ის თქვენი ქმრის ღვიძლი შვილია... იგიკე თქვენი შვილი!

— მე ავადმყოფი ქალი ვარ დამანებეთ თავი... და საერთოდ... მომეშვით თუ ღმერთი გწამთ!

ავადმყოფი ქალი! იგი ჭლექით იყო ღალატებული. ამის შესახებ ცოტა ვვიან შეიტყო სკოლამ, როცა ერთ დღეს ეგ. გარეგ-

იცვალა. მალე ჩიტოც ამ სატკივრით დაავადდა და თან წაიყოლა ავმა დედინაცვალმა.

მასწავლებლის გულს კი სამუდამო ტკივილად ჩარჩა გულჩათხრობილი უმაწვილის სახე და ნიადაგ უკმარისობისა და სინანულის გრძნობა დასდევდა, რომ მას რაღაც დაეკლო, მის წინაშე თითქოს რაღაც დანაშაული მიუძღოდა.

ნიკოს და მიხეილს ბევრჯერ სინანულით გაუხსენებიათ იგი.

ოცდაათიან წლებში ნიკოს დაძმები ზოგი ქუთაისში, ზოგიც თბილისში ცხოვრობდნენ. სხვადასხვა გზით წარიმართა მათი ყისმათი. დედამ უფროს ქალიშვილთან ცხოვრება არჩია და მასთან იყო გარდაცვალებამდე.

ნიკომ მდუღარე ცრემლით დაიტირა დედა. იულია იაკოვლევნა თბილისის მიწას მიაბარეს.

ნიკო დიდხანს მწარედ განიცდიდა დედის სიკვდილს. სკოლა და მისი თბილი ოჯახი — ნინო, კუკური. ზურაბი უქარვებდნენ ნაღველს.

ბიჭები წამოეზარდნენ, დაუბუკდნენ. კუკურიმ სამუალო სკოლა დაამთავრა და თბილისს მიაშურა.

იმ დროს ნიკოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის დირექტორად ნიშნავენ სკოლის დირექტორობასთან შეთავსებით. ამავე დროს იგი ქალაქის პედაგოგიური კაბინეტის გამგეც იყო. მეორე სამუალო სკოლის შენობაშიც ვიხსნა რუსული სკოლა. ამ სკოლის თავკაცობაც ნიკოს დაევალა. ვინაიდან შესაფერი კანდიდატურა ქუთაისში ვერ გამოიძებნა.

ფილიალს ცალკე კანცელარია გააჩნდა მცირე აპარატით — ბუღალტერ-მოლარე და საქმეთა მმართველი ბინა იქვე ჰქონდათ, მეორე სამუალო სკოლის შენობაში. ლექტორებს სათანადო გასამრჯელოს უხდიდნენ.

ერთ საღამოს მიხეილ მახათაძეს სამასწავლებლოში შეიარა. ოთახში არავინ იყო. მიხეილმა მაგიდაზე გაზეთში რაღაც შენიშნა. შეკვრა შეათვალიერა და მერმე ხელით მოსინჯა. ქაღალდი შემოხსნა და რას ხედავს — დაკეცილი ფულის რამდენიმე დასტა.

„იმ გამოშტერებულ ბუღალტერს ხომ არ ცალია“ — გულში

გაიცლო. ფულს გაზეთი შემოახვია და ნიკოს კაბინეტს მიაშურა. ნიკო იმ დროს ყოველთვის ოთახში იმყოფებოდა. მიხეილიც ისის იყო იქიდან გამოვიდა სამასწავლებლოში და ახლა გაოცებული სახით შებრუნდა დირექტორთან.

— ბატონო ნიკო, ერთი შეხედეთ, — მახათაძემ გაზეთში ჩახვეული ფული მაგიდაზე დაუდო.

— რა არის, მიხეილ.

— ფული. მერედა, რამდენი.

ნიკომ გაზეთი შემოხსნა და შეკრულ დასტებს დახედა.

— საიდან, მიხეილ.

— სამასწავლებლოში, მაგიდაზე იდო... ჩვენი „ფილიალის" დირექტორს ხომ არ დარჩა. უცნაური და დაბნეული კაცი ჩანს.

ნიკომ თავი გააქნია. ფული არ დაუთვლია, გაზეთში შეახვია და თავის სეიფში შეინახა.

— პატრონი თვითონ მონახავს, — თქვა, მაგრამ ბუღალტერზე გული მოუვიდა, რადგან მეორე დღეს „ფილიალის" მუშაკებისთვის, ლექტორებისთვის ჯამაგირი სწორედ მას უნდა დაერიგებინა.

ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, სკოლაში დაფეთებული მოვარდა ბუღალტერი. სულს ძლივს ითქვამდა, მღელვარებისგან ხელები უკანკალებდა, სიტყვას ვერ სძრავდა. ჯერ სამასწავლებლოში შევარდა, მერე ნიკოსთან შეიჭრა და კარებთან გახევდა. ნიკო და მიხეილი მიაჩერდნენ.

— რა იყო, პორფილე, რა დაგემართა. — ჰკითხა ნიკომ მოჩვენებითი სიმშვიდით.

— ფუ... ფუ... — ფეხზე დგომა ვეღარ შეძლო და სკამზე დაეშვა.

მიხეილმა ჭიქა წყალი მიაწოდა და უთხრა:

— დამშვიდდი, ფული საიმედო ხელშია.

პორფილემ წყალი მოსვა. სული მოითქვა, მოცოცხლდა და დირექტორს მიაჩერდა, რომელმაც სეიფიდან გაზეთში შეხვეული ფული გამოიღო და მაგიდაზე დადო.

— როგორ დაგემართა, პორფილე...

— რა ვიცი, მე სასიკვდილეს... დამრჩა... ვეღარ გავიხსენე. — სახე ნაძალადევი. დაშმუშნილი ღიმილით მოეხატა.

— მიხეილმა ნახა.

— მიხეილმა. — ცერად გადახედა ბუღალტერმა მახათაძეს, ჭიქაში ჩარჩენილი წყალი მთლიანად მოსვა. ჭიქა თვითონ დადგა თავის ადგილზე და მაგიდას მიაშურა, სადაც ფული ეწყო. გაზეთი რომ შემოხსნა, ერთხელ კიდევ ღიმილით დაეშანჭა სახე, სკამი ძიიდგა და ფულის დათვლა დაიწყო. სამარისებურ სიჩუმეში მხოლოდ ქაღალდის ტკაცუნი გაისმოდა და დროდადრო თითებს რომ ინერწყვავდა, ტუჩების ტყლაპუნიც ისმოდა. გადათვალა და შვებით ამოისუნთქა.

— მადლობა ღმერთს, მთლიანადაა ჩვიდმეტი ათასი.

დასტებს გაზეთი გადაახვია, ფული პორტფელში ჩატენა, წამოდგა და დირექტორს უთხრა:

— ხვალ დილიდანვე დავარიგებ. კარგად ბრძანდებოდეთ.

ნიკომ უსიტყვოდ დაუქნია თავი. პორფილემ კარი გაიხურა და დერეფნის სილრმეში მიწყდა მისი ფეხის ხმა.

ნიკომ მიხეილს შეხედა, რომელიც თავის მხრივ გაკვირვებული უყურებდა ნიკოს.

— უმადური! — თქვა ნიკომ და ფანქარი გაბრაზებით მიაგდო მაგიდაზე.

გოგონამ მეორე სართულის კიბე აირბინა და უცებ სკოლის დირექტორს შემოეფეთა.

— დერეფანი გაკვეთილებიდან გამოსულ ბიჭებსა და გოგონებს აევსოთ.

— ძმასთან გარბიხარ? — ჰკითხა ნიკომ ლოყებაწითლებულ გოგონას.

— დიახ, პატივცემულო მასწავლებელო.

— შენს ძმას დიდი წარმატებანი აქვს რუსულში, — ეს რომ უთხრა, ნიკომ გაიღიმა. ნათქვამი და ღიმილი ურთიერთკავშირში იყო, ცხადია. მაგრამ რაღაც საიდუმლო რომ იმალებოდა. ამასაც მიხვდა გოგონა, ნუნუ ლეკავა. დათო, მისი ძმა და ნიკოს უმცროსი ვაჟი, ზურაბი, ერთ კლასში იყვნენ, მეგობრობდნენ და ფეხბურთსაც ხშირად თამაშობდნენ სკოლის ეზოში. სპორტის ამ სახით გატაცება სენიკით მოედო დიდსა და პატარას.

ნიკოს ღიმილის მიზეზი სულ მალე გაიგო ნუნუმ.

იმ დღეს, ნიკო საკლასო ოთახის კარს რომ მიუახლოვდა, სადაც მისი ვაჟი, ზურაბი სწავლობდა. ყმაწვილების სიცილ-კისკისი შემოესმა. გაკვეთილები დაწყებული იყო, აქ კი ალბათ ამბავი ხდებოდა. ნიკო კართან შეჩერდა და მიაყურადა. რომელიღაც ყმაწვილი ცნობილი რუსი კომენტატორის ვადიმ სინიავსკის გამოჯავრებით სხაპასხუპით გადასცემდა ფეხბურთის რეპორტაჟს. ამას მოწაფეთა ხარხარი ერთვოდა. ნიკო ფეხს არ იცვლიდა. იცნო დათო ლეჟავას ხმა. მასწავლებელი არაფერს ყურადღებას აღარ აქცევდა. ახლა მხოლოდ იმას აკვირდებოდა, რამდენად სწორად გამოთქვამდა იგი ამ სიტყვებს.

„უყურე ერთი, ამ ეშმაკის კერძს. მსახიობი მსახიობად, მაგრამ სიტყვებსაც რომ გამართულად გამოთქვამს, აზრიც მწყობრად გამოსდის...“

ნიკომ დერეფანში მიმოიხედა. კაცშვილის ჭაჭანება არ იყო. სხვა საკლასო ოთახებში გაკვეთილები მიდიოდა. ნუკუბიძე კლასში შესვლას აყოვნებდა.

დათო არ ჩერდებოდა. აზარტში შესული ახარხარებდა ამხანაგებს. ლამაზად აგვირისტებდა ფეხბურთის ილეთების გამომხატველ ტერმინებს. გამოხატავდა თამაშის დინამიკას. „ფეხბურთელთან“ ქცევებს.. სიცილ-ხარხარი არ წყდებოდა.

როცა დათომ ხმამაღლა შესძახა „გოოლ“ და კლასმა მქუხარე ტაში დასცხო, ნიკომ სწორედ მაშინ შეაღო კარი. ფეხზე წამოცვენილი გოგო-ბიჭები ისევე გახედნენ. კლასი უცებ ჩაცხრა. საშარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ნიკო ისე მიესალმა მოსწავლეებს, თითქოს არც არაფერი გაუგონია. მაგრამ სიცილს ძალდატანებით იკავებდა. მისი ნათელი სახის დანახვაზე ყველას გულზე მოეშვა. მასწავლებელს მიესალმნენ და ყველა თავ-თავის ადგილზე გაისუსა.

ნიკომ ჟურნალი გადაშალა. კლასს თვალი მოავლო და როგორც ყოველთვის, იმ დღეს ვინც აკლდა, მოიკითხა. სად არის და დღეს ბაკვეთილზე რატომ არ მოვიდაო. ეკითხებოდნენ. მეორე მერჩებშორის ჩაიარა. დათო ლეჟავას მიუახლოვდა და მხარზე ხელი შეახო.

ლეჟავა, ვატყობ, ტყუილად არ ჩაუვლია ჩვენს მეცადინეობას.

ლეკავა წამოდგა, თავი დახარა, მაგრამ ერთი კი მოასწრო, მეგობრებს ქვეშ-ქვეშ ეშმაკურად გახედა.

ბოელი ათი წუთი ვიდექი და გისმენდი... მე არ მინდა ცულლუტობისათვის წაგაქეზო, მაგრამ რეპორტაჟისათვის კი დაგიწერ ნიშანს. ყველა შენი გამოთქმა, წინადადების წყობა სწორი და გამართული იყო, როგორც შეშვენის რუსულ ენას. ჩათვალე, რომ გაკვეთილი ფრიადზე ჩამაბარე...

— მეხუმრებით, მასწ... — შებედა დათომ და მასწავლებელს მორცხვად შეხედა.

კლასმა გაიხმაურა, შეინძრნენ გოგო-ბიჭები.

გეხუმრები? აბა, მე რა ხუმრობა ვიცი... მეგობრები შენ ახარხარე და მე მეუბნები ხუმრობო. — გაღიმა ნიკომ, — სრულებითაც არ გეხუმრები... ფრიადს კი დაგიწერ, მაგრამ იცოდე, მეგობრები შესვენებისას გაართე, მასწავლებელს კი დროს ნუ წაართმევ... შეეთანხმდით.

კი... მასწ... — წაილუღლუღა დათომ.

— თავი ასწიე. ბიჭო!.. გაბედულად, აი. ასე... წელან კარგად გაპყვიროდი!

1936 წელს ქართული ენათმეცნიერების ისტორიას მნიშვნელოვანი ფურცელი შეემატა — გამოვიდა პროფესორ აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკა", რომელიც საშუალო სკოლებისათვის იყო გაძიზნული. მანამდე სკოლებში ილია სიხარულიძის გრამატიკას სწავლობდნენ. ეს სახელმძღვანელო რუსული ენის გრამატიკის მიბაძვით იყო შედგენილი, რის გამოც იგი ქართული ენის, როგორც სისტემის, ყველა ძირითად მაჩვენებლებს ვერ ითვალისწინებდა. ამის ცოდნა კი მოსწავლეთათვის აუცილებელია.

აკაკი შანიძის სკოლამავლილი ქართულის მასწავლებლები მაშინ ქუთაისში ცოტანი იყვნენ. ძველ რუსეთში კურსდამთავრებულ მასწავლებელს ს გრამატიკის ახალი სახელმძღვანელო უცხო ხილად ეჩვენათ. მისი სწავლება გაუჭირდათ. ბევრი საკითხი მათთვის გაუგებარი აღმოჩ

ბოელ მასალაზე კ. ა. ... თავიდანვე შეატყო კოლეგებს. ზოგი ... შეუწუნებდა. ჩვენ გვიჭირს ამ მასალის ათ-

ვისება და ყმაწვილები როგორ ითვისებენო. ერთი სიტყვით, გრამატიკის ახალი სახელმძღვანელო წინააღმდეგობებს წააწყდა.

ერთ დღეს მიხეილ მახათაძემ, როგორც მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალის დირექტორმა, ნიკო ნუცუბიძეს ურჩია ქუთაისში მოეწვია პროფესორი შანიძე და ეთხოვათ მისთვის კონსულტაცია ჩაეტარებინა მასწავლებლებისათვის, მაშინ, როცა სახელმძღვანელოს ვაჟიავლიდან აგერ თითქმის ორ წელიწადზე მეტი იყო გასული.

ნიკოს მოეწონა ეს წინადადება.

მიხეილ მახათაძე თბილისში გაემგზავრა. იგი შანიძეს მუდამ აღმერთებდა და ახლა უხაროდა, რომ მასთან შეხვედრისა და საუბრის საშუალება ეძლეოდა.

აკაკი სტუმარს შინ დახვდა. საღამო ხანი იყო. გულთბილი მასპინძელი სტუმარს ჩაით გაუმასპინძლდა. დიდად ესიამოვნა ქუთაისელი პედაგოგებია მიწვევა.

— აუცილებლად გეახლებით, ჩემო კარგო,— აღუთქვა მან მახათაძეს.— ასეთ ღონისძიებას ალბათ სხვა რაიონებშიც ჩავატარებ. სადაც მე ვერ წავალ, კათედრის წევრებს გავგზავნი... გრამატიკაში ბევრი სიახლეა დაშუშავებული და ეჭვი არ მეპარება, რომ განმარტებას საჭიროებს.

— განსაკუთრებით ძველ მასწავლებლებს უჭირთ, პატივცემულო აკაკ

— ყოველ სიახლეს ... ახლავს ასეთი რამ იქნებ ზოგიერთი საკითხი გავაძარტივოთ კიდეც, უფრო მისაწვდომი და გასაგები გავხადოთ... მუშაობას განვაგრძობთ... თქვენთან ალბათ კრიტიკული შენიშვნებიც გამოითქმის და ამას ყველაფერს ყურად ვიღებთ...

ორმოცდაათი წლის აკაკი შანიძე, მეტად მოკრძალებული და თავმდაბალი კაცი, რომელმაც ფასდაუდებელი ამაგი დადო ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებს, მეტად მორიდებით ლაპარაკობდა. მან ერთი წუთითაც არ იყოყმანა, უდროობა არ მოიმიზეზა, ქუთაისში გამგზავრება ეხსენებს თუ არა, უყოყმანოდ დათანხმდა და უკვე პირველივე ნუგეშიდან გაემზადა. შენიშვნებიც იქნებათ... იგი მოელოდა ამას. შემოქმედი ადამიანის წყურ-

ვილით, რომელიც ხალხისგან იწოვეს ჭეშმარიტი აზრის ნექტარს და თავის ნაშრომს ამ სიკეთით ამდიდრებს.

ამიტომ იყო აკაკი შანიძეს ქუთაისში მიწვევა რომ ესიამოვნა.

— ბატონო აკაკი, თქვენი ჩამობრძანების დღე ერთი კვირით ადრე მაინც გვაცნობეთ, — სთხოვა მახათაძემ.

— ვეცდები მალე, სულ მალე ვეახლო ჩემს საყვარელ ქუთაისელებს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიყვარს ქუთაისი. ეს ჩემთვის დიდი ზეიმი იქნება... საქმიანი ზეიმი... — გაიღიმა აკაკიმ და სტუმარი სადარბაზოს კარამდე მიაცილა.

დოცენტ გრიგოლ როგავას პირით აკაკი შანიძემ ქუთაისელებს აცნობა ჩასვლის თარიღი.

ნიკო ნუცუბიძე განათლების განყოფილებას შეუთანხმდა და ქუთაისის ყველა სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მიიწვია აკაკი შანიძესთან შესახვედრად. სხვა მხრივ ყველა საჭირო თადარიგი დაიჭირა. სასტუმროში ერთი კარგი ნომერი დააჯავშნინა.

აკაკის შაბათ საღამოს რვა საათზე ელოდნენ. ღონისძიება კვირას თორმეტ საათზე უნდა ჩატარებულიყო.

მატარებელს ნიკო ნუცუბიძე და მიხეილ მახათაძე დახვდნენ. ნიკო პირადად არ იცნობდა პროფესორ შანიძეს. რუსეთში განსწავლული კაცისათვის საერთოდ უცხონი იყვნენ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. შანიძის შრომებს იცნობდა. მასწავლებელთაგან ბევრი კარგი სმენია ამ კაცზე. მაგრამ ნახვით კი არ ენახა.

მატარებელი რომ ჩამოდგა, მიხეილმა ქალაქში გასასვლელ ჭიშკართან მოხერხებული ადგილი შეარჩია და ხალხს თვალს არ აშორებდა. აკაკის ათას კაცში უმალ გამოარჩევდა. ფაეტონებით მოეშურებოდნენ მგზავრები. ფეტუებით, ჩემოდნებით, კალათებითა ჩანთებით. ზოგიც დინჯად მოემართებოდა.

აკაკი არ ჩანდა. დაიწრიტა ხალხის ნაკადი. უკანასკნელმა ხუცმა ქალმაც ჩაიარა ატორტიალებული შვილიშვილით

— წაბოი, ბებია, წამოი, თვარა ტერიი გადმოძვრება!..

ბავშვი უგულებელ ყოფილ. ბებია კი მაინც ეცდა.

მიხეილმა ნიკოს შეხედა.

— ხომ არ გამოგეპარა, ბიშა?

— რას ბრძანებთ, ბატონო ნიკო... ჩემი სათაყვანებელი კაცი როგორ გამომეპარებოდა!

— ფაქტია, რომ არ ჩამოვიდა... რა ექნათ?

მახათაძემ მხრები აწურა.

— შეუძლებელია.

— რა არის შეუძლებელი, მიხეილ?

— რაღაც შეემთხვა, თორემ ბატონი აკაკი ახლა აქ, ჩვენთან იქნებოდა.

ერთხანს კიდევ იწრიალეს სადგურის ბაქანზე. ფასრობა იყო ამათ წრიალი, სადგურის მოედანზე გავიდნენ და ქალაქის შუაგულისაკენ გასწიეს.

— გული მიგრძნობს, რომ რაღაც შეემთხვა... ჩამოველით კი ჩამოვა... აი, ნახავთ თუ არ ჩამოვა! ალბათ, თავისი თავის დასარწმუნებლად უფრო იმეორებდა ერთსა და იმავეს მიხეილი. კი, კი ჩუმად მოუყვებოდა.

სასტუმროში მაინც გავაფრთხილოთ მორიგე, იმ ჩვენს მიერ დაჯავშნულ ნომერში არავინ შეასახლოს. — თქვა ბოლოს ნიკომ.

მორიგემ მოახსენა, კი, ბატონო, ჩომერს შეგინახავთ. რამდენ ხანსაც გენებოთო.

ეართ ხვალ თორმეტ საათამდე არ გამოჩნდა! რა ხასიათს აძლევ ამდენ მასწავლებელს?

მთელი ღამე დარდობდა მიხეილ მახათაძე, ძილი გაეფრთხა. ზაფხულის ცხელი ღამე იყო. მაგრამ ცარდი უფრო აწუხებდა. ათას რამეს ეარაუდობდა. გული ვერა და ვერ დაიშოშმინა. ფიქრით მოლლილ კაცს დილით ჩაეძინა და თანაც ისე ღრმად, ვიდრე ცივი წყალი არ შეაპკურეს სახეზე, არ გაელვიძა. თვალი რომ გაახილა, ემალ დახუჭა, ხომ არ მოშელანდა... საწოლთან ნიკო ნეტარებაც ედგა და ღიმილით დაჰყურებდა. ნიკოს აქ რა უნდათ, გაუკვირდა, მაგრამ უმალ მოიგო გონს და შეხედა.

ადექი, ჩაიცვი, წავიდეთ სასტუმროში.

— სასტუმროში?!

— აკაკი ჩამოსულია. შეგატყობინეს. მე კი კაცს არ ვიცნობ უშენოდ მისვლა ვერ გავბედე.

— ხომ გითხარით, ჩამოვა-მეთქი! ეცვა ძალიანაც ხეხილი ტანსაცმელს გადასწვდა და მარდი ბიჭივით გამოიწყო

აკაკი შანიძე მხიარულ გუნებაზე შეხვდა ნიკო სულაბერიძეს და მიხეილ მახათაძეს. ნიკო სულ არ იუცხოვა.

— წუხელ შევფიქრიანდით, ბატონო აკაკი. — დაიწყო ნიკომ.

აკაკის გაეღიმა.

— რა დამემართა, რომ იცოდეთ. — თავზე გადაისვა ხელი და მხიარულად განაგრძო, — გორში ჩამოვედი ბორჯომის წყლისათვის. რაღა მაინცდამაინც მაშინ მომინდა! სანამ წყალი ვიყიდე და ბაქნისკენ შემოვბრუნდი, მატარებელმა გამასწრო. ჩემი პორტფელიც თან წაიღო. რა უნდა მექნა, ვეცი სადგურის სამორიგეოს. ღვთისნიერი ხალხი აღმოჩნდა, უმალ ხაშურში დარეკეს. ამა და ამ ვაგონში ასეთი და ასეთი პორტფელი დევს და შეუნახეთ პატრონსო, მერე მომდევნო მატარებელში ჩამსვეს და გამაყოლეს. პორტფელი ხაშურელმა რკინიგზელებმა ბაქანზევე დამახვედრეს. აქ კოტა გვიან მომიხდა ჩამოსვლა. პირდაპირ საატუმროში მივედი. ადგილი არა გვაქვსო, ზრდილობიანად მომიბოდიშეს. როცა გაიგეს, ვინც ვიყავი, უმალ გამოჩნდა ადგილიც და თანაც, როგორი!..

აკაკიმ ღიმილით მიმოიხედა „ლუქსში".

ნიკო და მიხეილი მხიარულ გუნებაზე დადგნენ. ნიკო სულ მალე გაუშინაურდა აკაკის და შემდეგ სამივემ ერთად მიაშურა განათლების მუშაკთა სახლს. იქვე, სასტუმროს გვერდით, სადაც შეკრებილი პედაგოგები უკვე ელოდნენ პროფესორს.

სხდომას არც ერთი მოწვეული პედაგოგი არ დაკლებია. კრება ხუთ საათს გაგრძელდა შეუსვენებლად. დრო ისე სწრაფად გავიდა, დაღლილობა და შიმშილი არავის უგრძვნია.

ქუთაისელი მასწავლებლები მომზადებული შეხვდნენ აკაკი შანიძეს. მიხეილ მახათაძემ ჯერ კიდევ ადრე დაიჭირა თადარიგი და „გრამატიკის" კალკეული თაეების მიხედვით მომხსენებლებიც შეარჩია.

ფონეტიკაზე შენიშვნებით გამოსვლა პავლე ხმალაძემ დაიკავა, მორფოლოგიაზე მიხეილ მახათაძეს უნდა ელაპარაკა, სინტაქსზე — ლონგინოზ კაკვიძეს.

სამივე მომხსენებლის გამოსელა საათნახევარს გაგრძელდა.

შემდეგ სიტყვა აკაკი შანიძემ აიღო. სამ საათს ილაპარაკა. დაწვრილებით შეეხო სახელმძღვანელოს, თუ რა პრინციპებით

ხელმძღვანელობდა წიგნზე მუშაობისას. ილაპარაკა ქართული ენის თავისებურებებზე და ბოლოს ჩახედა ბლოკნოტს, სადაც ჩაწერილი ჰქონდა პავლე ხმალაძის, მიხეილ მახათაძისა და ლონგინოზ კიკვიძის შენიშვნები. სანამ შენიშვნებზე უპასუხებდა, აკაკიმ სხვათა შორის აღნიშნა:

— როცა პატივცემულმა მიხეილ მახათაძემ თქვენთან შეხვედრის იდეა მომცა, მე ჯერ თბილისის მასწავლებლები შეკრიბე, ძალიან ვერც ერთი საქმიანი შენიშვნა ვერ მივიღე წიგნის გასაუმჯობესებლად. აქედან კი, როგორ ჩანს, მივდივარ საქმიანი რჩევებითა და შენიშვნებით. ახლა ვიცი, წიგნში რა უნდა შევავსო და შევცვალო.

მიხეილის გამოსვლაში ძირითადი შენიშვნა გარდამავლობას ეხებოდა. აკაკიმ ყურად იღო ეს შენიშვნა და მასწავლებლებს აღუთქვა, რომ აუცილებლად საჭიროა გარდამავლობის უფრო გასაგებად განსაზღვრაო.

— მადლობელი ვარ პატივცემული მიხეილისა. მის მახვილ თვალსა და გონებას არ გამოჰპარვია წიგნში შეცდომით დამოწმებული ადგილი „კაცია ადამიანიდან". თითქოს მცირე შეცდომაა, მაგრამ ესეც არ უნდა იყოს, მით უმეტეს სასკოლო სახელმძღვანელოში. ამას წინათ ასეთი რამ მომსვლია, როგორღაც დამიწერია: „ტყეს მოსხმია ფოთოლი", და ასე წავიდა. შემდეგ, რასაკვირველია გავასწორე.

აკაკიმ ილაპარაკა ანბანის რიგის დასამახსოვრებლად დაწერილ უშნაარსო ლექსზე. თქვა იგი და ღიმილით ვადახედა შეკრებილთ. სიცილმა მთელ დარბაზს გადაუარა.

აკაკი დაწვრილებით შეჩერდა ბრუნვათა რიგსა და სახელებზე, გარდამავლობაზე, სინტაქსის საკითხებზე. დასასრულ დასძინა:

— მშობლიური ენის გრამატიკის აუფუძვლიანი სწავლება მოსწავლეს სხვა ენების ათვისებაში ადვილად გაარკვევს და დაეხმარება, ადვილად შეძლებს განასხვაოს მშობლიური ენის კანონებისგან.

კრებას ნიკო უძღვებოდა. იგი სამი საათის განმავლობაში თვალმოუცილებლად უყურებდა დიდ მეცნიერს. თავმდაბალ კაცს. ეს იყო პირველი საჯარო ლექცია, რომელსაც იგი უსმენდა და გულებაში ფიქრობდა, რა ბედნიერებაა იყო ასეთი კაცის სტუდენტი.

როცა შანიძემ გამოსვლა დაამთავრა და დამსწრეთ მადლობა გადუხადა, იგი ტრიბუნას მოშორდა და ნიკოსკენ შემობრუნდა. რომელიც ხელგაწვდილი შეეგება მადლობის გადასახდელად.

სადილი სასტუმროს რესტორანში გაიმართა. სუფრას უსხდნენ: აკაკი შანიძე, ნიკო ნუცუბიძე, ფილიალის დირექტორის მოადგილე ალექსანდრე კორძაძე, ქუთაისელი შესანიშნავი ინტელიგენტი გრიგოლ დადიანი, მიხეილ მახათაძე და დოცენტი გრიგოლ როგავა.

აკაკიმ მოილხინა, განსაკუთრებით მოეწონა ნიკოს თამადობა, მისი მჭევრმეტყველება. აკაკიმ თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და თქვა:

— მიყვარს ქუთაისი, სულზე უტკბესი ქალაქი!

იმ წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა ნიკოს ცხოვრებაში.

ნოემბრის დამლევს მისი უმცროსი ვაჟი, ზურაბი ჯარში გაიწვიეს. უფროსი ვაჟი, კუკური ამ დროს თბილისში სწავლობდა. შინ ოთხკედელშორის მარტონი დარჩნენ ნინო და ნიკო.

პირველ ხანებში ძნელი ასატანი იყო შვილებთან დაშორება, თითქოს მათი ოჯახი კი არა, მთელი ქუთაისი დაცარიელდა.

ეტყობა ზურაბსაც მოეწვა დედ-მამის სიყვარულით სავსე ჯიგარი, კაცი ატირდებოდა, ისეთ ალერსიან სიტყვებს იწერებოდა ნაწილიდან. საფრენოსნო კურსებზე ჩაურიცხავთ და ამან, ცოტა არ იყოს, შეაშინა დედა.

კუკურის თვალი დედ-მამისკენ ეჭირა, დროს მოიხელთებდა თუ არა, ქუთაისს ჩამოურბენდა. სტუდენტური შფოთიანი დღეები კი უმოწყალოდ გარბოდნენ.

იმ წელს ნიკო ნუცუბიძე პარტიაში შევიდა. იგი არასოდეს აჩქარებულა პარტიის წევრი გამხდარიყო — წლობით ემზადებოდა. პარტიაში შესვლა მას ცხოვრების უმნიშვნელოვანეს აქტად მიაჩნდა და ბევრს. ძალიან ბევრ რამეს ითვალისწინებდა საამისოდ.

მითვის არავის უკითხავს, რატომ შედიოდა პარტიაში, არავის უკითხავს რატომ დაიგვიანა შესვლა, ან ახლა რამ აფიქრებინა. მათთვის, ვინც მას პარტიაში იღებდა, ნათელი იყო ამ კაცის პიროვნება, თითქმის მათ თვალწინ იშლებოდა და იზრდებოდა მისი

საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფერო. და ბოლოს, ყველასთვის დამარწმუნებელი იყო მის მოკლედ, ძუნწად ჩამოყალიბებულ განცხადებაში ჩაწერილი სიტყვები.

ამიერიდან ნიკო ნუცუბიძის ბიოგრაფიაში ჩაიწერა: საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრი 1939 წლიდან.

ამავე წელს დააჯილდოეს საპატიო ნიშნის ორდენით. ორდენის მისაღებად მოსკოვში დაიბარეს. პირადად ინახულა მიხეილ კალინინი. მასთან შეხვედრა არაჩვეულებრივად თბილი იყო. მოსკოვიდან დაბრუნებულ ნიკოს ისეთი ხალისი ჰქონდა, თითქოს ახლა იწყებდა ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ამას ყველაფერს ისიც დაერთო, რომ იგი ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

წელიც მიიწურა, ნიკოსთვის ეგზომ მოსაელიანი, ეგზომ სიხარულითა და ტკივილებითაც სავსე. თითქოს ამ წელმა შეაჯამა მთელი მისი ნაჯაფარ-ნაამაგარი.

ეს ის დრო იყო, როცა ევროპის თავზე ომის ღრუბლები დაიგრაგნა, როცა გათავხედებული ფაშისტები უკვე შეუდგნენ თაკიანთ ზრახვათა შესრულებას. ფეხქვეშ გათელეს პოლონეთიც. მიხაკსფერი ჭირი საბჭოეთის საზღვრებთან ჩამოდგა.

ნინოს დარდმა ომატა. ზურაბი ოესეთის რომელიღაც ქალაქში გადაიყვანეს და 1940 წელს უკვე მიუჯდა მძიმე ბომბდამშენის შტურვალს

დაიწყო დიდი სამამულო ომი. ფაშისტებმა დიდი უბედურება დაატეხეს ქვეყნიერებას.

ომმა ნიკოს ოჯახიც დაწილა. ფრონტზე წასული შვილების დარდს გადაეყვა ნინო. შემოდგომის ერთ ცივსა და ქარიან დღეს საფიჩხიის სასაფლაოს მიაბარეს მისი ნეშტი.

საყვარელი მეუღლის დაკარგვით გამოწვეული სევდა მოეძალა ნიკოს. ოჯახში დარჩა მარტოდმარტო. დაბნელდა ქუთაისში. ჩამობნელდა მის გულში. მაგრამ სევდით მოჯარულ ღრუბლებში მაინც გამოანათებდა გულის გამათბობელი სხივი მხოლოდ მაშინ, როცა ნიკო გაკვეთილზე შიდიოდა. უწინ თუ სკოლაში შებინდებამდე იყო, ახლა ნაშუადამეს გამოიკეტავდა კარს და შინ ძიდიო-

და მხოლოდ იმიტომ, რომ ცალად დარჩენილი ბალიში გაეთბო. დილით, უთენია, არც წაიხემსებდა. მარტოობის შიში თუ შინ გამეფებული აუტანელი მდუმარება არ აჩერებდა, გამოიხურავდა სახლის კარს და სკოლისკენ ისე გარბოდა, თითქოს გაკვეთილებზე აგვიანდებოდა. თეთრ ხიდს რომ გადაივლიდა, ნაბიჯს ანელებდა. ქალაქი ის-ის იყო იღვიძებდა.

ბოლო დროს ერთი მადლიანი მოხუცებული ქალი გამოჩნდა, ნიკოს სიფაქიზითა და გულმოდგინედ უვლიდა. ამ ქალმა ნიკო შინისკენ შემოაბრუნა. უკვე საღამო ხანს მასთან მეგობრებიც მოდიოდნენ. მიხეილ მახათაძე არ შორდებოდა. მასწავლებელთაგან ბევრნი იკრიბებოდნენ და ასე თუ ისე, ავსებდნენ ნიკოს ოჯახის სიცარიელეს.

მეგობრებმა დარდი შეუმსუბუქეს.

შეკრებილნი მსჯელობდნენ ომზე. ჩვენი ჯარების დროებით წარუმატებლობას თავისებურად ხსნიდნენ და განიცდიდნენ. ამ დროს ნიკო ერთი წუთითაც არ კარგავდა იმედს, რომ საბჭოთა ხალხი ამ ომში უთუოდ გაიმარჯვებდა. შვილებისაგან იშვიათად მოსდიოდა წერილი. არც ემდუროდა. ისინი ომის მძიმე გზას ადგნენ და ვერც დასძრახავდა. დარდი კი გულს უსივებდა და ბოლო დროს ჰიპერტონია მოეძალა.

ომის პირველი წლის ზამთარი მთელ რუსეთში მკაცრზე უმკაცრესი იყო და სუსხი არც საქართველოს დააკლო. მკაცრი ყინვები დაიჭირა ქუთაისშიც.

საღამო ხანია. ნიკომ აფთიაქში შეიარა. პროვიზორს მიხეილ მახათაძე ელაპარაკებოდა. პროვიზორი რომ ნიკოს მიესალმა, მახათაძეც შემობრუნდა.

— ბატონო ნიკო!..

ნიკომ ორივეს ხელი ჩამოართვა და პროვიზორს რეცეპტი გაუწოდა.

— ძალიან მომეძალა წნევა... ვიცი ეს მომიღებს ბოლოს, — თქვა კაცმა, რომელსაც წუწუნი არასოდეს სჩვეოდა. მიხეილმა გაკვირვებით შეხედა.

— რას ბრძანებთ, ბატონო ნიკო. ხომ გახსოვთ, რა დღეში ვიყავი სამჯერ გავიკეთე ოპერაცია... ახლა წამალს მიიღებთ და ყველაფერი კარგად იქნება. — ამას ეუბნებოდა კაცი, რომელსაც

ამ ბოლო დროს ავადმყოფობამ თავი გაახსენა და აფთიაქის ხშირი სტუმარი გახდა. ეს იცოდა ნიკომ, მაგრამ არაფერი უთხრა, ჩვეულებრივ მიიღო მისი ნუგეში.

აფთიაქიდან ერთად გამოვიდნენ.

ბარდნიდა. ნიკომ პალტოს საყელო წამოიწია. თავი უარესად ცუდად იგრძნო, სიარული გაუჭირდა და თავბრუ დაეხვა. მიხეილმა ხელი მოჰკიდა და ერთად ბაღის კიდემდე მიაღწიეს. ნიკოს ფეხის გადადგმა აღარ შეეძლო.

— მიშველე, მიშა... არ მიმატოვო... სთხოვა ხმის თითოლით მახათაძეს და მოაჯირზე ჩამოჯდა.

— როგორ მიგატოვებ, რას ბრძანებთ. ბატონო ნიკო, — ფერიფური ეცვალა მიხეილს.

ქუჩაში კაციშვილი არ ჰაჰანებდა. რა ქნას მიხეილმა, სად წავიდეს. ვის სთხოვოს შველა. არადა, შეიძლება კაცი ხელიდან გამოეცალოს. ალბათ ძალიან გაუჭირდა ნიკოს.

ბედზე ვიღაც გამოჩნდა.

— შენი ჭირიმე, ამ კაცს მიხედე... რაღაც უნდა ვიღონო...

უცნობმა შეხედა მოაჯირზე ჩამომჯდარ კაცს.

— ბატონო ნიკო! რა დაგემართათ, ბატონო ნიკო! — შეშფოთდა უცნობი. ნიკომ ერთი კი შეხედა, მაგრამ ვერ იცნო, ვინ იყო. უცნობმა ხელი დაუჭირა...

მიხეილი ადგილს მოწყდა და იქვე პარტიის საქალაქო კომიტეტში შეირბინა. ბედად ქალაქკომის მდივანი გრიგოლ ნარსია თავის კაბინეტში აღმოჩნდა.

— კაცი გვაკვდება, პატივცემულო გრიგოლ. ძლივს ძოითქვა სული მიხეილმა.

გრიგოლ ნარსია შემკრთალი წამოდგა. მაგიდას მოშორდა და მახათაძეს მიუახლოვდა.

— ვინ კაცი, რას ამბობ?

— ნიკო ნუცუბიძე. აგერ, ბაღის კიდეში მივატოვე.. გვიშველეთ რამე!

ახლავე ყველაფერს ვიღონებ... წყალი მოსვი, ფერი აღ გადევს სახეზე. — ნარსია უმალ მისაღებში გავიდა.

კომიტეტის მთელი აპარატი შეიძრა. ნარსიამ ბაღისკენ თავისი მანქანა აფრინა.

ის იყო მიხეილმა ნიკოსთან მიირბინა, რომ მანქანაც მოგრიალდა.

ნიკოსთან უკვე შეგროვილიყო ხალხი. პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაკებმაც მოირბინეს.

ნიკომ იმდენი შეძლო მანქანაში თვითონ ჩაჯდა.

— მიშა, ჭიჭიკოსთან მიმიყვანე! — სთხოვა მიხეილს, როცა იგი გვერდით მიუჯდა.

მიხეილმა იცოდა, რომ ნიკოს ვენიდან სისხლის გამოღების მეტი არაფერი უშველიდა. ჭიჭიკო იოსელიანი, ქუთაისში განთქმული ექიმი, ნიკოს მკურნალობდა, რამდენჯერმე სწორედ მან მოაბრუნა იმ ქვეყნიდან. ჭიჭიკოს სამი ვაჟი — გუჩა, რევაზი და თეიმურაზი, ნიკოს ნამოწაფრები იყვნენ და ჭიჭიკოსთან ამის გამო დიდი მეგობრობა აკავშირებდა.

ჭიჭიკომ ნელა, აუჩქარებლად, მშვიდად, ხუმრობაში და სიცილში დასვა ნიკო სკამზე და ვენა გაუხსნა. დიდძალი სისხლი გამოუღო ნიკომ სული მოითქვა. მოცოცხლდა და მეგობრებს კვლავ მხნედ და ხალისიანად გადახედა.

შემდეგ იოსელიანი ჩამოუჯდა თავის პაციენტს და დაარიგა როგორ მოქცეულიყო. ცოტა ხნის შემდეგ ქუჩამდე მიაცილა, სადაც ნარსიას მანქანა ელოდა. მიხეილმა შინ მიიყვანა ნიკო. მომველი ქალი მოსულთ კარის ზღურბლზე შეხვდა.

— ლამის წერილი წავიღე, — უძლურად გაუღიმა ნიკომ. მიშა იქ რომ არ მყოლოდა, ეს ასე მოხდებოდა ნამდვილად. გრიშა და ჭიჭიკო მიცოცხლოს ღმერთმა.

ქალმა ლოყაზე შემოიდო ხელი, თვალში ცრემლი ჩაუდგა. ძღელვარების გამო ვერაფერი თქვა, უმალ შებრუნდა, რომ ნიკოსთვის ლოგინი დაეგო.

მეორე დღეს შინ გრიგოლ ნარსიამ ინახულა. ნიკო ამჯერად უკვე ჯანმრთელად იყო. მაგრამ იოსელიანის დარიგებას ზუსტად იცავდა. სტუმარს ლოგინში სანახევროდ წამომჯდარი დახვდა.

გრიგოლმა ხელი ჩამოართვა და საწოლთან სკამზე ჩამოჯდა.

— შეგაწუხეთ, პატივცემულო გრიგოლ.

— შენ კარგად იყავი. შეწუხებით კი მართლაც შეგაწუხეთ შენი ავადმყოფობის გამო. — მიუგო ნარსიამ.

— თქვენ, მახათაძემ და იოსელიანმა გადამარჩინეთ...

— მე ბოდიშს ვიხდი, რომ გუშინვე ვერ გინახულე... მაგრამ მახათაძემ ყველაფერი შემატყობინა.

— აქედან თქვენთან გამოიარა?

— კი, ჩენთან მოვიდა.

— საცოდავი კაცი, თვითონაც დაავადებულია... ამ ბოლო დროს ჩვენი შეხვედრები დღისით სკოლაში, საღამოს აფთიაქშია... რა დროს მიღალატა ამ ოხერმა ჯანმრთელობამ! ათასი საქმეა, სკოლა, ფილიალი...

— თავს მოუარე. დანარჩენს ყველაფერს ეშველება... შენ ისე გაქვს აწყობილი საქმე, დარდი ნურაფრისა გაქვს. შენ ისევ ჩვენთან, ისევ მწყობრში იქნები.

დიდი სამამულო ომის დროს ზურგის ქალაქებში აუარება ჰოსპიტალი გაიხსნა. ჰოსპიტლებისათვის ყველაზე სახელდახელოდ სასკოლო შენობები გამოინახა, თითქოს ზედგამოჭრილი იყო სამკურნალო დაწესებულებებისათვის მოცულობით, ოთახების სიმრავლითა და განლაგებით.

გიმნაზიის ძველ შენობაშიც 1943 წლის ზაფხულამდე ევაკოჰოსპიტალი იყო დაბანაკებული, ხოლო ზაფხულში ჩვენი ჯარების წინსვლამ გამოიწვია ბევრი ჰოსპიტლის აბარგება და დაბანაკება იმ ქალაქებში, სადაც უფრო მოსახერხებელი იყო დაჭრილთა დაუყოვნებლივ მიღება.

ქუთაისის ძველი გიმნაზიის შენობები ისევ სკოლებს დაუბრუნდა.

ამჯერად საპოემანო გახდა, ყოფილ კლასიკური გიმნაზიის შენობაში რომელი სკოლა გახსნილიყო, საშუალო თუ ტექნიკუმი.

კლასიკური გიმნაზია 1850 წელს დაარსდა. ამ სასწავლებელში სხვადასხვა დროს სწავლობდნენ აკაკი წერეთელი, ვასო აბაშიძე, მამია გურიელი, ნიკო ნიკოლაძე, იოსებ ოკუჯავა, ექვთიმე თაყაიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, ვასილ კიკვიძე, ვლადიმერ მაიაკოვსკი, კონსტანტინე გამსახურდია, სერგეი მესხი, დავით უზნაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ლეო ქიაჩელი, უშანგი ჩხეიძე, სანდრო წულუკიძე, სილოვან ხუნდაძე, დიმიტრი უზნაძე, ვლადიმერ ჯიქია, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, იუსტინე ჯანელიძე და სხვები და სხვები, შემდგომში სახელოვანი საზოგადო მოღვაწე-

[illegible] საერთო ზო-
[illegible] შეძლეგ ინ-
ლიკერული [illegible].
[illegible] ყოფილ, რომ მეგელი სასწავლე-
[illegible] [illegible] [illegible] [

ჰგონია. აღზრდა მოთმინებას მოითხოვს... საჭიროა კიდევ სპეციალური ცოდნაც".

პირველ სკოლაში, ისევე, როგორც მეორე სკოლაში, ნიკო ბევრ რამეს აქცევდა ყურადღებას, განსაკუთრებით საგნობრივ მეთოდგაერთიანების სხდომებს, მოსწავლეთა წრეებს, ექსკურსიებს, წესრიგს, სისუფთავეს, სიწყნარეს, რეჟიმს, მაგრამ პირველი და ყველაზე მთავარი მისთვის მაინც გაკვეთილის ხარისხი და ნაყოფიერება იყო.

ნიკო ნუცუბიძეს გაკვეთილი მიაჩნდა ცოდნის მიღების დღესასწაულად. უხაროდა, როცა საქმე კარგ შედეგს მოიტანდა. სხვასავით აქეთ-იქით არ ისროდა დავალებებს, ბევრ რამეს მკლავებდაკაპიწებული პრაქტიკულად თვითონ ასრულებდა.

ახალგაზრდებმა იცოდნენ მისი ავადმყოფობის ამბავი და ერიდებოდნენ, არ გადაიღალოსო. რამდენჯერმე თავიანთ ღონისძიებაზე არ მიიხმეს და ნიკომ უსაყვედურა:

— ნუ მერიდებით. მე ამით კი არ განმკურნავთ, გულს კი მატკენთ.

ყველაფრის გაკეთებას ესწრაფოდა, არ ისვენებდა. მკურნალი ექიმი კორნელი (ჭიჭიკო) იოსელიანი ურჩევდა ცოტა ხნით მაინც გარიდებოდა საქმეს, ატმოსფერო გამოეცვალა. მისი რჩევა კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ ყურად იღო. უმცროსი ძმა შორეულ ლაგოდეხიდან გამუდმებით ეპატიჟებოდა და აი, გადაწყვიტა იოსელიანის რჩევაც შეესრულებინა და ძმაც ენახა.

ეს ის მოუსვენარი და სიცოცხლით სავსე ძმა იყო, შალიკო, რევოლუციის ქარტეხილს რომ აჰყვა და ბოლომდე კომუნისტური პარტიის ერთგული ჯარისკაცი დარჩა.

ომის წლებში იგი ლაგოდეხის პარტიის რაიონულ კომიტეტს ედგა სათავეში. ლაგოდეხელების თავდადებული შრომისა და მამაცობის ამბავს ხშირად აშუქებდნენ გაზეთები, გადასცემდნენ რადიოთი და ნიკოს ეამაყებოდა ძმის სასახელო საქმეები. ამის დასტური იყო, რომ მალე იგი სოციალისტური შრომის გმირი გახდა.

ნიკო ლაგოდეხში გაემგზავრა. დილით, მატარებელზე, წნორში დახვდა რაიკომის ემაღინი. შოფერს, ლონია დობრონეცკის, რომელიც შალვა ნუცუბიძეს წლების განმავლობაში განუყრელად

დაჰყვებოდა, ნიკო კარგად იცნობდა. რამდენჯერმე შეხვედრია ძმის ოჯახში.

ლონია ხალისიანი და ჭკვიანი კაცი იყო, სოფელ კალინოვკის მკვიდრი. კალინოვკას სოფელი ერქვა, თორემ ლაგოდეხის ერთ დიდ უბანს წარმოადგენდა, სადაც უმეტესად რუსები ცხოვრობდნენ. მოგვიანებით, როცა შალვა ნუცუბიძე ლაგოდეხიდან გადაიყვანეს, ახალ რაიკომის მდივანს მან მისცა რეკომენდაცია, რომ ლონია დობრონეცკი კალინოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აერჩიათ. დაბალი განათლების მქონე, შოფერი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე? გასაკვირია ახალ რაიკომის მდივანს, მაგრამ მან მაინც დაუჯერა ნუცუბიძეს და კოლმეურნეებს რეკომენდაცია მისცა დობრონეცკი თავმჯდომარედ აერჩიათ. და რა გამოვიდა? მალე ლონია დობრონეცკი სოციალისტური შრომის გმირი გახდა, მისი კოლმეურნეობა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ოქროს მედლებს იღებს ზედიზედ. ამ კაცზე ამბობდნენ, შალვა ნუცუბიძის მეთოდით მუშაობსო. აი, რა კაცი დადგა იგი.

მაგრამ იმ დროს, როცა ლონია წნორის პატარა სადგურში ნიკო ნუცუბიძეს დახვდა, ჯერ კიდევ შორს იყო ამ მიღწევებთან, ფიქრად არავის მოსვლია ის, რაც შემდეგ მოხდა. ლონია უბრალოდ შოფერი იყო და დიდის პატივით შეეგება ნიკოს.

— არ დაგავიწყდი, ლონია?

— რას ბრძანებთ, ნიკოლაი დიმიტროვიჩ, — ჩაიცინა ლონიამ და მანქანის კარი გაუღო, — შალვა დიმიტროვიჩი სულ თქვენს ხსენებაშია... ძალიან უყვარს ნათესავები, განსაკუთრებით თავისი გვარის ხალხი...

— ჩანს, მანქანა რომ გამომიგზავნა.

— თქვენ განსაკუთრებით უყვარხართ... მანქანა კი, მართლაცდა... — თავი გააქნია ლონიამ, — რას ვიზამთ, ომია, ბენზინი მკაცრად ლიმიტირებულია... ყველაფრის ეკონომიას ვეწევით. ხშირად შალვა დიმიტროვიჩი ცხენით, ურმითა და ფეხითაც დადის ობიექტებზე, კოლმეურნეობებში...

მანქანა სოფლის შარაზე მიჭქროდა. მოუკირწყლავი, მაგრამ კარგი გზა იყო, სწორი და მოვლილი.

— განათლების განყოფილების გამგედ ჩემი ნამოწაფარი მუშაობს, — დაიწყო ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ნიკომ.

— შალვა კანდელაკი. ყველაფერი ვიცი, ნიკოლაი დიმიტროვიჩ... გულითადი კაცია. შალვა დიმიტროვიჩისაგან ბევრს მოხვეღრია საყვედურები, მაგრამ არ მახსოვს, რომ კანდელაკისათვის ხმამაღლა ეთქვას რამე... მეგობრობენ... რასაკვირველია აქ თქვენი დაზსახურებაცაა, ის რომ ასეთი კარგი მუშაკია. თვითონ გემადლიერებათ, თორემ მე არც ისე ღრმად ვიცნობ მის ისტორიას.

— ჩინებული მოწაფე იყო. ახლა ვნახავ ერთი, აქ როგორ აქვს აწყობილი საქმე.

— ბრწყინვალედ... განათლება უმაღლეს დონეზეა, როგორც შეეფერება ომის პერიოდს. მოწაფეებს ბევრი რამ აკლიათ, სახელმძღვანელო, ფანქარი, რვეული, მაგრამ მაღალია შეგნებულობა და დისციპლინა.

— თქვენ ყველაფერში ჩახედული ხართ, ლონია.

— ბუნებრივია, რადგან ყველაზე ახლო მაინც მე ვარ შალვა დიმიტრიევიჩთან, ის კი ყველა საქმით დაინტერესებულია.

ნიკო ადრეც ყოფილა ლაგოდეხში. მაგრამ ეს კარგა ხნის წინათ იყო. შეცვლილი ეჩვენა კახეთის ეს ძველისძველი კუთხე, იმ დღეს რაც მოახწრო დაენახა მანქანიდან.

ლონიამ იგი ნუცუბიძეებისას მიიყვანა. პატარა ჯულიეტა სკოლაში იყო, ხოლო მაზლს ქენია შეეგება. ქმრის ნათესავ-მოკეთეების უზომოდ მოყვარულმა ქალმა ნიკოს სტუმრობით გაიხარა. ნამგზავრ კაცს თავს შემოევლო. ერთმანეთი მიიკითხ-მოიკითხეს. ქენიამ ცრემლით გაიხსენა ნინო. შემდეგ მაზლი დააპურა.

— შალვა ყოველთვის ნაშუადამევს მოდის ხოლმე, — უთხრა ქენიამ.

— ვიცი. ლონიამ გზაში ყველაფერი მიამბო. რას ვიზამთ, ასეთია რაიონის თავკაცის ხვედრი, თანაც ამ გავანია ომის დროს...

ნაშუადღევს სკოლიდან პატარა ჯულიეტამ მოირბინა, ბიძას კისერზე ჩამოეკიდა. მთელი დღე არ მოშორებია.

შუადამისას მოვიდა შალვა, ენერგიული, სიცოცხლით სავსე კაცი.

ძმები ერთმანეთს გადაეხვიენენ.

— გავიგე, ავად ყოფილხარ...

— რაღაც უკურნებელი სენი შემეყარა, შალვა... ჰიპერტონია,

უპედური რამ ყოფილა... შენ რას შვრები, როგორ ხარ? შორიდან ქუხილივით მესმის თქვენი რაიონის ქება.

— ვშრომობთ, წელებზე ფეხს ვიდგამთ. რითაც შეგვიძლია ფრონტს ვეხმარებით. ახლა შენ რომ არა, ისეთი გადაუდებელი საქმე მქონდა, ღამის გათევას სოფელში ვაპირებდი.... ცოტა ხელი წაუცდათ იქაურებს. მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ. — მის თვალებში წამიერმა რისხვამ გაიელვა, ხმაშიც შეეტყო, რა ჰექა-ქუხილს ატეხდა სოფელში. მაგრამ მისი საქმე ყოველთვის სამართლიანი იყო და ამ ჰექა-ქუხილს დამანგრეველი სეტყვა კი არ მოჰყვებოდა, არამედ მაცოცხლებელი წვიმა, რის გამოც დიდი და პატარა, მრავალი წლის შემდეგაც მადლიერების გრძნობით იხსენიებდა საქართველოს კომუნისტთა ერთ-ერთ თავდადებულ მუშაკს.

დილაბნელზე შინიდან ისე გაიდა, ნიკოს არაფერი გაუგონია. მხოლოდ მაშინ გაეღვიძა, როცა მსუბუქი მანქანის წასვლის ხმა გაიგო. და ახლა გაახსენდა თოფიანი ბიჭი — შალიკო ნუცუბიძე ბოლშევიკებს რომ აედევნა ქუთაისში ახალი ცხოვრების დასამყარებლად.

დილით საოცარი სიმსუბუქე აჰყვა. ასე კარგად თავი დიდი ხანია რაც არ უგრძვნია.

ჯულიეტა ფაციფუცით ემზადებოდა სკოლაში წასასვლელად. ნიკოც აჩქარდა. ჟენიას გაუკვირდა, ამ კაცს რაღა დაემართა, ეს სადღა ეშურებაო.

— ნიკო, თქვენ სადღა?..

— აი, მე და ჯული ერთად წავალთ სკოლისაკენ. მე განათლების განყოფილებაში შევივლი ჩემს ნამოწაფართან...

— კანდელაკთან? ის ჩვენი ხშირი სტუმარია. შალვაც რომ არ იყოს შინ, ის მაინც გვინახულებს და მოგვიკითხავს. სულ თქვენს ქებაშია, კაცად მან მაქციაო...

ნიკოს გაეცინა.

— მე ხომ ღმერთი ბრა ვარ. მე მხოლოდ დავეხმარე... კაცად თავისმა ნიჭმა და უნარმა აქცია... დახმარება ნიჭიერს უთუოდ უნდა, ფაქტია!

ნიკომ ჯულიეტას ჩაჰკიდა ხელი და ერთად წავიდნენ. მალე გო-

[illegible]
[illegible]
[illegible]

პავლე ხმალაძე ოცდაოთხი წლის იყო, როცა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ქუთაისში ჩამოვიდა. განათლების განყოფილების გამგემ, თეიმურაზ ჭუმბურიძემ, იგი მაშინვე მერვე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ დანიშნა. მაშინ ამ სკოლის დირექტორად ცნობილი პედაგოგი და ლიტერატორი ვალერიან თუმანიშვილი მუშაობდა.

რამდენიმე წლის შემდეგ პავლე იმავე თანამდებობაზე გადაიყვანეს პირველ საშუალო სკოლაში და ამიერიდან მთელი თავისი საქმიანობა ნიკო ნუცუბიძის მოღვაწეობას დაუკავშირა.

ნიკო ნუცუბიძეს წაკითხული ჰქონდა პავლე ხმალაძის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, მეთოდიკის საკითხებზე. განსაკუთრებული პატივისცემით განიმსჭვალა ახალგაზრდა კოლეგისადმი. თავის მხრივ პავლესაც ეამაყებოდა ნიკოსთან მუშაობა.

ერთხელ მათემატიკის მასწავლებელმა ეროდე ეზიკაშვილმა-გულისტკივილით მიმართა ნიკოს:

— არ ვიცი რა მოვუხერხო ნეიძეს. არაფერმა გასჭრა, ყველა ღონე ვიხმარე, მოსწავლეს ვერა და ვერ დავამგვანე. აცდენს, გაკვეთილებიდან იპარება, ცუდად მუშაობს, არც მშობლებს უჯერებს, არც ამხანაგებს. მათემატიკა სულ შეიძულა. არ ვიცი, პირდაპირ, რა გზას დავადგე!

არის პედაგოგის ცხოვრებაში ასეთი „ჩაგარდნები". ისეთ გამოცდილ მასწავლებელს, როგორიც ეზიკაშვილი იყო, რაღაც გამორჩა, რაღაც ვერ გაითვალისწინა, ვერ მიაგნო, რამაც ხელიდან გამოსტაცა ჯიუტი ყმაწვილი. მასწავლებელი ერთხანს ყოყმანობდა, ერიდებოდა ამ საკითხზე ნიკოსთვის მიემართა, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყვიტა, რადგან ბოლო იმედი მაინც ნუცუბიძის სიტყვა იყო. არ შეიძლება, რომ მას რაიმე ეამისავალი არ მოენახა. ნიკოს გასაოცარი ალღო და უნარი ჰქონდა ადამიანებთან ურთიერთობაში ყოველთვის სასიკეთო გზები მოეძებნა. იგი ხშირად ეუბნებოდა კოლეგებს:

— როცა აღმზრდელი ხარ, მშობელი ან მასწავლებელი გქვია, ბავშვებთან ითჯერ და ასჯერ უფრო მეტი სითბო და გულისხმიერება გმართებს. აღზარდო ადამიანი, ეს ნიშნავს, რომ ღაფსაბო

მას გზები, რომლებზედაც განზრახულია წარიმართოს მისი ხვალინდელი სიხარული. შენს გვერდით დგას პატარა ადამიანი თავისი სიხარულითა და მწუხარებით, უნდა შეგეძლოს ჩაიხედო მის გულში, დაინახო მისი სულიერი სამყარო.

ეზიკაშვილს კარგად ახსოვდა ნიკოს მრავალგზის ნათქვამი ეს სიტყვები, აანალიზებდა მათ და ყოველთვის კონტროლს უწევდა თავის მოქმედებას ამ დებულების მიხედვით. მაგრამ მაინც გამორჩა რაღაც... იქნებ ის „უფრო მეტი სითბო და გულისხმიერება“ დააკლო? მაგრამ, მაინც რა?

ნიკო ჩააფიქრა მისმა სიტყვებმა. ეროდე გრძნობდა, რომ ნიკო ეძებდა გამოსავალს. ბოლოს მან თავი ასწია და ეზიკაშვილს მიმართა:

— ერთი ასეთი რამ სკადე, ეროდე: გაკვეთილების შემდეგ შინ წაიყვანე, აჩვენე შენი ოჯახი, შენი ბიბლიოთეკა, ესაუბრე ცხოვრებაზე. კვირაში ორჯერ-სამჯერ მიიწვიე... თუ ამანაც არ გასჭრა. მერე სხვა გზა გამოვნახოთ.

ეზიკაშვილმა მიმართა ამ ხერხს. ნეიძე შინ მიიწვია, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. უმაწვილი მასწავლებლის შვილიშვილებს გურამისა და ნუგეშას მიეჩვია. ამ ოჯახში იგრძნო, რაღაც, მანამდე მისთვის უცხო სიმყუდროვე და სიმშვიდე, სითბო, რომელიც აკლდა. გურამისთან და ნუგეშასთან ხსნიდა მაგალითებს და ამოცანებს. თანდათან ჩამოსცილდა თეთრი ხიდის ქვეშ რიონის ნაპირთან მთელი დღეობით ქვიშაზე კოტრიალს, უსაქმურ, ლაზღანდარა ახალგაზრდებს.

და, ეზიკაშვილმა იგრძნო, რას ნიშნავდა ის „უფრო მეტი სითბო და გულისხმიერება“, რასაც ნიკო სწორედ შეახსენებდა ხოლმე მასწავლებლებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა პედაგოგებს.

ნიკო განუწყვეტელ ძიებაში იყო. მრავალ წიგნს კითხულობდა, რაც კი პედაგოგიკას, სკოლას, უმაწვილების აღზრდას ეხებოდა. ერთხელ ხელში ჩაუვარდა მოსკოვის 110-ე საშუალო სკოლის

ყოფილი დირექტორის, აკადემიკოს ივანე ნოეკოვის ხელმოწერა-ნი წიგნი. ნოეკოვი თავის ნაშრომში მკითხველს მოუთხრობდა თავის ხანგრძლივ მოღვაწეობაზე სკოლაში და უზიარებდა წლების განმავლობაში დაგროვებულ მდიდარ გამოცდილებას. იყო ბევრი სასარგებლო, ყურადსაღები რჩევაც.

ნიკო აღფრთოვანებული იყო ამ წიგნით. მთელი ღამე თვითრად გაათია, ძილი არ მიჰკარებია. შთაგონება იმდენად ძლიერი იყო, ათასი კარგი ფიქრი წამოუშალა.

სკოლაში რომ მივიდა, გაეხარდა, პავლე ხმალაძე უკვე მოსულიყო. სწორედ ამ კაცთან ეწადა შეხვედრა და საუბარი. ნოეკოვის წიგნი მაგიდაზე დადო და პაელეს მიმართა:

— დაკვირვებით გაეცანი ამ წიგნს. ამოწერე, რა შეიძლება ჩვენც გადმოვიღოთ ნოეკოვის მუშაობის პრაქტიკიდან. ხუთი დღის შემდეგ ვისაუბროთ.

ამის შემდეგ სკოლაში შემოიღეს მოწინავე მასწავლებლის დღე — ყოველი ორშაბათი ნოეკოვის მაგალითის მიხედვით. ამ დღეს გამოცდილი პედაგოგები გაკვეთილების შემდეგ საუბრებს ატარებდნენ დამწყებ მასწავლებლებთან. ვანსაკუთრებით მონდომებით მოეკიდნენ ამ საქმეს პედაგოგები ჩოგოვაძე, ბალანჩიევაძე, ურუშაძე, ჭეიშვილი, მიზანდარი, კუქაიძე...

ნიკოს ახალგაზრდა მასწავლებლებთან გასაუბრების ცალკე დღე გამოყოფილი არ ჰქონდა. ის, როგორც კი დროსა და მომენტს გამონახავდა, ახალგაზრდა პედაგოგებს ელაპარაკებოდა გაკვეთილების ჩატარების შინაარსობრივ და ორგანიზაციულ მხარეებზე, მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივიზაციის გზებსა და მეთოდებზე, თვით ვარეგნობის მოწესრიგებაზეც კი... მას თანაბრად აინტერესებდა გაკვეთილის მეცნიერულ-შინაარსობრივი და გარეგნული მხარეები.

ნიკო ბოლომდე ინარჩუნებდა სიმკაცრესაც. ერთ-ერთი მასწავლებელი მკაცრად გაიცხა იმისათვის, რომ მან გაკვეთილის

ბოლო ხუთი წუთი არ გამოიყენა, ზუსტად არ განსაზღვრა დრო და კლასი ახმაურდა.

გაკვეთილის ზუსტ აგებულებას დიდ ყურადღებას აქცევდა, თითოეულ წუთს ანგარიშს უწევდა, რადგან ასეთი სიზუსტე დისციპლინის, წესრიგიანობის ჩვენი გამომუშავების ერთ-ერთ პირობად მიაჩნდა.

გაკიცხვა გაკიცხვად, მაგრამ იგი ამას არ სჯერდებოდა, ვიდრე პედაგოგთან დაწერილებით არ გაარჩევდა მის მიერ დაშვებულ შეცდომათა მიზეზებს.

სკოლაში ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი გამოცხადდა. განათლების განყოფილების ბრძანებით იგი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად იყო დანიშნული პირველ საშუალო სკოლაში.

ნიკომ ახალგაზრდა კაცის საბუთები გადაათვალიერა და შემდეგ საუბარი რუსულად გაუბა. როცა ორივე დადუმდა, ნიკომ ახალგაზრდა კაცის საბუთები სათუთად დაკეცა და გაუწოდა.

— წადით, გეთაყვა, წაიღეთ ეს ბრძანება. არ გამოგვადგებით. განათლების განყოფილებას მე მოველაპარაკები.

ახალგაზრდა ჯერ შეფუცხუნდა, წამოენთო, მაგრამ ნიკოს თავდაჭერილობამ და ხიცივემ ენა მუკელში ჩაუგდო. ამ კაცთან კამათით არაფერი გამოუვიდოდა, ცხადი იყო, რომ უბრალო საუბარში იგი ჩაიჭრა.

ამის შემდეგ მასწავლებლის კანდიდატურას ჯერ სკოლის დირექტორს უგზავნიდნენ გასაცნობად, შემდეგ წერდნენ დანიშვნის ბრძანებას.

დრო კი გადიოდა. ნიკოს ჯანმრთელობა თანდათან სუსტდებოდა. და აი, 1948 წლის 28 ივლისს, ქუჩაში ცუდად გახდა. შინ მიიყვანეს. იმ საღამოს მისთვის საყვარელმა ექიმმა იოსელიანმაც ვეღარ უშველა, ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა.

ძნელი დასაჯერებელი იყო ამ კაცის სიკვდილი. მაგრამ ჭეშმარიტებასა და თავზარდამცემ ამბავს ყველა უნდა შეგუებოდა.

დაკრძალვის დღეს ზღვა ხალხმა მოიყარა თავი მის სახლთან. პაელე ხმალაძეს დაევალა გამოსათხოვარი სიტყვის თქმა სახლის აივნიდან. ძალიან მძიმე დავალება იყო. პავლემ დიდი მღელვარებით, ყელში მოწოლილი ბოლმითა და ცრემლმორეული ხმით ძლივს მოახერხა თავისი გრძნობების გამოთქმა...

სასაფლაოზე კი ოთხმოცდაოთხი წლის პედაგოგმა ნიკო მესხმა თქვა:

— პირველად მე „ავიყვანე" ჩვილი ნიკო... ახლა მე ვაყრი მიწას!..

წავიდა ამქვეყნიდან ამაგდარი, ყველასათვის საყვარელი კაცი.

ბოლომდე ერთგული ქუთაისისა!

ეს ქალაქი მისი სიცოცხლე იყო, ამ ქალაქის განათლების სისტემა — მისი მფეთქავი ძარღვი...

ქუთაისიდან საქართველოს დედაქალაქში მრავალმა საზოგადო მოღვაწემ გადაინაცვლა, ბევრმა პედაგოგმა მოღვაწეობის უფრო ფართო გზა არჩია და საკმაოდ თვალსაჩინო შენამატიც შესძინა სამამულო მეცნიერების განვითარების საქმეს... ისინი ბევრნი არიან, ერის სიამაყედ ქცეულნი...

ნიკოსაც შეეძლო თამამად გასდგომოდა ამ ფართო გზას, გამხდარიყო პროფესორი, აკადემიკოსი... მაგრამ მან ფეხი არ მოიცვალა ქუთაისიდან. ძნელად მოიძებნება ოცდაათიანი წლების ქუთათურთა შორის განათლების საქმისადმი თავდადებული ისეთი კაცი, როგორიც ნიკო ნუცუბიძე იყო.

იგი ქალაქში გამორჩეული ფიგურა გახლდათ. მას ბევრი რამ ეკითხებოდა. მისგან მრავალ რამეს სწავლობდნენ მოზრდილები და მოზარდები, პარტიული მუშაკები და კომკავშირელები...

უმისოდ არა საქმე არ იქნებოდა. უმისოდ ქვას ქვაზე არ ადებ-

დნენ... ქუთაისური საზოგადოებისათვის, როგორც მოღვაწე და დამრიგებელი, საიმედო ძალას წარმოადგენდა.

სამოცი წლისა დაიფერფლა.

დღეს მისი შვილები, კუკური და ზურაბი, სათუთად ინახავენ და უფლიან მამის მიერ დანატოვარ ნივთებს: ოდესის უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების დიპლომს, მისი ხელით ორ გვერდზე დაწერილ ავტობიოგრაფიას, ერთ-ერთი გაკვეთილის კონსპექტს, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის სიგელს, საპატიო ნიშნის ორდენს და რამდენიმე გაყვითლებულ სურათს...

აი, მთელი მისი დანატოვარი ნივთიერი ავლა-დიდება...

მაგრამ დატოვა პედაგოგის უჩინარი ცეცხლი, რომელიც თაობიდან თაობათა გულში გადადის...

და ალბათ მარადიულია იგი!

რედაქტორი ტ. ჯანხოთელი
მხატვარი ვ. ჭუთაიშვილაძე
მხატვრული რედაქტორი ო. ჭანდარია
ტექნიკური რედაქტორი გ. ჩიტაძე
კორექტორი მზ. უურაშვილი
კოზტრ. კორექტორი ქს. მარგვეცლაშვილი
გამომშვები ბ. ფეგია

ს. ბ.

გადაეცა წარმოებას 20.06.88
ხელმოწერილია დასაბეჭდად 08.09.88.
საბეჭდი ქაღალდი № 2 60×84 1/16
გარნიტური ჩვეულებრივი
ბეჭდვა მაღალი
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 12,09
პირობითი საღებავგატარება 12,44
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,36
უე 12205. ტირაჟი 15000. შეკვეთის № 5519

ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
ქუთაისის ფილიალი, ქუთაისი, გრიშაშვილის 6.

Гоголадзе Тенгиз Георгиевич

УЧИТЕЛЬ

Документальный рассказ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Кутаисский Филиал
Кутаиси, Гурамишвили, 6
1988

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება,
ქ. ქუთაისი, ი. ჭაჭავაძის პროსპექტი, 33.
Кутаисское полиграфическое производственное объединение
Государственного комитета по делам издательств, полиграфии
и книжной торговли Грузинской ССР
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.